ბიუჯეტში, სახელმწიფო ხარჯების ყველაზე დიდი მოცულობა სახელმწიფო მართვაზე მოდიოდა და შეადგინა მთლიანი სახელმწიფო ხარჯების 25,2 პროცენტი [15]. ამ ფაქტორმა განაპირობა სახელმწიფო დაწესებულებათა რაოდენობის მკვეთრი შემცირება, ხელისუფლების მხოლოდ ერთი შტო – აღმასრულებელი ხელისუფლება შედგებოდა 18 სამინისტროს, სახელმწიფო კანცელარიის, 18 სახელმწიფო დეპარტამენტის, 3 სახელმწიფო ინსპექციისა და სამსახურისაგან, სახელმწიფო კანცელარიას დაქვემდებარებული 10 საქვეუწყებო დაწესებულების, სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი 93 საქვეუწყებო დაწესებულების, 9 რესპუბლიკური უწყების, 75 საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და აგრეთვე 3 მარეგულირებელი კომისიისაგან, ტერიტორიული ორგანოებისაგან [16]. 2004 წლიდან დაწყებული, სამინისტროებისა და სახელმწიფო დეპარტამენტების გაერთიანებით, ჩამოყალიბდა 13 სამინისტრო, მნიშვნელოვნად შემცირდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოდენობა, რომლებიც ფინანსდებოდნენ ბუჯეტიდან. მთავრობის ძალისხმევით შედეგად შესამჩნევი გახდა დადებითი ძვრები საქართველოს მმართველობით სისტემაში, ბევრი რამ გაკეთდა მის გარდასაქმნელად, მაგრამ თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი ეფექტიანი მმართველობის განსახორციელებლად, საჭიროა დაწყებული რეფორმის გეგმაზომიერი გაგრძელება. გარდაქმნის ამ ეტაპზე არსებული სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სხვა დაწესებულებების მექანიკური გაერთიანებით შექმნილი სტრუქტურული ერთეულები საჭიროებს უკვე თვისობრივი ცვლილებების განხორციელებას, რათა წარმატებით დაიძლიოს ძველი სისტემის „მმართველობითი რეციდივები“, რომლებიც დღესაც შესამჩნევია [6].

თვისობრივი რეფორმირებისათვის, უპირველესად, საჭიროა სახელმწიფო დაწესებულებათა საორგანიზაციო კულტურის ტრანსფორმირება, ისე, რომ მოხერხდეს როგორც ეროვნული საბაზისო ღირებულებითა კრიტერიუმების, ასევე თანამედროვე საორგანიზაციო მოთხოვნების გათვალისწინება. საორგანიზაციო კულტურის ძირითადი თვისებები:

- დამცავი;
- საინტეგრაციო;
- მარეგულირებელი;
- ადაპტური;
- განვითარების ხელშემწყობი;
- მართვის ხარისხის უზრუნველმყოფელი;
- მომხმარებელზე (საზოგადოებაზე) მაორიენტირებული;
- ფორმალური ურთიერთობის განმსაზღვრელი;
- სტრატეგიის ორგანული შემადგენელი.

განაპირობებენ ორგანიზაციის მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მართვის შესაძლებლობას. აღნიშნულიდან ჩანს, საორგანიზაციო კულტურის დანიშნულება და სასიცოცხლო საჭიროება თანამედროვე ორგანიზაციებისათვის [17-19]. წარმატებული საქმიანობისთვის აუცილებელია სათანადო ღირებულებათა კრიტერიუმების სკრუპულოზული შერჩევა და ორგანიზაციის მიერ მათი მიმღობის დადგენა, რაც წარმოადგენს მდგრადი განვითარების ერთ-ერთ სერიოზულ განმსაზღვრელ დეტერმინანტს. დღეს ცნობილია G.Hofstede, W.Newman, S.Eshemura, R.Blake, J. Mouton. W.Ouchi, C.Handy G.A.Colle, F.Hercberg, R.Likert, D.McClelland, El.Mayo, K. Lewin-ის კულტურული ტიპოლოგიები [20-27], რომლებიც ადგენენ ე.წ. „ამერიკული“, „ევროპული“, და „იაპონური“, საორგანიზაციო კულტურებისათვის დამახასიათებელ ზოგადი ღირებულებების კრიტერიუმებს და ქმნიან საფუძველს კონკრეტული დაწესებულების საორგანიზაციო კულტურის შესაქმნელად. აღნიშნული ავტორების ნაშრომებიდან გამომდინარე, საორგანიზაციო კულტურა მყლავნდება, როგორც ორგანიზაციის გლობალურ მისიაში, მიზნებში, სტრატეგიაში, მართვის სტილში, საორგანი-




ზაციო კლიმატში, თანამშრომელთა ქცევაში, საკადრო მენეჯმენტში, ასევე თითოეული სამუშაო ადგილის აღწერილობაშიც კი. თანამედროვე მენეჯმენტის ფუძემდებლები (A.A.Thompson, Tr.A.Strickland, H.Minzberg, T.R.Quinn, P.Drucker, M.Firsirotu, F. Rieger, G.A.Cole, F.Herzberg, R.Likert, D.McGregor, R.I.Levy, Fr.Luthans, J.W.Newstrom, J.R.Galbreith, R.Akoff და სხვა) ნაშრომებში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციის სტრუქტურა ერთდროულად არის სტრატეგიის რეალური საშემსრულებლო მექანიზმი და ამ რეალობის სოციალური კონსტრუქცია. აქედან გამომდინარე, საორგანიზაციო კულტურა, განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიას და სტრუქტურასაც. ამ დებულებას ასაბუთებს ის, რომ სწორედ შერჩეული საორგანიზაციო კულტურა ხელს უწყობს ორგანიზაციის ადაპტაციას გარე სამყაროსთან და ორგანიზაციის შიგნით ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, განსაზღვრავს მმართველობით სტილს და განაპირობებს საორგანიზაციო ტექნოლოგიებს. აღსანიშნავია, რომ მართვის თანამედროვე მოდელებიც დგება საორგანიზაციო კულტურული ტოპოლოგიების მიხედვით (J.Gibson, J.Ivancevich, T.Donnely, D.Matsumoto) |25|. გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ არსებობს თვისობრივი კავშირი საორგანიზაციო კულტურასა და ორგანიზაციის განვითარების და რეალიზაციის სტრატეგიებს შორის (Ed. Schein, D.Boddy, R.Patton, P.Doyle).

Ed.Schein-ის კონცეფციის |28| შესაბამისად, საორგანიზაციო კულტურა ხასიათდება გამოვლენის სამი დონით:

- **არტეფაქტების დონე** — ანუ საორგანიზაციო კულტურის ხილული იერსახე: თანამშრომელთა ურთიერთობის ფორმა, ეტიკეტი, ქცევა და ა.შ.;
- **აღიარებული ღირებულებების დონე** — გამოიხატება ორგანიზაციის მიზნების, სტრატეგიის, სამოქმედო იდეოლოგიის, გადანყვეტილების მიღების მეთოდების, მმართველობითი სტილის და ა.შ. სახით;
- **საბაზო წარმოდგენები** – ესაა ძირითადი ღირებულებები და ძირეული მსოფლმხედველობა.

ამ დონეების შორის არსებობს თვისობრივი კავშირი (ნახ. 1) და მათ აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ურთიერთმიმართებები.



ნახ. 1. საორგანიზაციო კულტურის დონეები

განვითარების სტრატეგიის შემუშავების, საორგანიზაციო სტრუქტურის შექმნის, ან სტრუქტურული გარდაქმნების განსაზღვრებისას, უმთავრესი ყურადღება მიპყრობილია საორგანიზაციო კულტურის ძირეულ დონეზე („საბაზო ღირებულებები“). მხოლოდ არტეფაქტული გამოვლინების მიხედვით შეუძლებელია სრულყოფილი სტრატეგიის შემუშავება. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ასეთი მიდგომით შესაძლებელია მხოლოდ მექანიკური სახის საორგანიზაციო ცვლილებების განხორციელება.

ამრიგად, ორგანიზაციის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია სათანადო საორგანიზაციო კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც ქმნის საფუძველს ქმედითი მმართველობითი სტრუქტურის ასაგებად. ბოლო ათწლეულის განმავლობაში უდიდესი ყურადღება ექცევა საორგანიზაციო

კულტურის ჩამოყალიბებისათვის საჭირო, პრაქტიკული ღირებულების მქონე მეთოდების შექმნას. 2005-2006 წლებში, საქართველოს საჯარო სამსახურის სისტემის ანალიზისათვის<sup>2</sup> გამოიყენეს კავკასიის უნივერსიტეტის მკვლევართა მიერ შემუშავებული მიდგომა საორგანიზაციო კულტურის შესაფასებლად (მსკმ), დაფუძნებული Kim Cameron –ის და Robert Quinn -ის “საორგანიზაციო კულტურის დიაგნოზისა და გარდაქმნის მეთოდებზე” (“OCAI” და “MSAI”) |29|. მიდგომა იძლევა არსებული საორგანიზაციო კულტურის იდენტიფიკაციის საშუალებას (პირველი საფეხური) და გააჩნია დიაგნოზის დასმის უნარი, ორგანიზაციისათვის სასურველი (ან მისაღები) ღირებულებითი კრიტერიუმების დასაწერად (მეორე საფეხური). ორივე საფეხურზე საორგანიზაციო კულტურას აფასებენ ექვსი ღირებულებითი კრიტერიუმის საშუალებით, სადაც თვითოეული მიიღება ოთხი ალტერნატიული მაჩვენებლის შედარების გზით. არსებული საორგანიზაციო კულტურის დადგენა და სასურველის შერჩევა მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით: რესპონდენტები ავსებენ სპეციალურ ანკეტებს, სადაც 120 პარამეტრის მიხედვით აფიქსირებენ თავიანთ თვალსაზრისს არსებული საორგანიზაციო კულტურის კრიტერიუმებზე. მიღებული შედეგების რანჟირების შემდეგ, აჯამებენ მსგავს მონაცემებს და სათანადო ალგორითმის საშუალებით ხდება არსებული კულტურისა და სუბკულტურების იდენტიფიცირება. მეორე ეტაპზე კი, იმავე თანმიმდევრობით ხორციელდება სასურველი საორგანიზაციო კულტურის რეალიზაციის დიაგნოზი. აღნიშნული მიდგომის საშუალებით დგინდება, თუ როგორ კულტურულ ტიპს („კლანურს“, „ადჰოკრატიულს“, „იერარქიულს“, თუ „კონკურენტულს“) მიეკუთვნება არსებული საორგანიზაციო კულტურა და საორგანიზაციო კულტურის რომელი ტიპია თანამშრომლებისათვის ყველაზე სასურველი. 2005 წელს, WB პროექტის “Preparation of Program for Reforms in Public Administration System” ფარგლებში გამოიკითხა სამი სამინისტროსა და ორი სახელმწიფო დეპარტამენტის სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული 156 თანამშრომელი. კითხვარების დამუშავებისა და მონაცემების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ საკმაოდ დიდი სხვაობაა არსებულ და სასურველ საორგანიზაციო კულტურებს შორის (ნახ. 2,3).

**არსებული საორგანიზაციო კულტურა (მოხელეთა შეფასებით)**  
ცხრ. 1


№	საორგანიზაციო კულტურის ტიპი	შეფასება (%)
1.	იერარქიული საორგანიზაციო კულტურა	75
2.	კლანური საორგანიზაციო კულტურა	12
3.	ადჰოკრატიული საორგანიზაციო კულტურა	10
4.	კონკურენტული საორგანიზაციო კულტურა	3

**სასურველი საორგანიზაციო კულტურა (მოხელეთა შეფასებით)**  
ცხრ. 2


№	საორგანიზაციო კულტურის ტიპი	შეფასება (%)
1.	იერარქიული საორგანიზაციო კულტურა	19
2.	კლანური საორგანიზაციო კულტურა	32
3.	ადჰოკრატიული საორგანიზაციო კულტურა	35
4.	კონკურენტული საორგანიზაციო კულტურა	14

<sup>2</sup> PHRD Grant For the Preparation of Public Sector Management Reform Program (WB), 2005-2006;

„იერარქიული კულტურა“ (ფორმალიზაციის მაღალი დონე, წესებსა და პროცედურებზე დაფუძნებული მართვა, ორგანიზაციისათვის უმთავრესი საზრუნავია სტაბილურობის შენარჩუნება და რაციონალური ქმედებების განხორციელება), რომელიც გამოკითხულთა 75 % -ის მიერ აღიარებულია ყველაზე გავრცელებულ საორგანიზაციო კულტურად (ცხრ. 1), მკვეთრად განსხვავდება სასურველი საორგანიზაციო კულტურის ტიპებისაგან (ცხრ. 2): მაგ. „ადჰოკრატული“ (დინამიური და შემოქმედებითი სამუშაო, საკუთარი იდეებისათვის რისკზე წასვლა, ნოვატორი ლიდერების მიერ ორგანიზაციაში წახალისებულია შემოქმედებითობა, სიახლის ძიება, ინიციატივის გამოვლენა) – გამოკითხულთა 35 % და „კლანური კულტურისაგან“ (მეგობრული სამუშაო ატმოსფერო, თანამშრომლებს აერთიანებთ საერთო ინტერესები, ტრადიციები, ურთიერთპატივისცემა, პასუხისმგებლობა და ერთგულება, ლიდერები ასრულებენ დამრიგებლის როლს, მორალურ მხარეს ექცევა დიდი ყურადღება) – გამოკითხულთა 32%.



ნახ. 2. არსებული საორგანიზაციო კულტურის ტიპები



ნახ. 3. სასურველი საორგანიზაციო კულტურის ტიპები

მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ადამიანებს ხშირად უწევთ მათთვის „არაკომფორტულ“ გარემოში საქმიანობა, რაც ამცირებს მათი შრომის ნაყოფიერებას. ადამიანური რესურსი ეფექტიანი გამოყენების გარეშე ორგანიზაციებს გაუჭირდებათ მათ წინაშე არსებული ამოცანების წარმატებით შესრულება, იქნება ეს საჯარო, თუ კერძო ორგანიზაცია.

**დასკვნა:**

- ორგანიზაციების თვისობრივი რეფორმირების, განვითარების სტრატეგიის შექმნისა, თუ ახალი საორგანიზაციო სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სრულყოფილი საორგანიზაციო კულტურის შერჩევას და მის გეგმაზომიერ დანერგვას;
- სამსახურში მიღებისას, პროფესიული ცოდნის გარდა, გასათვალისწინებელია ადამიანის პიროვნული თვისებების შესატყვისობა საორგანიზაციო კულტურის არსებულ ტიპთან;
- კარგად ჩამოყალიბებული საორგანიზაციო კულტურა და შესაბამისად შერჩეული პერსონალი იძლევა ჯანსაღი საორგანიზაციო გარემოს შექმნის საშუალებას;
- საორგანიზაციო კულტურის ჩამოყალიბება ხანგრძლივადიანი პროცესია და მოითხოვს პერმანენტულ დაკვირვებასა და სრულყოფილ ანალიზს თანამედროვე მეთოდებისა, თუ მიდგომების გამოყენებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Machavariani Shalva, the Main Weaknesses of the Management System in the State Administration of Georgia as Supporting Factors for Corruption and Money Laundering. Selected papers presented at the Annual Conference of the European Society of Criminology, Helsinki 2003. European Institute for Crime Prevention and Control, affiliated with the United Nations. Publication Series # 42, Helsinki, 2004, 147-156;
2. მაჭავარიანი შ., აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუციონალური დონის დანესებულება საქმიანობის ფუნქციური ანალიზი. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმის პროგრამა (DFID/WORLD BANK), კომპონენტი 3, კონფერენციის მასალები, თბილისი, 2002წ., 10-11 დეკემბერი, 125-198;
3. Georgian Economic Trends. Georgian – European Policy and Legal Advice Centre. Quarterly Review, 2003, #1, 48-50;
4. Georgian Economic Trends. Georgian – European Policy and Legal Advice Centre. Quarterly Review, 2002, #3, 57-59;
5. Machavariani Shalva, Gigashvili Lali. How Weaknesses in Georgia’s System of Public Administration Foster Corruption. Conference “Economic Crime & Money Laundering in Georgia.” Transnational Crime & Corruption Center. Georgian AML Project. Tbilisi, 2004, June 29- 30, 40-74;
6. Machavariani Shalva. Overcoming Economic Crime in Georgia through Public Service Reform. In Book “Organized Crime and Corruption in Georgia”, edited by Louise Shelley, Roudedge Taylor&Francis Groupe, London and New York, 2007, 37-49;
7. Transparency International /the coalition against corruption/. Annual Report 2003;
8. Transparency International /the coalition against corruption/. Annual Report 2000;
9. Hiding in the Shadows The Growth of Underground Economy, publication 30, Internal Monetary Fund, April 2002;
10. Entrepreneurship in Georgia. The State Department of Statistics of Georgia. Statistical Publication, Tbilisi, 2000, 28-30;
11. Entrepreneurship in Georgia. The State Department of Statistics of Georgia. Statistical Publication, Tbilisi, 2001, 102 – 105;
12. Georgian Economic Trends. Georgian – European Policy and Legal Advice Centre. Quarterly Review, 2002, #1, 9 – 10;
13. Kaufmann Daniel. New Empirical Frontiers in Fighting Corruption and Improving Governance – a few selected issues. Background Comments and Empirics for OSCE Economic Forum 2001, January 30-31. ([www.worldbank.org/wbi/governance](http://www.worldbank.org/wbi/governance));
14. Georgian Economic Trends. Georgian – European Policy and Legal Advice Centre. Quarterly Review, 2004, #2, 7-15;
15. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემები, 2005. ([www.mof.ge/Default.aspx?lang=EN](http://www.mof.ge/Default.aspx?lang=EN))
16. სახელმწიფო სამსახურის ბიუროს მასალები. თბილისი, მარტი, 2003;
17. Lewin K., Frontiers in Group Dynamics, Concepts, methods and Reality in Social Science, Human relations, June, 1974, 5-74; ;
18. Newstrom J.W., Davis J.C. Organizational Behavior. Human Behavior at Work The McGraw-Hill Companies, Inc., Boston, 1997;
19. Lewis R.D. When Cultures Collide. Managing Successfully Across Cultures, Nicholas Brealey Publishing, Ltd, London, 1996;

20. Hofstede G., *Cultures and Organization: Software of the Mind*, McGraw-Hill, London, 1991;
21. Handy C, *Understanding Organizations*, 4<sup>th</sup>. edn., Penguin, Harmondsworth, 1993;
22. Blake R., Mouton J., *OD Technology for the Future*, *Training and Development Journal*, November, 1979, 55-63;
23. Herzberg F., *the Motivation to Work*, Wiley, New York, 1959;
24. Likert R., *the Human Organization: its Management and Value*, McGraw-Hill, New York, 1967;
25. Matsumoto D. *Culture and Psychology. People Around the World*, Wadsworth, Division of Thomson Learning Inc, 2000;
26. Erez M., *Towards a Model of Cross-Cultural industrial & Organizational Psychology*, in Triandis H., Dunning M., & Hough M. (Eds.) *Handbook of Industrial & Organizational Psychology*, vol. 4, 1994;
27. Ouchi W., *Theory Z: How American Business Can Meet the Japanese Challenge*, Addison-Wesley, 1981;
28. Schein Ed. H. *Organizational Culture and leadership*, Jossey-Bass Publishers, San Francisco, 1992;
29. Cameron K.S., Quinn R.E. *Diagnosing and Changing Organizational Culture*. Addison Wesley Longman, Inc., Massachusetts, 1999;

## ORGANIZATIONAL CULTURE, AS FUNDAMENTAL PHASE FOR QUALITATIVE REORGANIZATION OF GOVERNING SYSTEM

Shalva Machavariani

*PhD, Professor*

### Abstract

**Purpose** – To select criterion for relevant types and values of organizational culture, that is important for making qualitative reforms in civil service field in Georgia, namely – to build active organizational structures for civil service institutions.

**Design/methodology/approach** – To identify the real organizational culture of the organization and to clarify the future possibilities of changing it, the researchers of Caucasus University use “The Method to Estimate the Organizational Culture”, which represents the modern version of the methods (“OCAI” and “MSAI”) implemented by Kim Cameron and Robert Quinn. The method gives an opportunity to identify existing organizational culture (step one) as well as to accomplish cultural diagnosis acceptable or desirable for the organization (step two). Evaluation of organizational culture is made by means of six value criteria, where each criterion is considered according to four alternative ways. For this reason, the information gathered from quaternaries was being adapted with the help of computer programs.

**Findings** – In 2005, civil servants were interviewed within the WB project „Preparation of Program for Reforms in Public Administration System” in Georgia. Within the relevant method 156 civil servants of different level from three ministries and two former public departments were interviewed.

**Research limitations/implications** – With the help of modern version of the methods “OCAI” and “MSAI” it became possible to identify the types of current organizational culture of civil service institutions and to clarify its possible future changes, which resulted a real base for creating optimal organizational structure and developing strong organizational environment.

**Originality/value** – Foreseeing the real criterion of organizational culture, the work represents the first effort in Georgia, to develop organizational structure perfect for civil service institutions and effective and desirable for civil servants, which creates a possibility to implement qualitative changes.

# საინვესტიციო კლიმატი საქართველოში-განვითარების შემაჯავრებელი ფაქტორები და სამომავლო შესაძლებლობები

გიორგი ლალანიძე  
ეკონომიკის დოქტორი,  
პროფესორი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განიხილოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები. სტატიაში ცალკე ყურადღება ეთმობა ფულის გათეთრების შესაძლებლობებსა და ეკონომიკური დანაშაულის მდგომარეობის შეფასებას. ამდენად, გავანალიზებთ პუი-ს ძირითადი მაჩვენებლებსა და ტენდენციებს, ცვლილებებს გეოგრაფიული თვალსაზრისით. შესაბამისად, წარმოვადგენთ სპეციფიკურ ინდიკატორებს, რათა შეფასდეს ფულის გათეთრების შესაძლებლობები და ეკონომიკური დანაშაულის საფუძვლები.

## პუი-ს ინტენსიფიცირების აუცილებლობა

საქართველოს მისწრაფება ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისაკენ დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკური ზრდის ისეთი მოდელის ფორმირებას, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პუი-ს მოზიდვას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას. ბიზნეს გარემოს ლიბერალიზაცია წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის უკეთ გამოყენების აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას. საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების საკმაოდ ამბიციური პროგრამა. ამ პროგრამით ხაზგასმულია პუი-ს მნიშვნელობა და, შესაბამისად, მთავრობამ წარმოადგინა ულტრა ლიბერალური ეკონომიკური რეჟიმი. ეკონომიკური პოლიტიკა კონცენტრირებულია ბიზნესის კეთების ყველა ადმინისტრაციული ბარიერის მოხსნასა და, ამდენად, პუი-ს მოზიდვაზე. აღსანიშნავია, ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული მიღწევები, კერძოდ, მსოფლიო ბანკმა დაასახელა საქართველო, როგორც 1 რეფორმატორი ქვეყანა, ხოლო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ საქართველოს მიანიჭა მე-18 ადგილი მსოფლიოში ბიზნესის კეთების თავისუფლების მხრივ. ამავდროულად, საქართველოს მთავრობამ განახორციელა სპეციალური ღონისძიებები ევროპის სახელმწიფოებსა და აშშ-ში, რათა მოეზიდა მეტი ინვესტორი. მიუხედავად ამისა, მიღწეული შედეგები საკამათოა.

## პუი-ს მაჩვენებლები

2006 წლის საინვესტიციო ანგარიშის მიხედვით (UNCTAD) 2005 წელს პუი-მ მთელ მსოფლიოში შეადგინა 916 მილიარდი აშშ დოლარი, რაც 29%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამ ინვესტიციების უდიდესი ნაწილი შეიძლება აიხსნას კომპანიების შერწყმითა და გაერთიანებით განვითარებულ ეკონომიკებში. განვითარებული ქვეყნებიდან განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 133 მილიარდი ანუ 17% 2005 წელს. ამ ინვესტიციების ძირითადი მიმღები ქვეყნები არიან განვითარებადი ეკონომიკები. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს სახელმწიფოებისათვის ამ მაჩვენებელმა შეადგინა 40 მილიარდი ანუ 4% 2005 წელს. აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში, რომელშიც საქართველოც შედის, ინვესტიციების 75% მოდის რუსეთზე, უკრაინასა და რუმინეთზე.

**№1. საქართველოში განხორციელებული ინვესტიციებში სხვადასხვა ქვეყნის წილი (2000-2006)**

სახელმწიფო	მლნ. აშშ დოლარი	%
აშშ	319	22%
დიდი ბრიტანეთი	298	20%
აზერბაიჯანი	172	12%
რუსეთი	146	10%
თურქეთი	140	9%
კვიპროსი	102	7%
იტალია	92	7%
საფრანგეთი	80	6%
ნორვეგია	77	5%
ვირჯინიის კუნძულები (დბ)	62	4%

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს ერთობლივი შიდა პროდუქტი, მსყიდველობითი პარიტეტის გათვალისწინებით, შეადგენს ანალოგიური მსოფლიო მაჩვენებლის 0,023%-ს 2005 წელს, იმავე წელს საქართველოს წილი მსოფლიო პუი-ში კი იყო 0,04%.


ინტერესს იწვევს პუი-ს გეოგრაფიული მაჩვენებლები, ამდენად, საინტერესოა შევადაროთ ლიდერი სახელმწიფოები 2000-07 წლების მიხედვით(საქართველოში განხორციელებული პუი-ს მოცულობით)

**N 2. ლიდერი ინვესტორი ქვეყნები**

2006	1190.375 მლნ .\$.	2007	1681,637 მლნ.\$
დიდი ბრიტანეთი	15,7%	ჩეხეთი	13,2%
აშშ	15,3%	პოლანდია	13%
ყაზახეთი	12,8%	ვირჯინიის კუნძ.	10,3%
თურქეთი	10,9%	კვიპროსი	8,0%
ნორვეგია	6,5%	თურქეთი	6,8%

პუი-ს ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით შთამბეჭდავია: 2001:-16,4%; 2002: 52,4%; 2003:-103%; 2004- 46,8%; 2005 -10%; 2006- 165%; 2007-41,3%

ძალზე საინტერესოა, რომ 2006 წლიდან საქართველოში აქტიურად იზრდება პუი ყაზახეთიდან და თავისუფალი ეკონომიკური ზონებიდან. აღნიშნული ფაქტი ვერ შეფასდება, როგორც ცალსახად პოზიტიური, ყოფილი საბჭოეთის რესპუბლიკებიდან განხორციელებული ინვესტიციები ძირითადად ორიენტირებულია სპეციფიკური ამოცანების გადაწყვეტაზე. ვირჯინიის კუნძულებიდან (დბ) განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 2007 წელს მთელი მოცულობის 10,3%. ქვევით მოყვანილია ვირჯინიის კუნძულებიდან ინვესტიციების ზრდის მაჩვენებლები.



პუი-ის სტრუქტურა

აღსანიშნავია, რომ 2005 წლამდე პუი-ს ძირითადი ნაწილი მოდიოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე. 2005 წლიდან საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა აგრესიული პრივატიზაცია, როგორც პუი-ს მოზიდვის ძირითადი მეთოდი. აგრესიულ პრივატიზაციაზე დაყრდნობილი ინვესტიციები არ წარმოადგენს მდგრად ინვესტიციებს და ხშირად მათ არ მოჰყვება შემდგომი ინვესტიციები. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში ეს ინვესტიციები ატარებენ მდგრად ხასიათს. მდგრადი ინვესტიციები საქართველოში ორიენტირებული უნდა იყოს ექსპორტის გაფართოებაზე, ვინაიდან შიდა ბაზრის შესაძლებლობები შეზღუდულია. საქართველოს საექსპორტო მაჩვენებლები აშკარად უმჯობესდება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ზრდა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საბაჟო დეპარტამენტში ადმინისტრირების გაუმჯობესებით.

შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები სამომავლოდ პოზიტიურ როლს შეასრულებს პუი-ს მოზიდვაში ექსპორტზე ორიენტირებულ სექტორებში და გააუმჯობესებს სამუშაო ადგილების შექმნას. ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების დინამიკის მარტივი შედარება ადასტურებს იმ დებულების მართებულობას, რომ აგრესიულ პრივატიზაციაზე დაყრდნობილი ინვესტიციები არ არის მდგრადი. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, დასაქმებულთა რიცხვი(ეკონომიკის რეალურ სექტორში, სოფლის მეურნეობის გარდა) 2006 წელს შემცირდა 35401 კაცით 2005 წელთან შედარებით, ხოლო 2007 წელს 59552 კაცით 2006 წელთან შედარებით.

პუი-ს მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი ერთ სულზე გაანგარიშებით მაინც დაბალია საქართველოში და ჩამორჩება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ანალოგიურ მაჩვენებელს.

**N 3. პუი ერთ სულზე**

სახელმწიფო	მლნ \$
საქართველო	248 (2006)
ბულგარეთი	649 (2006)
ჩეხეთი	1160 (2004)
სლოვენია	634 (2004)
სლოვაკეთი	243(2006)

**ფულის გათეთრება და ეკონომიკური დანაშაული**

ამ მიმართულებით კვლევის ჩატარება საკმაოდ სპეციფიკურია. თუ პუი-ს თავისუფალი ეკონომიკური ზონებიდან და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, თან ახლავს საკმაოდ მაღალი რისკი, საკითხი მაინც დეტალურად უნდა შეისწავლოს. ამდენად, შესაბამისი კითხვარი შემუშავ-



და და დაურიგდათ ბიზნესის ხელშემწყობ სხვადასხვა ორგანიზაციას. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კითხვარი დაბრუნდება ანონიმურობის სრული დაცვით.. კითხვარი პასუხების ჯგუფდინი შემონიშნების საშუალებას იძლეოდა. კითხვარი დაურიგდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას და ამერიკის სავაჭრო პალატას საქართველოში. მიუხედავად სრული ანონიმურობისა, ქართული კომპანიები ძალზე დაბალი აქტიურობით ჩაებნენ ამ პროცესში, განსხვავებით აშშ-ს სავაჭრო პალატის წვერი კომპანიებისგან, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ პროცესში. სულ მიიღეს 18 შევსებული კითხვარი. ქვევით ნაჩვენებია პასუხების განაწილება, ხოლო თვითონ კითხვარი –დანართში.

**N4. პასუხების განაწილება**

%

1. ა (44,4%);ბ(38,8%); გ(16,6%)
2. ბ(50%); დ(88,8%); ბ-დ(38,8%)
3. დ (33,3%); ბ(38,8%); ბ-ე(22,2%)
4. ა(55,5%); დ(38,8%)
5. ა(38,8%); დ(33,3%)
6. ა(50%); ე(27,7%); გ(33,3%)
7. ა(55,5%); გ(38,8%)
8. ა(22,2%);ბ(38,8%);გ(27,7%);დ(22,2%)

იმ მიზნით, რომ გამოვლენილიყო ფულის გათეთრებისა და ეკონომიკური დანაშაულის შესაძლებლობები, შემუშავდა სპეციალური ინდიკატორები. პუი თავისუფალი ეკონომიკური ზონებიდან, შესაძლებელია, განვიხილოთ როგორც ინდიკატორი, რომელიც ირიბად მიანიშნებს ფულის გათეთრების საფთხეებზე. ეკონომიკური დანაშაულის პოტენციალის შესაფასებლად შეირჩა შემდეგი ინდიკატორი: „სახელმწიფო მოხელეების დაუსაბუთებელი ჩარევა ბიზნესის ურთიერთობებში„. ეს კითხვა კითხვარში ორგან ფიგურირებდა, რესპოდენტთა 38,8%-მა ეს პასუხი აირჩია კითხვაზე „რა ართულებს ურთიერთობას უცხოელ ინვესტორებთან„. რესპოდენტთა 27,7%-მა იგივე პასუხი აირჩია კითხვაზე „რა არ მოსწონთ ინვესტორებს საქართველოში„. ამდენად, ნათელია, რომ ეკონომიკური დანაშაულის საფუძველი კვლავ საკმაოდ დიდია საქართველოში.

რესპოდენტთა 50%-მა დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა აღნიშნა, როგორც პუი-ს ზრდის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი. დამოუკიდებელი სასამართლოსა ან არბიტრაჟის არარსებობა ხელს უწყობს ეკონომიკური დანაშაულის ზრდას.

სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის დაბალი დონე

(88,8%) აღნიშნა, როგორც პუი-ს შემდგომი ინტენსიფიცირების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი.

გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობა, მკაფიოდ გამოკვეთილი პრიორიტეტებით, ამცირებს საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას. პრიორიტეტები, რომლებსაც, საქართველოს მთავრობა ფრამენტულად წარმოადგენს, არ ინვესს ნდობას ინვესტორებში.

**პუი-ს ხელშემწყობის დამატებითი მექანიზმები**

საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შედარებითი ანალიზისათვის აირჩა ბულგარეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკები. შედარებითი ანალიზი ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ორივე ქვეყანა საქართველოზე წინაა ინვესტიციების მოზიდვის საკითხებში. ორივე ქვეყანაში აღქმულია ის ფაქტი, რომ ინვესტიციების მოცულობა პირადაპირ არ ინვესს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და, ამდენად, მთავრობები აყალიბებენ დამატებით ხელშემწყობ მექანიზმებს.

N 5. საკანონმდებლო ბაზის შედარებითი ანალიზი

	ჩეხეთი	ბულგარეთი	საქართველო
კანონი ინვესტიციების მოზიდვაზე	დიახ	დიახ	დიახ
საგადასახადო შეღავათები	დიახ	დიახ	არა
გარანტიები	დიახ	დიახ	დიახ
სპეციალური შეღავათები ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის	დიახ	დიახ	არა
პუი ერთ სულზე	1160\$ (2004)	669\$ (2006)	248\$(2006)

**თავისუფალი სავაჭრო ზონები**

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ საკითხს, როგორცაა სპეციალური საექსპორტო ზონების ფორმირება, რადგან სწორედ ეს მექანიზმია მიჩნეული ყველაზე ქმედითად ექსპორტის წახალისებისა და პუი-ს ზრდისათვის. თავშივე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ზონების ეფექტური ფუნქციონირება დამოკიდებულია რეალურად არსებულ გარემოებებზე და არა ამ ზონების ფუნქციონირების საერთო პრინციპებზე.

შაექსპორტო-სავაჭრო ზონების ფორმირებას ძნელად წარმოსადგენია ჰქონდეს განსაკუთრებული ეფექტი, ვინაიდან ექსპორტიორებს ისედაც საკმაოდ ხელშემწყობი რეჟიმი აქვთ საქართველოში. ქვეყნის რომელიმე კუთხეში ამ ტიპის ზონების ფორმირებას, ნაკლებად სავარაუდოა, გავლენა ჰქონდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

აქედან გამომდინარე, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოს, როგორც ვაჭრობაში რეგიონალური ლიდერის პოზიციები. გარდა საკმაოდ ხელსემწყობი გეოგრაფიული მდებარეობისა, საქართველომ უნდა გამოიყენოს რეგიონში არსებული სპეციფიკური ვითარება, კერძოდ, ის ფაქტი, რომ თურქეთსა და სომხეთს, ისევე როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არაა ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები. ამ წყვილებს შორის ვაჭრობა ხორციელდება საქართველოს მეშვეობით, ხშირად ნახევრად ლეგალური ფორმით. ამ ურთიერთობების ლეგალიზებისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური უპირატესობების მისაღებად მიზანშეწონილია თავისუფალი სავაჭრო ზონის ფორმირება სამცხე-ჯავახეთში, რომელიც ესაზღვრება როგორც თურქეთს, ასევე სომხეთს.

ყოფილი რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორია შესაძლებელია გამოვიყენოთ ამ მიზნისათვის. ბაზის ტერიტორიას გააჩნია კარგ მდგომარეობაში მყოფი შიდა კომუნიკაციები, საწყობები, პერიმეტრის კონტროლი და ა.შ. 2007 წლის ბოლოს ბაზა მთლიანად საქართველოს გადმოეცა და შესაძლებელია ტენდერის გამოცხადება იმ კომპანიის გამოსავლენად, რომელიც აიღებს მენეჯმენტის ფუნქციას. აღნიშნული მოდელი საკმაოდ წარმატებით განხორციელდა ყოფილ იუგოსლავიაში.

თავისუფალი სავაჭრო ზონისა და საერთაშორისო სასაწყობო რეჟიმის ფორმირებამ (ფოთში) შესაძლებელია გააუმჯობესოს ინვესტიციების მოზიდვა რეგიონში და გარკვეული დადებითი გავლენა იქონიოს დასავლეთ საქართველოზე. ამავდროულად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ტიპის ზონებში ძალზე მაღალია ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული აქტივობების რისკი. საქართველოს მთავრობამ უნდა გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი, რათა თავიდან აიცილოს ეს საფრთხეები. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველომ შესაძლებელია მიიღოს მოკლევადიანი ეფექტები, მაგრამ დაკარგოს ნდობა სტრატეგიული ინვესტორების მხრიდან, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უარყოფითი იქნება. თავისუფალი ეკონომიკური ზონებიდან მიღებული ეფექტები ყოველთვის წარმოადგენს არჩევანს მოკლე და გრძელვადიან პრიორიტეტებს შორის.

## კვლევის ძირითადი შედეგები

1. 2005 წლიდან საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი აგრესიული პრივატიზაცია წარმოადგენდა პუი-ს ძირითად წყაროს.
2. აგრესიულ პრივატიზაციაზე დაფუძნებული პუი არ წარმოადგენს მდგრად ინვესტიციას.
3. ამ ტიპის ინვესტიციები არ უწყობენ ხელს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და არ ახდენენ გავლენას დასაქმების მაჩვენებლებზე.
4. 2006 წლიდან ინვესტორები თავისუფალი ეკონომიკური ზონებიდან ძალზე გააქტიურდნენ საქართველოში. ამავე პერიოდში იზრდება ინვესტიციები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან. ამ ინვესტიციების წილის ზრდა საერთო მოცულობაში არ შეიძლება შეფასდეს, როგორც დადებითი ფაქტორი და საქართველოს მთავრობამ უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები, რომ სიტუაცია არ გახდეს უმართავი.
5. პუი, გაანგარიშებული ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში, მნიშვნელოვნად ჩამორჩება აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მაჩვენებლებს.
6. მიუხედავად საქართველოს მთავრობის ამბიციური პროგრამისა, მოიზიდოს ინვესტიციები, საქართველოში არ ფუნქციონირებს ინვესტიციების ხელშემწყობი სპეციალური მექანიზმები.
7. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობამ, როცა გააცნობიერა ის ფაქტი, რომ ინვესტიციებსა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შორის არაა პირდაპირი კავშირი, შეიმუშავა სპეციალური საკანონმდებლო ინიციატივები, რათა დაეხმაროს ინვესტორებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ქართული კანონმდებლობა ამ მიმართულებით მოითხოვს შემდგომ დახვეწას.
8. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმები საკმაოდ წარმატებულად შეფასდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, სახელმწიფო მოხელეთა ჩარევა ბიზნეს ურთიერთობებში კვლავ რჩება სერიოზულ პრობლემად.
9. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ზომები ადმინისტრაციული ბარიერების მოსახსნელად არ აღმოჩნდა გადამწყვეტი ინვესტორებისათვის. დამოუკიდებელი სასამართლოს არ არსებობა განიხილება, როგორც ინვესტიციების ზრდის შემაფერხებელი ფაქტორი.
10. ინვესტორები ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის დაბალ დონეს აღიქვამენ როგორც ინვესტიციების ზრდის სერიოზულ პრობლემას. ეს ნიშნავს, რომ ვითარებას კვლავ მართავს პერსონალიზმი და არა სტრუქტურები.
11. გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საფრთხე ეკონომიკური სტაბილურობისათვის. ხშირი ცვლილებები ეკონომიკურ პრიორიტეტებში არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოზიტიური ფაქტორი ეკონომიკური განვითარებისათვის.

## დასკვნები და რეკომენდაციები

მიუხედავად საქართველოს მთავრობის ამბიციური პროგრამისა, შეექმნა ქვეყანაში ულტრა-ლიბერალური ეკონომიკური რეჟიმი, ინვესტორები უჩივიან დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არქონას, ეს კი ნიშნავს, რომ მათი ინვესტიციები დაუცველია. დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არ- არსებობა და სახელმწიფო მოხელეთა ჩარევა ბიზნეს ურთიერთობებში, ქმნის საფუძველს ეკონომიკური დანაშაულისათვის. საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გადადგას ნაბიჯები, რათა შეექმნას ბიზნეს დავების გადანყვეტის ეფექტური მექანიზმი. ამ მიმართულებით ყველაზე რეალისტურად გვესაზება სპეციალური არბიტრაჟის ფორმირება, ბიზნესის ხელშემწყობი

სტრუქტურების ფართო მონაწილეობით. არბიტრაჟი შეამცირებს, ანდა სრულიად აღმოფხვრის სახელმწიფო მოხელეთა დაუსაბუთებელ ჩარევას ბიზნეს ურთიერთობებში.

ხანგრძლივადიანი ეკონომიკური განვითარების პროგრამის არარსებობა ასევე განიხილება, როგორც ხელშემშლელი ფაქტორი პუი-ს მოსაზიდად. საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელი ნაბიჯები შეიძლება შეფასდეს პოზიტიურად, თუმცა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს თავისი ეკონომიკური პროგრამების განხილვა ბიზნესის ხელშემწყობ ორგანიზაციებთან და, საერთოდ, გაზარდოს მათი მონაწილეობა ამ პროგრამების შემუშავებაში.

პუი-ს ზრდა თავისუფალი ეკონომიკური ზონებიდან შემამფოთებელი ფაქტორია და უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა არ დაუშვან ფულის გათეთრების ოპერაციები. ამ მიმართულებით ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფორმირება გარკვეულ საფრთხეს შეიცავს. საქართველოს მთავრობამ უნდა გაანალიზოს ევროკავშირის გამოცდილება ამ მიმართულებით და დაინერგოს იგივე პრაქტიკა. ეს ხელს შეუწყობს ინვესტიციების გამჭვირვალობის ზრდას.

ეკონომიკის რეალურ სექტორში მომუშავეთა რიცხვის შემცირება წარმოადგენს 21-ე საუკუნის ეკონომიკურ რეალობას. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა შეიმუშავეს სპეციალური ხელშემწყობი მექანიზმები დასაქმების ზრდისათვის. აღნიშნული ტიპის მოდელი უნდა შემუშავდეს და დაინერგოს საქართველოში ქართული ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ერთიანი და ძლიერი საქართველო (საქართველოს მთავრობის პროგრამა), 07.09.2007. [www.government.ge](http://www.government.ge)
2. Visentzi, Volhart, "Diversification and Promotion of Georgian Exports," *Georgian Economic Trends, A Quarterly Review*, October, 2006.
3. "Georgia: An Integrated Trade Development Strategy," Report No, 27264, World Bank, 5 November 2003, p.16, <http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/COUNTRIES/ECAEXT/GEORGIAEXTN/>
4. "Special Economic Zones, Export Oriented Units and Foreign Overseas Investment," *Annual* 2003, [www.nic.in](http://www.nic.in)

დანართი1

**წამყვანი ინვესტორები საქართველოში 2000-05**

2000	128,823 mln\$	2001	109,840 mln\$	2002	167,362 mln\$
USA	30,05%	USA	21,2%	USA	49,1%
Turkey	22,2%	Cyprus	17,5%	Greece	11,4%
Ireland	10,9%	France	15,9%	G.B.	10,5%
S. Korea	7,3%	Germany	12,2%	Italy	5,9%
Russia	4,76%	G.B.	7,7%	Russia	5,3%
2003	266,038 mln\$	2004	406,850 mln\$	2005	367,211 mln\$
USA	27%	G.B.	21,6%	G.B.	36,2%
Russia	16%	USA	19,9%	Azerbaijan	18,2%
G.B.	14,1%	Azerbaijan	16,9%	Cyprus	12,9%
Azerbaijan	11,1%	Russia	10,8%	Russia	10,5 %
Australia	9,85%	Norway	9,2%	Norway	6,4%

## კითხვარი

- 1. როგორ შეაფასებდით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) გავლენას საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე?**
- ა) ძალიან დადებითი (44,4%);
  - ბ) დადებითი (38,8%);
  - გ) სერიოზული გავლენა არა აქვს (16,6%);
  - დ) უარყოფითი
- 2. თქვენი აზრით, რა უშლის ხელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას საქართველოში?**
- ა) კორუფცია;
  - ბ) დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა (50%);
  - გ) საგადასახადო სისტემა;
  - დ) ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის დაბალი ხარისხი (88,8%);
  - ე) სხვა ფაქტორები (ბ და გ 38,8%) .
- (გთხოვთ, აირჩიოთ არა უმეტეს ორი შესაძლო ვარიანტისა)
- 3. როგორ მიგაჩნიათ, ქვეყნის ეკონომიკის რომელ სექტორებს გააჩნია ყველაზე მაღალი პოტენციალი პუი-ს მოსაზიდად?**
- ა) მრეწველობა (შეგიძლიათ მიუთითოთ კონკრეტული დარგი);
  - ბ) სოფლის მეურნეობა (38,8%);
  - გ) ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
  - დ) საფინანსო-საბანკო (33,3%);
  - ე) ტურიზმი და მომსახურება;
  - ვ) სხვა.
- (გთხოვთ, აირჩიოთ არა უმეტეს ორი შესაძლო ვარიანტისა)
- 4. პუის უფრო ინტენსიური მოზიდვისათვის თქვენ გაამარტივებდით:**
- ა) საგადასახადო სისტემას (55,5%);
  - ბ) რეგისტრაციასა და ლიცენზირებას;
  - გ) მოგების რეინვესტირებას ან ქვეყნის გარეთ გატანას;
  - დ) სხვა საკითხებს (38,8%) (გთხოვთ მიუთითოთ).
- 5. უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობას ართულებს:**
- ა) სახელმწიფო მოხელეების ბიზნესში ჩარევა (38,8%);
  - ბ) ენობრივი ბარიერი;
  - გ) კულტურათა განსხვავება;
  - დ) ბიზნესის წარმოების სპეციფიკა საქართველოში(33,3%).
- 6. თქვენი აზრით, უცხოელ ინვესტორებს არ მოსწონთ საქართველოში:**
- ა) საერთო ეკონომიკური სიტუაცია (50%);
  - ბ) კრიმინალური ფონი;
  - გ) ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე (33,3%);
  - დ) შეზღუდვები ელექტროენერჯის მიწოდებაში;
  - ე) სახელმწიფო მოხელეების დაუსაბუთებელი ჩარევა ბიზნეს ურთიერთობებში (27,7%).
- 7. თქვენ თვითონ განახორციელდებით თუ არა ინვესტიციას საქართველოში?**
- ა) დიახ (55,5%);
  - ბ) არა;
  - გ) არ ვიცი (38,8%).
- 8. თქვენი აზრით, უცხოელ ინვესტორებს რა მოსწონთ საქართველოში:**
- ა) სწრაფი მოგების მიღება (22,2%);
  - ბ) ხანგრძლივადიანი ზრდის პერსპექტივა (38,8%);
  - გ) ზოგადად ქვეყანა (27,7%);
  - დ) სხვა რამ (22,2%) (გთხოვთ, მიუთითოთ)

## INVESTMENT CLIMATE IN GEORGIA - MAJOR OBSTACLES FOR THE DEVELOPMENT AND FUTURE OPPORTUNITIES

**Giorgi Gaganidze,**  
*Ph.D. in Economy*  
*Professor*

### Abstract

**Purpose** - The aim of this paper is to discuss the major obstacles for further intensification of the FDI flow. Specific interest is paid to review the possibilities of money laundering and to evaluate in general the economic crime situation regarding FDI. To this end we will review generalized indicators of the FDI and some of the recent tendencies. Special attention will be paid to the changes in the geographical dimensions of FDI. At the same time, some specific indicators would be presented to find out the possibilities for money laundering and basis for economic crime.

### Goals and objectives of the research work:

- To specify issues regarding money laundering and economic crime;
- To analyze FDI flows by sectors, country groups;
- To compare Georgian policies and regulatory frameworks with sample OECD country;
- To identify major obstacles for the FDI growth in Georgia;
- To formulate relevant recommendations.

### Research methodology

- To clarify indicators obviously presenting potential for money laundering and economic crime;
- FDI from off-shore and free economic zones;
- Indicator for economic crime as civil servants unauthorized interventions in business relations;
- Statistical data research;
- Questionnaire for existed and potential investors;

### Major Findings

1. From 2005 aggressive privatization presented by Georgian Government was the major driven force for FDI.
2. FDI based on the privatization has the one-off appearance nature and could not be considered as the sustainable in long-term perspective.
3. FDI based on the aggressive privatization do not lead to the creation of the new jobs and do not have any substantial effect on the employment in medium-term.
4. From 2006 investors from Free Economic Zones (FEZ) became very active in Georgia and there share in total FDI is increasing. In the same period former soviet republics and now independent states are also very active in investments. Growing share of FDI from FEZ could not be evaluated as a positive fact and Government should undertake special steps in order to clarify the situation.
5. FDI per capita in Georgia is still low comparing with OECD or Central and East European countries.

6. Despite the fact that Georgian Government announced ambitious programme to attract FDI, Georgia still lacks special incentives to attract FDI.
7. Majority of Central and East European countries identified the fact that there is not direct link between FDI and new jobs creation. Special incentives have been introduced (including subsidies) to assist investors in creation of the new jobs (Bulgaria, Czech). Georgian legislation in this regard is weaker and could not compete with these countries.
8. Despite the fact that Georgia has international recognition as reformer country majority of investors are identifying unauthorized intervention of civil servants in business as the major obstacle for the FDI growth.
9. Special steps undertaken by GoG to decrease the number of license and permits still did not encourage investors. Majority identifying the absence of the Independent Court as the obstacle for FDI growth.
10. Investors are identifying low level of economic and political stability as the serious problem in Georgia. This means that process in Georgia is still driven by persons and not by structures.
11. Lack of long-term economical policy adopted by the Government could be considered as a threat for economical stability. Frequent changes in economical priorities could not be recognized as positive factor for the economical development.

## ლარის გაცვლითი კურსის ზეგავლენა პოსტრეკომუნიკაციური საქართველოს ეკონომიკაზე

ნოდარ ხადური  
ეკონომიკის დოქტორი,  
პროფესორი

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკაში კონსენსუსი იშვიათად მიიღწევა, ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ, როგორც სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობაა, დღეს ასეთი კონსენსუსი პრაქტიკულად მიღწეულია.

თითქმის აღარავინ არ კამათობს იმაზე, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას კონკურენცია, ხელი შეუწყოს შრომის ბაზრის მობილურობას, განახორციელოს საკუთარი ფუნქციების (და არა მხოლოდ ქონების) პრივატიზაცია, შეამციროს ეკონომიკაში ჩარევა, პარტნიორული ურთიერთობა დაამყაროს ბიზნესთან, მიაღწიოს ფასების სტაბილურობას, დააბალანსოს ბიუჯეტი, გამჭვირვალე გახადოს საკუთარი ხარჯები, ხელი შეუწყოს თავისუფალ ვაჭრობას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და კაპიტალის ლიბერალიზაციას.

ამ ღონისძიებების განხორციელებით შესაძლებელი გახდება სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რაც, თავის მხრივ, მხოლოდ საბაზრო მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირებით მიიღწევა.

პოლიტიკოსები სულ უფრო მეტი სერიოზულობით აღიქვამენ „დიდი სახელმწიფოს“ არაეფექტიანობას. მაღალი გადასახადების, ბიუჯეტის დეფიციტის, სახელმწიფოს მიერ საკრედიტო ბაზარზე ფულის სესხების, გაცვლითი კურსებით მანიპულირების ზეგავლენა იშვიათად ფასდება დადებითად და, როგორც წესი, ეკონომიკური ზრდის შეფერხების მიზეზი ხდება.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მხრიდან ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმების გამოყენების არეალი სულ უფრო იზრდება. თეორეტიკოსთა და არასახელისუფლო პოლიტიკოსთა დიდი ნაწილის მტკიცების მიუხედავად, მთავრობები უარს ვერ ამბობენ ცდუნებაზე რეალურად მართონ ქვეყნის ეკონომიკა. ეს პრობლემა ყველა ქვეყანაში ძალიან აქტუალურია, მაგრამ განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური პროცესების მართვის „დიდი გამოცდილება“ აქვს. პოსტკომუნისტური ქვეყნები, რომელთა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება, ასეთი, არცთუ მთლად სასარგებლო გამოცდილებით ძალიან მდიდარია.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ოფიციალურად დეკლარირებულია ის პრინციპები, რომლებზეც საუბარი დასაწყისში გვექონდა, ცდუნება იმისა, რომ სახელმწიფომ „საკუთარი სამრეკლოდან“ უყუროს ბიზნესს და დასაშვები და დაუმეგებელი მეთოდებით მის განვითარებას „სასურველი“ მიმართულება მისცეს, ძალიან დიდია.

ეს კარგად გამოჩნდა ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველოში, სახელმწიფოს გაცხადებული ულტრა-ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის კვალობაზე, ხშირი იყო ქონების როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური ექსპროპრიაციის ფაქტები, ბიზნესის არაოფიციალური გადასახადებით დაბეგვრის შემთხვევები და ა.შ.

ჩვენ ყურადღებას აღარ გავამახვილებთ ამ ფაქტორებზე, რადგან მათი ანატომია, ხშირად სცილდებოდა ეკონომიკურ გარემოს და უფრო წმინდა პოლიტიკურ ღონისძიებებს უნდა მივაკუთვნოთ.

ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველოში ბევრი, საქართველოსათვის მანამდე უცხო, ეკონომიკური პროცესი დაიწყო, რომელმაც სრულიად ახალი ელფერი შეიძინა. ეს განსაკუთრებით მაკროეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებას შეეხება.

მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე. თუ მანამდე ლარზე მოთხოვნას აყალიბებდა მხოლოდ სამომხმარებლო ხარჯები და ბიუჯეტში შესატანი დაახლოებით ერთი მილიარდი ლარი<sup>1</sup>, დღეისათვის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მკვეთრად გაზრდილმა მოთხოვნამ ლარი „გააძვირა“, ამას თან დაერთო მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებიც, რომელმაც საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. დღეისათვის ლარზე გაზრდილ მოთხოვნას, გაზრდილი სამომხმარებლო ფასების პარალელურად განაპირობებს, ეკონომიკის ლეგალიზაციის პროცესი და პრივატიზაცია.

1995-2003 წლებში, მიუხედავად, მართლაც, ფულის წარმატებული რეფორმისა, რომლის შედე-

<sup>1</sup> სტატისტიკური ინფორმაცია აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდიდან [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).



გადაც ლარმა შეძლო და მიმოქცევიდან განდევნა ერთდროულად სამი ვალუტა: ეროვნული ბანკის კუპონი (ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მას განდევნა ნამდვილად აღარ სჭირდებოდა, რადგან მისი მიმოქცევის არეალი ძალიან იყო შევიწროებული), რუსული რუბლი (რომელიც გამოიყენებოდა დაბალი და საშუალოფასიანი ნივთების ფასების დასადგენად და შესაძენად) და დოლარი (რომელსაც ძვირადღირებული საგნების ღირებულების გაზომვისა და შეძენის ფუნქცია ჰქონდა).

მიუხედავად ამისა, ლარმა ვერ შეძლო კუპონის მიერ შელახული ნდობის სრულად დაბრუნება. ბიზნესი მთლიანად დოლარზე დარჩა მიბმული, რასაც ადასტურებდა საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის კოეფიციენტი, რომელიც ბოლო პერიოდამდე საკმაოდ მაღალი რჩება.

2003 წლის დასაწყისში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 98% აშშ დოლარში იყო, მიუხედავად იმისა, რომ დოლარი თმობს საქართველოში (ისევე როგორც მთელ მსოფლიოში) პოზიციებს, უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 79% დღესაც აშშ დოლარშია.

საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის კოეფიციენტი დაახლოებით 65%-ია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლარი სრულყოფილად ვერ ასრულებს ფულის ფუნქციებს. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ საქართველოს ეკონომიკაში განხორციელდა საერთაშორისო ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია, რაც აისახა იმაში, რომ ხელისუფლებას საგარეო ეკონომიკურ პროცესებზე ზეგავლენის არც ერთი პირდაპირი მექანიზმი აღარ დარჩა. ეკონომიკური რეფორმების პირველივე წლებში გაუქმდა არასატარიფო ბარიერები, ხოლო ვარდების რევოლუციის შემდეგ რეალურად გაუქმდა სატარიფო ბარიერებიც და საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალური საგარეო-ეკონომიკური რეჟიმის მქონე ქვეყანად იქცა. შესაბამისად, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებისათვის ერთადერთ ქმედით ინსტრუმენტად სწორედ გაცვლითი კურსი რჩება. ამასთან, საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონის გამო, გაცვლითი კურსი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობისათვის, არამედ ქვეყანაში შიდა ტრანზაქციებისათვისაც.

სამწუხაროდ, მიუხედავად ლარის მიმართ დოლარის კურსის ცვალებადობისა, საქართველოში სერიოზული კონტრაქტები, პრაქტიკულად, ისევ მხოლოდ დოლარით ფორმდება.

თუმცა, ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, აქცენტს მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობაზე გადავიტანთ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში დოლარი გამოიყენება არა მხოლოდ აშშ-სთან, არამედ ძალიან ბევრ ქვეყანასთან ურთიერთობაში. მით უფრო, რომ მსოფლიო ბაზრებზე დოლარით ხდება ნავთობის, ხორბლის ფასების კოტირება.

რეალურად, ფონი, რომელშიც საქართველოს ეკონომიკა ვითარდება, საკმაოდ რთულია. რთულია არა მხოლოდ დაძაბული რუსულ-ქართული ურთიერთობების გამო, არამედ იმის გამოც, რომ აშშ დოლარი, რომლის მნიშვნელობაზე ზემოთაც გვექონდა საუბარი, თმობს პოზიციებს მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიო ფინანსურ წრეებში ხშირი იყო დოლარის დასუსტების პროგნოზები, რაც პირველად ხმამაღლა რუსულ ბიზნესისა და სამეცნიერო წრეებში გაისმა<sup>2</sup>. საქართველოს ხელისუფლება, როგორც ჩანს, დოლარის კრახის რუსული სცენარს<sup>3</sup> სერიოზულად არ აღიქვამდა. რადგან, მიუხედავად გაფრთხილებისა, ეკონომიკის დოლარიდან სხვა, თუნდაც უცხოურ ვალუტაზე გადაწყობის პროცესი, არც კი დაწყებულა და როგორც მანამდე, ისე მის შემდეგაც, საქართველოს ეკონომიკა არაოფიციალურად დოლარზეა მიბმული. იმ პერიოდში, რუსული სცენარის გახმაურების შემდეგ, ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გაჩნდა შეთავაზება ეროვნული ბანკის რეზერვების და მის შესაბამისად, დეპოზიტების დივერსიფიკაცია განხორციელებულიყო, რომლის ერთ-ერთ შესაძლო, ალბათ ოპტიმალურ ვარიანტად SDR-ის კალათა სახელდებოდა<sup>4</sup>, რომელიც სხვადასხვა ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის შენონილი მაჩვენებლების მიხედვით გაიანგარიშება. სამწუხაროდ, ეს რეკომენდაცია არ გაიზიარეს, რამაც დოლარე-

<sup>2</sup> დანვრილებით იხილეთ, პაპავა ვ. „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა“, თბილისი, თსუ, 2005. გვ. 314-322; პაპავა ვ., ჩოჩელი ვ., „ახალი ეკონომიკა“, გლობალური ეკონომიკური კრიზისის რუსული სცენარი და საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია. წიგნში „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბილისი, მეცნიერება, 2003.

<sup>3</sup> დანვრილებით იხილეთ Хазин М.А., Грегорьев О.В. Сценарий крушения доллара в ближайшей перспективе. В кн.: Крах доллара. Москва, издатель Чернишова Н.Е., 2001.

<sup>4</sup> პაპავა ვ. „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა“, თბილისი, თსუ, 2005. გვ. 314-322; პაპავა ვ., ჩოჩელი ვ., „ახალი ეკონომიკა“, გლობალური ეკონომიკური კრიზისის რუსული სცენარი და საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია. წიგნში „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბილისი, მეცნიერება, 2003. გვ. 42.


ბში განთავსებული დეპოზიტების მფლობელები სერიოზულად დააზარალა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი არ არის მხოლოდ მონეტარული ფაქტორი, რომელიც ეკონომიკის განვითარების თავისებურებებს განსაზღვრავს. რეალურად, ხელისუფლება პროგნოზირებისა და რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გარეშე რჩება, როდესაც ეროვნული ვალუტის სამოქმედო არეალი შეზღუდულია. მით უფრო, როდესაც ხელისუფლების (და არა მხოლოდ მისი რომელიმე ცალკეული შტოს) მიერ მიმოქცევაში არსებული ვალუტის მოცულობით მანიპულირება, დღეისათვის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად რჩება.


ამ თვალსაზრისით, საქართველოში მიმოქცევაში არსებული ფულის მასის დინამიკა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

1995 წელს, როდესაც საქართველოში ფულის წარმატებული რეფორმის შედეგად მიმოქცევაში ლარი შემოიღეს, ეროვნული ბანკის მონაცემებით მიმოქცევაში მხოლოდ 95 მლნ. ლარი იყო, აშშ დოლარის გაცვლითი კურსი 1,3 ლარის პარამეტრზე დაფიქსირდა.

2003 წლის ნოემბერში, ვარდების რევოლუციის წინ მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის რაოდენობა 460 მლნ. ლარამდე გაიზარდა. 2007 წლის დეკემბერში მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობამ 1,3 მლრდ. ლარს გადააჭარბა, რასაც, ერთი შეხედვით, გაცვლითი კურსის დაცემა უნდა გამოენჯია, თუმცა მოხდა პირიქით, 2004 წლის დასაწყისიდან ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ამაღლების შეუქცევადი პროცესი მიმდინარეობს, რასაც შესაძლოა ანტინფლაციური დატვირთვაც ჰქონდეს. თუმცა, ამაღლების ამგვარმა ტემპებმა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ისედაც დეფიციტური საგადამხდელი ბალანსი.



ცხრილი 1. მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა 1995-2008 წლებში ფულის აგრეგატების მიხედვით.




ცხრილი 2. აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსების დინამიკა 1995-2008 წლებში.

ცხრილებიდან ნათლად ჩანს, რომ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი მკვეთრად მაღლდება აშშ დოლარის მიმართ და შედარებით სტაბილურია ევროს მიმართ. თუმცა, თუ 2003 წლის ნოემბერში 1 ევროში 2,61 ლარის მიღება შეიძლებოდა, 2005 წლის ნოემბერში კურსი 2,11 ლარამდე, ანუ 20%-ით ამაღლდა. შემდეგ ევროს მიმართ ლარის გაცვლითი კურსის შემცირების პროცესი დაიწყო და 2008 წლის მარტში 2,33 ლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც მარტის ბოლოს დოლარის გაცვლითი კურსი 1,44 ლარამდე დაეცა.

რასაკვირველია, კურსის ამგვარ, მეტად სერიოზულ რყევას არ შეიძლებოდა მაკროეკონომიკურ გარემოზე თავისი ზეგავლენა არ მოეხდინა. განსაკუთრებით კი ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობაზე.


მე-3 ნახაზიდან აშკარად ჩანს, რომ თუ 1995 წელს იმპორტის ექსპორტით გადაფარვის მაჩვენებელი 32% იყო, რომელიც 2000 წლისათვის 46%-მდე გაიზარდა, დღეისათვის 23%-მდე შემცირებული.

1995 წლიდან 2007 წლამდე ექსპორტის მოცულობა 8-ჯერ გაიზარდა, იმპორტისა კი 11-ჯერ. თუ ამას დავუმატებთ, რომ ნომინალური მშპ იმავე პერიოდში 3,9 მლრდ. ლარიდან 17 მლრდ ლარამდე, ანუ 4,36-ჯერ გაიზარდა, ხოლო რეალური მშპ მხოლოდ – 2,1-ჯერ. ადვილი შესამჩნევია, რომ ვალუტის გაცვლითი კურსის ამაღლებამ საგადაამხდლო ბალანსის მკვეთრი გაუარესება გამოიწვია.



ნახაზი 3. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 1995-2007 წლებში (მლნ. აშშ დოლარი).

სამწუხაროდ, საქართველოში ინფლაციის დამარცხება ვერ ხერხდება. მიუხედავად იმისა, რომ იმპორტი იაფდება და ამასთან იმპორტის ხვედრითი წილი მოხმარებაში იზრდება, რასაც თან დაერთო საბაჟო გადასახადის გაუქმება, დღე კი 20%-დან 18%-მდე შემცირდა, ფასების სტაბილიზაცია სერიოზულ პრობლემად რჩება.



ნახაზი 4. წლიური ინფლაცია 1996-2008 წლებში.

დღეისათვის საქართველოს მთავრობა სერიოზულ განაცხადს აკეთებს, რომ იგი შეეცდება მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას შეუწყოს ხელი და ინფლაცია მოთოკოს. საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა „ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2009-2012 წლებისათვის“<sup>5</sup>, რომლის თანახმადაც, 2008 წელს ინფლაცია 8%-ის დონეზე უნდა შენარჩუნდეს, 2009 წელში ინფლაცია 9% იქნება, ხოლო შემდეგ საპროგნოზო წლებში 8,5, 8 და 7 პროცენტი იქნება, რაც თავისთავად უკვე მაღალი მაჩვენებლებია.

როგორც ჩანს, ხელისუფლებისათვის მონეტარული ინსტრუმენტები, რომლებიც ამ მიზნის (ინფლაციის დაბალი ტემპები) მისაღწევად შეიძლება გამოიყენონ, არცთუ ისე სანდოა. რაც დღის წესრიგში სხვა ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობას აყენებს. მათ შორის, ალბათ, უმთავრესი გაცვლითი კურსია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოხმარების დიდი ნაწილი იმპორტით იფარება, გასაგებია, რომ ვალუტის კურსით სამომხმარებლო ფასების შეკავება აბსოლუტურად რეალურია, თუმცა, მეორე მხრივ, ეს ექსპორტის გაძვირებას და, შესაბამისად, საგადასახდელი ბალანსის კიდევ უფრო გაუარესებას გამოიწვევს.

ამ ფონზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მონეტარული პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს — საქართველოს ეროვნული ბანკის მომავალს შეეხება. პროცესები, რომლებიც ბანკის დამოუკიდებლობას თუნდაც მინიმალურ საფრთხეს შეუქმნის, უნდა შეჩერდეს.

არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობის საკითხი მხოლოდ საქართველოში დადგა, უამრავი მაგალითია იმისი, თუ როგორ ცდილობენ მთავრობები ცენტრალური ბანკების „დაქვემდებარებას“<sup>6</sup>. მათ შორის არც საქართველოს მთავრობა აღმოჩნდა გამონაკლისი, და ცდილობს, ეროვნული ბანკის სახით ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება შექმნას. ინიციატივა, რომ ინფლაციის გარკვეული დონის შემთხვევაში, ფინანსთა მინისტრს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების შესაძლებლობა მიეცემა, სწორედ ამას ნიშნავს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის განხორციელებით შეუძლია ინფლაციური პროცესების რეგულირება, მთავრობას უამრავი მექანიზმი აქვს, რომლითაც ინფლაციურ პროცესებზე ზემოქმედება შეუძლია. მაგალითების მოსაძებნად შორს წასვლა არ დაგვჭირდება, იმდენად უხვია ისინი საქართველოს უახლოეს წარსულში (დასაქმების პროგრამა ამ მაგალითებში ერთ-ერთი თვალსაჩინოა). გამოდის, რომ მთავრობას შეუძლია ინფლაციის პროვოცირება, ხოლო შემდეგ ყველაფრის ეროვნული ბანკისათვის გადაბრალებით განტეგების ვაციც მარტივი მოსაძებნი გახდება.

ცხადია, იმის ილუზია არ გვაქვს, რომ ეროვნული ბანკი ოდესმე აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყო. თუმცა, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, რომელიც საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში მიაღწიეს, საკმაოდ მაღალი იყო, რაც ეროვნული ბანკის მიერ სერიოზული რეფორმების განხორციელების წინაპირობა გახდა.

იმედია, რომ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი შენარჩუნდება. მით უმეტეს, რომ უკანასკნელ წლებში მიღებულია ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ეროვნულ ბანკს ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად სესხის მიცემას უკრძალავს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ვერ გაუძლებს მთავრობის წნეხს და იძულებული გახდება სხვადასხვა სახით მიმოქცევაში ფულის მასა გაზარდოს, რაც კიდევ უფრო ნაახალისებს ინფლაციურ პროცესებს და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას საერთოდ დაუსვამს წერტილს.

<sup>5</sup> იხილეთ საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-პორტალზე [www.parliament.ge](http://www.parliament.ge).

<sup>6</sup> მაგალითად, იხილეთ Проблемы независимости Центрального банка, ნიგნში Албегова И.М., Емцов Р.Г., Холопов А.В. Государственная экономическая политика: опыт перехода к рынку. М., «Дело и Сервис», 1998

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა ვ. „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა“, თბილისი, თსუ, 2005.
2. პაპავა ვ., ჩოჩელი ვ., „ახალი ეკონომიკა“, გლობალური ეკონომიკური კრიზისის რუსული სცენარი და საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია. წიგნში „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბილისი, მეცნიერება, 2003.
3. Хазин М.А., Грегорьев О.В. Сценарий крушения доллара в ближайшей перспективе. В кн.: Крах доллара. Москва, издатель Чернишова Н.Е., 2001.
4. Проблемы независимости Центрального банка, წიგნში Албегова И.М., Емцов Р.Г., Холопов А.В. Государственная экономическая политика: опыт перехода к рынку. М., «Дело и Сервис», 1998

## INFLUENCE CHANGE OF THE EXCHANGE RATE ON ECONOMY OF POST REVOLUTIONARY GEORGIA

**Nodar Khaduri**  
*PhD in economics*  
*Professor*

### Abstract

After “Rose Revolution” Georgian economy started processes which have caused sharp increase of demand for national currency – Lari. If the demand has been certain by only consumer charges (1 billion Lari) till 2003, now the situation has changed radically. The factors which promoted increase of demand are privatization, legalization of economy and growth of prices. And the result is the increase of the exchange rate to USD. In addition there is a situation in the world financial markets, where the Dollar concedes Euro. This is the forecast we had in 2002. But nobody has paid attention to it at that time and in spite of the recommendation of Georgian scientists there hasn't been done the diversification of the reserves of National Bank of Georgia, not to say anything about the population deposits. The dollarization of Georgian economy is more than 65%. An opportunity of macroeconomic stability is under the doubt because of the inflation, caused by currency in circulation.

For the present time Georgian government has begun the process, which was an infringement of independence of NBG. In case of high inflation, the president of NBG will be responsible for it, but the government will always try to blame the NBG, which obviously doesn't promote economic growth and stability in Georgia.

**ციფრული დაყოფა და ციფრული შესაძლებლობები სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოსტინდუსტრიული და გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ფონზე**

**გურამ ლეჟავა**

*საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი*

XXI საუკუნის პოსტინდუსტრიული საზოგადოება ხასიათდება გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესებით და ე.წ. გლობალური საინფორმაციო საზოგადოებაში (გსს-GIS) ეტაპობრივი გადასვლის ტენდეციებით. ეს ტენდეციები ნათლად ვლინდება საზოგადოებაში ისეთი თანამედროვე ინფოსაკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვით და ფართო გავრცელებით, როგორცაა: ინტერნეტი, მობილური სატელეფონო კავშირი, WiMax, Tripel Play, E-ვაჭრობა, E-სწავლება და სხვა უახლესი მომსახურების სახეები.

სპეციალური კონგრესები, კონფერენციები, სემინარები და შეხვედრები ეძღვნება გსს-ში ეტაპობრივი გადასვლის, მისი კრიტერიუმების დადგენის, ინფოსაკომუნიკაციო ინდუსტრიის მიღწევების მოსახლეობაში შეღწევადობის და შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები ამ მხრივ იყო 2003 და 2005 წლების საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტები (WSIS) ჟენევაში და ტუნისში. აგრეთვე აღნიშვნის ღირსია ეტაპობრივი ხასიათის პუბლიკაციები: ევროკომისიის ე.წ. „მწვანე წიგნი ტელეკომუნიკაციო კონვერგციის შესახებ“ და აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ელ. გორის „მსოფლიო ტელეკომის ხუთი გამოწვევა“ [1,2] და სხვა.


სხენებული ტენდეციები, პროცესები და ზოგიერთი გადასაჭრელი (ან გადაჭრის სტადიაში არსებული) პრობლემები ასახულია სურ.1-ზე წარმოდგენილი დიაგრამით, სადღეისოდ გლობალიზაციის ფონზე მიმდინარე გსს-ის ჩამოყალიბების ეტაპების სახით.

პირველად პოსტინდუსტრიალური საზოგადოების ტერმინის განსაზღვრება, როგორც სერვისზე ორიენტირებული საზოგადოებისა, მოგვცა დანიელ ბელმა 1973 წელს [3]. გამოიყენა რა მსოფლიო ეკონომიკის სამ-სექტორალური მოდელი (სამრეწველო-I, აგრარული-A და მომსახურების-S სექტორები), მან იდენტიფიცირება მოახდინა XXI საუკუნის დასაწყისის პოსტინდუსტრიული საზოგადოებისა, როგორც მომსახურებაზე ორიენტირებულის. ეს პროგნოზი სავსებით გამართლდა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით უკვე 2001 წლისათვის მომსახურების სექტორის წილი შეადგენდა მსოფლიოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-GDP), ანუ 31.1 ტრილიონი აშშ დოლარის 66%-ს, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებისთვის კი მათი მთლიანი მშპ-ის (ანუ 6.1 ტრილიონი აშშ დოლარის) 69%-ს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით[4], ახალი ათასწლეულის დასაწყისისათვის ცალსახად გამოიკვეთა მსოფლიო ეკონომიკაში მომსახურების სექტორის უპირატესი როლი (როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში მომსახურების სექტორის წილი მეტია ცალ-ცალკე აგრარული და სამრეწველო სექტორების წილებზე ე.ი.  $S > A$  და  $S > I$ , ამასთან  $S + A + I = 1$ , ანუ 100%), ხოლო 50-ზე მეტი ქვეყნის შემთხვევაში კი  $S > 0,5$  (50%), ანუ იგი დომინირებულ სექტორს წარმოადგენს.

ამგვარად, სავსებით ლოგიკურია მივაკუთნოთ პოსტინდუსტრიული საზოგადოება (ე.ი გსს-ც) მომსახურებაზე ორიენტირებულ საზოგადოებას, თუ გავითვალისწინებთ, რომ:


- მომსახურების სექტორის წილი მსოფლიო ეკონომიკაში დაახლოებით ტოლია 66%-ის და ეს მნიშვნელობა საგრძნობლად აღემატება დომინანტურ სიდიდეს 0,5 (50%);
- 152 ქვეყანას შორის 112(74%-ში) მომსახურების სექტორი არის უპირატესი;
- პოსტინდუსტრიალური ქვეყნების ეკონომიკა შეადგენს მსოფლიო ეკონომიკის 92%-ს;
- 63 დიდი ქვეყნიდან 58(ანუ 92%) წარმოადგენს პოსტინდუსტრიალურ ქვეყანას, სადაც ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 60%.



სურ.1

სურ. 2-ზე მოცემულია მსოფლიო ბანკის მონაცემების შესაბამისი გრაფიკები, რომლებიც ასახავს მსოფლიო ეკონომიკის სამ-სექტორალური მოდელის ზემოთ ხსენებული A, I და S სექტორების წილების ცვლილების დინამიკას ერთ სულ მოსახლეზე მოსულ მშპ-თან (ანუ სმშპ) მიმართებაში, 17 წლიანი ინტერვალით (1987 და 2004 წლები). ისინი გვიჩვენებენ, რომ აშკარაა S-ის წილის თანმიმდევრული ზრდა, ხოლო A და I-ის წილების კლება სმშპ-თან და დროსთან მიმართებით. 17 წლის განმავლობაში პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში აინია სმშპ-ის დონემ და საგრძნობლად მოიმატა მომსახურების (S) სექტორის წილმა, 60%-დან 70%-მდე.





სურ. 2

დანიელ ბელის მიხედვით პოსტინდუსტრიალური საზოგადოების ორი ძირითადი ნიშანთვისება უნდა გააჩნდეს: პირველი – როგორც უკვე აღინიშნა, იყოს სერვისზე ორიენტირებული (ანუ მომსახურების სექტორს გააჩნდეს უპირატესი-დომინანტი წილი ქვეყნის ეკონომიკაში) და მეორე – ამავედროულად გამოკვეთილად იზრდებოდეს მასში ცოდნის და ინფორმაციის როლი.

ბუნებრივია, რომ გსს-ის ეტაპობრივი შექმნა პოსტინდუსტრიული საზოგადოების წარმოქმნის და გლობალიზაციის პროცესების ლოგიკური შედეგია. გსს-ის ძირითადი კრიტერიუმები მისი სპეციფიკიდან გამომავალი ეკონომიკური ხასიათისა და მისაწოდებელი ინფორმაციის მოცულობის ამსახველი უნდა იყოს, რაც ხდება კიდევ რეალობაში, ადამიანის მიერ ინფორმაციის აღქმის ფიზიოლოგიური შესაძლებლობებიდან და ამ ინფორმაციის მიწოდების სადღეისო სატელეკომუნიკაციო საშუალებებიდან გამომავალი [5]. კერძოდ, ეკონომიკურ კრიტერიუმად მიიჩნევენ შემდეგს: გსს-ის ინფოსაკონომიკაციო ინდუსტრიის წილი უნდა აღემატებოდეს მშპ-ის ნახევარს, მისი აბსოლუტური მნიშვნელობის გაორმაგების ფონზე.

საგულისხმოა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, ერთ სულზე მშპ-ის გაორმაგების საეარაუდო დროით ინტერვალებს, მისი ზრდის სხვადასხვა ტემპის დროს აქვს შემდეგი სახე (ცხრილი 1)

ცხრილი 1

სმშპ-ის წლიური ზრდა %	15	10	5	3	1
სმშპ-ის გაორმაგებისათვის საჭირო წლები	5	7	14	24	70

ამჟამად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სამრეწველო პროდუქციის 25%-ზე მეტი მოდის მაღალ ტექნოლოგიურ ნაწარმზე, ხოლო მშპ-ის ნახევარზე მეტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეადგენს მომსახურების სექტორი, სადაც მნიშვნელოვანი ნაწილი ინფოსაკომუნიკაციო სერვისზე მოდის და ეს წილი მუდმივად იზრდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური და სტრუქტურული ცვლილებების შედეგად გის-ში გადასვლის პერიოდი შემცირდება, ქვეყნების მშპ-ის მატების ტემპის ზრდის კვალდაკვალ.

ინფორმაციული კრიტერიუმის უკეთ გააზრების მიზნით საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. სხვა-



დასხვა გამოკვლევით დადგენილია, რომ ადამიანს დღე-ღამეში, თეორიულად, აქტიურ პერიოდის (16 საათის) განმავლობაში, შეუძლია სმენის ორგანოებით აღიქვას და გადაამუშაოს დაახლოებით 460 მეგაბაიტი. სალაპარაკო და 2000 მეგაბაიტი მუსიკალური ინფორმაცია, მაშინ, როცა მხედველობით აღქმული ინფორმაცია 1000-ჯერ მეტია და დაახლოებით 878 გიგაბაიტს შეადგენს. ამგვარად, ინფორმაცია, რომელიც საშუალო სტატისტიკურ ადამიანს თეორიულად შეუძლია დღე-ღამეში აღიქვას, შეადგენს დაახლოებით  $88 \times 10^{10}$  ბაიტს, ხოლო ნელინადში კი –  $88 \times 10^{10} \times 365 = 3,2 \times 10^{14}$  ბაიტს. ეს, რასაკვირველია, მხოლოდ თეორიულად დასაშვები მონაცემებია, რადგანაც ადამიანს სისტემატურად, ყოველ დღე 16 საათის განმავლობაში ინფორმაციის მიღება და გადაამუშავება არ ძალუძს.


თავის მხრივ, გამომუშავებული ან მოპოვებული ინფორმაცია, მისი აღქმისათვის საჭიროა გადაიცეს სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მომხმარებელამდე (ადამიანი, კომპიუტერი). ცნობილია, რომ ინფორმაციის მიმწოდებელ წყაროსა და მიმღებს შორის ურთიერთობის ორი მეთოდი არსებობს: *ინტერაქტიური და არაინტერაქტიური*. პირველ შემთხვევაში, ინფორმაციის წყარო და მიმღები ურთიერთობის პროცესში მორიგეობით იცვლიან როლებს, ანუ ურთიერთობენ ე.წ. *დიალოგურ რეჟიმში*, მეორე შემთხვევაში კი – ურთიერთობა ცალმხრივია. რადიო, სატელევიზიო და ვიდეოგადაცემები, ასევე ბეჭდვითი მედია, როგორც წესი, არაინტერაქტიურია-*სიმპლექსურია*, ხოლო სატელეფონო საუბრები, ინტერნეტი და სხვა – ინტერაქტიური (ორმხრივი, ანუ *დუპლექსურია*).

ინფორმაციის გაცვლის ინტერაქტიური რეჟიმი ყველაზე ეფექტურია, მაგრამ შედარებით ძნელად რეალიზებადი ინფოსატელეკომუნიკაციო ქსელებში, რადგანაც, ჩვეულებრივ, უნდა წარმოებდეს დროის რეალურ მასშტაბში. სწორედ ამიტომ *გის*-ში გადასვლის მნიშვნელოვან ამოცანას ინტერაქტიური მომსახურების გაფართოება წარმოადგენს, რაც ასეთ საზოგადოებაში ინფორმაციული გაცვლის გამოკვეთილი, ძირითადი საშუალება გახდება.

სადღეისოდ ინფორმაციის მოცულობა, რომლის მიღება განვითარებული ქვეყნების მაცხოვრებლებს დიალოგურ რეჟიმში შეუძლიათ, ნელინადში დაახლოებით  $8 \times 10^8$  ბაიტს შეადგენს და ეს სიდიდე გამიანგარიშება მარტივი თანაფარდობებიდან: მიღებული ინფორმაციის მოცულობა ტოლია მისი გადაცემის (V) სიჩქარე (ბიტი/წმ) გამრავლებული გადაცემის ხანგრძლივობაზე (T) ნელინადში. ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU)-ს მონაცემებით, სატელეფონო ხაზის სადღელამისო დაკავების დრო ამჟამად საშუალოდ შეიძლება ავიღოთ 1 საათი (3600წმ), ხოლო მონაცემთა გადაცემის მიწოდების სიჩქარე საბოლოო მომხმარებელამდე (საბოლოო აბონენტამდე), ე.წ. „უკანასკნელი მილის“ პრობლემის გათვალისწინებით, მთლიანობაში რეალურად ჯერჯერობით ტოლია 4,8 ან 8,0 კბტ/წმ. ამგვარად, მივიღებთ ზემოთ მოყვანილ სიდიდეს.

მეცნიერთა აზრით, ინფორმაციულ საზოგადოებაში ეს სიდიდე, სულ ცოტა, ერთი თანრიგით უნდა გაიზარდოს და შეადგინოს  $10^{10}$  ბაიტი, რასაც *მიჩნევენ კიდევ ამ საზოგადოების ინფორმაციულ კრიტერიუმად*. ამ სიდიდის ინფორმაციის მოცულობის გადასაცემად *გის*-ის ყველა წევრისათვის საშუალოდ ნელინადში საჭირო იქნება, აბონენტისათვის ინფორმაციის მიწოდების კავშირის ხაზის დაკავების დრო დიალოგურ რეჟიმში დღე-ღამეში დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდოს, ხოლო ინფორმაციის გადაცემის სიჩქარე ბოლო მომხმარებელამდე კი-ნ-ჯერ, ანუ, შესაბამისად, შეადგინოს 2 სთ და 30 კბტ/წმ მაინც.


ამჟამად *გის*-ის ბაზისს წარმოადგენს გლობალური ინფოსაკომუნიკაციო კომპლექსი, ანუ *გლობალური ინფოკომი (GIC)*, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ მრავალშრიანი, პირამიდული სტრუქტურის სახით (სურ.3), რომლის ფუძე შრე წარმოადგენს ინფოსატელეკომუნიკაციო სერვისის მომხმარებელთა (აბონენტთა) ტერმინალების (ფიქსირებული და მობილური ტელეფონების, ფაქსების, პერსონალური კომპიუტერების, აგრეთვე ტელე და რადიომიმღებების და ა.შ.) ერთობლიობას. მეორე შრე მოიაზრება სხვადასხვა ინფოსატელეკომუნიკაციო მომსახურების ქსელის სახით: მობილური და ფიქსირებული სატელეფონო, ინტერნეტი (ექსტრანეტი და ინტრანეტი), ფართოზოლოვანი, საკაბელო ტელევიზიის და ა.შ. მესამე შრეს წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო სატრანსპორტო ქსელები და სისტემები: რადიო-სარელეო და ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალები, ტელერადიოსამაუნყობლო ქსელები და სხვა. უკანასკნელ შემაკავშირებელ შრეს ქმნის გლობალური თანამგზავრული საკომუნიკაციო სისტემები და გლობალური ტრანსკონტინენტალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალები, ე.წ. *გლობალური საინფორმაციო ინფრასტრუქტურა (GII)*.



სურ.3

ცხადია, ამ სტრუქტურის ბაზისს წარმოადგენს მომხმარებელთა ტერმინალების ერთობლიობა, რადგან სწორედ მათი საშუალებით ხდება მოსახლეობის შედენევადობის უზრუნველყოფა მსოფლიო ინფოსაკომუნიკაციო რესურსებთან. ამდენად, ინფოკომუნიკაციების განვითარების საბაზისო ინდიკატორებად მიიჩნევენ სწორედ ამ ტერმინალების რაოდენობას 100 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ანუ ე.წ. *სიმკვრივეს*, კერძოდ: TD და MD – წარმოადგენს ფიქსირებული და მობილური ქსელების სატელეფონო სიმკვრივეს, PCD-პერსონალური კომპიუტერების სიმკვრივეს, IHD-ინტერნეტ „ჰოსტების“ სიმკვრივეს და ა.შ. (სურ 3).

ბუნებრივია, რაც უფრო დიდია ქვეყნის მშპ, მით უკეთ უნდა იყოს განვითარებული მისი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რის გამოც ამ სექტორის მიერ წარმოებული მომსახურება უფრო შესაძლებელია და ხელმისაწვდომია მოსახლეობისათვის. ასეთი კანონზომიერება მართლაც არსებობს და ცნობილია *ჯიპის დიაგრამის* სახით 1963 წლიდან [6]. სურ. 4-ზე მოცემულია ჯიპის თანამედროვე დიაგრამები წარმოდგენილი კომუნიკაციების საერთაშორისო აკადემიის (ICA) მიერ ITU-ს სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით [4]. ამ დამოკიდებულებებს სმშპ-ის და ინფოსაკომუნიკაციო ინდიკატორებს-სიმკვრივეებს (TD, MD და სხვა) შორის წრფივი სახე აქვს ლოგარითმულ კოორდინატებში და იზრდება სმშპ-ის ზრდის კვალობაზე, ისე როგორც, ეს არის S მრუდის შემთხვევაში სურ. 2-ზე. ამდენად, საინფორმაციო საზოგადოების არსის უკეთ გააზრების მიზნით მიზანშეწონილია, გამოიკვეთოს დამოკიდებულება ქვეყნების მშპ-ის მომსახურების სექტორის — S ნილსა და მათი ინფოკომუნიკაციების განვითარების დონეს შორის.



- - TD+MD – ფიქსირებული და მობიკური ქსელების ჯამური სატელეფონო სიმკვრივე
- ▲ - MD – მობიკური ქსელების სატელეფონო სიმკვრივე
- - TD – ფიქსირებული ქსელების სატელეფონო სიმკვრივე
- - ICV - ინფოსაკომუნიკაციო ვექტორის სიმკვრივე
- ◆ - PCD – პერსონალური კომპიუტერების სიმკვრივე
- × - IHD – ინტერნეტ პოსტების სიმკვრივე

წყარო: ICA


სურ. 4

ამისათვის საჭიროა თავიდან ზემოთხსენებულ სხვადასხვა ინდიკატორს (TD, MD, PCD და ა.შ.), რომლებიც ასახავენ ამათუიმ ქვეყნის ინფოსატელეკომუნიკაციო სფეროს ცალკეული სემენტების განვითარების დონეს, მიუსადაგოდ ერთიანი ინფოსატელეკომუნიკაციო ინდიკატორი, ანუ მრავალპარამეტრიანი ამოცანა დავიყვანოთ ერთპარამეტრიანზე. სწორედ ასეთ მეთოდის გამოყენებით ICA [4], შემოაქვს რა ე.წ. მრავალგანზომილებიანი ინფოსაკომუნიკაციო ვექტორის (ICV) ცნება სხვადასხვა ქვეყნისათვის (ან რეგიონისათვის) როგორც:


$$\|A\| = \sqrt{\frac{1}{n} \sum_{i=1}^n a_i^2} \tag{1}$$

სადაც,  $\|A\|$  ამ ვექტორის მოდულია (სიგრძე, ნორმა),  $a_i$  — კი ამ ვექტორის  $i$ -ური კოორდინატია (ანუ ზემოთხსენებული ინდიკატორი: TD, MD, PCD და ა.შ.), ხოლო  $n$  — პარამეტრების რაოდენობა და მოცემული  $n$  — განზომილებიანი სივრცის განზომილებას იძლევა. მგვარად  $n$  — პარამეტრების (ინდიკატორების) ნებისმიერი თანმიმდევრობა აისახება წერტილით  $n$  — განზომილებიან ვექტორულ სივრცეში, ხოლო მისი შეერთება კოორდინატთა სათავესთან იძლევა ხსენებულ ICV ვექტორს, რომლის მოდული განისაზღვრება (1) — ით.

სურ. 5-ზე ნაჩვენებია, ICV-ის მოდულის  $\|A\|$ -ს და მომსახურების სექტორის S-ის წილის დამოკიდებულებები სმშ-თან მიმართებაში მსოფლიოს 63 დიდი ქვეყნის მიხედვით (წყარო: The Economist, 2004), ხოლო სურ.6-ზე კი მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობა ICV-S კოორდინატებში [4]. როგორც სურ.5 ცხადყოფს თუ ICV-ს დამოკიდებულება პრაქტიკულად წრფივია, მომსახურების წილის S-მრუდი კი მნიშვნელოვანი არანრფივობით გამოირჩევა მცირე შემოსავლების უბანზე. რაც შეეხება სურ. 6-ის არსს, იმის გამო, რომ დიდი ქვეყნების უმრავლესობა პოსტინდუსტრიალურ კატეგორიას მიეკუთვნება, ისინი ძირითადად განთავსებულია ამ სურათზე იმ უბანში, სადაც  $S > 0,4$ -ზე.



სურ. 5



სურ. 6

განსხვავება ხსენებულ პარამეტრების მიხედვით განვითარებულ და და განვითარებად ქვეყნებს (ისევე როგორც დიდ ქალაქებსა და დაშორებულ რეგიონებს) შორის ეჭვს არ იწვევს და ე.წ. ციფრული დაყოფის მიზეზია, ხოლო ამ უკანასკნელის დაძლევა გსს-ის ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა, რათა მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცეს თანამედროვე ინფოსაკომუნიკაციო მომსახურებით შეუფერხებლად ისარგებლოს. ბუნებრივია, რომ ციფრული დაყოფის დაძლევა პირდაპირ კავშირშია ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დინამიკასთან და მის დივერსიფიკაციასთან, ანუ ე.წ. ქვეყნის/ეკონომიკური პროფილის გაუმჯობესებასთან.

ცხრილ 2-ში შემოკლებულად მოცემულია 2004 წლის სტატისტიკური (წყარო: ITU) და გამოთვლილი (წყარო: ICA) მონაცემები რიგი ქვეყნების მიხედვით, მათ შორის სამხრეთ კავკასიის რეგიონის (სკრ), რომლებიც ცხადყოფს მნიშვნელოვან ციფრულ და ეკონომიკურ დაყოფებს—განსხვავებებს მსოფლიოში (დეტალური მონაცემები მოიცავს 182 ქვეყანას). ქვეყნები რანჟირებულია ICV-ს გამოთვლილი მნიშვნელობების მიხედვით და დაყოფილია 4 ქვეჯგუფად: მაღალი (H), ზედა საშუალო (UM), ქვედა საშუალო (LM) და დაბალ (L) დონეებად. ნიშანდობლივია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, მხოლოდ ბალტიის ქვეყნები მოხვდნენ UM დონის ქვეჯგუფში. სკრ-ის ქვეყნები. რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსია აღმოჩნდნენ LM ქვეჯგუფში, შუა აზიის ქვეყნები კი-L ქვეჯგუფში. ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან მხოლოდ ჩეხეთი და სლოვენია დამკვიდრდნენ H დონის ქვეჯგუფში (შესაბამისად 21-ე და 22-ე ადგილები). ცხრილში აგრეთვე მოცემულია ქვეჯგუფებში ქვეყნების რაოდენობა და მასში ასახული პარამეტრების საშუალო მნიშვნელობები.

ცხრილი 2

Ranking According to ICV	Country	GDP per capita (thou USD)	TD	MD	PCD	A (ICV)
<b>High Level ( 1 to 32)</b>						
1	Luxemburg	47255	0.797	1.001	0.594	0.750
2	Sweden	26864	0.736	0.889	0.621	0.715
3	Island	26613	0.660	0.906	0.451	0.712
4	Norway	42194	0.734	0.909	0.528	0.689
11	Germany	24122	0.659	0.785	0.431	0.604
14	USA	36221	0.621	0.542	0.659	0.596
<b>Upper Medium ( 33 to 60)</b>						
35	Estonia	4732	0.351	0.650	0.210	0.418
55	Bulgaria	1992	0.368	0.333	0.052	0.251
56	Turkey	2722	0.277	0.408	0.045	0.251
<b>Lower Medium ( 61 to 112)</b>						
84	Russia	2370	0.242	0.120	0.089	0.144
91	Iran	5876	0.220	0.051	0.075	0.123
93	Ukraine	827	0.210	0.084	0.019	0.177
105	Georgia	637	0.133	0.107	0.032	0.088
109	Azerbaijan	697	0.114	0.107	0.018	0.080
111	Armenia	623	0.148	0.030	0.016	0.078
<b>Low Level ( 113 to 182)</b>						
	Average	6351	0.200	0.285	0.109	0.203
	maximum	47255	0.797	1.108	0.709	0.750
	minimum	65	0.001	0.001	0.000	0.002

ყველაზე ადეკვატურ მეთოდად ციფრულ დაყოფის განსაზღვრისა და გაზომვისათვის, ისახება მათემატიკაში კენდალის და სტუარტის მიერ [8] შემოტანილი ე.წ დისპერსიული (გაბნევის) მრუდეების მეთოდი, რომლებიც ეკონომიკაში ცნობილია ლორენცის მრუდეების სახელწოდებით [9], სადაც ისინი გამოსახევენ შემოსავლების განაწილების უთანაბრობას მოსახლეობაში. არსებული უთანაბრობის შესაფასებლად, ანუ სხვადასხვა ჯგუფს (მაგალითად: ქვეყნების, რეგიონების და ა.შ) შორის არსებული გარღვევის (დაყოფის) ასახვის მიზნით შემოაქვთ ე.წ. დაყოფის (უთანაბრობის) კოეფიციენტი, როგორც:

$$\Delta = \frac{Q_1}{Q_2} \quad (2)$$

სადაც  $Q_1$  და  $Q_2$  წარმოადგენენ განსახილველი პარამეტრის სიმკვრივის საშუალო მნიშვნელობებს მოცემულ ინტერვალებში (ანუ დისპერსიული მრუდეების პირველი წარმოებულის საშუალო მნიშვნელობებს ქვეჯგუფში). ინფოკომუნიკაციების შემთხვევაში, ამ პარამეტრს წარმოადგენს ICV, ხოლო დაყოფის კოეფიციენტი კი ციფრული დაყოფის ინდიკატორად გვევლინება.


ციფრულ დაყოფის არსებობა წარმოადგენს უფრო ფართო პრობლემის — მოსახლეობის შემოსავლების, ტექნოლოგიებისა და მომსახურების არათანაბარ განაწილების — კერძო შემთხვევას. ეს ზოგადი პრობლემა ძალზე აქტუალურია მსოფლიო საზოგადოებისთვის, რადგან ის უშუალო კავშირშია თანამედროვე კაცობრიობის უსაფრთხოების და მდგრადობის საკითხებთან, გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის ფონზე.

ცხადია, რომ საზოგადოებაში არსებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური (და როგორც შედეგი ინფოსაკომუნიკაციო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა) უთანასწორობა მოსახლეობის მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის შემამფოთებელია და უდავოდ გასათვალისწინებელი. ნეგატიურ შედეგს ამგვარი უთანასწორობისა და გარღვევის არსებობის, წარმოადგენს დოვლათის ხელახალი გადანაწილების სურვილი, რასაც შესაძლოა თან სდევდეს ისეთი უარყოფითი მოვლენები საზოგადოებაში, როგორცაა — ძალადობა, არეულობა, კონფლიქტები და სხვა. ეს შემამფოთებელი ტენდეციები არ რჩება ყურადღების მიღმა გაეროს, სხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ქვეყნების ლიდერების მხრიდან. კერძოდ, ინფოსატელეკომუნიკაციო სფეროში არსებულ უთანასწორობის — „ციფრულ დაყოფას“ აქტიურ მონიტორინგს აწარმოებს ITU. ამ აქტივობის ერთ-ერთი შედეგია სპეციალური პროგრამა ე.წ. საბაზისო ინფოსაკომუნიკაციო რესურსებთან უნივერსალური დაშვების პროგრამა (Universal Service Obligation).

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქმედებები შედეგს იღებს და ITU-ს მონაცემებით, საერთო ჯამში, შეიმჩნევა დადებითი ტენდეცია — მსოფლიოში ციფრულ დაყოფის თანმიმდევრული კლება, ბოლო 20 წლის განმავლობაში საშუალოდ 4-5% წელიწადში. ასეთ კლება, ზოგ შემთხვევაში, უფრო მკვეთრი ხასიათი აქვს, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიების (კერძოდ, მობილური სატელეფონო კავშირის და ინტერნეტის) უპირატესი გავრცელების გამო. ასე მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში 2007 წლის მონაცემებით, ცხრილი 2-ში მოყვანილი შედეგები საგრძნობლად გაუმჯობესდა (თითქმის 5-ჯერ ICV-თან მიმართებაში), ძირითადად მობილური სატელეფონო მომსახურების აბონენტთა რაოდენობის სწრაფი ზრდის გამო, რომელმაც ქვეყანაში 2 მილიონს გადაარჭარბა და 3-ჯერ გაუსწრო ფიქსირებული სატელეფონო ქსელის აბონენტთა რიცხვს, რაც მსოფლიოში არსებული ტენდეციის თანმხვედრი პროცესია.

ყველა ქვეყანა, მათ შორის სკრ-ის, ცდილობს არ ჩამორჩეს ზემოთ ხსენებულ გლობალურ პროცესებს, სათანადოდ განავითაროს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ხელი შეუწყოს სახელმწიფოსათვის ესოდენ მნიშვნელოვანი სფეროს ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას და კონკურენტული გარემოს შექმნას, შესატყვისი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ორგანიზების შემოღებით.

გლობალურ ინფოსაკომუნიკაციო სივრცეში წარმატებული ინტეგრაციისათვის, გარეშე ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური სიტუაციის ეფექტიანი გამოყენება. საქართველო და სკრ მთლიანობაში, კარგ მაგალითს წარმოადგენენ მომგებიანი გეოპოლიტიკური მდგომარეობის წარმატებული გამოყენების კუთხით.



სურ. 7

ისტორიულად სკრ-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, მათ შორის ცნობილი დიდი აბრეშუმის გზა (სურ.7). აღსანიშნავია, აგრეთვე მე-19 საუკუნეში (1865-1870წწ) სიმენსის მიერ აგებული ევროპის და აზიის დამაკავშირებელი, იმ დროისათვის ყველაზე გრძელი, სატელეგრაფო მაგისტრალი ლონდონი —კალკუტა, რომელიც თბილისზე გადიოდა და მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი მოქმედებდა. გეოპოლიტიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, სადღეისოდ სკრ-ზე გადის თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო, ენერგეტიკული და სატრასპორტო მაგისტრალები (კერძოდ: TAE - ტრანს—აზია—ევროპის ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალი, ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობ და გაზსადენები, TRACECA-ს სატრანსპორტო კორიდორი (ევროპა-კავკასია-აზია). სურ.7-ზე ნაჩვენებია აგრეთვე საქართველოში გამავალი სხვა სატელეკომუნიკაციო მაგისტრალები, კერძოდ, რკინიგზის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზი, „საქართველოს ტელეკომის“ ციფრული რადიო-სარელეო ხაზი და სხვა.

სკრ-ის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სატელეკომუნიკაციო ბაზრის განვითარების ზოგადი სადღეისო ტენდენციები: ბაზრის ლიბერალიზაცია, კონკურენციის ზრდა, მობილური სატელეფონო ქსელის უპირატესი განვითარება, ასეთი ქსელების აბონენტების და ინტერნეტის მომხმარებელთა ზრდის მნიშვნელოვანი დინამიკა, ახალი ტექნოლოგიების, კერძოდ, Tripel-Play და WiMax მომსახურების დაწყება, მარეგულირებელი ორგანოების შექმნა და სხვა. ყოველივე ეს ამიერკავკასიის სამივე ქვეყანაში სხვადასხვა ინტენსივობით და წარმატებით მიმდინარეობს.


კერძოდ, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები 2000-2007 წლებში იყო:

- 2000 წელს – საქართველოში ერთ-ერთი პირველი პოსტსაბჭოთა სივრცეში იქმნება დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“ (სკეკ);
- 2003 წელს – საქართველოში მობილური ტელეფონების მომხმარებელთა რიცხვმა გადააჭარბა ფიქსირებული სატელეფონო ქსელის აბონენტების რაოდენობას;
- 2005 წელს – დასრულდა სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიბერალიზაცია. განხორციელდა სახელმწიფო კომპანიის, ფიქსირებული სატელეფონო ქსელის დომინანტ-ოპერატორის „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის“ პრივატიზაცია;




- 2005 წელს – მიიღეს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, რომელიც ჰარმონიზებულია ევროპულ კანონმდებლობასა და ITU-ს რეკომენდაციებთან;
- 2006 წელს – მობილურმა ოპერატორებმა დაიწყეს 3G (მესამე თაობის) ფიჭური სატელეკომუნიკაციო სერვისი, ამავე წელს გაიცა პირველი WiMax ლიცენზიები;
- 2006 წელს – სატელეკომუნიკაციო სექტორიდან შემოსავლებმა ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბა და წინა წელთან შედარებით 28.5% -ით გაიზარდა;
- 2007 წელს – მობილური ქსელების აბონენტების რაოდენობა ორ მილიონს გასცდა (რაც 3-ჯერ მეტია, ვიდრე ფიქსირებული სატელეფონო ქსელის მომხმარებლები), დაიწყო პირველად WiMax ტექნოლოგიის გამოყენება. შემოსავლებმა სატელეკომუნიკაციო სექტორიდან 1.2 მილიარდ ლარს გადააჭარბა, აქედან 60% -ზე მეტი მობილურ სეგმენტზე მოდის.

საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის დინამიური განვითარების ილუსტრაციის მიზნით, სურ.8-ზე წარმოდგენილია სკეკ-ის მონაცემებზე დაყრდნობით [7] ამ სექტორიდან მიღებული შემოსავლები 2000-2006 წლებში, ხოლო სურ.9-ზე მოყვანილია ამავე წლებში სატელეკომუნიკაციო სექტორის შემოსავლების წილი მშპ-ში. ნიშანდობლივია, რომ ეს წილი თანდათანობით იზრდება და 2006 წელს 7%-ს გადააჭარბა. ცნობისათვის, ITU-ს მონაცემებით ამ სექტორის წილი განვითარებულ ქვეყნებში უფრო დაბალია და 3-5% შეადგენს.




სურ. 8



სურ. 9

სურ.10-ზე მოცემულია საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორის სხვადასხვა სეგმენტის საბაზრო წილები შემოსავლების მიხედვით, 2006 წლის მონაცემებით, რომლებიც ცხადყოფს მობილური სეგმენტის უდავო ლიდერობას (მასზე მოდის მთელი შემოსავლების დაახლოებით 65%).



სურ. 10

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული დაყოფის გარდა, თანამედროვე ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ საზოგადოებას ციფრული შესაძლებლობებით. როგორც აღინიშნა, სკრ-ის

ქვეყნები აქტიურად ჩართული არიან ამ შესაძლებლობების რეალიზაციაში. კერძოდ, საქართველოს მაგალითზე შეიძლება ნაჩვენები იყოს თანამედროვე ციფრული შესაძლებლობების გამოყენების ტენდენციები: მობილური 3G, WiMax, Tripel Play ტექნოლოგიების, აგრეთვე E— სწავლების, E-ვაჭრობის, E—მართველობის პროექტების სახით. ეს პროექტები ხორციელდება როგორც კერძო (მათ შორის უცხოური) ინვესტიციების, ასევე სახელმწიფო დაფინანსების საშუალებით.

საყურადღებოა უკანასკნელი პერიოდის რამდენიმე ინოვაციური პროექტი:

- 2008 წელს დასრულდება წყალქვეშა 1200კმ სიგრძის ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის ვარნა-ფოთის ჩადება, რომლითაც შესაძლებელი გახდება, საჭიროების შემთხვევაში, 1.3 ტერაბიტი ინტერნეტ ტრაფიკის მიწოდება საქართველოსათვის და მეზობელ ქვეყნებისათვის (ეს დაახლოებით 100-ჯერ მეტია, რასაც დღეს მოიხმარს საქართველო). პროექტის რეალიზაციას უზრუნველყოფს კერძო ადგილობრივი დომინანტ ინტერნეტ პროვაიდერი „კავკასუს-ონლაინ“, ამერიკულ ინვესტორებთან—კომპანია Tyco-Telecommunications-თან ერთად. პროექტის საერთო მოცულობაა 25 მილიონი აშშ დოლარი და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გარდა, მნიშვნელოვნად ზრდის რეგიონის უსაფრთხოების დონეს, წარმოადგენს რა ინფოსატელეკომუნიკაციო სერვისის მიწოდების ალტერნატიულ გზას, რუსეთიდან დამოუკიდებლად;
- საიმედო ინტერნეტ-რესურსის მიწოდება საქართველოს მასშტაბით საგანმანათლებლო და-წესებულებებისათვის (პროექტი-ე.წ „ირმის ნახტომი“), შემდგომში E-სწავლების მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებით. პროექტი ხორციელდება კერძო კომპანიების და სახელმწიფოს ძალისხმევით;
- E-მართველობის პროექტის რეალიზაცია, რომელიც დაწყებულია 2008 წელს მობილური ოპერატორის „მაგთიკომის“ მიერ, რომელმაც მოიგო საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული ტენდერი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული სირთულეების მიუხედავად სკრ—ის ქვეყნების ინფოსატელეკომუნიკაციო სექტორები სწორი მიმართულებებით ვითარდება და ჯერ კიდევ არსებული ციფრული დაყოფა, წამყვან ქვეყნებთან მიმართებით, უკანასკნელ პერიოდში საგრძობლად მცირდება. ასე რომ, ამ ქვეყნების ეტაპობრივი ინტეგრაცია გის-ში სავსებით რეალურია და მსოფლიოში არსებული ტენდენციების თანმხვედრი და შეუქცევადი პროცესია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Green Paper on the Convergence of the Telecommunications, Media and Information Technology Sector and the Implications of Regulation, European Commission, Brussels, December 3, 1997.
2. ITU Releases Its Year 2000 Guide for Telecommunications Operators, ITU News 3/99.
3. The Coming of Post-Industrial Society: A Venture in Social Forecasting. Book by Daniel Bell; Basic Books, 1973.
4. L. E. Varakin, Digital Divide in Global Information Society, Moscow, ICA, 2004.
5. World Telecommunication development Report, ITU. 2004
6. Jipp A. Wealth of Nations and Telephone Density. Telecommunication Journal, 1963 No. 6
7. Annual Report of Georgian National Communication Commission (GNCC), Tbilisi, Georgia, 2006.
8. Candall M., Stuart A. Theory of Distribution, vol.1, Moscow, Publishing House “Science”, 1966.
9. Samuelson P., Nordhouse V. Economics, , Moscow, Publishing House “Williams”, 2000.



## GLOBAL INFORMATION SOCIETY, DIGITAL DIVIDE AND DIGITAL OPPORTUNITIES OF SOUTH CAUCASUS REGION AGAINST THE BACKGROUND OF CREATION OF POSTINDUSTRIAL AND GLOBAL INFORMATION SOCIETY

Guram B. Lezhava

PhD (EE)

Professor

### Abstract

The postindustrial society of the 21<sup>st</sup> century is characterized with the irreversible processes of globalization and stepwise entering into the *Global Information Society (GIS)* the outlines of which are explicitly manifested in kind of the Internet, mobile telephone connection, SDH, WiMax, Triple and Quad Play and other cutting-edge technologies.

Introduction of the advanced ICT worldwide is uneven thus generating the so called *Digital Divide*. This is per se the reflection of more common phenomenon – the inequality of distribution of revenues, technologies and services. Such inequality arises the aspiration for redistribution of revenues, often by forcible methods that entail the tension and instability worldwide. Different international organizations, in particular, ITU, try their best to overcome such Digital Divide and to provide all countries with the conditionally equal *Digital Opportunities*.

The main trends of the development of the postindustrial society as the society of services are shown and the degree of Digital Divide of countries of the South Caucasus Region (SCR) in comparison with some developed countries is evaluated. The dynamics of Digital Divide changes is given by the example of Georgia. The respective digital data and charts given are generally conforming to the information-economical regularity in the society expressed in the *Jipp's Diagram*. The method proposed by the International Academy of Communications based on the so called *Multidimensional Info communication Vector* which includes the penetration of different info communication services into the society is applied for the objective evaluation of the digital divide.

The report shows the importance of the SCR as the connecting link between Europe and Oriental countries for transmission of energy, information and transport flows by the existing and pending pipelines, fiber-optic and transport backbones.

The trend of successful employment of advanced Digital Opportunities (such systems as *e-learning*, *e-governance* and so on) within the framework of implemented special projects and programs funded by the governmental and private investments with the example of Georgia is demonstrated.

**“ჯერ კვირცხი იყო თუ ქათამი?”**  
**მიზან-შედეგობრივი კავშირი მომხმარებლის მიერ მომსახურების ხარისხის აღქმასა და მომხმარებლის კმაყოფილებას შორის**

ბორის (ბუბა) ლეჟავა  
 დოქტორანტი

**შესავალი**

მიუხედავად სათაურის რიტორიკული, შესაძლოა იუმორისტული ხასიათისა, საქმე ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა მომსახურების ხარისხი, მომხმარებლის კმაყოფილება, ლოიალობა და ა.შ, რომლებიც მომსახურების მარკეტინგის საკვანძო ცნებებს განეკუთვნება. ეს კი განსაკუთრებით ყურადსაღებია, თუ გავითვალისწინებთ იმ ზოგად ტენდენციებს, რომლებიც სადღეისოდ არსებობს მომსახურების სფეროში.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება სერვისის სფეროს მნიშვნელობა და პრიორიტეტული როლი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, ზოგმა მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ XXI საუკუნე მომსახურების სფეროს დომინირების პერიოდი იქნებოდა, რაც გამართლდა. უკვე 2001 წლისათვის, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, (2003 World Development Indicators)<sup>1</sup>, მსოფლიოს 152 ქვეყნიდან 112-ში (74%-ში), სერვისის (S) სექტორის წილი, მათ მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ - GDP) აღემატებოდა სამრეწველო (I) და აგრარული (A) სექტორების წილებს, ცალ-ცალკე აღებულს. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება.

ცხრილ 1-ში მოყვანილია მონაცემები მთლიანად მსოფლიოს, ცალკეული რეგიონებისა და განვითარების სხვადასხვა დონის მქონე ქვეყნების ჯგუფების მშპ-ის და მასში მომსახურების სექტორის წილების. ეს ცხრილი ცხადყოფს, რომ მთლიანად მსოფლიოში 2001 წლისათვის მომსახურების სექტორის წილი შეადგენდა გლობალური მშპ-ის 66%-ს, ხოლო ევროგაერთიანებისა და სხვა მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების შემთხვევაში 69%-სა და 70%-ს. ამგვარად, შეიძლება მოვახდინოთ შემდეგი ფაქტების კონსტატაცია,:

- ქვეყნების წილი, სადაც მომსახურების სექტორი უპირატესად ვითარდება, შეადგენს 74%-ს;
- მსოფლიო ეკონომიკაში იმ რეგიონების ეკონომიკური წილი, სადაც მომსახურების სექტორი უპირატესად ვითარდება, შეადგენს დაახლოებით 92%-ს;
- მსოფლიო ეკონომიკაში მომსახურების სექტორის წილი შეადგენს 66%-ს.

*ცხრ. 1*

რეგიონები ან ქვეყნების ჯგუფები	მშპ, მლნ აშშ დოლარი.	სერვისის წილი
მსოფლიო	31,121	0.66
ქვეყნები მაღალი შემოსავლებით	24,887	0.70
ევროგაერთიანების ქვეყნები	6,111	0.69
ქვეყნები საშუალო შემოსავლებით	5,157	0.54
ქვეყნები დაბალი შემოსავლებით	1,082	0.45
ქვეყნები საშუალოზე დაბალი შემოსავლებით	2,739	0.48
ქვეყნები საშუალოზე მაღალი შემოსავლებით	2,422	0.60
ქვეყნები დაბალი და საშუალო შემოსავლებით	6,039	0.52
აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი	1,665	0.36
ლათინური ამერიკა და კარიბები	1,969	0.60
აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია	994	0.55
სამხრეთ აზია	614	0.49
აფრიკის სუბ-საჰარის რეგიონი	316	0.56

ამგვარად, სავსებით დასტურდება მსოფლიოში გლობალური პოსტინდუსტრიული საზოგადოების არსებობის კონცეფცია (Bell, 1973)<sup>2</sup>, როგორც სერვისზე ორიენტირებული XXI საუკუნის საზოგადოებისა, სადაც პრიორიტეტული იქნება ცოდნისა და ინფორმაციის როლი ყოველდღიურ საქმიანობაში.

მსოფლიოში ცნობილ სტატისტიკურ ცნობარში ("Pocket World in Figures" 2004 წელი)<sup>3</sup>, მოყვანილია სამი სექტორალური ეკონომიკის მონაცემი 63 დიდი და ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნების მიხედვით. ამ მონაცემებით, 63 ქვეყნიდან 58-ის ეკონომიკაში უპირატესი წილი მოდის სერვისის (S) სექტორზე.


ცხრილ 2-ში არასრული სახით მოყვანილია ზემოთ ხსენებული ქვეყნების ნუსხა, რანჟირებული სერვისის სექტორის წილის ოდენობის მიხედვით. აქვე მოცემულია: ქვეყნების აგრარული და სამრეწველო სექტორების წილები. ცხრილ 2-ში შეტანილია პირველ 7 ადგილზე მოხვედრილი ქვეყნები, რუსეთი და უკრაინა.

ცხრ. 2

№	ქვეყანა	სმშპ აშშ დოლარი	AA	I	S	PS
1	ჰონკონგი	23,200	0.001	0.055	0.944	შ
2	ავსტრია	19,070	0.079	0.116	0.805	შ
3	აშშ	35,200	0.014	0.203	0.783	შ
4	ახალი ზელანდია	13,240	0.084	0.157	0.759	შ
5	ბელგია	22,370	0.013	0.244	0.743	შ
6	დიდი ბრიტანეთი	23,920	0.009	0.276	0.714	შ
7	ნიდერლანდები	23,860	0.031	0.257	0.712	შ
38	რუსეთი	5,530	0.038	0.368	0.594	შ
62	უკრაინა	770	0.234	0.415	0.351	I

სურ. 1-ზე დატანილია ცხრილი 2-ის მონაცემები მშპ-ის სამივე სექტორის წილებისა და ერთ სულ მოსახლეზე მოსული მშპ-ს (სმშპ) კოორდინატებში. სამკუთხედის, კვადრატისა და რომბის ნიშნებით აღნიშნულია შესაბამისად S, I და A სექტორის წილები ქვეყნების მშპ-ში. ამავე სურათზე მოცემულია სამი კორელაციური დამოკიდებულება A, I და S-ის წილების სმშპ-თან მიმართებაში, რომლებიც აპროქსიმირებულია ხარისხოვანი ფუნქციებით უმცირესი კვადრატების მეთოდის გამოყენებით. ეს გასაშუალებური დამოკიდებულებები გვიჩვენებს, რომ სმშპ-ს ზრდასთან ერთად იზრდება სერვისის (S) წილი, ხოლო აგრარული (A) და სამრეწველო (I) სექტორის წილები კი ეცემა, თუმცა მათი აბსოლუტური მნიშვნელობები იზრდება სმშპ-ს ზრდასთან ერთად. რამდენადაც ეს დამოკიდებულება გასაშუალებულია, ზოგიერთი კონკრეტული ქვეყნის სექტორების წილები შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს ამ კორელაციური მრუდეებისაგან (მაგალითად, იხილეთ სურათზე ჰონკონგი, ირლანდია, საუდის-არაბეთი და სხვა).

სურ. 1



შეიძლება აღინიშნოს, რომ უკვე მშპ 0.4 სერვისის სექტორის წილის შემთხვევაში იგი უპირატესი ხდება, როგორც ეს სურ.1 და ცხრილი 2-დან გამომდინარეობს, ხოლო მშპ 0.5 დროს ის დომინირებულ სექტორს წარმოადგენს, რაც ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას ემთხვევა. ამგვარად, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს სერვისის სექტორის მინიმალური წილი  $S=0.4$ . როგორც გათვლები გვიჩვენებს, იმის ალბათობა, რომ სერვისის სექტორის წილი 0.4-ს გადააჭარბებს ტოლია  $\{S > 0.4\} = 0.92$ , ანუ საკმარისად მაღალია და იგი პრაქტიკულად ემთხვევა მსხვილი პოსტინდუსტრიული ქვეყნების წილს  $58/63 = 0.92$ .

მომსახურების ინდუსტრიის მნიშვნელობა კარგად არის აღწერილი ფარგო და ლუშის (2004)<sup>4</sup> სტატიაში „Evolving To a New Dominant Logic for Marketing“, რომელშიც ისინი ახალ მარკეტინგულ პარადიგმას – მომსახურების დომინანტურ ლოგიკას აყალიბებენ. თუ კლასიკური მოდელის მიხედვით, გაცვლის ერთეულს მატერიალური პროდუქტი წარმოადგენდა, მომსახურების დომინანტური ლოგიკის ახლებური ხედვის მიხედვით, მომსახურება ეკონომიკური გაცვლის ერთადერთი ერთეულია. ხოლო საქონელი, ფული და ორგანიზაციები ინსტრუმენტებია, რომლების საშუალებითაც მომსახურებებს ერთმანეთში ცვლიან.

ამგვარად, სერვისის სექტორის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე საკვებით ცხადია. ძალზე საგულისხმოა მომსახურების სფეროს ისეთ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება და მათი ნიუანსების შესწავლა, როგორებიცაა მომხმარებლის კმაყოფილება, ლოიალობა, მომსახურების ხარისხი და სხვა.

### მომსახურების ხარისხი და მომხმარებლის კმაყოფილება

წლების განმავლობაში მომსახურების მიმწოდებელი კომპანიები ცდილობენ დაადგინონ მომხმარებლის კმაყოფილებისა და მის მიერ აღქმული მომსახურების ხარისხის დონეები, რათა გაერკვიათ თუ რამდენად კარგად შეესაბამება მათ მიერ შეთავაზებული მომსახურება მომხმარებლის მოთხოვნებს.

საინტერესოა, რომ ყოველდღიურად მომსახურების ხარისხისა და მომხმარებლის კმაყოფილების ცნებები ურთიერთმონაცვლეობით გამოიყენება, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ, პრაქტიკულად, მათ შორის სხვაობის დადგენა ძნელია (Cooper, Cooper and Duhan 1989)<sup>5</sup>. ბევრი რამ დაწერილა მომხმარებლის კმაყოფილებასა და მომსახურების ხარისხის ცნებებზე, მაგრამ ძალიან ცოტა კვლე-

ვა თუ ჩატარებულა მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადაგენად. მკვლევარების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ამ ორ ცნებას შორის ურთიერთკავშირს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მომხმარებლის მხრიდან მომსახურების აღქმის პროცესის შესასწავლად და არა ორგანიზაციის მართვის თვალსაზრისით (Iacobucci, Graison end Ostrum 1994)<sup>6</sup>. თუმცა, ბუნებრივია, რომ მარკეტოლოგებისათვის საინტერესოა ამ ორი ცნების სრულფასოვანი შესწავლა, ვინაიდან ისინი განაპირობებენ მომხმარებლის ქცევასა და შემდგომ დამოკიდებულებას მომსახურებისადმი (იქნება ეს ხელმეორე მოხმარება თუ დადებითი სიტყვიერი მარკეტინგის გავრცელება) (Reicheld 1993)<sup>7</sup>. თავის მხრივ, მომხმარებლის ქცევას პირდაპირი ზეგავლენა აქვს კომპანიის შემოსავლებზე. მაგრამ თუ იმის დამტკიცებას შევეცდებით, რომ მომსახურების ხარისხსა და მომხმარებლის კმაყოფილებას შორის კავშირი მართლაც განაპირობებს მომხმარებლის ცვალებად ქცევას, ეს საკითხი, მენეჯერული თვალსაზრისითაც, მეტად მნიშვნელოვანი გახდება.

ამ ნაშრომის მთავარი მიზანია ჩამოვყალიბოთ მოდელი, სადაც დავადაგენთ იმ გარემოებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მომხმარებლის კმაყოფილებასა და მომსახურების ხარისხს შორის ურთიერთკავშირის ცვალებადობაზე. აღნიშნული მოდელი შესაძლებლობას მისცემს მარკეტოლოგებს უფრო ზუსტად დაადგინონ თუ როგორ აფასებს მომხმარებელი მომსახურებას და განსაზღვრონ თუ რომელი გზაა სწორი მომხმარებლის საუკეთესო ქცევამდე ანუ ლოიალურობამდე.

## მოდელის შედგენა

მომხმარებლის დადებითი ქცევა, ჩვენს შემთხვევაში, პროდუქციისადმი ლოიალურობის გამოჩენა, განპირობებულია მის მიერ ამა თუ იმ მომსახურების შეფასებით. შეიძლება შეფასდეს მომსახურების ანდა მომსახურებისგან მიღებული კმაყოფილების ხარისხი. ეს ყველაფერი კი დამოკიდებულია იმაზე თუ მომხმარებელი როგორ შეაფასებს მომსახურებას, *მომსახურების საკუთარ თავზე გამოცდამდე, მისი პირველი თუ რამდენიმე მოხმარების შემდეგ*.

როდესაც ვსაუბრობთ უშუალოდ მომსახურების მიწოდების პროცესზე, ხარისხსა და კმაყოფილებასა აფასებენ სხვადასხვანაირად, სხვადასხვა სიტუაციისა და ტიპის მომხმარებლისთვის. სწორედ ამ შემთხვევებზე იქნება ორიენტირებული მოგვიანებით განხილული მოდელი.

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მომსახურების ხარისხის შეფასებისას ადამიანი შემეცნებით გზას იყენებს (Bitner 1990<sup>8</sup>, Parasuraman, Zeithaml end Berri 1988<sup>9</sup>) ხოლო მომხმარებლის კმაყოფილების შეფასებისას – ემოციურ გზას (Oliver 1989<sup>10</sup>, Westbrook 1987<sup>11</sup>). შესაბამისად, მომსახურების ხარისხსა და კმაყოფილებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ აფასებს მომხმარებელი მომსახურების პროცესს. დადგენილია, რომ, როდესაც მომსახურების მოხმარების პროცესი ფასდება გონებრივად (შემეცნებით) და მხოლოდ შემდეგ ერთვება ემოცია, მომსახურების ხარისხი იქნება მომხმარებლის კმაყოფილების განმაპირობებელი (Service Quality (SQ) → Customer Satisfaction (CS)). ხოლო, როდესაც გონებრივ შეფასებას არ მოჰყვება არანაირი ემოციური მუხტი, მომსახურების ხარისხისა და მომხმარებლის კმაყოფილების ერთმანეთისაგან განსხვავება, პრაქტიკულად შეუძლებელია (SQ = CS). და ბოლოს, როდესაც მომსახურების მიღების პროცესში ძლიერი ემოციაა ჩართული და მხოლოდ შემდეგ ერთვება პროცესში გონება, მომხმარებლის კმაყოფილება იქნება მომსახურების ხარისხის განმსაზღვრელი (CS → SQ).

მაგალითად, მომხმარებელი შედის მაღაზიაში, სადაც მომსახურების პროცესი მიმდინარეობს მისთვის სავსებით დამაკმაყოფილებლად, არ ხდება არანაირი დადებითი ან უარყოფით მოვლენა, რომელსაც შეუძლია ემოციის გამოწვევა. მომსახურების მიღების შემდეგ, მომხმარებელი, სავარაუდოდ, განსჯის გონებრივად თუ რამდენად კარგი თუ ცუდი იყო მისთვის მომსახურებით მიღებული შთაბეჭდილება და მოგვიანებით კმაყოფილების გრძნობა ეუფლება (SQ → CS). მაშინ, როდესაც მომხმარებელს მაღაზიაში რამე სასიამოვნო ან არასასიამოვნო სიტუაცია ხვდება, რაც მასში ემოციურ მუხტს იწვევს, მისი შეფასება დამოკიდებული იქნება ემოციაზე. ამ დროს კი მომხმარებელს ჯერ ეუფლება კმაყოფილების განცდა, ხოლო მერე ასკვნის, რომ ეს განპირობებული იყო მომსახურების მაღალი ხარისხით (CS → SQ).

სხვადასხვა ფაქტორი ახდენს ზეგავლენას მომსახურების ხარისხისა და მომხმარებლის კმაყოფილების ურთიერთკავშირზე. ისინი მოკლედ მოყვანილია ცხრილ 3-ში.

მომსახურების ხარისხისა და მომხმარებლის კმაყოფილების ურთიერთკავშირის განმსაზღვრელი მოდელი

	SQ → CS	CS → SQ
მომსახურების სახეობა	ემოციური დატვირთვის გარეშე	ემოციურად დატვირთული
დაშვებულობის ზონა	დაშვებულობის ზონის ფარგლებს შიგნით	დაშვებულობის ზონის ფარგლებს გარეთ
მომსახურების ძირითადი მახასიათებლები	მომსახურება ძირითადი ატრიბუტებით	მომსახურება ძირითადი ატრიბუტების გარეშე
მომსახურების დამატებითი მომსახურებები	მომსახურება დამატებითი ატრიბუტების გარეშე	მომსახურება დამატებითი ატრიბუტებით
მომსახურების ტიპები	შემეცნება დომინანტური	ემოცია დომინანტური
მომხმარებლის სახეობა	გონიერი მომხმარებელი	ემოციური მომხმარებელი
მომხმარებლის ხასიათი	ნეიტრალური ხასიათი	ძალიან კარგი ან ძალიან ცუდი ხასიათი

• დაშვებულობის ზონა

თუ მომსახურებით მიღებული შთაბეჭდილება მომხმარებლისათვის დამაკმაყოფილებელ დიაპაზონშია მოქცეული, რომელსაც სხვაგვარად დაშვებულობის ზონას უწოდებენ (Erevelles and Leavitt 1992)<sup>12</sup>, მომხმარებლისაგან ემოციური რეაქცია ნაკლებადაა მოსალოდნელი და, ამ შემთხვევაში, მომსახურების ხარისხი იქნება მომხმარებლის კმაყოფილების განმსაზღვრელი (SQ → CS). მეორე მხრივ, თუ მომსახურების ხარისხი დაშვებულობის ზონის ფარგლებს ცდება, მომხმარებელი ემოციურად რეაგირებს (Bloemer and Poiesz 1989)<sup>13</sup> და ამ შემთხვევაში, მომხმარებლის კმაყოფილება იქნება მომსახურების ხარისხის განმსაზღვრელი (CS → SQ).

• მომსახურების ძირითადი და დამატებითი მახასიათებლები

მომსახურებას გააჩნია მახასიათებლები, რომლებიც ძირითად ფასეულობას უქმნის და მახასიათებლები, რომლებიც დამატებით ფასეულობას უქმნის მომხმარებელს (Satisfiers vs. dissatisfiers - Cadotte and Turgeon 1988<sup>14</sup>; core vs. peripheral (factors) – Iacobucci 1994<sup>15</sup>). მომხმარებელს გააჩნია მოლოდინი იმისა, რომ მომსახურებისაგან მიიღებს ძირითად ფასეულობას, რის გამოც ამ მახასიათებლის შესრულების ხარისხი ფასდება (მაგალითად, მომხმარებელი ელის სამედიცინო დახმარებას ექიმისაგან, დანიშნულების ადგილას ჩასვლას გადაფრენისას და ა.შ.). ამ შემთხვევაში, მომხმარებელი მომსახურებას გონებრივად აფასებს და შესაბამისად SQ → CS.

იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურებისაგან მომხმარებელი ვერ მიიღებს იმ ძირითად ფასეულობას, რასაც ელის (მაგალითად, პაციენტი ვერ გაესაუბრება ექიმს, თვითმფრინავი უეცრად სხვა აეროპორტისაკენ გაეშურება), მომხმარებელი ამას ადვილად ამჩნევს, მომსახურებით მიღებული შთაბეჭდილება დაშვებულობის ზონას გადაცდება და ამიტომ ემოციური რეაქცია გარდაუვალი იქნება, რაც გამოიწვევს კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების გრძნობის წარმოშობას. ასეთ სიტუაციაში CS იწვევს SQ.

დამატებითი მახასიათებლების შემთხვევაში, მათი არარსებობა შეუმჩნეველი რჩება მომხმარებლის მხრიდან (მაგალითად, თუ პაციენტისათვის ჩვეულებრივი ამბავია ექიმის საათობით ლოდინი, ის არც კი იფიქრებს უფრო სწრაფ მომსახურებაზე). ამ შემთხვევაში, მომსახურება მომხმარებლის მოლოდინის შესაბამისია, ამიტომ მომხმარებელი ამ შთაბეჭდილებას გონებრივად აფასებს (SQ → CS). მაგრამ, თუ უეცრად ვიზიტზე მისულ პაციენტს დაუყოვნებლივ ექიმთან გამოიძახებენ, იგი ძალიან ნასიამოვნები იქნება და მისი შემდგომი შთაბეჭდილებებიც ამ გრძნობებს დაეფუძნება (CS → SQ). საინტერესოა, რომ ასეთ შემთხვევაში, ძლიერი ემოციის გამო, მომსახურებაში არსებული სხვა ხარვეზები, შესაძლოა, შეუმჩნეველიც კი დარჩეს მომხმარებლისათვის.

• მომსახურების ტიპები

ზოგიერთი მომსახურება, თავისი ბუნებით, შესაძლოა უფრო მეტად ემოციური იყოს (მაგალითად, თეატრი, გასართობი პარკი). ასეთ გარემოებაში, მომსახურების პირველადი ემოციური შეფასება მხოლოდ მოგვიანებით იმოქმედებს გონიერებაზე (CS → SQ). სხვა ტიპის მომსახურებები, (მაგალითად, სასურსათო მაღაზიაში ვაჭრობა), ნაკლებად ემოციურია, ამიტომ იქ მიღებულ მომსახურებას მომხმარებელი გონებრივად აფასებს (SQ → CS). რადგან ყველა სახის მომსახურების მხოლოდ ორ კატეგორიად დაყოფა შეუძლებელია, მომსახურების სახეობა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც კონტინიუმი.

• მომხმარებლის ტიპები

სხვადასხვა ტიპის მომხმარებელი სხვადასხვაგვარად აფასებს ერთსა და იმავე სახის მომსახურებას. „გონიერი“ მომხმარებლები (Cacioppo and Petti 1984)<sup>16</sup> საგულდაგულოდ ეძებენ ინფორმაციას მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის შესახებ, მომსახურების მიღების შემდგომ შთაბეჭდილებებს ღრმად აანალიზებენ, თავიანთ გამოცდილებასა და მომსახურების ხარისხს გონებრივად აფასებენ და მხოლოდ შემდეგ ეუფლებათ მომსახურებით გამონეული კმაყოფილების განცდა (SQ → CS). ემოციური მომხმარებლები (Larsen and Diener 1986)<sup>17</sup>, კი პირიქით, გრძნობებზე დაყრდნობით აფასებენ მომსახურებას და თავიანთი კმაყოფილების მიხედვით განსაზღვრავენ მომსახურების ხარისხის დონეს (CS → SQ).

• მომხმარებლის გუნება-განწყობილება

დადგინდა, რომ მომსახურების მიღების პროცესში მომხმარებლის გუნება-განწყობილებასაც აქვს გავლენა კმაყოფილებისა და მომსახურების ხარისხის ურთიერთკავშირზე. თუ მომხმარებელი ძალიან ცუდ (ან კარგ) ხასიათზეა, მისგან მეტად მოსალოდნელია ემოციური დამოკიდებულება მომსახურების პროცესისადმი, ამიტომ, ამ შემთხვევაში, კმაყოფილება იქნება მომსახურების ხარისხის აღქმის განმსაზღვრელი (CS → SQ). თუ მომხმარებელი ნეიტრალურ განწყობაზეა, მაშინ ის თავდაპირველად გონებრივად შეაფასებს მომსახურების ხარისხს და მხოლოდ შემდეგ დაეუფლება კმაყოფილების გრძნობა (SQ → CS).

**სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთქმედება**

რეალურ გარემოში, ზემოთ აღნიშნული ფაქტორები ერთდროულად ზემოქმედებს მომხმარებლის მიერ მომსახურების ხარისხის შეფასებაზე, კმაყოფილების გრძნობის აღქმასა და ამ ორის ურთიერთკავშირზე. ბუნებრივია, ამ ფაქტორების კომბინაციის უამრავი ვარიანტი არსებობს, მაგრამ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ სამ შესაძლო ურთიერთდამოკიდებულებას, რომლებიც მოცემულია ცხრილ 4-ში.

ცხრილ 4ა-ში მოცემულია ორი ფაქტორის — მომხმარებლის ტიპისა და ემოციური ეფექტის არსებობა ან არარსებობის – ერთდროული ზეგავლენის შედეგი მომსახურების შეფასების პროცესზე. რთულია, შეაფასო მომსახურების ხარისხის აღქმა უსწრებს კმაყოფილების გრძნობას, თუ პირიქით. იმ სიტუაციაში, როდესაც ემოციური მომხმარებელი იღებს ნაკლებად ემოციურ მომსახურებას ან როდესაც გონიერი მომხმარებელი იღებს მეტად ემოციურ მომსახურებას. ამ შემთხვევაში, ეს ორი შეგრძნება, სავარაუდოდ, ერთმანეთს დაემთხვევა.

ცხრილ 2ბ-ში მოცემულია თუ როგორ აფასებს მომხმარებელი მომსახურებას, როდესაც მომსახურებას ექნება ან არ ექნება ძირითადი და დამატებითი მახასიათებლები. თუ მომსახურებას გააჩნია მხოლოდ ძირითადი მახასიათებლები (არ აქვს დამატებითი მახასიათებლები), იგი გონებრივად აფასებს მომსახურებას, შესაბამისად, ჯერ შეიგრძნობს მომსახურების ხარისხს და მხოლოდ შემდეგ განიცდის კმაყოფილებას. იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურებას გააჩნია როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ატრიბუტები, მომხმარებელი ამჩნევს მხოლოდ დამატებით მახასიათებლებს, მაგრამ ისეთი ნასიამოვნები რჩება, რომ ეს ემოცია შემდგომ გავლენას მოახდენს მის გონიერებაზე. აქ უკვე მომხმარებლის კმაყოფილება გამოიწვევს მომსახურების ხარისხის აღქმას. თუ მომსახურებას არ გააჩნია არც ძირითადი და არც დამატებითი ატრიბუტები, მომხმარებელი შეამჩნევს ძირითადი ატრიბუტების დეფიციტს, რაც თავდაპირველად მის უკმაყოფილებას გა-

მოინვეეს, ხოლო შემდეგ მის გონიერებაზე იმოქმედებს (მომხმარებლის კმაყოფილება განაპირობებს მომსახურების ხარისხის აღქმას). და ბოლოს, თუ მომსახურებას არ გააჩნია ძირითადი ატრიბუტები, მაგრამ, სამაგიეროდ, მდიდარია დამატებითი ატრიბუტებით, მომხმარებლისთვის ეს ორივე გარემოება შესამჩნევი იქნება. მან შესაძლოა, დააფასოს დამატებითი ატრიბუტების არსებობა, მაგრამ ის უკმაყოფილო იქნება ძირითადი ატრიბუტების ნაკლებობით, ამიტომ მისი ემოციური რეაქცია გამოიწვევს უკმაყოფილებას, რაც გავლენას მოახდენს მომსახურების ხარისხის აღქმაზე.

ცხრ. 4

**რამდენიმე ფაქტორის ერთდროული ზეგავლენა მომხმარებლის კმაყოფილებისა (CS) და მომსახურების ხარისხის აღქმას (SQ) შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე**

**4ა) გონიერი მომხმარებლისა და ემოციური მომხმარებლის ფაქტორების ურთიერთზემოქმედება**

		გონიერება	
		დაბალი	მაღალი
ემოციურობა	დაბალი	დამთხვევა	SQ→CS
	მაღალი	CS→SQ	დამთხვევა

**4ბ) მომსახურების ძირითადი და დამატებითი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედება**

		ძირითადი ატრიბუტები	
		გააჩნია (შეუმჩნეველია)	არ გააჩნია (ცუდია)
დამატებითი ატრიბუტები	გააჩნია (კაია)	სასიამოვნო შთაბეჭდილება CS→SQ	(არა)სასიამოვნო შთაბეჭდილება CS→SQ
	არ გააჩნია (შეუმჩნეველია)	SQ→CS	არასასიამოვნო შთაბეჭდილება SQ→CS

**4გ) დაშვებულობის ზონისა და მომხმარებლის გუნება-განწყობილების ურთიერთზემოქმედება**

		დაშვებულობის ზონა		
		ფარგლებს გარეთ (ქვევით)	ფარგლებს შორის	ფარგლებს გარეთ (ზევით)
მომხმარებლის გუნება განწყობილება	ძალიან კარგი	SQ→CS, დამთხვევა ან ხასიათის ცვლილება	CS→SQ ან დამთხვევა	CS→SQ
	ნეიტრალური	CS→SQ ან დამთხვევა	SQ→CS	CS→SQ ან დამთხვევა
	ძალიან ცუდი	CS→SQ	CS→SQ ან დამთხვევა	SQ→CS დამთხვევა ან ხასიათის ცვლილება



ცხრილ 4გ-ში აღწერილია მომხმარებლის ხასიათისა და მომსახურების მიწოდების დონის ურთიერთზემოქმედება მომსახურების შეფასებაზე. მომხმარებელი შეიძლება იყოს ძალიან კარგ, ნეიტრალურ ან ცუდ ხასიათზე. მომსახურება, შესაძლოა იყოს, დასაშვები ზონის ფარგლებში (დამაკმაყოფილებელი მომსახურება), დასაშვები ზონის ქვევით, (არადამაკმაყოფილებელი მომსახურება) ან დასაშვები ზონის ზევით (კარგი მომსახურება). როდესაც ნეიტრალურ ხასიათზე მყოფი მომხმარებელი მისთვის დასაშვები ზონის ფარგლებში მიწოდებულ მომსახურებას იღებს, მისაგან ემოციური რეაქცია ნაკლებადაა მოსალოდნელი, ამიტომ იგი მომსახურებას ჯერ გონებრივად აანალიზებს და მხოლოდ შემდეგ არის კმაყოფილი ან უკმაყოფილო. თუ მომსახურება დასაშვები ზონის ფარგლებს გარეთაა (ან ზევით ან ქვევით) აქ, ერთ შემთხვევაში, მომხმარებლის რეაქცია შესაძლოა ემოციური იყოს, მაგრამ, მეორე შემთხვევაში, დაბალანდეს მომხმარებლის ნეიტრალური განწყობით. ამიტომ ან მომხმარებლის კმაყოფილება გამოიწვევს მომსახურების ხარისხის აღქმას ან ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს დაემთხვევა.

თუ მომხმარებელი ძალიან კარგ ან ძალიან ცუდ ხასიათზეა, მომსახურება დასაშვები ზონის ფარგლებშიც რომ იყოს, მომხმარებლის შთაბეჭდილებები ემოციური იქნება ანუ მომხმარებლის კმაყოფილება გამოიწვევს მომსახურების ხარისხის აღქმას. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია მომხმარებელმა შეძლოს თავისი გუნება-განწყობილების შეკავება, რათა მან გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა არ მოახდინოს და, ამ შემთხვევაში, მომსახურების ხარისხისა და მომხმარებლის კმაყოფილების აღქმა ერთმანეთს დაემთხვევა. როდესაც მომხმარებელი ძალიან კარგ (ცუდ) ხასიათზეა და მომსახურებისაგან მიღებული შთაბეჭდილება დაშვებული ზონის ზევითაა (ან ქვევით), ამას მოჰყვება ძლიერი ემოციური რეაქცია. ამ შემთხვევაში, მომხმარებლის კმაყოფილება გამოიწვევს მომსახურებით ხარისხის აღქმას და ეს ემოცია ძლიერ ზეგავლენას მოახდენს მომხმარებლის შემდეგ ქმედებებზე.

და ბოლოს, თუ მომხმარებელი ძალიან კარგ (ცუდ) ხასიათზეა და მომსახურება დაშვებული ზონის ქვევითაა (ან ზევითაა), აქ კონფლიქტი ხდება მომხმარებლის თავდაპირველ გრძობებსა და მომსახურებით გამოწვეულ შეგრძნებებს შორის. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, სამი სახის შედეგი მივიღოთ. კარგ ხასიათზე მყოფმა მომხმარებელმა, ცუდი მომსახურების მიღების შემთხვევაში, აღელვების ნაცვლად, შეიძლება, გონებრივად გააანალიზოს მომსახურების ხარისხი და მხოლოდ შემდეგ დარჩეს უკმაყოფილო. ამის მსგავსად, როდესაც მომხმარებელი ძალიან ცუდ ხასიათზეა, იგი დააფასებს კარგ მომსახურებას და მას გონებრივად განსჯის, რაც იმას ნიშნავს, რომ მომსახურების ხარისხი განაპირობებს მომხმარებლის კმაყოფილებას. ამავდროულად, ორივე სიტუაციაში, შესაძლებელია, მომხმარებელს ორივე ცნებაზე ერთდროულად ჩამოუყალიბდეს შთაბეჭდილება. ამ ორივე შემთხვევამ, შესაძლოა, მომხმარებლის ხასიათის ცვლილებაც კი გამოიწვიოს.

**მომხმარებლის შემდგომი ქმედების წინასწარ განჭვრეტა**

საინტერესოა, დადგინდეს თუ რა ზეგავლენას ახდენს, მომსახურების ხარისხისა და მომხმარებლის კმაყოფილების ურთიერთკავშირი მომსახურებისადმი დამოკიდებულებაზე. როდის არის მომხმარებლის ლოიალურობის ალბათობა ყველაზე მაღალი? იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებლის კმაყოფილება და მომსახურების ხარისხის აღქმა ერთმანეთს ემთხვევა, ემოცია ნაკლებადაა ჩართული (იხილეთ ცხრილი 5ა) გადაწყვეტილების მიღება გონივრულად ხდება, რამაც, შესაძლოა, შემდეგი მოხმარება გამოიწვიოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მომხმარებლის მხრიდან ძლიერი ენთუზიაზმი ნაკლებადაა მოსალოდნელი. როდესაც მომსახურების ხარისხის აღქმა მომხმარებლის კმაყოფილების განცდამდე ხდება, მომხმარებელი განიზრახავს შემდგომ მოხმარებას. (იხილეთ ცხრილი 5ბ) ამ შემთხვევაში, შეფასებები თავდაპირველად აზროვნებაზე დაყრდნობით ხდება, რომელიც შემდგომ ემოციურად მტკიცდება, და შემდგომი მოხმარების განზრახვით სრულდება, მაგრამ ამავდროულად არსებობს ალბათობა, რომ მომხმარებელს კონკურენტების მომსახურებების გამოცდის სურვილი გაუჩნდეს. და ბოლოს, როდესაც მომხმარებლის კმაყოფილება გამოიწვევს მომსახურების ხარისხის აღქმას, ეს იმას ნიშნავს, რომ მომსახურების გონებრივ შეფასებაზე დიდ გავლენას მოახდენს იმ სიტუაციაში განცდილი ემოციები, რომლებიც დადგენილია, რომ ქმედების ყველაზე ძლიერი წინასწარმეტყველია (Izard 1977<sup>18</sup>, Westbrook 1987<sup>19</sup>). აქ, შეფასება, შესაძლოა, არ იყოს ისეთი რაციონალური, როგორც წინა შემთხვევაში, მაგრამ შემდგომი მოხმარების განზრახვა გაცილებით უფრო ძლიერი იქნება (იხილეთ ცხრილი 5გ).

სხვადასხვა შემთხვევის ზემოქმედება შემდგომ გადანყვეტილებებზე

ა	SQ/CS → INT (Cognitive model)
ბ	SQ → CS → INT (Attitudinal model)
გ	CS → SQ → INT (Emotion driven model)

მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის კუთხით თუ შევხედავთ, მომხმარებლისათვის მომსახურების მიწოდების შემდეგ, შესაძლოა, განვითარდეს ექვსი განსხვავებული სიტუაცია (იხ. ცხრილი 6). იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურების ხარისხისა და მომხმარებლის კმაყოფილების განცდები ერთმანეთს ემთხვევა და მომხმარებელი იღებს მაღალი (დაბალი) ხარისხის მომსახურებას, ეს, შესაძლოა, ჩაითვალოს კარგ (ცუდ) შედეგად. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, მომსახურების გაუმჯობესების დიდი ალბათობაა, რადგან ძალიან დიდი სურვილი არ არსებობს შემდგომი მოხმარებისა. თუ მომსახურების ხარისხი ინვესტს მომხმარებლის კმაყოფილებას, და მომხმარებელი იღებს კარგ მომსახურებას, ეს შეიძლება ჩაითვალოს უკეთეს შედეგად, ვიდრე წინა შედეგი (მაგრამ არა იდეალურად). აქ მომხმარებლის დაბრუნება უფრო მოსალოდნელია, მაგრამ ამავდროულად არსებობს ალბათობა იმისა, რომ იგი კონკურენტ კომპანიასთან წავა (Shlossberg 1993<sup>20</sup>). ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მიუხედავად ხარისხიანი მომსახურების მიწოდებისა, მომსახურების მიმწოდებელი ბოლომდე არ ეცადა მომხმარებლის ემოციების გაღვივებას, მისი ლოიალურობის მოპოვების მიზნით. ზუსტად ანალოგიური თანმიმდევრობით, (ანუ როდესაც, მომსახურების ხარისხი ინვესტს მომხმარებლის კმაყოფილებას) თუ მომსახურების ხარისხი დაბალია, ამას ძალიან ცუდ შედეგამდე მივყავართ. მომხმარებლის დაბრუნების ალბათობა ძალზე დაბალია, მაგრამ არსებობს ალბათობა, რომ მან კომპანიისთვის მეორე შანსის მიცემა გადანყვიტოს.

როდესაც მომხმარებლის კმაყოფილება ინვესტს მომსახურების ხარისხის აღქმას, და როდესაც მომხმარებელი მაღალი ხარისხის მომსახურებას იღებს, ეს კომპანიისათვის ყველაზე სასურველი შედეგია. მომხმარებელი კმაყოფილია და იგი ცხოვრების მანძილზე კომპანიის ერთგული რჩება (Shlossberg 1993). ემოციური განცდების საფუძველზე მომხმარებელი მიდის იმ აზრამდე, რომ მას სურს განაგრძოს აღნიშნული კომპანიის მომსახურების მოხმარება. და ბოლოს, კომპანიისათვის ყველაზე არასასურველი შედეგია, როდესაც მომსახურება არაადაკმაყოფილებელია და მომხმარებელი ამას ემოციურად განიცდის. ასეთ გარემოებაში, მომხმარებელი, სავარაუდოდ, ძალიან გულნატკენი დარჩება, მისი ეს განცდა მის აზროვნებაზე იმოქმედებს და მას კომპანია სამუდამოდ დაკარგავს. და, რაც ყველაზე ცუდია, მისგან ასევე მოსალოდნელია უარყოფითი სიტყვიერი მარკეტინგის გავრცელება.

მომსახურებით მიღებული შთაბეჭდილების მიერ გამოწვეული სიტუაციები

		მომხმარებლის აღქმა	
		კარგი მომსახურება	ცუდი მომსახურება
მიმდევრობა	დამთხვევა	კარგი შედეგი	ცუდი შედეგი
	SQ→CS	უკეთესი შედეგი	ცუდი შედეგი
	CS→SQ	საუკეთესო შედეგი	ყველაზე ცუდი შედეგი

**დასკვნა**

როგორც უკვე გავარკვიეთ, ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს მომსახურების ხარისხის აღქმასა და მომხმარებლის კმაყოფილების ურთიერთდამოკიდებულებაზე. თითოეულ მკვლევარს საკუთარი მოსაზრება გააჩნია ზოგადად ამ მცნებებზე და, კონკრეტულად, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე.

მოდელი, რომელიც ამ ნაშრომშია ჩამოყალიბებული, ცდილობს გაჩვენოს თუ როგორ იცვლება აღნიშნულ ფაქტორების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სხვადასხვა გარემოებაში. მკვლევარები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მომხმარებლის კმაყოფილება იწვევს მომსახურების ხარისხის აღქმას, ითვალისწინებენ მხოლოდ იმ სიტუაციას, როდესაც მომსახურების მიწოდების პროცესში მოულოდნელობის ელემენტებია ჩართული, რომლებიც მომხმარებლის ემოციებზე ახდენს ზეგავლენას (მაგალითად, Bitner 1990<sup>21</sup>, Oliver 1981<sup>22</sup>, Parasuraman, Zeithaml and Berri 1988<sup>23</sup>). ეს ხედვა ხაზს უსვამს კმაყოფილებისა და შთაბეჭდილების შეფასების ეკვივალენტობას და შემდეგ მომსახურების ხარისხის მხოლოდ ამ ფაქტორების საფუძველზე განსჯას. მეორე მხრივ, ისინი, ვინც მხარს უჭერენ თვალსაზრისს, რომელიც ითვალისწინებს, რომ მომსახურების ხარისხის აღქმა იწვევს მომხმარებლის კმაყოფილებას, თვლიან, რომ კოგნიტიური შეფასება წინ უსწრებს ემოციური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამის მაგალითია ტელეფონების მომსახურების შეფასების შესახებ ჩატარებული კვლევა (Bolton and Drew 1992<sup>24</sup>, Drew and Bolton 1991<sup>25</sup>), სადაც თავდაპირველად მომხმარებლებს კოგნიტიური დამოკიდებულება უყალიბდებოდათ მომსახურების ხარისხისადმი და მხოლოდ შემდგომ განსაზღვრავდნენ თუ რამდენად დამაკმაყოფილებელი იყო იგი მათთვის.

აღნიშნული მოდელის საფუძველზე შესაძლებელია სხვადასხვა კვლევის ჩატარება. მაგალითად, ფაქტორები, რომლებიც ცხრილ 3-შია მოცემული (რა თქმა უნდა, სხვა შესაძლო ფაქტორებთან ერთად) შესაძლებელია გამოვიყენოთ ექსპერიმენტების ჩასატარებლად, სადაც ამა თუ იმ ფაქტორების სხვადასხვა ვარიაცია მომხმარებლის კმაყოფილებასა და მომსახურების ხარისხის აღქმას შორის ურთიერთკავშირის გამოკვლევაში დაგვეხმარება. მოდელი აგრეთვე დაგვეხმარება კრიტიკული შემთხვევების შესასწავლად და უშუალოდ მომსახურების მიწოდების პროცესის მონიტორინგისათვის, რომელიც კარგი საშუალებაა მომსახურების ხარისხის აღქმასა და მომხმარებლის კმაყოფილებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად და ყველაზე სასურველი შედეგის მიღწევის გზის გამოსარკვევად. (Bitner 1990<sup>26</sup>, Bitner and Hubbert 1994<sup>27</sup>).

ამ ნაშრომი დაეხმარება პრაქტიკოსებს. პირველ რიგში, მომსახურების მიწოდებელმა კომპანიებმა უნდა გაანალიზონ ცხრილ 5-ში მოცემული სამი მოდელი, ექვსი შესაძლო მომსახურების მიწოდების შემდეგ განვითარებული სიტუაცია (ცხრილი 6), რათა შემდეგ გაითვალისწინონ ეს გარემოებები და თავიანთი მომსახურე პერსონალი შესაბამისი მომსახურების მიწოდებისათვის სათანადოდ მოამზადონ. მაგალითად, კომპანია დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის მიერ მომხმარებლისათვის შეთავაზებული მომსახურება შეიცავს ყველა სახის ძირითად მახასიათებლებს, მომსახურება დაშვებული ზონის ფარგლებს შიგნითა მომხმარებელთა უმეტესი ნაწილისათვის და ა.შ. რათა მომხმარებელი ნასიამოვნები დარჩეს და იგი მთელი ცხოვრების მანძილზე კომპანიის ერთგული იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 "2003 World Development Indicators Washington", The World Bank, 2003
- 2 Bell Daniel, "The Coming of Post-Industrial Society: A Venture in Social Forecasting", London Basic Books, 1973
- 3 Pocket World in Figures, London, The Economist, 2004
- 4 Vargo, Stephen L. and Lusch, Robert F. (2004) "Evolving to a New Dominant Logic for Marketing," Journal of Marketing
- 5 Cooper, Ann R., Cooper, M. Bixby and Dale F. Duhan, "Measurement Instrument Development Usint Two Competing Concepts of Customer Satisfaction", Journal of Consumer Satisfaction, Dissatisfaction Complaining Behavior", 1989
- 6 Iacobucci, Dawn, Kent Grayson and Amy Ostrum, "The Calculus of service quality and customer satisfaction: Theoretical and Empirical Differentiation and Integration," in advances in service marketing and management, Teresa A. Swartz, David A. Bowen, and Stephen W. Brown, 1994
- 7 Reichheld, Frederick F. "Loyalty based management", Harvard business review, 1993
- 8 Bitner, Mary Jo, "Evaluating service encounters; the effects of physical surroundings and employee responses", Journal of marketing, 1990
- 9 Parasuraman, A., Valerie A. Zeithaml, and Leonard L. Berry, "SERVQUAL: A multi item scale for measuring consumer perceptions of service quality", Journal of Retailing, 1988
- 10 Oliver, Richard L., "Processing of the satisfaction response in consumption: A suggested framework and research propositions", Journal of consumer satisfaction, dissatisfaction and complaining behavior, 1989
- 11 Westbrook, Robert A., "Product consumption-based affective responses and post purchase processes", Journal of marketing research, 1987
- 12 Erevelles, Sunil and Clark, Leavitt, "A Comparison of Current models od customer satisfaction/dissatisfaction", Journal of Consumer Satisfaction, Dissatisfaction Complaining Behavior, 1992
- 13 Bloemer, Jose M. M. and Theo B. C. Poiesz, "The Issusion of Customer Satisfaction", Journal of Consumer Satisfaction, Dissatisfaction Complaining Behavior, 1989
- 14 Cadotte, Ernst R. and Normand Turgeon, "Dissatisfiers and satisfiers: Suggestion form consumer complaints and compliments," Journal of Consumer Satisfaction, Dissatisfaction Complaining Behavior, 1988
- 15 Iacobucci, Dawn, Kent Grayson and Amy Ostrum, "The Calculus of service quality and customer satisfaction: Theoretical and Empirical Differentiation and Integration," in advances in service marketing and management, Teresa A. Swartz, David A. Bowen, and Stephen W. Brown, 1994
- 16 Cacioppo, John T. and Richard E. Petty, "The need for cognition: Relationship to Attitudinal Processes," in Social perception in clinical and counseling psychology.
- 17 Larsen, Randy J. and Ed Diener, "Affect Intensity as an Individual Difference Characteristic, Journal of Research and Personality, 1986
- 18 Izard, Carroll E., Human emotions, New York: Plenum, 1977
- 19 Westbrook, Robert A., "Product consumption-based affective responses and post purchase processes", Journal of marketing research, 1987
- 20 Schlossberg, H. "Dawning of the era of emotions", Marketing news, 1993
- 21 Bitner, Mary Jo, "Evaluating service encounters; the effects of physical surroundings and employee responses", Journal of marketing, 1990

- 22 Oliver, Richard L., "Processing of the satisfaction response in consumption: A suggested framework and research propositions", *Journal of consumer satisfaction, dissatisfaction and complaining behavior*, 1989
- 23 Parasuraman, A., Valerie A. Zeithaml, and Leonard L. Berry, "SERVQUAL: A multi item scale for measuring consumer perceptions of service quality", *Journal of Retailing*, 1988
- 24 Bolton, Ruth N. and James H. Drew, "A multistage model of consumers' assessments service quality and values", *Journal of consumer research*, 1991
- 25 James H. Drew and Bolton, Ruth N., "The structure of customer satisfaction: effects of survey measurements", *Journal of consumer satisfaction, dissatisfaction and complaining behavior*, 1992
- 26 Bitner, Mary Jo, "Evaluating service encounters; the effects of physical surroundings and employee responses", *Journal of marketing*, 1990
- 27 Bitner, Mary Jo and Amy R. Hubbert, "Encounter satisfaction versus overall satisfaction versus quality: the customers' voice", in *service quality: new directions in theory and practice*, 1994

**"WHAT WAS FIRST: HEN OR EGG?"  
CAUSE AND EFFECT RELATIONSHIP BETWEEN SERVICE  
QUALITY AND SATISFACTION**

**Boris (Buba) Lezhava**  
*Doctorate student*

One of the major sectors in the economies of most countries became a service sector. Based on the World Bank data (2003 World Development Indicators), out of 152 countries, in 112 the share of service sector (S) in the GDP exceeded shares of industrial (I) and agrarian (A) sectors. This tendency had an impact on the development of service marketing as an independent discipline. This research shows the importance of the concepts such as service quality, satisfaction with services, characteristics of services, etc.

The main goal of this research is to look at the interrelationship of two major service marketing concepts: service quality (SQ) and satisfaction (SAT). Both concepts are very important for the companies to run profitable business, because they affect the customer behavior and determine whether customer will continue to buy service or not. The major dilemma in the literature is the sequence of occurrence of these two concepts. Some authors argue that service quality precedes satisfaction (Bitner 1990, Parasuraman, Zeitman and Berry 1988) and some argue that satisfaction precedes service quality (Oliver 1989, Westbrook 1987).

Our research looks at different external factors that affect the interrelationship of these concepts and causes different cause and effect relationship. These factors are: type of service, main features of service vs. augmented features, type of customer, type of decision making process and mood of the customer. Research also looks at the situation where two factor influence the interrelationship of SQ and SAT.

Marketing specialist should know whether customer evaluates SQ first or SAT and he should accordingly pay attention to the factors that cause the positive evaluation of each one. If evaluation of SQ comes first, than marketer should pay more attention to rational attributes of services and if evaluation of SAT comes first, than to emotional attributes.

## ხარისხის მართვის მექანიზმების პრაქტიკული გამოყენება ზრდასრულთა და უმაღლესი განათლების სფეროში

ლელა აბდუშელიშვილი  
ასოციირებული პროფესორი

ზრდასრულთა და უმაღლესი განათლების სფეროში ხარისხის განსაზღვრა და ერთი საბოლოო განმარტების მოძებნა არც თუ ისე ადვილია, რადგან ხარისხის მართვა და კონტროლი თითქმის ყველა პროცესსა თუ მექანიზმზე ვრცელდება. მათი ამოცანაა უზრუნველყონ ამა თუ იმ ღონისძიების ხარისხი და ხელი შეუწყონ ადამიანებს შორის აქტიურ თანამშრომლობას.

წინამდებარე ნაშრომში მოგახსენებთ ხარისხის მართვისა და კონტროლის იმ მექანიზმების შესახებ, რომლებსაც აქტიურად ვიყენებ ზრდასრულთა და უმაღლესი განათლების სფეროში. ჩემი დასკვნები ეფუძნება კავკასიის ბიზნესის სკოლაში, საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციასა და სხვადასხვა ენის შემსწავლელ ცენტრებში მუშაობისას შექმნილ გამოცდილებას, სადაც სტუდენტებთან და ზრდასრულებთან გვაქვს საქმე.

ზრდასრულთა განათლება ზრდასრულთა სისტემური სწავლის პროცესია. ისინი სწავლას უზრუნველნიან სანყისი მომზადების ან განათლების მიღების შემდეგ. ზრდასრულთა განათლება მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა შემდგომი განათლება, უმაღლესი განათლება, უწყვეტი განათლება. დღევანდელი ცხოვრება იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ იგი ზრდასრულებს მრავალ მოთხოვნას უყენებს და აიძულებს მათ მუდმივად ისწავლონ და განვითარდნენ. იმისათვის, რომ ზრდასრულთა განათლება წარმატებულად განხორციელდეს, უნდა არსებობდეს მისი შეფასების ინსტრუმენტები. ყურადღება ზრდასრულთა განათლებაზე იმიტომ შევაჩერე, რომ ჩემი ყველა მოსწავლე თუ მასწავლებელი, რომელთა მომზადება-გადამზადებასაც მე ვენევი, ზრდასრულია. ამდენად, აუცილებელია ზრდასრულთა განათლების პრინციპების ცოდნა იმისათვის, რომ მათ მაღალი ხარისხის მომსახურება შევთავაზოთ.

ხარისხის მართვას ბევრი რამ აქვს საერთო შეფასებასთან. შეფასება სასწავლო პროცესის ხარისხის კონტროლის საკმაოდ ეფექტური მექანიზმია. ხშირად ამბობენ, რომ შეუძლებელია იმის მართვა, რისი შეფასებაც არ შეიძლება. ამდენად, შემოგთავაზებთ იმ ძირითად პარამეტრებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია შეფასების წარმოებისათვის:

- მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ნათელი მიზნების დასახვა და მათი მიღწევა;
- სტანდარტების დანესება შედარებისათვის;
- საკუთარი მუშაობის ხარისხის თვითკონტროლი;
- ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების თავიდანვე აღნიშვნა და შესაბამისი ზომების მიღება;
- ცუდი ხარისხით გამონეული სავალალო შედეგები დანახარჯების ჩვენებით;
- რესურსების მიზანმიმართულად გამოყენება;
- შედეგების გაშუქება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

ხარისხის მართვის მექანიზმები უნდა დაგვეხმაროს იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად მართებულად ვართმევთ თავს მომხმარებელთა მომსახურებას, მიზნების განხორციელებას და რამდენად შეესაბამება მოთხოვნას ჩვენი სისტემები და პრობლემათა გადაწყვეტის გზები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ არ არის წარმატებული ხარისხის მართვის სადღეისოდ არსებული სისტემები. სახელდობრ,

- ისინი ვერ საზღვრავენ შესრულებულ სამუშაოს დროულად;
- ისინი ხშირად არასწორად გამოიყენება ან მათ ვერ იყენებენ მართებულად;
- არ არის გამიჯნული კონტროლი და გაუმჯობესება;
- არსებობს იმის საშიშროება, რომ ადრე თუ გვიან აღმოჩნდება კარგი და ცუდი;
- იგი ზედმეტ ტვირთად მოიაზრება, რადგან დიდ დროსა და პასუხისმგებლობას მოითხოვს;
- მრავალი სისტემა ორიენტირებულია მხოლოდ შიდა და არა გარე სფეროზე;
- ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ შემოიღებენ უფრო მკაცრი მართვის კონტროლს;

მსგავსი პრობლემები ხშირად თავს იჩენს ცუდად დაგეგმილი სამუშაოს განხორციელებისას, ან იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება არსებული სისტემების შეფასება. ხარისხის მართვა არ უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაზე სხვადასხვა მიზნის თავზე მოხვევას. პრაქტიკოსებმა გუნდურად უნდა იმუშაონ და ერთობლივად შეიმუშაონ ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შეძლებენ დასახული მიზნების მონიტორინგს. როდესაც მონაცემებთან გვაქვს საქმე, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- კარგად უნდა გვესმოდეს თუ რას ვაფასებთ;
- უნდა ვიცოდეთ, თუ რატომ ვაკეთებთ ამ შეფასებას;
- უნდა გვესმოდეს, თუ რას გვიჩვენებს მონაცემები;
- კარგად უნდა გვესმოდეს, თუ როგორ გამოვიყენებთ მონაცემებს ხარისხის გასაუმჯობესებლად;

საწარმოო სფეროში ხარისხის უზრუნველყოფა სხვადასხვა პროცესის მეშვეობით ხორციელდება, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია:

- ა) ფუნქციის ანალიზი;
- ბ) სხვადასხვა კომპონენტის დაკვირვებით შერჩევა;
- გ) შეთანხმებული სტანდარტების მიხედვით მუშაობა;
- დ) საწარმოო პროცესის სტანდარტიზაცია;
- ე) მზა პროდუქციის შემოწმება;
- ვ) მომხმარებლის კომენტარების ანალიზი და შესაბამისი ზომების მიღება;

ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, მიიღწევა შემდეგის გათვალისწინებით:

- ა) გუნდის ყველა წევრს უნდა შევატყობინოთ საერთო მიზნები და ამოცანები;
- ბ) გუნდის ყველა წევრი ერთიანი სტანდარტით უნდა ხელმძღვანელობდეს;
- გ) ხელი უნდა შევუწყოთ მცირე ჯგუფებს, რომლებშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალურ ინიციატივას;
- დ) საჭიროა მოქნილობა სამუშაოს შესრულებისას;
- ე) გუნდმა და მისმა ყველა წევრმა სათითაოდ უნდა იზრუნოს საკუთარი სამუშაოს ხარისხზე; მომსახურების სფეროში, რომელსაც სწავლება და მომზადება-გადამზადება მიეკუთვნება, საწარმოო პროცესების მკაცრი კონტროლი არც თუ ისე ადვილია. ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებით.

ამდენად, უნდა არსებობდეს ის პრაქტიკული საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც გაუმჯობესდება ხარისხი. ხარისხის მართვის მექანიზმები გვეხმარება პრობლემათა ამოცნობაში და მათი საუკეთესო გზებით გადაჭრაში. ზოგიერთი მექანიზმი მარტივია, ზოგი კი უფრო რთული. აუცილებელია მივაგნოთ ჩვენთვის საჭირო მექანიზმს და შევასწავლოთ ჩვენს მუშაკებს, თუ როგორ გამოიყენონ იგი ეფექტურად. ეს მექანიზმები თანდათან ყველა სასწავლო დაწესებულების წარმატების საფუძველი გახდება.

**ახალი წინადადებების შეთავაზება და მათი კოლექტიური განხილვა** ხარისხის მართვის იდეალური მექანიზმია ორივე შემთხვევაში. იგი ჯგუფში ყველას აძლევს შესაძლებლობას აზრები სწრაფად განავითარონ. არ გულისხმობს სიტუაციის ობიექტურ შეფასებას. ამდენად, იგი უნდა გამოვიყენოთ სხვა მექანიზმებთან ერთად. ეს მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი პრობლემების გადანყვეტისას, რომელთაც არ სჭირდებათ ტექნიკური ან სიღრმისეული ანალიზი. არც დიდი პროფესიული გამოცდილებაა აუცილებელი.

**თვითშეფასების მაჩვენებლების ჩამონათვალი:** ხარისხის მთელი რიგი მაჩვენებლების გამოყენება ამა თუ იმ საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების წარმატების განსაზღვრისათვის. ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება დახვეწილი სასწავლო პროგრამები, პედაგოგთა მომზადების მაღალი დონე, ეფექტური სახელმძღვანელოები და ა.შ.

**მასწავლებელთა მიერ გარკვეული კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესამოწმებლად ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრება:** წინასწარ უნდა განისაზღვროს, თუ რა საკითხები უნდა გაითვალისწინოთ გაკვეთილზე დასწრებისას და როგორ უნდა გაეცნონ შედეგებს.

**ხარისხის მართვის ჯგუფების შექმნა:** ეს მექანიზმი განათლების სფეროში სამრეწველო სფეროს

დაესესხა. ხარისხის მართვის ჯგუფები წარმოადგენს მასწავლებელთა მცირე ჯგუფებს, რომლებიც ერთმანეთს რეგულარულად ხვდებიან, რათა განიხილონ, თუ როგორ მუშაობენ და რისი გაუმჯობესება შეუძლიათ.

**მსმენელთა შეფასება:** კითხვარებისა და მსმენელთა კონკრეტული ჯგუფების გამოყენება იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ აღიქვამენ ისინი სასწავლო პროცესსა და დაწესებულებას და რამდენად დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ მათ. კითხვარებს ავსებენ სახელისა და გვარის მითითების გარეშე. შედეგებს ყველა მუშაკს აცნობენ. მათზე დაყრდნობით კი აუმჯობესებენ მთელ სასწავლო პროცესს.

**ტენდენციების განსაზღვრა:** ვხდებით თუ არა უკეთესი? პროგრესის დასაკვირვებლად თვითნაწილისა და სხვადასხვა კითხვარის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენება.

**საუკეთესოს ამორჩევა:** საუკეთესო სფეროების აღმოჩენა და მათი გადმოღება

**სტანდარტის დაწესება:** საუკეთესო ნიმუშების სტანდარტად გამოყენება და ამით ამა თუ იმ საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა ღონისძიების ხარისხის შემოწმება

**ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა** – კრიტერიუმებისა და სტანდარტული ინფორმაციის გამოყენება იმისათვის, რომ მოხდეს პროგრესის განსაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. ასეთ ინფორმაციას განეკუთვნება შევსებულ კითხვარებში გამოთქმული კმაყოფილება, სახელმწიფო გამოცდებში ან სტანდარტულ ტესტებში მიღებული შედეგები.

როდესაც მსმენელთა პროგრესის შეფასებასთან გვაქვს საქმე, მასწავლებელი უნდა დააკვირდეს იმ ელემენტებს, რომლებმაც მისი მსმენელები წარმატებული გახადა და კრიტიკულად არ უნდა შეხედოს მათ. იგი დაინახავს თუ რამდენი შეუსწავლიათ მათ. ეს კი ორივე მხარეს სიამაყის გრძნობით კიდევ უფრო აღავსებს.

მსმენელთა პროგრესი მასწავლებლებმა უნდა შეაფასონ არა მხოლოდ იმიტომ, რომ დაადგინონ, თუ რამდენად მიაღწიეს თავიანთ მიზნებს, არამედ იმიტომაც, რომ გაითვალისწინონ ყოველი სტუდენტის მდგომარეობა.

წარმოგიდგინოთ რამდენიმე მექანიზმს, რომელთა საშუალებითაც ჩვენ ვაფასებთ ჩვენი მსმენელების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს:

- ა) აკვირდებიან ერთი მსმენელის განვითარებას და ადარებენ მისი სწავლის პროცესის სხვადასხვა ეტაპს, რათა დადგინდეს, არის თუ არა პროგრესი
- ბ) ადგენენ თითოეული მსმენელის ძლიერ და სუსტ მხარეებს. არ არის მიზანშეწონილი სუსტი ან ძლიერი სტუდენტების ცალ-ცალკე დაყოფა
- გ) ყოველდღიურად ვაკვირდებით ჩვენი მსმენელების მიღწევებს, გრძნობებს და შეხედულებებს და ვაძლევთ შესაბამის რჩევებს

უცხო ენის შესწავლა ხანგრძლივი და რთული პროცესია. შემსწავლელთა სჭირდებათ მუდმივი გამხნეება. თუ კარგ და გამოცდილ მასწავლებელს ყოველთვის ახსოვს, რომ მისმა მსმენელებმა რამეს უნდა მიაღწიონ, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან და მათ სხვადასხვა მიდგომა სჭირდებათ, იგი მათ აუცილებლად სასიამოვნოდ გადაუქცევს სასწავლო პროცესს.

დისკუსიები კლასში ხარისხის მართვის კიდევ ერთი მექანიზმია. მასწავლებელი უერთდება მსმენელებს და ისინი ერთად განიხილავენ იმ საკლასო სავარჯიშოებს, რომლებიც კლასში ჩატარდა. გულდია კრიტიკა და მეგობრული რჩევები გვაძლევს სასწავლო პროცესის არა მარტო ობიექტურ შეფასებას, არამედ მოსწავლესა და მასწავლებელს კიდევ უფრო აახლოვებს. დიდი სარგებელი მოაქვს იმის განხილვას, თუ როგორ ასწავლის მასწავლებელი და როგორ სწავლობენ მოსწავლეები.

დღესდღეობით, უმაღლესი თუ ზრდასრულთა განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებების გამო, საჭიროა კარგი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები, რაც უკავშირდება მათი მომზადება-გადამზადების მაღალ ხარისხს. მათ ხომ თანამედროვე მსოფლიოს მკაცრ მოთხოვნებს უნდა გაუძლონ. ამდენად, ხარისხსა და მის მართვას აქაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

წარმოგიდგინოთ ხარისხის მართვის იმ მექანიზმებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების სფეროში:

- მასწავლებელთა სამუშაო გეგმები, რომლებიც შეიცავს მიზნებს, ამოცანებსა და სხვადასხვა სახის პროექტსა თუ ღონისძიებას კონკრეტული პერიოდისათვის;



- პროგრესის წერილობითი, სიტყვიერი შეფასება წინასწარ დასახულ მიზნებთან მიმართებით;
- სტუდენტების მიერ მასწავლებლის ოფიციალური შეფასების შევსებული კითხვარები;
- მასწავლებელთა მიერ ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრების შედეგად მომზადებული ანგარიშები, ჩანაწერები;
- მასწავლებელთა მიერ მომზადებული სასწავლო მასალებისა და კითხვარების ნიმუშები;
- გაკვეთილის გეგმების ანალიზი;
- პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც სტუდენტები აფასებენ სწავლების მეთოდოლოგასა და ხარისხს

ბასტიდას (1997) და ბრაუნი და უილფე-ქუინტერო (1997) გვათავაზობენ ე.წ. პორტფელს, ანუ მასწავლებლის პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნაკრებს. იგი შეიცავს სასწავლო გეგმებს, კლასში გასაკეთებელ სავარჯიშოებს, მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული მიღწევებისა და შედეგების დამადასტურებელ ინფორმაციას და ა.შ. ამ პორტფელის შევსებას თვით მასწავლებელი ხელმძღვანელობს. იგი შეიცავს იმ მასალას, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრე ხარისხის მართვის მექანიზმებში. ყველაფერი ეს კი დადებით ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე.

ამრიგად, ხარისხის მართვა მნიშვნელოვანია როგორც ზრდასრულთა, ისე უმაღლესი განათლების სფეროში და თუ იგი გონივრულად დაიგეგმება და განხორციელდება, მას აუცილებლად მოჰყვება სასურველი და დადებითი შედეგები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bastidas, A. 1996. The teaching Portfolio: A tool to become a reflective teacher. English Teaching Forum, 34, 3-4. pp.24-28
2. Brown J., and K.Wolfe-Quintero. 1997. Teacher Portfolios for Evaluation: A great idea or a waste of time? Language Teacher Online, 21-1

## PRACTICAL APPLICATION OF QUALITY CONTROL MECHANISMS IN THE SPHERE OF ADULT AND HIGHER EDUCATION

Lela Abdushelishvili

*Associated Professor*

### Abstract

**Purpose:** The aim of the study is to examine and introduce to the reader those various quality control mechanisms with the help of which quality control of education of students and adults is successfully carried out.

**Design/methodology/approach:** The study is based on the analysis of the experience of using quality control mechanisms in various educational institutions in Georgia.

**Findings:** It was found out that these mechanisms help to determine whether the service is provided at the required level, aims are implemented and to what extent the systems and ways of controlling quality of education meet the demands.

**Research limitations/implications:** A major limitation is that the findings are based on the experience gained in Caucasus School of Business, English Teachers' Association of Georgia and International House, and, therefore, envisage only certain target audience. The major implication is that adult learning principles along with quality control mechanisms to gain additional results would help to make more specific conclusions.

**Originality/value:** The paper is the first of its kind to examine the Georgian context of high and adult education, specifically, foreign language teaching, which offers the methods and ways of quality control with the view of better provision of the service.

## უკუკავშირის მნიშვნელობა შრომით მოტივაციასა და შრომით ნაყოფიერებაში

სოფიკო გოგონაშვილი

ორგანიზაციული ფსიქოლოგიის განვითარებას და ადამიანური რესურსის მართვის, როგორც ცალკე დისციპლინის ჩამოყალიბებას, განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სწორედ იმან შეუწყო ხელი, რომ შრომითი კმაყოფილება და უკაყოფილება ზეგავლენას ახდენდა ორგანიზაციების ეფექტურ ფუნქციონირებაზე. დღესდღეობით საქართველოში შრომის ბაზარზე სიტუაცია სავალალოა. არსებობს უამრავი დაუსაქმებელი კვალიფიციური მუშაკი და არ არის სამუშაო ადგილები, ამიტომ ორგანიზაციებს ნაკლებად ანუხებს განვითარებულ ქვეყნებში არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რასაც კადრების დენადობა ჰქვია, რადგანაც პრობლემა არაა აშკარად შესამჩნევი, ხშირ შემთხვევაში, ითვლება, რომ ის საერთოდ არ არსებობს, თუმცა ასეთი მიდგომა სწორი არაა. პრობლემები ჩვენთანაც იგივეა, რაც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში და ის, რომ მათი გამოვლენა ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო გაძნელებულია, კიდევ უფრო ართულებს საქმეს. ორგანიზაცია დაინტერესებული უნდა იყოს თანამშრომელთა მოტივირებით, არ შეიძლება მოტივაციის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდეს ის, რომ ადამიანი დასაქმებულია. არა და დღევანდე პირობებში ესეც უკვე მნიშვნელოვანია. არამოტივირებული პერსონალი აუცილებლად აისახება ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე და არც თუ დადებითად. არსებული ნაშრომის მიზანია გააცნოს საზოგადოებას, რომ საჭირო არაა ველოსიპედის თავიდან გამოგონება, რომ არსებობს უამრავი კვლევა, რომელიც ხაზს უსვამს მოტივაციის მნიშვნელობას ორგანიზაციის წარმატებულ ფუნქციონირებაში. კერძოდ კი, შევხებით ისეთ მნიშვნელოვან მამოტივირებელ ფაქტორს, როგორცაა უკუკავშირი. ესაა ძირითადი მეთოდი, რომლითაც საკუთარ თანამშრომელს შეგიძლია დაანახო მისი მნიშვნელოვნება ორგანიზაციაში, რაც ზგავლენას მოახდენს არა მარტო თანამშრომელთა შრომით მოტივაციაზე, არამედ, ზოგადად, გააუმჯობესებს ორგანიზაციის, როგორც ერთიანი სტრუქტურის ფუნქციონირებას.

შრომითი კმაყოფილება ადამიანური რესურსის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ორგანიზაციის წარმატება, უმეტეს შემთხვევაში, დამოკიდებულია მასში მომუშავე პერსონალის შრომით კმაყოფილებაზე, სწორედ ამიტომაც, რომ განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს დაქირავებული პერსონალის შრომით მოტივაციას და კმაყოფილებას, ეს ორი ფაქტორი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ყველაზე გავრცელებული შეხედულების მიხედვით, შრომითი კმაყოფილება სამუშაოსთან დაკავშირებული მოლოდინების და რეალური სამუშაოს ურთიერთმიმართების ფუნქციაა. მოლოდინისა და რეალობის შესატყვისობა განსაზღვრავს შრომით კმაყოფილებას. შრომითი კმაყოფილება შეიძლება დაუკავშირდეს შრომითი საქმიანობის ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: სამუშაო, ხელმძღვანელი, კოლეგები, ხელფასი, დანაშურების შესაძლებლობა. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი შრომითი კმაყოფილების დროს, არის მოტივაცია. ტერმინი — ძლიერად მოტივირებული მუშაკი — გულისხმობს ადამიანს, რომელიც ცდილობს კარგად შეასრულოს სამუშაო, აღიარებს ორგანიზაციის მიზნებს და მთელ ძალას და მონდომებას მიმართავს მათ მისაღწევად. რამდენადაც მოტივირებული პერსონალი ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისთვის, იმდენად, მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების დადგენა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის მოტივაციაზე. რა შეიძლება იყოს მოტივი: კვლევებმა აჩვენეს, რომ მამოტივირებელი ფაქტორები შეიძლება იყოს: საზოგადოებრივი მდგომარეობა, სტატუსი, აღიარება, ადამიანთა კოლექტივში ყოფნა, კარიერა, პროფესიული ზრდის მოთხოვნილება, საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანა. თავისთავად, შრომითი მოტივაცია კომპლექსურია — ადამიანთა უმეტესობა სხვადასხვა მიზეზის გამო მუშაობს. ზემოთ ჩამოთვლილი მოტივაციური ფაქტორებიდან სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა მიზეზი შეიძლება იყოს მამოტივირებელი, ამის განსაზღვრა ძალიან ძნელია. თუცა დღევანდელი ჩვენი ნაშრომის მიზანია განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა უკუკავშირის როლი შრომით მოტივაციაში.

თავისთავად უკუკავშირის არსებობა შრომითი აქტივობის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ მოტივაციური თვალსაზრისით, არამედ შრომითი პროცესის კორექტირების და სწო-

რად წარმართვის მხრივაც. თუმცა, დღეს ჩვენ მას განვიხილავთ მხოლოდ, როგორც მამოტივირებელ ფაქტორს. თუ კი ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის, აბრაამ მასლოუს მოტივაციური თეორიის მიხედვით ვიმსჯელებთ, უკუკავშირი, როგორც მამოტივირებელი ფაქტორი, შეგვიძლია დავუკავშიროთ მოტივაციური იერარქიის ორ ყველაზე მაღალ საფეხურს, როგორცაა: ეგოს მოთხოვნილებები (თვითშეფასება და შეფასება სხვათა მხრიდან) და თვითაქტუალიზაცია — “ადამიანის თვითგანხორციელების სურვილი. ეს არის ტენდენცია ჩამოყალიბდეს იმად, რისი პოტენციალიც გაქვს” (ა. მასლოუ).

მასლოუს მოდელს სამუშაო ტერმინებში თუ წარმოვადგენთ, მისი მოთხოვნათა იერარქია შემდეგნაირად შეიძლება გადმოვცეთ:

1. ფიზიოლოგიური მოთხოვნილება; 2 სამუშაო პირობების უსაფრთხოება; 3. მეგობრობა და ჯგუფის წევრობა; 4. მიღწევის შინაგანი გრძნობა და აღიარება; 5. შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება.

ამ იერარქიის მიხედვით, უკუკავშირი შეგვიძლია დავაკავშიროთ მოტივაციური პირამიდის ყველაზე მაღლა მყოფ სამ საფეხურთან. უკუკავშირი მნიშვნელოვანია, როგორც ჯგუფის წევრობის განცდის არსებობის, ასევე აღიარებისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის განცდის თვალსაზრისით.

რას წარმოადგენს უკუკავშირი და რატომ ითვლება თანამედროვე ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაში ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მამოტივირებელ ფაქტორად?

ამ კითხვაზე პასუხისას ძალაუნებურად გვინევს ვუპასუხოთ სხვა, ადამიანური რესურსის არსის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კითხვას, თუ რას ნიშნავს ტერმინი „წარმატებული მენეჯერი“.

ამ ტერმინის მრავალნაირი განარტება არსებობს, ერთ-ერთი პოპულარული განარტების მიხედვით, მენეჯერი, რომელიც აღწევს სასურველ შედეგს განსაზღვრულ დროში, არსებული ბიუჯეტით – არის წარმატებული. ხშირად ამბობენ, რომ ადამიანური რესურსი არის ორგანიზაციის ყველაზე ღირებული რესურსი, თუ კი ეს მართლა ასეა, მაშინ წარმატებული მენეჯერია ის, ვინც ამ რესურსს სწორად გამოიყენებს.

ტერმინში „მოტივირება“ – შეიძლება ბევრი რამ იგულისხმებოდეს:

პერსონალის ნახალისება, შთაგონება, სტიმულაცია, კარგად მუშაობის მიზეზის მიცემა; მათთვის ისეთი განცდის შექმნა, რომელიც მუშაობას მოანდომებს;

პერსონალი – ესაა ადამიანების ერთობლიობა. ამიტომ წარმატებული მენეჯმენტი ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც დაქირავებულები თავს კარგად გრძნობენ შესრულებული სამუშაოს გამო. წარმატებული მენეჯმენტი გულისხმობს თითოეული ადამიანის და არა ზოგადად პერსონალის მოტივირებას, ამისთვის უკუკავშირი ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი საშუალებაა.

უკუკავშირი გამოხატავს ინტერესის არსებობას, უკუკავშირის საშუალებით ხდება სასურველი ქცევის ნახალისება, არასასურველისგან გათავისუფლება. უკუკავშირის საშუალებით ადვილი შესძლებელია გაუგებრობის თავიდან აცილება და პოზიციების სწორი განსაზღვრა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივაციურ თეორიად **მოლოდინის** თეორია ითვლება. ამ თეორიის მიხედვით, განმტკიცდება ის ქცევა, რომელიც დაჯილდოვდება, ხოლო, დასჯის შეთხვევაში, ქცევა შეფერხდება და, საბოლოოდ, გაქრება. დადებითი უკუკავშირი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დადებითი განმტკიცება, ხოლო უარყოფითი უკუკავშირი, როგორც უარყოფითი განმტკიცება.

არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც უკუკავშირი მნიშვნელოვანი მოტივატორია: პირველ რიგში, უკუკავშირი იმის მანიშნებელია, რომ საქმე, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ, მნიშვნელოვანია, – იმ შემთხვევაშიც კი, თუ უკუკავშირი უარყოფითია, ის ზრდის ჩვენს თვითპატივისცემას და აკმაყოფილებს ჩვენს მაღალ იერარქიულ დონეზე მყოფ მოთხოვნილებებს. მეორე მხრივ, ის ახორციელებს მოლოდინის თეორიას, ესაა ქცევა, რომელსაც მოჰყვება დასჯა ან ნახალისება. პოზიტიური უკუკავშირი თავისთავად ნახალისებას ნიშნავს, დასჯა კი უარყოფითი უკუკავშირია. თუ კი უკუკავშირს პერმანენტული ხასიათი ექნება, ჩვენ ვისწავლით სწორი ქცევის განხორციელებას და არსებული ქცევის კორექტირებას, შესაბამისი უკუკავშირის საფუძველზე.

უკუკავშირის, როგორც მამოტივირებელი მეთოდის გამოყენებისას, მნიშვნელოვანი რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება. ერთ-ერთი ყველაზე მიზანშეწონილი სახე უკუკავშირისა – ესაა შემთხვევითი უკუკავშირი, როცა სამუშაო სრულდება არ დაგეგმილად და გარკვეული პერიოდულობის დაცვით, არამედ შემთხვევით. შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე, ეს იწვევს მომუშავეს

ღირებულების გრძობას და აძლიერებს სასურველი ქცევისადმი სწრაფვას. ასეთი უკუკავშირი დადებითად მოქმედებს არა მხოლოდ ცალკეულ მომუშავეზე, არამედ მთელ კლექტივზე, რადგან არსებული უკუკავშირი ნათელს ხდის იმ ატრიბუტებს, რომლებიც გააჩნია ხელმძღვანელობას ამ სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით.

უკუკავშირი, რა თქმა უნდა, ყველასთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ, როდესაც მას მამოტივირებელ ფაქტორად ვიყენებთ, აქაც არ უნდა დაგვაინწყდეს მომუშავეთა ინდივიდუალური თავისებურებანი. ყველას არ საიმოვნებს უკუკავშირის მიღება სხვების თანდასწრებით. ეს შეიძლება დემამოტივირებელი აღმოჩნდეს, ეს ან არ გამოიწვევს შესასრულებელი ქცევის შეცვლას, ან, უარეს შემთხვევაში, შეიძლება ქცევა არასასურველი სახით შეიცვალოს.

ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამების შექმნა, რომლებსაც დააფასებს მომუშავე პერსონალი. ამის ერთ-ერთი საშუალებაა უკუკავშირის მეთოდების შემუშავებაში მათი ჩართვა. კარგი შესრულებული სამუშაოსთვის მიღებული უკუკავშირი სხვადასხვა ადამიანისთვის შეიძლება სხვადასხვა რამ იყოს. ზოგისთვის – ესაა ფული. ზოგისთვის – მათი სახელის საპატიო დაფაზე გამოკვრა; ძალიან პოპულარული ჯილდოა დამატებითი თავისუფალი დროის გამოყოფა. ოფიციალური სამდღიანი დასვენების უფლება ყველაზე სასურველია. როცა მომუშავეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ წამახალისებელი პროგრამების შექმნაში, ისინი იწყებენ უფრო მეტი ენთუზიაზმით მუშაობას. და ბოლოს, უფრო ადვილია ორგანიზაციული ერთიანობა, მაშინ, როცა ისინი ერთად მუშაობენ წამახალისებელ პროგრამებზე, ეს აადვილებს კომუნიკაციებს და კრავს გუნდს ორგანიზაციულად.

**არსებობს ფორმალური და არაფორმალური უკუკავშირი.**

ფორმალური უკუკავშირის ერთ-ერთი ეფექტური გზაა შესრულებული საქმიანობის გადამოწმება. იდეალურ შემთხვევაში, არ უნდა იყოს მოსალოდნელი არანაირი სიურპრიზები, თუკი ორგანიზაციის ორი მხარე, მენეჯერული და შემსრულებელი მთელი წლის განმავლობაში ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. საუკეთესო ვარიანტია, როცა ხელმძღვანელი წერს ანგარიშს, ხოლო მომუშავე წერს თვითშემაფასებელ დასკვნას, მისგან დამოუკიდებლად. შემდეგ, როცა ისინი შეაჯერებენ საკუთარ დასკვნებს, მათ შორის შეიძლება იყოს დამატებითი მოსაზრებების დოკუმენტი. ასევე სასურველი იქნება ორივე მხარემ წინასწარ დაწეროს წლის გეგმები და შემდეგ შეათანხმონ და შეაჯერონ ისინი ერთად. ამ შემთხვევაში, ხელმძღვანელებს კიდევ ერთხელ ეძლევათ შანსი გამოამყლავნონ თავიანთი ინტრესი მომუშავეების მიმართ. ხშირ შემთხვევაში, მსგავსი შეფასებები მხოლოდ მომუშავეების მიერ იწერება და ხელმძღვანელების ნაკლებ ინტერესს იწვევს, ასეთ დროს ხელმძღვანელი კარგავს თანამშრომელთა პატივისცემას.

როდესაც მიზნები ისახება, იგი უნდა იყოს მოქნილი. ამავე დროს სპეციფიკური – ზუსტად განსაზღვრული, რათა თითოეულმა თანამშრომელმა სწორად გაიგოს რას ელიან მისგან. გაზომვადი – რაოდენობრივად შესაძლებელი იყოს მათი გაზომვა, მიღწევადი – თუ მიზანი მომუშავეს მიუღწევლად მიაჩნია, იგი კარგავს მოტივაციას. დროში განსაზღვრული – შესაძლებელი უნდა იყოს არსებული საქმის მოცემულ დროში შესრულება.

მომუშავე პერსონალი იმსახურებს იცოდეს, რამდენად აღწევენ თავის დასახულ ამოცანებს და კარიერულ მიზნებს. ადამიანთა უმეტესობას მართლა უნდა სამუშაოს შესრულება, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, არ იციან თუ რას ელიან მათგან. ან შეიძლება, საკუთარი თავი აღმოაჩინონ ისეთ პოზიციაზე, რომელსაც არ აფასებენ ან არ მოსწონთ მისი შესრულება. პატიოსანი უკუკავშირი უზრუნველყოფს მოტივაციას, შესრულების გაუმჯობესებასა და შესრულებული სამუშაოს ხელახალ შეფასებას.

უკუკავშირის არსებობა გულისხმობს შესრულებული სამუშაოს დაფასებას, აღიარებას. შესრულების გადახედვის შემდეგ დაქირავებულნი განახლებული ძალებით და ენერგიით იწყებენ მუშაობას. თუ კი აღმოჩნდება, რომ არსებულ პოზიციაზე მომუშავე არც ისე კარგად გრძობს თავს, უნდა შეუცვალონ მას პოზიცია კომპანიის შიგნით ან მის გარეთ. მომუშავეს იძულება, შეასრულოს თავისი საქმე კარგად იმ პოზიციაზე, რომელიც მას არ მოსწონს, განწირულია. ნუ დაკარგავთ ნურც მის და ნურც თქვენს დროს.

არსებობს ორი წესი, რომლებიც კარგ ლიდერს ყოველთვის უნდა ახსოვდეს:

1. შეაქე საზოგადოებაში, გააკრიტიკე პირისპირ. ლიდერი, რომელიც აკრიტიკებს სხვების თანდასწრებით, კარგავს მთელი გუნდის პატივისცემას.
2. გუნდი იღებს შეფასებას წარმატებისთვის, ხელმძღვანელი იღებს ჩათვლას.

წარუმატებლობის გამო – ლიდერმა უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა გუნდის დაბალი შედეგის გამო. თუ ის ამას ვერ შეძლებს, ის არაა ნამდვილი ლიდერი. როცა ლიდერს აქებენ გუნდის წარმატებული საქმიანობის გამო, მან უნდა წახალისოს გუნდის წევრები.

მომუშავეებს ყოველთვის აქვთ მოთხოვნილება, ჰქონდეთ დასრულებულობის განცდა, იმისთვის რომ იმუშაონ მაღალ დონეზე, მათ თავი ღირებულად უნდა იგრძნონ, უნდა იგრძნონ, რომ „ზევით მიიწვევენ“, რომ შეუძლიათ აიღონ მეტი პასუხისმგებლობა და უმეტესობას სურვილი აქვს ნახოს კარიერული პროგრამები. ლიდერის უკუკავშირმა მსგავს სიტუაციაში შესაძლებელია შექმნას გარემო, სადაც მომუშავე იქნება თვითმოტივირებული.

თუ არ არსებობს უკუკავშირი, არ არსებობს მოტივაცია.

ნეგატიური უკუკავშირი, განსაკუთრებით ემოციური სახის, არაა სასარგებლო, აღწევს ტვინის იმ ნაწილში, სადაც ხდება დასწავლა. იმის მაგივრად, რომ იმპულსი ნეოკორტექსისკენ გაიგზავნოს, ლიმფური სისტემა მიმართულებას უცვლის. უსიამოვნო სტიმულს საბრძოლო ულუფებად უშვებს ჩვენი ტვინისკენ ისე, რომ ჩვენ შევძლოთ თავდაცვითი მეთოდის შემუშავება. ჩვენი ტვინის სასწავლო პოტენციალი მთლიანად იკეტება და ჩვენ გვეძლევა იმდენი მენტალური შესაძლებლობა, რამდენიც საჭიროა თავდაცვისთვის.

ლიდერები, როგორც წესი, იშვიათად განსაზღვრავენ ნათლად თუ რას მოითხოვენ თანამშრომლებისგან, ან თუ კი უკუკავშირი არსებობს, ის, როგორც წესი, ნეგატიური ხასიათისაა და უფრო დემოტივირებას ემსახურება. მიუხედავად ამისა, ლიდერებს მაინც აქვთ მოლოდინი, რომ შესრულების დონე გაუმჯობესდება და მოტივაციის დონე ამაღლდება.

პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კი ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პოზიტიურ და ხშირ უკუკავშირს და თავს აარიდებს ნეგატიური უკუკავშირის გამოყენებას. თუ კი პრობლემის გადაწყვეტა ასეთი მარტივია, რატომაა რომ ამ მეთოდებს თითქმის არ იყენებენ? პასუხი, ხშირ შემთხვევაში, ისეთივე მარტივია, როგორიც პრობლემის გადაწყვეტა. ხელმძღვანელებს, თავის მხრივ, არ აქვთ საკმარისი დრო, მათაც ჰყავთ თავიანთი ხელმძღვანელი, რომელიც სამსახურის გარეთ არასოდეს მოუსმენს. ეს ერთგვარი მანკიერი წრეა. თუ კი ადამიანებს ექნებათ არასწორი უკუკავშირი, მათი მოტივირება წარიმართება მცდარი მიმართულებით. ეფექტური უკუკავშირის მიცემის შემთხვევაში, არის შესაბამისი მოტივირება.

ყველაზე რთულია, ისწავლო როგორ მისცე ადეკვატური უკუკავშირი, რადგან ლიდერისა და თანამშრომლის ურთიერთობის ყოველი ეტაპი მოიცავს უკუკავშირის ელემენტებს. იქნება ეს ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო ზარი, თვალის შევლება ჩავლისას, არაფრის თქმა მაშინ, როცა რაღაცის თქმა იყო საჭირო, ის სიტყვები, რომლებიც საუბრისას ითქვა, – ეს ყველაფერი უკუკავშირის სახეებია. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ეს არაა ის დადებითი უკუკავშირი, რომელიც ასე აუცილებელია თანამშრომელთა მოტივირებისთვის. ეს სიტყვები და ეს ნაშრომი უნდა გახდეს მამოტივირებელი იმათვის, ვის კომპეტენციაშიც შედის ადამიანების მოტივირება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. კუტალაძე, ადამიანური რესურსის მენეჯმენტი.
2. Kevin McManus, No Feedback, No Motivation. Industrial Magazine, April 2001.
3. John Allan, How to be better at Motivating People, 1996.

**MEANING OF FEEDBACK IN WORKING MOTIVATION AND WORKING SATISFACTION****Sofiko Gogochashvili****Abstract**

Working motivation is an important strength for human activities. In modern period as most of the organizations realize that the salary and working compensation is not the only motivating factor for their employees, more and more importance is given to the issue of motivation from the employer for its employee.

There is a wide spectrum of motivation factors; various organizations use various mechanisms of motivation. However, there is no universal receipt, with the use of which we will be able to define beforehand the use of which mechanisms will be affective in certain cases. As a result, in the process of drawing out the working motivation strategy it is essential to foresee the important values of the service personnel. Feedback which the employer permanently receives from its employees serves exactly for this reason.

Therefore, the aim of the work is to introduce the working motivation and the feedback methods and mechanisms to the auditorium which help any organization and the management to better manage and what is the most important to improve working satisfaction and the quality of the accomplished work.

**კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და  
საკონსტიტუციო იუსტიციის მოქმედება  
(ზოგიერთი თეორიული საკითხი)**

**გიორგი კვერენჩილაძე**

*სამართლის დოქტორი  
ასოცირებული პროფესორი*

„... სხვა არჩევანი არ არსებობს. კანონი, რომელიც  
ენინააღმდეგება კონსტიტუციას, ბათილია. ეს ბოჭავს როგორც  
სასამართლოებს, ისე ხელისუფლების სხვა განმტოებებსაც.“  
“Marbury v. Madison”, 1803.

„თუ კონსტიტუციასა და კანონს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა  
აღმოჩნდება, კონსტიტუციას უპირატესობა უნდა მიენიჭოს კანონის წინაშე,  
ხალხის განზრახვას–მისი წარმომადგენლების განზრახვის წინაშე ...“  
ალექსანდერ ჰამილტონი, „ფედერალისტი“ N78, 1788.

**სამართლებრივი სახელმწიფო და კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი.**

ადამიანის უფლებები, დემოკრატია, სამართალი და კანონი, კონსტიტუციონალიზმი და სამართლებრივი სახელმწიფო–სწორედ ეს ინსტიტუტები წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო და ინდივიდუალურ ფასეულობებს. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა თავისთავად არ აღმოცენებულა. იგი წარმოიშვა კაცობრიობის მიერ პიროვნების თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისათვის ბრძოლის პროცესში. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეები და ფუძემდებლური პრინციპები მიმართული იყო აბსოლუტიზმისა და ტირანიის, ავტორიტარული და სამხედრო რეჟიმების წინააღმდეგ.

იდეები, რომლებიც სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებებს უკავშირდება – ხელისუფლების დანაწილება, სახელმწიფოს სამართლით შებოჭვა, ადამიანის ბუნებითი, განუყოფელი უფლებები – ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში წარმოიშვა. შესაბამისად, სამართლებრივ სახელმწიფოს, როგორც გარკვეულ თეორიულ კონცეფციასა და შესაბამის პრაქტიკას, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ანტიკური ხანის მოაზროვნეები (სოკრატე, დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი) ცდილობდნენ გამოეყვინათ იმდაგვარი კავშირები სამართალსა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შესაბამისი პერიოდის ეპოქის ჰარმონიულ ფუნქციონირებას. მათი მოსაზრებით, ყველაზე მეტად მისაღები და სამართლიანი იყო ადამიანთა თანაცხოვრების ისეთი პოლიტიკური ფორმა, რომლის დროსაც კანონი შესასრულებლად სავალდებულო იქნებოდა როგორც პიროვნებისათვის, ასევე თავად სახელმწიფოსათვის. სწორედ ანტიკური ხანის მოღვაწეთა შეხედულებების სიმბოლურ გამოხატულებად იქცა მართლმსაჯულების ქალღმერთის სახე, რომელიც ასახავდა ძალისა და სამართლის ერთიანობას. მართლმსაჯულების სიმბოლო გამოხატავდა და დღესაც გამოხატავს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს არსსა და იდეას, არამედ მთლიანობაში სამართლიანი სახელმწიფოს, კონკრეტულად კი ადამიანთა საზოგადოებაში ხელისუფლების სამართლიანი ორგანიზაციის იდეას.

თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფო წარმოადგენს დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლება-თავისუფლებების დაცვას და ხალხის უშუალო მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ თანამედროვე პერიოდში სამართლებრივი სახელმწიფოს მრავალგვარი განმარტება არსებობს, თითოეულს გააჩნია ერთი საერთო, უნიფიცირებული მომენტი–სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი პრინციპები. ეს პრინციპები გახლავთ:

- სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად;
- სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის უფლება-ვალდებულებების გამიჯვნა;



- ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმი, რაც გულისხმობს პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი გაერთიანებების შეუზღუდავ ფუნქციონირებას კონსტიტუციურ ფარგლებში, საზოგადოებაში განსხვავებული იდეოლოგიური კონცეფციებისა და შეხედულებების არსებობას;
- საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტების სასამართლო წესით დაცვა ნებისმიერი სახის უკანონობისა და თვითნებობისაგან;
- შიდაეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან.

და, რაც ყველაზე მთავარია, სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს კანონის, უპირველესად კი, კონსტიტუციის უზენაესობა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. სწორედ, აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს კონკრეტულ სახელმწიფოში კონსტიტუციური კანონიერების რეჟიმის შექმნას და სამართლიანი სამართლებრივი წესრიგის დამკვიდრებას.

კონსტიტუციის უზენაესობაში მოიაზრება მისი უმაღლესი იურიდიული ძალა ყველა სხვა სამართლებრივი აქტის მიმართ. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემა ხდება კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად, ხოლო იმ კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, არ გააჩნია იურიდიული ძალა.

სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ის ფაქტორიც, რომ ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს სამართალგამოყენებითი პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის კონსტიტუციას. ნებისმიერ თანამდებობის პირსა თუ სახელმწიფო მოხელეს ეკისრება პასუხისმგებლობა კონსტიტუციით განმტკიცებული პრინციპებისა და ნორმების დარღვევისათვის და ბოლოს, კონსტიტუციის უზენაესობა გულისხმობს მის მოქმედებას სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე და არა მის რომელიმე ცალკეულ რეგიონზე.

**კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და საკონსტიტუციო იუსტიცია.**

კონსტიტუციის უზენაესობის ზემოხსენებული პრინციპების განხორციელება არ ხდება ავტომატურად. მისი მოქმედება შესაძლებელია დაირღვას განზრახ, ან სამართალშემოქმედების პროცესში დაშვებული შეცდომების შედეგად. მსგავსი არასასურველი გარემოებების თავიდან აცილების მიზნით, კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებულია კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს საკონსტიტუციო იუსტიცია (კონტროლი).

უკანასკნელ პერიოდამდე იურიდიულ თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში გავრცელებული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კონსტიტუცია თავისთავად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა თავისუფლებათა დაცვასა და საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას. ხაზგასასმელია, რომ კონსტიტუციის დაცვისა და მასში განმტკიცებული ინსტიტუტების ქმედითობის წინაპირობას წარმოადგენს იმგვარი სოციუმის შექმნა, რომელიც წინ აღუდგება კონსტიტუციით დადგენილი წყობის ნებისმიერ შესაძლო ხელყოფის ფაქტს. შესაბამისად, კონსტიტუციური ნორმების საფუძველზე უნდა შეიქმნას ისეთი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტები და სოციალური ურთიერთობები, რომლებიც დაეხმარებიან ქვეყანას დემოკრატიის განმტკიცებაში. თავად დემოკრატიის სიმყარე განისაზღვრება არა მხოლოდ კონსტიტუციის (თუნდაც საკმაოდ დემოკრატიულის) მიღებით, არამედ ამ კონსტიტუციის ცხოვრებაში რეალური ამოქმედებითა და ხელისუფლების შტოთა შორის იურიდიულად განმტკიცებული ბალანსის მიღწევით, რაც, თავის მხრივ, მოქალაქეთა მხრიდან კონსტიტუციის პატივისცემასა და ნდობის მაღალ ხარისხს განაპირობებს. შესაბამისად, კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონის დაცვის ქმედითი მექანიზმის არსებობა თავად საზოგადოების მოთხოვნილებას უნდა წარმოადგენდეს.

კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ სამართლებრივ სახელმწიფოში კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი, ხალხის ნების საყოველთაო გამოხატულებად და უმაღლესი რანგის ეროვნულ სამართლებრივ ნორმად გვევლინება. მისი როლი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული და მნიშვნელოვანად დიდია, ვინაიდან სწორედ კონსტიტუცია

ამკვიდრებს იმ დემოკრატიულ ღირებულებებს, რომელთა საფუძველზეც უნდა განვითარდეს სახელმწიფო და საზოგადოება.

კონსტიტუცია უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტია და, ამდენად, მასში დაფიქსირებულ იმ ძირითად ნორმა-პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობა ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემა, განსაკუთრებული დაცვა და უზრუნველყოფა სჭირდება. კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვა და შესრულება საყოველთაოდ სავალდებულოა, მაგრამ მისი სტაბილურობისათვის ეს საკმარისი არ არის. კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვისა და მისი უზენაესობის უზრუნველყოფისათვის კონკრეტულ ქვეყანაში საგანგებო იურიდიული მექანიზმები უნდა არსებობდეს.

სამართლებრივი სახელმწიფო აღიარებს კონსტიტუციის უზენაესობას და მას უქვემდებარებს ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობას. მაგრამ, სამართლებრივი სისტემებისა და სასამართლოს ფუნქციების შესახებ არსებული განსხვავებული მოსაზრებების გამო, კონსტიტუციის ნორმატიულ მხარეში სხვადასხვა შინაარსს გულისხმობენ. იგი, უპირველესად, ფუძემდებლური კანონი და მიმდინარე კანონმდებლობის ბაზას წარმოადგენს, რომელიც ყველას ავალდებულებს იმოქმედოს კონსტიტუციის ფარგლებში და მის შესაბამისად. ამგვარი ვალდებულება, პირველ რიგში, საკანონმდებლო ორგანოზე ვრცელდება, რადგან კონსტიტუციის დარღვევის რეალური საფრთხე სწორედ მისგან იქმნება, არაკონსტიტუციური კანონების მიღების გზით.

ამდენად, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უმთავრესი წინაპირობა გახლავთ, დღის წესრიგში აყენებს მისი დამცავი მექანიზმების სრულყოფის საკითხს. კონსტიტუციის დაცვის მთავარი საშუალება მისი დამრღვევი ნორმების გამოვლენა და აღმოფხვრაა, რაშიც ყველაზე ეფექტურ სამართლებრივ მექანიზმად საკონსტიტუციო იუსტიცია გვევლინება.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საკითხი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის აქტუალურია, განსაკუთრებით კი „ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყნებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში არიან და სადაც ხშირად ცვალებადი პოლიტიკური კლიმატის პირობებში კონსტიტუცია არც თუ იშვიათად რჩება დაუცველი როგორც უშუალოდ მასზე ზემოქმედების გზით, ასევე მიმდინარე კანონმდებლობისაგან.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ გაითვალისწინა საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო-საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის ძირითად ფუნქციებად განისაზღვრა კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციის უზრუნველყოფა და ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ფუნქციების განხორციელება გარკვეულ სირთულეებს წააწყდა. უპირველესად, ეს იყო ძველი, საბჭოური აზროვნების ინერცია. საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა საწყის ეტაპზე გარკვეულ უნდობლობასა და ზოგჯერ გაღიზიანებასაც კი იწვევდა, ვინაიდან პირველად ამოქმედდა ინსტიტუტი, რომელსაც შეეძლო ძალდაკარგულად გამოეცხადებინა პრეზიდენტისა თუ პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს არა მხოლოდ არბიტრის სახით ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დადგენაში, არამედ იგი, როგორც „ნეგატიური კანონმდებელი“, ხელს უნდა უწყობდეს კანონმდებლობის სრულყოფის პროცესს.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს მხოლოდ სამართლის საკითხებს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ფუნქცია გახლავთ არა მხოლოდ პოლიტიკისაგან დაშორება, არამედ პოლიტიკური პრობლემების წმინდა სამართლებრივი გზებით გადაწყვეტა. საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს სამართლის და არა ფაქტების სასამართლოს. იგი აფასებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ნორმატიულ აქტებს კონსტიტუციურობის და არა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართლოს პოლიტიკისაგან გამიჯვნა განპირობებულია რამდენიმე გარემოებით. უპირველესად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ იხილავს არც ერთ საკითხს საკუთარი ინიციატივით, იგი განიხილავს მხოლოდ კანონით უფლებამოსილი სუბიექტების მიერ შემოტანილ სარჩელებსა და წარდგინებებს. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს ეკრძალება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა. სტაბილურო-

ბის მექანიზმია ჩადებული თავად საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების მექანიზმშიც, მისი შემადგენლობა დაკომპლექტებულია აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების შტოთა თანაბარი მონაწილეობით: სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, სამს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ნიშნდობლივია ის გარემოებაც, რომ ამგვარი კრიტერიუმით დაკომპლექტებული საკონსტიტუციო სასამართლო თავად ირჩევს თავმჯდომარეს საკუთარი შემადგენლობიდან, რომლის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ერთობლივი წარდგინებით. და ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლო არ არის აღჭურვილი პრევენციული, *a priori* კონტროლის ფუნქციით, მას მხოლოდ შემდგომი, *a posteriori* კონტროლის კომპეტენცია გააჩნია, რაც გამორიცხავს სასამართლოს მონაწილეობას საკანონმდებლო აქტების მომზადებისა და მიღების პროცესში, რომელიც, თავის მხრივ, წმინდა პოლიტიკური პროცესია.

ხაზგასმით გვინდა შევეხოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას—მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხს. სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა ხელისუფლებისაგან ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან გარანტიას, კონსტიტუციით ადამიანის უფლება-თავისუფლებების აღიარების პარალელურად, წარმოადგენს ამ უფლებების დაცვის ქმედითი მექანიზმების გათვალისწინებაც. ამ პროცესის ეფექტურობა კი საგრძნობლად იზრდება, თუ საერთო სასამართლოებთან ერთად უფლება-თავისუფლებების დაცვას უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლო. ამ თვალსაზრისით, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი გარანტიები შექმნა. ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც მოქალაქე უფლებამოსილია საკუთარი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად უშუალოდ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობაში საკონსტიტუციო სასამართლოებს მსგავსი კომპეტენცია არ გააჩნიათ. ამ კომპეტენციის ფარგლებში მოქალაქეთა სარჩელების რიცხვი საქართველოში საკმაოდ მაღალი და წლების მიხედვით მზარდია.

სამწუხაროდ, საქართველოში ხშირად არასწორად ხდება თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობისა თუ დანიშნულების ინტერპრეტაცია. არც თუ იშვიათად, დამატებით კომენტარებს საჭიროებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებების საბოლოობა და შესასრულებლად სავალდებულოობა, თავად სასამართლოს დამოუკიდებლობა (მიუხედავად მისი ფორმირების მექანიზმისა). იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების ახალი ნორმატიული აქტის გამოცემით „გადაფარვის“ შემთხვევაც. ამგვარი სირთულეები, უპირველესად, განპირობებულია კომუნისტური რეჟიმის მემკვიდრეობით—ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური თუ სამართლებრივი არასტაბილურობით, ერთგვარი სამართლებრივი ნიჰილიზმით. ვიმედოვნებთ, რომ სამართლებრივი კულტურის თანდათანობით ზრდასთან ერთად, შემცირდება ხსენებული ტიპის პრობლემებიც. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს სახელმწიფოს მოვალეობისაგან, რათა სამართლებრივი, იდეოლოგიური ან თუნდაც მატერიალურ-ფინანსური ღონისძიებებით უზრუნველყოს საკონსტიტუციო სასამართლოს ღირსეული არსებობა, სრული ობიექტურობა და დამოუკიდებლობა.

**საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელები: „ბრძოლა უპირატესობისათვის“.**

ზოგადად, ცნობილია, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების განსხვავებული სისტემები და სახელმწიფოთა არჩევანიც ამ თვალსაზრისით არაერთგვაროვანია. სასამართლო ორგანოების მიერ საკონსტიტუციო იუსტიციის განხორციელების სფეროში ძირითადად ერთმანეთისგან განასხვავებენ „ამერიკულ“ და „ევროპულ“ მოდელებს. პირველი გულისხმობს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ, ხოლო მეორე—ამისათვის სპეციალურად შექმნილი სასამართლო ორგანოს—საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. გვსურს შევჩერდეთ იმ რამდენიმე, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან გარემოებაზე, რამაც განაპირობა საკონსტიტუციო იუსტიციის ამერიკული მოდელის არგაზიარება ევროპის მიერ.

საკონსტიტუციო კონტროლის დოქტრინას საფუძველი ჩაეყარა ა.შ.შ.-ში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო იუსტიციის ამერიკული მოდელი. მისი უმთავრესი მახასიათებელი,

რაც მას განასხვავებს საკონსტიტუციო იუსტიციის სხვა მოდელებისაგან, მდგომარეობს იმაში, რომ საკონსტიტუციო იუსტიციის განხორციელების უფლებამოსილება ეკისრება საერთო სასამართლოთა მთელ აპარატს და საკონსტიტუციო მართლმსაჯულება არ არის განცალკევებული საერთო სამართალწარმოებისაგან. ნებისმიერი საქმე, მიუხედავად მისი სახეობისა, იხილება და წყდება ერთი და იმავე სასამართლო სისტემის მიერ ერთი და იმავე პროცედურების გამოყენებით. გარდა ამ მახასიათებლისა, საკონსტიტუციო იუსტიციის ამერიკული მოდელი ხასიათდება ოთხი ძირითადი ნიშნით:

- ა) კონსტიტუციურობის კონტროლი ატარებს უნივერსალურ ხასიათს. იგი ვრცელდება არა მხოლოდ კანონებზე, არამედ ყველა ნორმატიულ აქტზე, ხელისუფლების განხორციელების ნებისმიერ დონეზე;
- ბ) კონსტიტუციურობის კონტროლი არასისტემატიზირებული ხასიათისაა. იგი ხორციელდება დროგამოშვებით, აქვს კონკრეტული ხასიათი და შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი დონის საერთო სასამართლოს მიერ ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ეხება მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს. სწორედ ამ კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში შესაძლებელია სასამართლოს წინაშე დადგეს კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი;
- გ) კონსტიტუციურობის კონტროლი ატარებს კაზუალურ ხასიათს. მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში, როდესაც ერთ-ერთი მხარე მიიჩნევს, რომ მეორე მხარის მოთხოვნა ეფუძნება კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმას. ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურობის პრობლემა ჩნდება მხოლოდ სასამართლო განხილვის პროცესში, სხვა თანმდევ პრობლემებთან ერთად, რომლებიც უნდა გადაწყვიტოს სასამართლო;
- დ) კონსტიტუციურობის კონტროლი ატარებს შედარებით ხასიათს. სასამართლოს გადანყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ მოდავე მხარეებისთვის, არ ვრცელდება სხვა სუბიექტებზე და არ შეიძლება მისი შემდგომი გამოყენება ანალოგიური საქმეების განხილვისას. სამართლებრივი ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ გამოცხადების პროცესში სასამართლო განმარტავს მას, როგორც არარსებულ ნორმას და, შესაბამისად, მასზე ყურადღების გამახვილების გარეშე გამოაქვს გადანყვეტილება არსებითი დავის თაობაზე.

ევროპული მოდელის შემოღებას, ანუ საკონსტიტუციო კონტროლის გამიჯვნას საერთო სასამართლოების საქმიანობისგან, სათანადო მოტივაცია გააჩნია:

– საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური სასამართლო ორგანოს შექმნის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გამომდინარეობს რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის ოჯახების ერთმანეთისაგან განმასხვავებელი კრიტერიუმებიდან, რომელთაგან გადამწყვეტია თითოეულის მიერ სამართლის ამა თუ იმ წყაროსთვის უპირატესობის მინიჭება. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში პრიორიტეტი პრეცედენტულ სამართალს აქვს, ხოლო ევროპაში სამართლის უპირველეს წყაროდ კანონია აღიარებული. აქედან გამომდინარე, კანონის პირველ ადგილზე წამოწევა მის განსაკუთრებულ დაცვასაც მოითხოვს და კანონზომიერია, რომ პირველობა ამ თვალსაზრისითაც კონსტიტუციის—უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტის დაცვას ეკუთვნის. საქართველოც ტრადიციულად დაწერილი სამართლის ქვეყანაა, რამაც სანყისშივე განსაზღვრა მისი ევროპის სამართლის ოჯახისადმი მიკუთვნება. რომის სამართალმა, რომელიც მსოფლიოს უდიდესი სამართლებრივი ოჯახის (რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის) საფუძველია, ქართულ მართლშეგნებაზეც იქონია გავლენა, ამიტომ ბუნებრივია, უპირატესი იურიდიული ძალის მქონე კანონის დაცვის სფეროშიც საქართველოს ორიენტაცია ევროპულ გამოცდილებაზეა მიმართული;

– ვენის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორის — ჰანს კელზენის მოსაზრებით (რომლის იდეებიც საკონსტიტუციო კონტროლის ევროპული მოდელის აღმოცენების საფუძველად არის მიჩნეული), საკონსტიტუციო სამართალწარმოება, თავისი ფუნქციების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, არ განეკუთვნება ხელისუფლების არც ერთ შტოს, ის უზრუნველყოფს ხელისუფლების შტოებს შორის წონასწორობას, თითოეული მიერ კონსტიტუციისა და სამართლის საერთო პრინციპების უპირობო შესრულებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ხელისუფლების სამივე შტოს შორის არბიტრის ფუნქციის განხორციელება. ნებისმიერ სახელმწიფოში, ყველაზე დემოკრატიულშიც კი, დიდია ხელისუფლების შტოთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ცდუნება, თუნდაც კონსტიტუციაში მათი კომპეტენციის მკვეთრად გამიჯვნის პირობებში. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს საკონსტიტუციო იუსტიციის სპეციალური ორგანოს არსებობას, რომელიც მიუთითებს ხელისუფლების სამივე შტოს კონსტიტუციის დაცვისაკენ. ამ მისიის საერთო იურისდიქციის სასამართლოებისათვის მინიჭება ავტომატურად გამორიცხავს სასამართლო ხელისუფლებას, როგორც ხელისუფლების შტოებს შორის შესაძლო სამართლებრივი კონფლიქტის ინიციატორს ან ამ ურთიერთობებში დაზარალებულს, რაც, პირველ შემთხვევაში, მას, გარკვეულწილად, თვითნებობის საშუალებას აძლევს, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ხელისუფლების სხვა შტოებს ეძლევა სასამართლოზე ზემოქმედების შესაძლებლობა.

საკონსტიტუციო კონტროლის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელების პირობებში არსებობს ზემოაღნიშნული ორივე გარემოების უგულვებელყოფის შესაძლებლობები. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოთა უმრავლესობა იხილავს დავებს სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე, სადაც სასამართლოც შეიძლება იყოს როგორც მოსარჩელე, ისე — მოპასუხე. მეტიც, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მოქალაქეებს იცავს არა მხოლოდ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, არამედ სასამართლო ხელისუფლების მხრიდან შესაძლო თვითნებობისგანაც. კერძოდ, მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ არა მარტო კანონები, პრეზიდენტისა თუ მთავრობის აქტები, არამედ საერთო სასამართლოების ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც ხელყოფენ მათს კონსტიტუციურ უფლებებს (გერმანია).

– სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლოების შექმნის ერთ-ერთი მიზეზი გახდა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სპეციფიკური კომპეტენციის აუცილებლობა. სწორედ, ამის თაობაზე მიუთითა იტალიელმა პროფესორმა კაპელეტიმ, როდესაც აღნიშნა, რომ „კონტინენტური ევროპის მოსამართლეთა, ჩვეულებრივ, წარმოადგენენ სასამართლო უწყების ჩინოვნიკებს, რომელთაც არ შესწევთ კანონმდებლობაზე კონტროლის უნარი, რაც თავისი არსით ყოველთვის შემოქმედებით ხასიათს ატარებს და მოსამართლეთა (იგულისხმება საერთო სასამართლოები) ტრადიციული ფუნქციებიდან ყოველთვის შორს დგას“.

– ევროპის მიერ ამერიკული მოდელის არგაზიარების ერთ-ერთი საფუძველი გახდა მიდგომა მოსამართლეთა სპეციალიზაციის საკითხთან დაკავშირებით. თუ საერთო სამართლის ქვეყნებში საკონსტიტუციო მართლმსაჯულება განუყოფელია საერთო სამართალწარმოებისაგან, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში არსებობს მოსამართლეთა სპეციალიზაციის ფართო სპექტრი.

ყურადღებას გავამახვილებთ ევროპული მოდელის რამდენიმე უპირატესობაზე ამერიკულ მოდელთან მიმართებით:

1. სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა ხელისუფლებისგან ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან გარანტიას, კონსტიტუციით ადამიანის უფლება-თავისუფლებების აღიარების პარალელურად, წარმოადგენს ამ უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმების გათვალისწინებაც. ამ პროცესის ეფექტურობა კი საგრძნობლად მაღლდება, თუ საერთო სასამართლოებთან ერთად უფლებებს და თავისუფლებებს უზრუნველყოფს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანო—საკონსტიტუციო სასამართლო. ამერიკული მოდელის მიხედვით კი ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვის ერთადერთ საშუალებად რჩება მათი შესაბამისი აპელაციები მხოლოდ საერთო იურისდიქციის სასამართლოებში. აქ კონსტიტუციური უფლებების სპეციალური დაცვის დამატებითი მექანიზმი არ არსებობს.

2. საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელის პირობებში ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების საკითხი დგება მხოლოდ კონკრეტული დავის (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების) განხილვისას, ანუ ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლი, მაშინ როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისმა სუბიექტებმა შეიძლება მიმართონ სპეციალური ნორმის კონსტიტუციურობის დადგენის მიზნით, კონკრეტულ დავასთან კავშირის გარეშე.

ზოგადად, საკონსტიტუციო კონტროლის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელების შემთხვევაში, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის გაცილებით მეტი საშუალებაა.

ეს მოდელი ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებს, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ფუნქციები: კონსტიტუციის ნორმების განმარტება; დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე; ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი; ნორმათა პრევენციული კონტროლი და ა.შ. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვანწილად ზრდის ქვეყანაში ნორმატიული ბაზის კონსტიტუციასთან მაქსიმალურად შესაბამისობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

3. კონსტიტუციურობის კონტროლი ევროპული მოდელის პირობებში ატარებს უნივერსალურ ხასიათს. იგი ვრცელდება არა მხოლოდ კანონებზე, არამედ ყველა ნორმატიულ აქტზე, ხელისუფლების განხორციელების ნებისმიერ დონეზე.

4. ამერიკული მოდელის შემთხვევაში კონსტიტუციურობაზე დავის უფლება აქვთ მხოლოდ კერძო პირებს, ევროპული მოდელის შემთხვევაში – იურიდიულ პირებსაც.

5. საერთო სასამართლოებში კონკრეტულ საქმეთა განხილვა შესაძლოა დიდ დროსთან იყოს დაკავშირებული და შესაბამისად, შესაძლო არაკონსტიტუციური ნორმაც იმოქმედებს შესაბამისი გადანყვეტილების მიღებამდე.

6. საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელის თანახმად, საერთო იურისდიქციის სასამართლოებს არა აქვს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება. მაგალითად, აშშ-ს უმაღლეს სასამართლოს უფლება აქვს არ დაუშვას კონკრეტული კანონის გამოყენება მისი ქვემდებარე საქმეების გადანყვეტისას, მაგრამ ის ვერ გამოაცხადებს კანონს ძალადაკარგულად. უმთავრესი, კონტროლის შედეგის თვალსაზრისით, გახლავთ ის გარემოება, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი არ ცხადდება გაუქმებულად, იგი არ კარგავს იურიდიულ ძალას. ჩერდება არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის მოქმედება და სასამართლოებს, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებს ეკრძალებათ ამ აქტის გამოყენება სამართალშეფარდებით პროცესში. უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება შემოიფარგლება მხოლოდ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის გაუქმების მოთხოვნით კონგრესისადმი მიმართვის შესაძლებლობით, რაც დროში განერიდა პროცედურა. შესაბამისად, არაკონსტიტუციური ნორმა განაგრძობს მოქმედებას, თუმცა იგი არ გამოიყენება. შედეგად, კონგრესს უფლება აქვს, შეცვალოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება, თუ შესწორებას შეიტანს კონსტიტუციაში (ეს სამჯერ მოხდა აშშ-ს ისტორიაში), ან შესწორება შეიტანოს თავად კანონში და მოიყვანოს ის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში.

7. კიდევ ერთი გარემოება, რომელიც უნდა აღინიშნოს საკონსტიტუციო იუსტიციის ამერიკულ მოდელთან დაკავშირებით. სამართლებრივ თუ პოლიტიკურ პრაქტიკაში დამკვიდრდა ტერმინი „საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელი“, რაც არამართებულად მიგვაჩნია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ ამერიკული მოდელი გახლავთ არა „საკონსტიტუციო კონტროლი“, არამედ საკონსტიტუციო იუსტიციის მეორე ნაირსახეობა – „საკონსტიტუციო ზედამხედველობა“. სხვაობა ამ ორ ტერმინს შორის არსებითია, ისინი არატოლფას ცნებებს წარმოადგენს. საკონსტიტუციო ზედამხედველობა (ანუ ამერიკული მოდელი) გულისხმობს კონსტიტუციასთან შეუსაბამო სამართლებრივი ნორმების მხოლოდ აღმოჩენას და შემდგომ რეკომენდაციით მიმართვას იმ ორგანოს ან თანამდებობის პირისადმი, რომელიც უფლებამოსილია გააუქმოს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა. რაც შეეხება საკონსტიტუციო კონტროლს, რომელიც საზედამხედველო ფუნქციის მატარებელიცაა, იგი მოიცავს კონსტიტუციასთან შეუსაბამო საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმების არა მხოლოდ აღმოჩენას, არამედ თავად კონტროლის განხორციელებელი ორგანოს მიერ მათი გაუქმებისა და ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილებას. როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო იუსტიციის ამერიკული მოდელი არ ითვალისწინებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის გაუქმებას სასამართლოს მიერ, ჩერდება ამ ნორმის მოქმედება. შესაბამისად, ამგვარი მოდელის პირობებში საქმე გვაქვს არა საკონსტიტუციო კონტროლთან, არამედ საკონსტიტუციო ზედამხედველობასთან.

8. ძირითადი უპირატესობა, რომელიც გააჩნია საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას სპეციალური ორგანოს მიერ, არის სამართალწარმოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის უფრო დიდი და რეალური ალბათობა.

საკონსტიტუციო კონტროლი თავისი შინაარსით, ფუნქციონალური დატვირთვის სპეციფიკით, აქედან გამომდინარე, სამართალწარმოების სპეციალური პროცედურით, არსებითად განსხვავდება საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისაგან. მართალია, როგორც

საკონსტიტუციო კონტროლის, ისე მართლმსაჯულების განხორციელება—ორივე სასამართლო ხელისუფლების პრეროგატივაა, მაგრამ ისინი არ მოიცავენ ერთი მეორეს და თავიანთი დანიშნულებით პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ბუნებრივია, სასამართლო ხელისუფლების ორი განსხვავებული ფუნქციის—საკონსტიტუციო კონტროლის და მართლმსაჯულების განხორციელება ცალ-ცალკე, ამაზე უფლებამოსილი სპეციალური ორგანოების მიერ პრაქტიკულად უფრო ეფექტურ შედეგს უნდა იძლეოდეს თითოეული ამ ფუნქციის სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვიდრე მათი შეჯერებისას ერთი ტიპის სასამართლო ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში.

ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ევროპული მოდელის მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ის, რომ სპეციალური საკონსტიტუციო იურისდიქციის პირობებში კონკრეტული საქმის გარემოებათა გამოკვლევა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება უფრო რაციონალიზირებული პროცედურით ხორციელდება. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ საკონსტიტუციო-სამართლებრივი საკითხების განხილვით, მას არ ევალება ერთდროულად გადაწყვიტოს ასევე სპეციალური საკითხები სამართლის სხვა სფეროებიდან (სამოქალაქო, სისხლის თუ ადმინისტრაციული სამართლის სფეროში). ეს, ბუნებრივია, იძლევა კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონფლიქტების უფრო დეტალურად და ამომწურავად შესწავლის შესაძლებლობას, შესაბამისად, დადებითად მოქმედებს მისი გადაწყვეტის ხარისხზეც, რაც გაცილებით რთულად მიღწევადი უნდა იყოს საკონსტიტუციო კონტროლის საერთო სასამართლოების იურისდიქციასთან შეჯერების პირობებში.

9. ევროპული მოდელის პირობებში გაცილებით მარტივია სასამართლო გადაწყვეტილებისათვის საყოველთაოდ სავალდებულო ხასიათის მინიჭება. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა უშუალოდ სასამართლოს მიერ ცხადდება ძალადაკარგულად და არ ჩნდება გამომცემი ორგანოსადმი ამ ნორმის გაუქმების მოთხოვნით მიმართვის საჭიროება.

10. ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება საერთო სამართალწარმოების განხორციელებასთან შედარებით, გარკვეულწილად, უფრო „საპასუხისმგებლოა“, რამდენიმე გარემოების გამო:

ა) საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტს, უმეტესწილად, წარმოადგენს ნორმატიული აქტები, რომლებიც თავიანთი ბუნებით მრავალჯერადი გამოყენებისაა და პირთა განუსაზღვრელ წრეს შეეხება. შესაბამისად, მათი არაკონსტიტუციურად ან კონსტიტუციის შესაბამისად ცნობის შემთხვევაში, შედეგი დგება არა ცალკეული სუბიექტისთვის, არამედ პირთა წრისთვის და მოქმედებს დროში მანამ, სანამ განსხვავებული წესი არ დადგინდება შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე აქტით;

ბ) საკონსტიტუციო იუსტიციის სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებს საბოლოო ძალა აქვს და გადასინჯვას და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მაშინ, როდესაც მართლმსაჯულების განხორციელებაში სამი სხვადასხვა ინსტანციაა: პირველი ინსტანცია, აპელაცია და კასაცია.

საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად ნორმატიული ბუნება და მათი გადასინჯვის შეუძლებლობა ავალდებულებს მის განმახორციელებელ ორგანოს, მიიღოს ერთადერთი სწორი და კომპეტენტური გადაწყვეტილება. ბუნებრივია, გადამწყვეტი ამ თვალსაზრისით არის მოსამართლეთა მაღალი კვალიფიკაცია და კომპეტენტურობა, თუმცა საეჭვოა ეს საკმარისი იყოს, როდესაც საკონსტიტუციო კონტროლის გარდა, საერთო სასამართლომ უნდა განხორციელოს ასევე საერთო სამართალწარმოება სხვადასხვა ინსტანციით და საზედამხედველო წესით.

11. ევროპული მოდელის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ დამოუკიდებლად, ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. ევროპული ქვეყნების მიერ ამერიკული მოდელის გაუზიარებლობის კიდევ ერთი, საკმაოდ მისაღები არგუმენტი გახდა ის გარემოება, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეების საქმიანობაზე ერთგვარი ზეგავლენის წინაპირობა შესაძლოა გამხდარიყო ევროპულ ქვეყნებში გავრცელებული ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ საერთო სასამართლოთა საქმიანობის ორგანიზებას. ამგვარი ორგანოების მაგალითებია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო იტალიასა და რუმინეთში, მართლმსაჯულების უზენაესი პალატა საფრანგეთში, უმაღლესი სასამართლო საბჭო ბულგარეთში, უმაღლესი დისციპლინარული საბჭო საბერძნეთში, პოლონეთის საერთო სასამართლო საბჭო, სლოვაკეთისა და სლოვენის სასამართლო საბჭოები, მოსამართლეთა და პროკურორ-

თა უმაღლესი საბჭო თურქეთში, სახელმწიფო სასამართლო ვერე ხორვატიაში, რესპუბლიკური სასამართლო საბჭო მაკედონიაში, სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო ესპანეთში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოში და სხვა. ამ ორგანოთა ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ჩამოთვლილ ქვეყნებში წარმოადგენს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნის, გადაადგილების, დანიშნულების, სასამართლოთა სპეციალიზაციის განსაზღვრის, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების საკითხები. შესაბამისად, საფუძვლიანია ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ევროპულ ქვეყნებში საერთო სასამართლოებისათვის საკონსტიტუციო კონტროლის უფლების მინიჭება, ზემოხსენებული კონსტიტუციური ორგანოების არსებობის პირობებში, ერთგვარ ზეგავლენას მოახდენდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხზე.

12. საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულებისგან საკონსტიტუციო კონტროლის განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი სწორად და ეფექტურად განხორციელება ასევე განსხვავებულ და სპეციალურ კომპეტენტიურობას მოითხოვს. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ტრადიციული პრაქტიკა შემოიფარგლება ქმედებათა კანონიერების შემოწმებით, რაც არსებითად განსხვავდება თავად კანონზე კონტროლის განხორციელებისაგან—ეს უკანასკნელი კონკრეტულ კაზუსტიკაზე მალა დგას და უფრო მეტად შემოქმედებით ხასიათს ატარებს.

13. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო იურისდიქციისა და საკონსტიტუციო იუსტიციის, ამ ორი ფუნქციის ერთმანეთისგან განსხვავებული სპეციალური ორგანოების მიერ განხორციელებას იმ ქვეყნებში, სადაც სათანადო ტრადიციისა და გამოცდილების უქონლობის პირობებში პირველად ხდება საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრება. ზუსტად ამ ეტაპზე, იმისათვის, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია სწორად ჩამოყალიბდეს, მიიღოს ის დატვირთვა, რომელიც მას უნდა ჰქონდეს სახელმწიფოში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ის განხორციელოს ახალმა, სპეციალურად ამისთვის შექმნილმა საკონსტიტუციო სასამართლომ და არა აბსოლუტურად სხვა დატვირთვის, გამოცდილების მქონე საერთო სასამართლოებმა. სწორედ ამიტომ, სავსებით კანონზომიერია, რომ ბოლო ათწლეულში დემოკრატიული გარდაქმნების მიმდინარეობისას საერთო სასამართლოების სისტემის გარეთ, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალური ორგანო—საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა როგორც აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცის უმრავლეს რესპუბლიკებში: უნგრეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, სლოვენიაში, ხორვატიაში, მაკედონიაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, პოლონეთში, რუმინეთში, ალბანეთში, რუსეთში, ლიტვაში, ლატვიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, საქართველოში.

საკონსტიტუციო იუსტიციის მოდელზე მსჯელობისას და კონკრეტული ქვეყნისათვის მისაღები მოდელის შერჩევისას ამოსავალ დებულებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ დემოკრატია სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებული არიან განუხრებლად დაიცვან კონსტიტუცია. სახელმწიფოში, თავის მხრივ, უნდა შექმნას კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის რეალური მექანიზმები. დასახელებული არგუმენტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის რთულ პროცესში, საიმედო გარანტიაა ხელისუფლების კონსტიტუციურ ფარგლებში განხორციელებისა და საბოლოოდ, თითოეული ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების რეალურად დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სწორედ საკონსტიტუციო კონტროლი, თავისი თანმიმდევრული და განუწყვეტელი ფუნქციონირების გზით, ქმნის რეალურ შესაძლებლობებს, რათა დაცული იქნეს კონსტიტუცია და კონსტიტუციით აღიარებული დემოკრატიული ღირებულებები, მაგრამ საკონსტიტუციო კონტროლი მხოლოდ მაშინ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს წარმატებით, როდესაც იგი განიხილება სახელმწიფოს სამართლებრივი სინამდვილის ორგანულ ელემენტად და ამ ღირებულების განმტკიცების ობიექტურად საჭირო ინსტიტუტად.

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში მიუთითებდა 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციისა და საფრანგეთის 1791 და 1799 წლების კონსტიტუციების ერთ-ერთი ავტორი აბატი სიეისი, რომ „კონსტიტუცია ზოგადსავალდებულო საკანონმდებლო წესების ერთობლიობაა. თუ ეს ასე არ არის, იგი არარაობაა. თუ კონსტიტუცია ზოგადსავალდებულო წესების ერთობლიობაა,



ისმის კითხვა-სად არის მისი დამცველი ინსტანცია, სად არის სასამართლო ხელისუფლება?<sup>1</sup>. შესაბამისად, სწორედ საკონსტიტუციო კონტროლისა და მისი განმახორციელებელი ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირება წარმოადგენს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტს, რაც, თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის უპირველესი წინაპირობაა.

## JUDICIAL PROTECTION OF CONSTITUTION AND CONSTITUTIONAL JUSTICE MODELS (Some Theoretical Issues)

**Giorgi Kverenchkhiladze**

*PhD, Associate Professor*

### Abstract

The main goal of the research represented in the article is to point out the connection between fair state and constitution supremacy principles, to study peculiarities and characteristic of constitutional justice models, effective institution of judicial protection of constitution. Analyzing the constitutional justice of American and European models, the research aims to ground preference of implementing the European model in Continental European Law countries.

The article reviews some theoretical issues of ideas and fundamental principles of the fair state. The author surveys the reasons of the origin of these ideas and their importance in the process of the fair state formation. The modern fair state essence issues are discussed in accordance with the major principles of the fair state, considering the paragraph of the Constitution of Georgia (1995). The author wants to find out the connection between fair state and constitution supremacy principles and analyses the main characteristics of these principles. In the article some theoretical aspects of the problem of judicial protection of constitution and its relation with the institution of the constitutional justice are examined.

The article discusses a brief evolution of the constitutional justice doctrine, which was the basis of American model of constitutional justice. Later on, this model was transformed into the European model. The article gives us the confrontational analysis of these two main models of the constitutional justice, which is the first attempt in the Georgian Constitutional Law Science. At the same time in the process of the above mentioned analysis on the theoretical stage, some positive and negative characteristics of the constitutional justice of American and European models are studied in detail. Arguments are provided by Europe regarding not sharing the American model of constitutional justice pointing out proper reasons. On the basis of theoretical and practical argumentation and judicial system analysis, compared with American model, European model "advantages" of constitutional justice are emphasized in the article.

<sup>1</sup> Pasquale Pasquino. *Sieyès et l'invention de la Constitution en France*. Paris, edition Odile Jacob, 1998. P. 193-196.

# მემკვიდრეობის ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისეზურება საერთაშორისო კერძო სამართალში

დევი ზვედელიანი  
დოქტორანტი

ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლების გარდაქმნისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მემკვიდრეობის ურთიერთობების სრულყოფასა და სამართლებრივ რეგლამენტაციას. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას ზოგადად მეტყველებს რუდოლფ ფონ იერიხის სიტყვები: „მემკვიდრეობის სამართალი არის ადამიანთა საზოგადოების მთელი პროგრესის წინაპირობა ცივილიზაციის ისტორიის ასპექტში“<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ მემკვიდრეობის ურთიერთობებს დიდი დატვირთვა აქვს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო ურთიერთობებშიც. იმ პრობლემებს შორის, რომლებიც დაკავშირებულია უცხოელ მოქალაქეთა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრებასთან, ქონების ფლობასთან ან გარდაცვალებასთან, არის მემკვიდრეობის კოლიზიის პრობლემებიც, რომელთა გადაწყვეტას მიზნად ისახავს საერთაშორისო კერძო სამართალი. საქართველოში საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითადი წყარო არის 1998 წელს მიღებული კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. აღნიშნული კანონის მიღებით შეიქმნა აუცილებელი ნორმატიული ბაზა საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგებისათვის, მათ შორის მემკვიდრეობის სფეროშიც, თუმცა ის ჯერ კიდევ საჭიროებს სათანადო დახვეწას. თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის მიზნები და სულისკვეთება საგრძნობლად შეიცვალა. თუ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში მისი მიზანი იყო ნაციონალურ სამართლებრივი სფეროების მექანიკური a priori გამიჯვნა ისე, რომ ეს სფერო მეტწილად აბსტრაქტულ და თეორიულ სფეროდ ითვლებოდა, დღეისათვის უკვე საუბარია კომპეტენტური სამართლის არჩევაზე a posteriori და ad hoc რთული იურიდიული ტექნიკის საფუძველზე ობიექტური და სუბიექტური ხასიათის გარემოებების გათვალისწინებით იმდენად, რომ საუბარი არ არის რაიმე აბსტრაქტულზე. თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართალი ეფუძნება ცოცხალ პრაქტიკას. მიზნებისა და სულისკვეთების ამგვარი ცვლა აისახა სამართლის ნორმათა გამოხატვის ფორმებშიც: მათ შეიძინეს თვითმყოფადობა, მოცულობა და დასრულებული ხასიათი<sup>2</sup>. ამისკენვე უნდა მიისწრაფვოდეს ჩვენი სამართალიც.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის სამართლებრივი ანალიზი, არამედ მასში არსებული ზოგიერთი საკანონმდებლო ხარვეზის გამოვლენა და აღმოფხვრა შესაბამისი რეკომენდაციების მეშვეობით.

## I. კანონით მემკვიდრეობის კოლიზიური საკითხები

### 1. სამკვიდროს სტატუსი

მემკვიდრეობის ურთიერთობები წარმოადგენს ნებისმიერი საზოგადოების სამოქალაქო ბრუნვის ყველაზე კონსერვატიულ ნაწილს. ამდენად სამკვიდრო, როგორც წესი, არის ობიექტი იმ ურთიერთობებისა, რომლებიც წარმოიშობა ერთი ქვეყნის მართლწესრიგის ფარგლებში. მაგრამ ხშირად გვხვდება მემკვიდრეობის ისეთი ურთიერთობებიც, რომლებიც სცილდება ამ ფარგლებს. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სამკვიდრო დატვირთულია უცხოური ელემენტით.

პრაქტიკის მრავალფეროვნება და სირთულეები მემკვიდრეობის კონკრეტული საქმეების გადაწყვეტისას აიხსნება ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობის მნიშვნელოვანი განსხვავებით მემკვიდრეობის სამართლის სფეროში. აღნიშნული ვლინდება იმაში, რომ განსხვავებულია კანონითა და ანდერძის მემკვიდრეთა წრე, დადგენილია ანდერძის ფორმის სხვადასხვა მოთხოვნა, არსებობს სამკვიდროს განაწილების სხვადასხვა სისტემა და სხვ.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Ануфриева Л.П. «Международное частное право», т.2, М.2002г.С.519

<sup>2</sup> Маковский А.Н., Жильцов А.Н., Муранов А.И. «Международное частное право», Иностранное законодательство. М.2001г. С.40

<sup>3</sup> Ботулавский М.М. «Международное частное право», М. 2000 г. С. 316-317

კანონით მემკვიდრეობისას აუცილებელია მოიძებნოს ის სამართლებრივი სისტემა, რომელიც განსაზღვრავდა მემკვიდრეთა ჩამონათვალს და დაადგენდა მათი მემკვიდრეობად მონვევის რიგითობას. სახელმწიფოს სამართალშემფარდებელმა ორგანოებმა ასევე უნდა გაარკვიონ არსებობს თუ არა საფუძველი სამკვიდროს მიღების პრეტენდენტებისა და იმ პირთა გამოვლენისათვის, ვისაც ჩამორთმეული აქვს მემკვიდრეობის უფლება.<sup>4</sup>

მემკვიდრეობის ურთიერთობების მომწესრიგებელი კომპეტენტური სამართლებრივი სისტემის დადგენის საკითხი ორგანულად უკავშირდება სამკვიდროს სტატუტის საკითხს. სტატუტის ცნება XII საუკუნეში გაჩნდა და თავდაპირველად იგი კანონის (Lat.statuta) მნიშვნელობით გამოიყენებოდა. სტატუტის ცნებასთან დაკავშირებულია სტატუტარული სწავლება, რომელიც განსხვავებული თეორიული ორიენტაციით მე-19 საუკუნემდე ვითარდებოდა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამართალში სტატუტის ცნება არ იწვევს დავას. გერმანელი მეცნიერის ჰოფმანის თანახმად, სტატუტი თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართალში ეწოდება სამართლებრივ სისტემას, რომლის მატერიალური ნორმები, როგორც კოლიზიურ-სამართლებრივი საბამის შედეგი გამოიყენება კონკრეტული საქმის გარემოებებთან მიმართებაში. სტატუტი არის შედეგი და არა კოლიზიურ-სამართლებრივი საბამის ამოსავალი წერტილი.<sup>5</sup>

სხვა გერმანელი მეცნიერი რაუშერი აღნიშნავს, რომ თუ საუბარია სტატუტზე დღევანდელ საერთაშორისო კერძო სამართალში, იგი აღარ ნიშნავს კანონს. პირიქით, ამ ცნებაში გაიგება მართლწესრიგი, რომელიც გამოიყენება კონკრეტული საქმის შემადგენლობიდან გამომდინარე. სამკვიდროს სტატუტი არის სამკვიდროს მიმართ გამოსაყენებელი სამართალი და ამ სამართლის ძიების შედეგი, განსაზღვრული საერთაშორისო კერძო სამართლის მემკვიდრეობის სამართლის ნორმებით.<sup>6</sup>

რუსი მეცნიერის მარიშევას აზრით, სტატუტი ეწოდება სამართლის კოლიზიურ ნორმით განსაზღვრულ მართლწესრიგს (ქვეყნის კანონს), რომელიც გამოიყენება უცხოური ელემენტით დატვირთული მემკვიდრეობის მთელი ურთიერთობის ან მისი ნაწილის მიმართ.<sup>7</sup>

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტატუტი არის იმ ქვეყნის სამართლებრივი სისტემა, რომელზეც მიუთითებს კოლიზიური ნორმა და რომელიც აწესრიგებს კონკრეტულ სამართალურთიერთობას.

სამკვიდროს სტატუტი განსაზღვრავს მემკვიდრეობის როგორც საერთო საკითხებს – ქონების მემკვიდრეობით გადაცემის საფუძვლებს (კანონი, ანდერძი, მემკვიდრეობის ხელშეკრულება, ჩუქება გარდაცვალების შემთხვევაში და სხვ), სამკვიდროს შემადგენლობას (ქონება, რომელიც შეიძლება გადავიდეს მემკვიდრეობით), სამკვიდროს (ადგილი და დრო) გახსნის პირობებს, პირთა წრეს, რომლებიც შეიძლება მონვეულ იქნან მემკვიდრეობად (უღირსი მემკვიდრეების საკითხის ჩათვლით), ისე სპეციალურ საკითხებს, რომლებიც ეხება მემკვიდრეობის კონკრეტულ შემთხვევებს – კანონის საფუძველზე (კანონით), ანდერძით, ხელშეკრულებით მემკვიდრეობის წესსა და ა.შ. მემკვიდრეობის სტატუტით განისაზღვრება როგორც საერთო, ისე ქონების ცალკეული სახეობების მემკვიდრეობის სპეციალური წესები – მიწის, საბანკო ანაბრის, განსაკუთრებული უფლებების და სხვ.<sup>8</sup>

პრაქტიკაში ხშირია სტატუტის შეცვლის შემთხვევებიც. კანონით მემკვიდრეობის დროს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შედარებით არ არის რთული. თუ მამკვიდრებელმა ცხოვრების განმავლობაში შეიცვალა მოქალაქეობა, მისი ყოფილი მოქალაქეობა მხედველობაში აღარ მიიღება. მემკვიდრეობის ურთიერთობის ობიექტი ახალ სტატუტს ექვემდებარება.<sup>9</sup>

## 2. სამკვიდრო მასის გახლეჩა

სამკვიდრო მასის სტატუტთან დაკავშირებულია სამკვიდრო მასის გახლეჩის საკითხი (Nachlassspaltung). უძრავი და მოძრავი ქონებიდან შემდგარი ერთიანი სამკვიდრო მასის გახლეჩას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სხვადასხვა მართლწესრიგი აწესრიგებს ერთსა და იმავე სამკვიდრო შემთხვევას.

<sup>4</sup> Ануфриева Л.П. ук.соч., С. 525

<sup>5</sup> Bernd von Hoffman "Internationales Privatrecht, einschliesslich der Grundzüge des Internationalen zivil verfahrensrecht" München, 1999, S. 50

<sup>6</sup> Thomas Rauscher "Internationales Privatrecht", Heidelberg, 1999, S. 9.

<sup>7</sup> Марышева Н.И. «Международное частное право», М. 2000 г., ук.соч. С. 418.

<sup>8</sup> Марышева Н.И. ук. соч. С. 48.

<sup>9</sup> Hemmer/Wüste/Berger - Walliser/Knoblach/Merker "Internationales Privatrecht", 1997, S. 56.

მაგალითად, გერმანიის კოლიზიური სამართალი ითვალისწინებს სამკვიდროს გახლეჩის სხვადასხვა საფუძვლის – სამართლის არჩევის შემთხვევაში, მითითების და უკუმითითების, ცალკეული ნივთის სტატუსისათვის უპირატესობის მინიჭების დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად, იმისა, თუ რა საფუძვლით ხდება სამკვიდრო მასის გახლეჩა, სამკვიდროს თითოეული ნაწილი მემკვიდრეობით გადადის საერთო სამკვიდრო მასისაგან დამოუკიდებლად. თითოეული მართლწესრიგი წყვეტს საკუთარი სამკვიდრო მასის ნაწილის „ბედს“: თუ ვინ იქნება მემკვიდრე, რა წესით მოხდება მემკვიდრეობა, როგორი იქნება სავალდებულო წილი და სხვა.<sup>10</sup>

კოლიზიურ-სამართლებრივი ანალიზის თვალსაზრისით, საინტერესოა, უცხოური სასამართლო პრაქტიკის მაგალითი. გერმანიის ფედერალური მიწის (კიოლნი) უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემდეგი პრეცედენტი: გარდაიცვალა ბელგიის მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ჰქონდა კიოლნიში. მის სამკვიდრო ქონებაში სხვა ნივთების გარდა, შედიოდა საფრანგეთის სამხრეთში მდებარე ორსართულიანი სახლი. რომელი ქვეყნის მართლწესრიგის მიხედვით უნდა განაწილებულიყო სამკვიდრო?

გერმანიის კოლიზიური სამართალი, კერძოდ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის (EGBGB) 25-ე მუხლის პირველი ნაწილი უთითებს მამკვიდრებლის ბელგიურ სამართალზე. ბელგიური სამართალი Code civil-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავ ქონების მიმართ იყენებს იმ ქვეყნის სამართალს, სადაც მამკვიდრებელს გააჩნდა თავისი უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ხოლო უძრავი ქონების მიმართ – მის ადგილსამყოფლის სამართალს. გერმანიის კოლიზიური სამართალი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იზიარებს ბელგიური კოლიზიური სამართლის უკუმითითებას მოძრავ ქონებასთან მიმართებაში. თავის მხრივ, ბელგიური კოლიზიური სამართალი Code civil-ის მე-3 მუხლის თანახმად, ოროჯახიან სახლთან დაკავშირებით უთითებს ფრანგულ სამართალს. ფრანგული Code civil-ის მე-3 მუხლის მეორე ნაწილი უძრავ სამკვიდრო ქონებას უქვემდებარებს მის ადგილსამყოფლის სამართალს და ამდენად იზიარებს ბელგიური სამართლის მითითებას. შემდგომი მითითება (Weiterverweisung) გასაზიარებელია გერმანიის კოლიზიური სამართლისათვისაც. აღნიშნულის შედეგია სამკვიდრო მასის გახლეჩა.<sup>11</sup>

სამკვიდრო ქონების გახლეჩის საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გადაწყდეს სამართლის ნორმის გამოყენების პრობლემა, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ორი პრინციპის შესაბამისად. სამკვიდრო მასის ერთიანობის პრინციპი – არის კონტინენტური ევროპის კოლიზიური სამართლის პრინციპი. მემკვიდრეობის ობიექტურ-სამართლებრივი საბაზის მამკვიდრებლის პირად სტატუსზე იძლევა მთელი სამკვიდრო მასის ერთი მართლწესრიგის მიხედვით გადასვლის გარანტიას.<sup>12</sup> აღნიშნული პრინციპი ეფუძნება უნივერსალურ სამართალმემკვიდრეობის კანცეფციას, რომელიც შემუშავდა რომის სამართალში. ამ პრინციპს განსხვავებულად განმარტავდნენ. უნივერსალური სამართალმემკვიდრეობა ხშირად გამოდინარეობდა იუსტინიანისეულ მისტიკური იდეიდან, რომ გარდაცვლილი და მემკვიდრე გარკვეულ წილად (quodammodo) წარმოადგენენ ერთ პირს და, რომ მემკვიდრეში გრძელდება გარდაცვლილის პიროვნება. ამ იდეის ბუნდოვნება განსაკუთრებით ნათელია, როდესაც არსებობენ მემკვიდრეები. აღნიშნული იდეა შეიძლება უკეთ აიხსნას პრაქტიკული მოსაზრებებით, მაგალითად, კრედიტორთა ინტერესებით; ის აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ სამკვიდრო ქონება ერთიანად გადადის მემკვიდრეზე ან თანამემკვიდრეზე გარდაცვლილი პირის წილის ჩათვლით. მემკვიდრეები იღებენ ქონებას ერთიანად (per universitatem) და არა ცალკეული აქტების სახით სხვადასხვა ნივთზე. უძველესი სამართლებრივი სისტემების მიერ ამჟამად აღიარებულია სამკვიდრო ქონების ერთიანობის პრინციპი, რასაც სავინის უნდა ვუმადლოდეთ.

კოლიზიური საბაზის გახლეჩის პრინციპის თანახმად, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ანგლო-ამერიკული სამართლისათვის, უძრავი და მოძრავი ქონების მემკვიდრეობის რეგულირება ხდება განსახვავებულად: როგორც წესი, მოძრავი ქონების საბაზის არის მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის კანონი (Lex domicilii), ხოლო უძრავი ქონების – ნივთის ადგილსამყოფლის კანონი (Lex rei sitae).<sup>13</sup> საკითხის გადაწყვეტა, არის თუ არა საკუთრების უფლების საგანი უძრავი თუ

<sup>10</sup> Thomas Rauscher, S. 208.

<sup>11</sup> Bernd von Hoffman S. 353 ვუთითებ OLG Köln 24.2.1992 - NYW-RR 1992, 1480 - IPRax 1994, 376 m. Anm, Dörner 362-366 (stark-vereinfacht).

<sup>12</sup> Bernd von Hoffman S. 335.

<sup>13</sup> Harald Koch, Ulrich Magnus, Peter Winkler von Mohrenfels "IPR und Rechtsvergleichung" München, 1996, S. 120-121.

მოძრავი ქონება, როგორც წესი, არ წარმოადგენს პრობლემას და განისაზღვრება ნივთის ადგილ-სამყოფლის მიხედვით.

ზემოთ განხილულ სამკვიდრო ქონების განაწილების ორივე სისტემას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მ. ვოლფს, რომელიც იხილავს ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ სამკვიდრო ქონების დაყოფის სისტემის კრიტიკა ფეოდალიზმის გამო იქნებოდა ისტორიის არასწორი გაგება. არასწორი იქნებოდა სამკვიდრო ქონების განაწილების ერთიანი სისტემის უარყოფაც. ერთიანობის ნორმის უპირატესობა მის სიმარტივეშია. სხვადასხვა ქვეყანაში დატოვებული უძრავ-მოძრავი ქონება ქმნის ერთიან სამკვიდრო მასას. ყველა მემკვიდრე ითვლება თავისი წილის მესაკუთრედ და მთელი სამკვიდრო ქონების მასიდან ხდება ვალდებულებების დაფარვა, როგორც ეს მოხდებოდა მამკვიდრებლის სიცოცხლეში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება თავიდან აიცილონ სირთულეები, რაც თან ახლავს სამკვიდრო ქონების განაწილებას სხვადასხვა სამართლებრივი სისტემით. “სამკვიდრო ქონების ერთიანობის სისტემაში ანდერძი შეიძლება იყოს ნამდვილი ან ბათილი, სამკვიდრო ქონების დაყოფის დროს ერთმა და იმავე სასამართლომ ერთი და იგივე ანდერძი შეიძლება განიხილოს როგორც ნამდვილი, იმ მიწის მიმართ, რომელიც იმყოფება ქვეყანა X-ში და როგორც ბათილი, იმ მიწის მიმართ, რომელიც იმყოფება ქვეყანა Y-ში”- თვლის მ.ვოლფი. ამასთანავე მეცნიერი უთითებს იმ მნიშვნელოვან ნაკლზე, რომელიც გააჩნია ამ სისტემას და მოჰყავს შემდეგი მაგალითი: „თუ სამართალმემკვიდრეობის ნორმები დადგენილი ქვეყანა X-ში გამოყენებულ უნდა იქნას მთელი სამკვიდრო ქონების მიმართ, მათ შორის მიწაზეც, რომელიც, თავის მხრივ, მდებარეობს ქვეყანა Y-ში, და თუ სამართალმემკვიდრეობის წესი ქვეყანა Y-ში განსხვავებულია, მაშინ ის უფლებები მიწაზე, რომლებიც შექმნილია, ქვეყანა X-ის კანონმდებლობით არის ნომინალური. ქვეყანა X-ის სასამართლოებს არ გააჩნიათ არავითარი რეალური ძალაუფლება, რათა განახორციელონ ზემოთ აღნიშნული უფლებები.“

რაც შეეხება სამკვიდრო ქონების განაწილების ინგლისურ სისტემას მ. ვოლფი აღნიშნავს შემდეგს - “სამკვიდრო ქონების განაწილების ინგლისურ სისტემას გააჩნია ზოგიერთი უარყოფითი მხარე. ეს ეხება 1) ვალდებულებების 2) ანდერძის ნამდვილობის 3) ქონების დაყოფის, როდესაც გარდაცვლილმა ბენეფიციარს დაუტოვა ავანსი 4) და ზოგიერთ სხვა შემთხვევაში. თუმცა ეს არ არის დაუძლეველი დაბრკოლება. მაგალითად, დომიცილირებული ინგლისელი უძრავ-მოძრავ ქონებას ტოვებს ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში. ინგლისის კოლიზიური ნორმა მთელ სამკვიდრო ქონებას ყოფს სამ მასად: 1) ქონების მასა, რომელიც რეგულირდება ინგლისის სამართლით და მოძრავ-უძრავი ქონება, სადაც ის არ უნდა იმყოფებოდეს 2) ქონების მასა, რომელიც რეგულირდება საფრანგეთის სამართლით და შედგება ფრანგული უძრავი ქონებისაგან 3) ქონების მასა, რომელიც რეგულირდება გერმანიის სამართლით და მოიცავს გერმანიაში არსებულ უძრავ ქონებას.” მ. ვოლფის მიერ მოყვანილ მაგალითებში საკამაოდ კარგად ჩანს ის განსხვავებები, რომლებიც არსებობს სამკვიდრო ქონების განაწილების ამ ორ სისტემას შორის.

საქართველოს კოლიზიური სამართალი გამომდინარეობს რა სამკვიდრო ქონების ერთიანობის პრინციპიდან, მემკვიდრეთათვის სამკვიდრო ქონების გადაცემის საკითხში ხელმძღვანელობს გარდაცვლილის ნაციონალური სამართალი. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის კანონი მემკვიდრეობის სამართალურთიერთობებს აწესრიგებს 55-ე და 56-ე მუხლებით. კანონის 55-ე მუხლი განსაზღვრავს მემკვიდრეობით ურთიერთობებს, ხოლო 56-ე მუხლი ანდერძის ფორმას. 55-ე მუხლის შინაარსი ცხადყოფს, რომ მემკვიდრეობის ურთიერთობების მონესრიგებისას ჩვენი საერთაშორისო კერძო სამართლისათვის ამოსავალი კოლიზიური პრინციპი არის მამკვიდრებლის მოქალაქეობა და სამკვიდრო ქონების ერთიანობა. ქართულ კოლიზიურ სამართალში სამკვიდრო მასის გახლეჩის საკითხი შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ სხვა ქვეყნის (მათ შორის მესამე ქვეყნის) მართლწესრიგის გამოყენების შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ერთმანეთისაგან მიჯნავს მოძრავ და უძრავ სამკვიდრო ქონებას.

ვინაიდან საქართველოს კოლიზიური სამართალი იზიარებს სამკვიდრო ქონების ერთიანობის პრინციპს, გასათვალისწინებელია ის პრობლემები, რომლებიც თან ახლავს სამკვიდრო ქონების განაწილების ამ სისტემას. მაგალითად, თუ საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ სხვა ქონებასთან ერთად დარჩა უძრავი ქონება ინგლისში, ჩვენი კანონი გავრცელდება მთელ სამკვიდროზე, ხოლო ინგლისის მემკვიდრეობის წესი განსხვავებულად გავრცელდება უძრავი და მოძრავი ქონების მიმართ. უფლება უძრავ ქონებაზე შექმნილი საქართველოს სამართალით, იქნება ნომინალური. ჩვენი კანონი, უბრალოდ, ვერ აღსრულდება. ქართული კოლიზიური ნორმა შეიძლე-

ბა სრულფასოვნად განხორციელდეს მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებიც, თავის მხრივ, აღიარებენ სამკვიდრო ქონების ერთიანობის სისტემას.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სამართლებრივი სისტემა, რომელმაც აღიარა სამკვიდრო ქონების ერთიანობა, დათმობაზე წავიდა სამკვიდრო ქონების დაყოფის სისტემასთან. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი და რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 1225-ე მუხლი.

ანალოგიურად, ჩვენი ნაწილობრივ უკან დახევა სახელმძღვანელო პრინციპისაგან, იქნება იმდენად მოხერხებული, რამდენადაც გამართლებული პრაქტიკული თვალსაზრისით. საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, საჭიროა დამატება შევიდეს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 55. მემკვიდრეობითი ურთიერთობები

1. მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მემკვიდრეობის გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა, მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას ჰქონდა უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამართალი.
2. აღნიშნული წესი არ ვრცელდება უძრავ ქონებაზე, რომელიც იმყოფება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ექვემდებარება მის ადგილსამყოფლის სამართლით მონესრიგებას“.

## II. ანდერძით მემკვიდრეობის კოლიზიური საკითხები

### 1. საანდერძო განკარგულებათა პრობლემური საკითხები

საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში მემკვიდრეობის საკითხებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანდერძით მემკვიდრეობას. ანდერძით მემკვიდრეობის საკითხების გადაწყვეტას ემსახურება ზოგიერთი სპეციალური ნორმა როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ანდერძი კანონით დადგენილი ფორმით შედგენილი მამკვიდრებლის (მოანდერძის) განკარგულებაა გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონების ბედის შესახებ. ის ცალმხრივი გარიგებაა.<sup>14</sup> ასევე ცალმხრივი გარიგებაა ანდერძის შეცვლის ან გაუქმების აქტი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ქვეყნის კანონმდებლობა თავის მოთხოვნებს უყენებს ასეთ გარიგებებს. ამდენად, პრაქტიკაში ხშირად წამოიჭრება ისეთი საკითხები, როგორებიცაა მოანდერძის ქმედუნარიანობა, ნების ნაკლი, ფორმის დაუცველობა. საერთო კოლიზიური პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებულია, უპირველეს ყოვლისა, ორმხრივი გარიგებებისათვის (ხელშეკრულებებისათვის) ყოველთვის არ გამოიყენება ისეთი სპეციფიკური ცალმხრივი გარიგებებისათვის, როგორიცაა ანდერძი.<sup>15</sup> ამიტომ როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობა, ცალკე ანესრიგებს ანდერძით მემკვიდრეობის საკითხებს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის კოლიზიური ნორმა (56-ე მუხლი), რომელიც განსაზღვრავს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომელიც უნდა გამოიყენონ ანდერძით მემკვიდრეობისას, ატარებს ალტერნატიულ ხასიათს. აღნიშნული ნორმა უშვებს სამართლის არჩევის შესაძლებლობას, მაგრამ ეს არჩევანი განისაზღვრება არა მამკვიდრებლის (მოანდერძის) მიერ, არამედ კანონით. ანუ კერძო ნების ავტონომიის პრინციპი არ ვრცელდება მემკვიდრეობის ურთიერთობების მომნესრიგებელი ნორმების არჩევაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები შეზღუდვებით, მაგრამ დასაშვებად მიიჩნევენ მოანდერძის მიერ სამართლებრივი სისტემის არჩევას, რომლის ნორმები სამკვიდროს გახსნის შემდეგ გამოიყენებულ იქნება მემკვიდრეობის ურთიერ-

<sup>14</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, წიგნი 5, თბ., 2000 წ. გვ. 401.

<sup>15</sup> Марышева Н.И., ук.соч. С. 425.

თობების მოსანესრიგებლად. ერთ-ერთ ასეთ დებულებას შეიცავს გერმანული სამართალი, კერძოდ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონი (EGBGB). ამ კანონის 25-ე მუხლში ნათქვამია: „(1). სამართალმემკვიდრეობა გარდაცვალების შემთხვევაში განისაზღვრება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომლის მოქალაქეც იყო მამკვიდრებელი გარდაცვალების მომენტისათვის. (2). უძრავი ქონების მიმართ, რომელიც იმყოფება ქვეყნის შიგნით, მამკვიდრებელს თავისი განკარგულებით გარდაცვალების შემთხვევაში შეუძლია აირჩიოს გერმანული სამართალი“.<sup>16</sup>

როგორც ვხედავთ, გერმანული ნორმა, უქვემდებარებს რა მემკვიდრეობის ურთიერთობებს მოანდერძის მოქალაქეობის სამართალს, ამასთანავე დასაშვებად მიიჩნევს, რომ მამკვიდრებელმა გერმანიაში არსებული უძრავი ქონების მიმართ თვითონ აირჩიოს სამართალი. მხარეთა ნების ავტონომია საერთაშორისო მემკვიდრეობის სამართალში არის დისკუსიის საგანი და შედარების გაკეთებისას იგი, როგორც მანამდე, წარმოადგენს გამონაკლისს.

სამართლებრივი სისტემის არჩევის ფორმაზე არ ვრცელდება გარიგების ფორმის საერთო წესები (§11). კანონის 25-ე მუხლის მე-2 აბზაცი უთითებს იმ მოთხოვნებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე კანონის 26-ე მუხლის I-IV აბზაციებით. მემკვიდრეობის ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის არჩევის ფორმა არის ნამდვილი, თუ ის პასუხობს ერთ-ერთს იმ მოთხოვნათაგან, რომელიც გათვალისწინებულია კანონის 26-ე მუხლით, მამკვიდრებლის განკარგულებისათვის გარდაცვალების შემთხვევაში.<sup>17</sup>

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ შესაძლებლობა მემკვიდრეობის ურთიერთობების არა იმ სამართლებრივი სისტემისადმი დაქვემდებარებისა, რომელსაც ითვალისწინებს კოლიზიური ნორმა, არის შეზღუდული. ამასთანავე ნათელია, რომ თუნდაც ამ შეზღუდული შესაძლებლობის გამოყენებით, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია რადიკალურად შეიცვალოს აღნიშნული ურთიერთობების მოწესრიგება.

საერთაშორისო კერძო სამართლის სპეციალურ პრობლემათაგან მემკვიდრეობის სფეროში, ერთ-ერთს წარმოადგენს ანდერძის ფორმის პრობლემა. ანდერძის ფორმისადმი გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ, ერთი მხრივ, საერთო წესის თანახმად საანდერძო განკარგულებათა ფორმა განისაზღვრება მემკვიდრეობის სტატუტით. ამასთანავე, მეორე მხრივ, ანდერძი წარმოადგენს ცალხრივ სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებას. ამდენად სხვა კოლიზიური პრინციპისადმი (ანდერძის შედგენის ქვეყნის სამართლისათვის) მიმართვა შეიძლება ბუნებრივად განიხილებოდეს.<sup>18</sup> აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ ანდერძი, რომელიც ფორმის დაცვით შედგენილია ერთ ქვეყანაში არ შეესაბამებოდეს მეორე ქვეყნის სამკვიდროს სტატუტით გათვალისწინებულ ანდერძის ფორმას და ითვლებოდეს ბათილად. კოლიზიურ-სამართლებრივ საბაზს, რომელიც ატარებს ალიტერნატიულ ხასიათს, იცნობს ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის გერმანიის სამართალი. სამკვიდროს სტატუტის მიხედვით ხორციელდება სამკვიდროსთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტა. გამონაკლისს წარმოადგენს საანდერძო განკარგულებათა ფორმა, რომელიც EGBGB—ეს 26-ე მუხლში განსაკუთრებით არის მოწესრიგებული.<sup>19</sup> EGBGB—ეს 26-ე I-IV მუხლში მოცემულმა ალტერნატიულმა კოლიზიურმა საბამებმა უნდა გამორიცხონ ანდერძის ბათილობა ფორმის დაუცველობის გამო.

რაც შეეხება საქართველოს კოლიზიურ სამართალს, იგი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სამკვიდროს საერთო სტატუტს და ანდერძის ფორმის სტატუტს. როგორც სამკვიდროს საერთო სტატუტი, ისე ანდერძის ფორმის სტატუტი განისაზღვრება მამკვიდრებლის მოქალაქეობის კანონით. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ანდერძი შეეხება უძრავ ქონებას. ამ დროს ანდერძის ფორმის ნამდვილობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მამკვიდრებლის მოქალაქეობის ქვეყნის სამართალს, არამედ იმ ქვეყნის სამართალს, სადაც უძრავი ქონება იმყოფება.

ანდერძის ფორმის პრობლემა განპირობებულია იმითაც, რომ მოთხოვნები, რომლებიც წაყენდება ანდერძის ფორმას სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიერ განსხვავდება არა მხოლოდ

<sup>16</sup> Einführungsgesetz zum BGB "Zivilrecht, Wirtschaftsrecht" - Baden-Baden, 1998/1999

<sup>17</sup> Bernd von Hoffman S. 337, 338, ვუთითებ Soergel - Schuring, Art 25, Rz. 3, Müko-Birk. Art. 25, Rz. 21 mit Beispielen in Fussn. 27, Soergel - Schuring, Art 25, Rz. 9; Staudinger - Dörher, Art. 25, Rz. 498

<sup>18</sup> Ануфриева Л.П., ук. соч, С. 527

<sup>19</sup> Palandt-Heldrich, Art.25 EGBGB, Rz.10; zur Form s.Rz 33-40

დეტალებში, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, პრინციპულადაც. თუ ზოგიერთ ქვეყანაში ფორმის დაცვით შედგენილად ითვლება მხოლოდ ის ანდერძი, რომელიც დადასტურებულია სახელმწიფოს მიერ ამისათვის უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ (საჯარო ანდერძი), სხვა შემთხვევებში დასაშვებია ე. წ. კერძო ანდერძები. მაგრამ მაშინაც, როდესაც საუბარია ერთი ტიპის, მაგალითად, საჯარო ანდერძებზე, ძნელია იპოვო თუნდაც რამდენიმე ქვეყანა, რომელშიც ანდერძის ფორმისადმი წაყენებული მოთხოვნები ბოლომდე ემთხვევა ერთმანეთს. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ კოლიზიურმა ნორმამ, რაც შეიძლება ვრცლად ასახოს ის საკითხები, რომელთა თაობაზეც შესაძლებელია კანონთა კოლიზიის წარმოშობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობის, კერძოდ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის თანახმად, ანდერძი ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი პასუხობს სამი პირობიდან ერთ-ერთს, (1) იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა, (2) იმ ქვეყნის სამართალს, სადაც მამკვიდრებელს გარდაცვალებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, (3) იმ ქვეყნის სამართალს, სადაც იმყოფებოდა უძრავი ქონება, რომელსაც ეხება ანდერძი. უძრავი ქონება ცვლის ანდერძის ფორმის საკოლიზიო პრინციპს. ანდერძი ყოველთვის ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც იმყოფება უძრავი ქონება.<sup>20</sup> ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კოლიზიური ნორმა არ შეიცავს მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დამახასიათებელია ანდერძით მემკვიდრეობის ურთიერთობებისათვის: 1) „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი შემოიფარგლება რა მხოლოდ ანდერძის ფორმით, მასში არააფერია ნათქვამი ანდერძის ნამდვილობისათვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა მოანდერძის ასაკი, ქმედუნარიანობა, მისი სხვა თვისებები, ანდერძის მონებები. 2) ქართული კოლიზიური ნორმა არ აზუსტებს, თუ უძრავი ქონების რა ნაწილი უნდა იმყოფებოდეს ქვეყანაში, რომ ანდერძი, რომელიც ეხება უძრავ ქონებას, ჩაითვალოს ამ ქვეყნის სამართლით საანდერძო განკარგულებისათვის გათვალისწინებული ფორმის დაცვით. 3) იგი არ ითვალისწინებს ისეთ საკითხსაც, როგორცაა მოანდერძის მიერ მოქალაქეობის ან დომიცილის შეცვლა ანდერძის შედგენის შემდეგ. რომელი ქვეყნის სამართლით უნდა ვიხელმძღვანელოთ ასეთ შემთხვევაში – იმ ქვეყნის, რომლის მოქალაქეც იყო მოანდერძე ანდერძის შედგენის მომენტში, თუ იმ ქვეყნისა, რომლის მოქალაქეც შემდეგ გახდა მოანდერძე? კანონი ამის თაობაზე დუმს, რაც ვერ უზრუნველყოფს მოანდერძის მიერ ერთხელ გამოხატული უკანასკნელი ნების ნამდვილობას. შედარებისათვის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონი ერთ მუხლში ზედმინევით აწესრიგებს როგორც საანდერძო განკარგულების ფორმის, ასევე მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც. აღნიშნული კანონის 26-ე მუხლი შეიცავს იმ პირობებს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს ანდერძი, რათა ჩაითვალოს ფორმის დაცვით შედგენილად. ასეთი პირობებია: (1) იმ რომელიმე სახელმწიფოს სამართალი, რომლის მოქალაქეც იყო მოანდერძე ნების გამოხატვის ან გარდაცვალების მომენტში, (2) იმ ადგილის სამართალი, სადაც მოანდერძემ გამოხატა თავისი ნება, (3) იმ ადგილის სამართალი, სადაც მოანდერძეს ნების გამოხატვის ან გარდაცვალების მომენტისათვის გააჩნდა საცხოვრებელი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, (4) იმ ადგილის სამართალი, სადაც იმყოფება უძრავი ქონება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც არის მასზე საუბარი (5) სამართალი, რომელიც გამოიყენება სამართალმემკვიდრეობისას გარდაცვალების შემთხვევაში ან რომელიც გამოიყენებულ იქნებოდა (მის მიმართ) განკარგულების გაკეთების მომენტისათვის.

სამკვიდრო ქონების სტატუსის შემცვლის (Statutenwechsel) შედეგებს აწესრიგებს კანონის 26-ე მუხლის მე-5 აბზაცი., რომლის თანახმად, საანდერძო განკარგულების ნამდვილობა და სავალდებულო ძალა ექვემდებარება იმ სამართალს, რომელიც გამოიყენებულ იქნებოდა სამართალმემკვიდრეობისას საანდერძო განკარგულების გაკეთების მომენტისათვის.

წარმოდგენილი მაგალითიდან ჩანს, რომ ქართული კოლიზიური ნორმით არ არის მოწესრიგებული ანდერძით მემკვიდრეობის საკითხთა ნახევარიც, ხოლო ანალოგიის პრინციპის გამოყენებით ყველა საკითხის მიკუთვნება ანდერძის ფორმისადმი არ არის საუკეთესო გამოსავალი და მეტყველებს ხარვეზზე კანონმდებლობაში. მემკვიდრეობის სფეროში არსებული კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით და ზემოთ მოყვანილი მაგალითების გათვალისწინებით მიზანშეწონილია, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში ანდერძით მემკვიდრეობის საკითხები მოწესრიგდეს რამდენიმე მუხლით ან შესაბამისი ცვლილებები და დამატებები შევიდეს

<sup>20</sup> თ. ლილუაშვილი, მით. ნაშ. გვ. 120.



ამავე კანონის 56-ე მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 56. ანდერძით მემკვიდრეობა.

1. საანდერძო განკარგულება ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს:
  - ა) რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა.
  - ბ) სადაც მამკვიდრებელს გარდაცვალებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.
  - გ) სადაც იმყოფება უძრავი ქონების ძირითადი ნაწილი, რომელსაც ეხება ანდერძი.
2. იმ განკარგულების ფორმის მიმართ, რომლითაც ხდება ანდერძის შეცვლა ან მოშლა, ისევე როგორც სხვა განკარგულებების მიმართ, გამოიყენება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესები.
3. მოთხოვნები, გათვალისწინებული მოანდერძის ასაკის, ქმედუნარიანობის და სხვა პირადი თვისებებისათვის განიხილება როგორც საანდერძო განკარგულების ფორმისადმი მიკუთვნებული. იგივე ეხება მოთხოვნებს, გათვალისწინებულს ანდერძის მონმეებისათვის.
4. დანარჩენ შემთხვევაში, საანდერძო განკარგულების ნამდვილობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა საანდერძო განკარგულების გაკეთების მომენტში“.

**2. ანდერძით მემკვიდრეობის საკითხების რეგულირება საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში**

როდესაც ვსაუბრობთ ანდერძით მემკვიდრეობაზე საერთაშორისო კერძო სამართალში არ შეიძლება ორი სიტყვით არ ავლნიშნოთ თუ რომელი საერთაშორისო აქტები აწესრიგებენ მემკვიდრეობის ურთიერთობებს საერთაშორისო დონეზე. მემკვიდრეობის ურთიერთობები წარმოადგენენ სამოქალაქო ბრუნვის ყველაზე კონსერვატიულ ნაწილს. ამით აიხსნება მემკვიდრეობის საკითხებზე საერთაშორისო უნივერსალური უნიფიკაციის თითქმის სრული არარსებობა ან ასეთი ნორმების შეზღუდვა კოლიზიური ნორმებით რეგიონალური ან ორმხრივი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების დონეზე. იმ ზოგიერთ საერთაშორისო აქტებს შორის, რომლებიც აწესრიგებენ მემკვიდრეობის ურთიერთობებს არის ვაშინგტონის 1973 წლის 23 ოქტომბრის კონვენცია, ჰააგის 1973 წლის 2 ოქტომბრის კონვენცია, რომელიც ეხება საზღვარგარეთ არსებულ სამკვიდრო ქონების მემკვიდრეობას, ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენცია საანდერძო განკარგულების ფორმის კანონთა კოლიზიის შესახებ. ამ კონვენციის მონაწილე არის ოცდაათი სახელმწიფო, მათ შორის ავსტრია, ინგლისი, ბელგია, დანია, ესპანეთი, ირლანდია, ისრაელი, ნორვეგია, პოლონეთი, შვედეთი, შვეიცარია, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია. რეგიონალურ უნიფიციურებულ ხელშეკრულებებს შორის ყველაზე ცნობილია ბუსტამანტეს კოდექსი, მიღებული ჰავანაში 1928 წლის 20 თებერვალს. იგი აერთიანებს ლათინური ამერიკის 15 ქვეყანას და უცვლელად მოქმედებს უკვე 70 წლის განმავლობაში.<sup>21</sup>

რაც შეეხება საქართველოს, იგი არის მინსკის 1993 წლის 22 იანვრის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის წევრი. აღნიშნული კონვენციის 47-ე მუხლის თანახმად, პირის უნარი ანდერძის შედგენისა და გაუქმების, აგრეთვე ანდერძისა და მისი გაუქმების ფორმა, განისაზღვრება იმ მხარის უფლებით, სადაც მოანდერძეს საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა აქტის შედგენის მომენტში. მაგრამ ანდერძი ან მისი გაუქმება არ შეიძლება ცნობილ იქნას ბათილად მისი ფორმის დაუცველობის გამო, თუ ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს მისი შედგენის ადგილის უფლების მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ კონვენცია ქართული კოლიზიური ნორმისაგან განსხვავებით, გამოდის არა მოანდერძის მოქალაქეობის პრინციპიდან, არამედ მისი საცხოვრებელი ადგილის პრინციპიდან, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრეობის სტატუსს. ამასთანავე კონვენცია არ აკეთებს რამე გამოწვევას უძრავი ქონების მიმართ, რომელსაც შეიძლება შეეხოს ანდერძი. ასეთი ანდერძის ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც მოანდერძეს ჰქონდა დომიცილი აქტის შედგენის მომენტში. გარდა ამისა კონვენცია ადგენს, რომ ანდერძი ან მისი გაუქმება არ შეიძლება ცნობილი იქნეს ბათილად ფორმის დაუცველობის გამო, თუ ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს მისი შედგენის ადგილის სამართლის მოთხოვნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ საქართველო მომავალში შეუერთდება რომელიმე სხვა შეთანხმებას, რომლის ნორმები წინააღმდეგობაში მოვა მინსკის კონვენციასთან, იმოქმედებს ახალი შეთანხმების ნორმები, ვინაიდან მინსკის კონვენცია ატარებს ორმხრივ

<sup>21</sup> Марышева Н.И., ук.соч. С. 415-416.

ხასიათს და იგი არ ეხება სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა დებულებებს, რომელთა მონაწილენიც არიან ხელშემკვრელი მხარეები (კონვენციის 82-ე მუხლი).

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მემკვიდრეობის სამართლის მარეგულირებელი ნორმები საჭიროებენ სრულყოფას მათში ცვლილებების შეტანის ან ახალი რედაქციით ჩამოყალიბების გზით, როგორც ეს შემოთავაზებული იყო აღნიშნული კანონის 55-ე მუხლთან მიმართებაში. ასევე კორექტირებას საჭიროებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლიც. მიზანშეწონილია, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონში ანდერძით მემკვიდრეობის საკითხები მონესრიგდეს რამდენიმე მუხლით ან შესაბამისი ცვლილებები და დამატებები შევიდეს ამავე კანონის 56-ე მუხლში, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს სტატიაში შემოთავაზებული ახალი რედაქციით. რაც შეეხება სტატუტის საკითხს, საერთაშორისო კერძო სამართალი, სამართლის დოქტრინის დონეზე იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სტატუტი (lex causa) არის იმ ქვეყნის სამართლებრივი სისტემა, რომელზეც მიუთითებს კოლიზიური ნორმა და რომელიც აწესრიგებს კონკრეტულ სამართალურთიერთობას„.

აღნიშნული საკანონმდებლო წინადადებები უფრო სრულყოფილს გახდის საქართველოს კანონმდებლობას და მემკვიდრეობის ურთიერთობების რეგულირებას საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ლილაშვილი „საერთაშორისო კერძო სამართალი“, თბ.2000წ.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, წიგნი 5, თბ., 2000 წ. გვ. 401.
3. Bernd von Hoffman “Internationales Privatrecht, einschliesslich der Grundzüge des Internationalen zivil verfahrensrecht” München, 1999.
4. Hemmer/Wüste/Berger - Walliser/Knoblauch/Merkner “Internationales Privatrecht”, 1997.
5. Harald Koch, Ulrich Magnus, Peter Winkler von Mohrenfels “IPR und Rechtsvergleichung” München, 1996.
6. Thomas Rauscher “Internationales Privatrecht”, Heidelberg, 1999.
7. Palandt-Heldrich, Art.25 EGBGB, Rz.10; zur Form s.Rz 33-40
8. Ануфриева Л. П. «Международное частное право», т.2, М.2002г.
9. Богуславский М. М. «Международное частное право», М. 2000 г.
10. Маковский А. Н., Жильцов А.Н., Муранов А.И. «Международное частное право», Иностранное законодательство. М. 2001г.
11. Марышева Н. И. «Международное частное право», М. 2000 г.

## PECULIARITY OF REGULATION OF SOME COLLISION ISSUES OF THE INHERITANCE RELATIONS IN THE INTERNATIONAL PRIVATE LAW

Devi Khvedeliani

### Abstract

**Purpose** - the purpose of the presented article is the survey, analysis of international private legal issues and search for not only the ways of settlement of concrete issues, but also substantiation of the necessity of the respective amendments and additions for perfection of our legislation.

**Design/methodology/approach** – The methodology and theoretical fundamentals of the article are logical, historical, systematic-legal and comparative-legal methods. During the process of scientific research concerning the specified theme the following literal materials has been studied and applied – dissertations, articles, normative material of Georgia and foreign countries and the practice related to it.

**Findings** – As a conclusion, it is necessary to emphasize that the Article # 55 and # 56 of the Law of Georgia “On International Private Law”, which regulates the issue of inheritance with the law and testament in the international private law, are not perfect and need to be perfected.

**Research limitation/implications** – The research showed us that the Article # 55 of the Law of Georgia “On International Law” applies to the legislation of the country of the testator in relation with the movables and the real estate of the inherited property. The aforesaid does not provide execution of our norms in the countries, the legislation of which separates the regulations of inheritance of movables and real estate property. As far as inheritance with a testament is concerned, the Article # 56 of the Law does not include a number of significant issues concerning inheritance with a testament and the inheritance relations are subordinate only to the legislation of the country, a citizen of which the testator was for the moment of his death and, finally, it can not provide validity of the will once shown by the testator.

**Originality/value** – The scientific novelty of the article is the fact that in the science of the Georgian law an attempt of research of the inheritance issues has been realized for the first time in the international private law. As a result of the aforesaid new offers of practical significance are presented and substantiated in the work, which can be proved according to a legislative regulation in the “International Private Law” in the law of Georgia.

**ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის ზოგადი მიმოხილვა  
საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში<sup>1</sup>  
(აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ინდოეთი)<sup>1</sup>**

**მაკა სალხინაშვილი**

*იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი  
ასოცირებული პროფესორი*

საქართველოში ნაკლებად შესწავლილი საკითხია ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრობლემები საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში. ამ ქვეყნების გამოცდილების უმეტესობის გათვალისწინება კი შესაძლებელია გახდეს მისაღები ჩვენი ქვეყნისათვის.

მმართველობის სფეროში კანონიერების ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს იურიდიულად დადგენილი, საერთო სასამართლოების შესაძლებლობა გააკონტროლოს საჯარო ადმინისტრაციის მოქმედებები. სასამართლო კონტროლი – ეს არის სასამართლოს მოქმედებების ფორმები და პროცედურები, რომლებიც გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციის აქტების და მოქმედებების კანონიერების შესამოწმებლად სამართალდარღვევებისა და ადმინისტრაციული დავეების სასამართლო განხილვის პროცესში.

საერთო სასამართლოები, ადმინისტრაციული სასამართლოებისა და ტრიბუნალებისაგან განსხვავებით, რომელთა კომპეტენციას შეადგენს მხოლოდ ადმინისტრაციული იურისდიქციის განხორციელება, უფლებამოსილნი არიან გადაწყვიტონ პრაქტიკულად მხარეთა შორის ყველა სახის დავა. საჯარო ადმინისტრაციის აქტებსა და მოქმედებებზე კონტროლი საერთო სასამართლოების უფლებამოსილების ერთ-ერთი მიმართულებაა. მისი ფარგლები, პრინციპები და ორგანიზაცია, საქმის განხილვის წესი დამოკიდებულია ქვეყნის სამართლებრივი სისტემის სპეციფიკაზე, ეროვნულ ტრადიციებზე, კონკრეტულ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებზე და სახელმწიფო რეჟიმის თავისებურებაზე. ასეთი კონტროლის ფარგლები და პრინციპები შეიძლება დადგინდეს კონსტიტუციით (მაგ.: გერმანიასა და იაპონიაში), კანონებით (ავსტრალიის კანონი „ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების შესახებ“, 1977 წ.) და სასამართლო პრაქტიკით, რომელიც ადგენს საერთო სასამართლოებისა და ადმინისტრაციული სასამართლოების კომპეტენციის განსაზღვრას (გაყოფას).

ამ კრიტერიუმით, იურიდიულ ლიტერატურაში, საზღვარგარეთის ქვეყნები შეიძლება დავეყოთ შემდეგ ჯგუფებად:

- 1) ქვეყნები, სადაც აღიარებულია ადმინისტრაციული სასამართლოების როლი მმართველობითი ხასიათის დავების გადაწყვეტისას და საერთო სასამართლოების კომპეტენცია არსებითად განსაზღვრულია (ფრანგული და გერმანული ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემის ქვეყნები). გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე სახელმწიფო (მაგ.: იტალია), სადაც პრაქტიკაში დაიშვება ადმინისტრაციული გასაჩივრების ალტერნატიული ხერხი ან საერთო სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ტრიბუნალში;
- 2) ქვეყნები, სადაც საერთო სასამართლოები, ზოგიერთი გამონაკლისით, უფლებამოსილნი არიან განიხილონ ნებისმიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა მათი კომპეტენცია კანონით შეიძლება შემოსაზღვრული იყოს სპეციალური ადმინისტრაციული ტრიბუნალებით (იურისდიქციული კონტროლის ანგლოსაქსური მოდელის ქვეყნები);
- 3) ქვეყნები, სადაც ადმინისტრაციული იუსტიციის სპეციალიზებული დანესებულებები პრაქტიკულად არ არსებობენ, საერთო სასამართლო კი არის ერთადერთი იურისდიქციული ორგანო, რომელიც აღჭურვილია ნებისმიერი ადმინისტრაციული დავის განხილვის უფლებით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (იაპონია, ნორვეგია დანია და აშ);
- 4) ქვეყნები, სადაც ადმინისტრაციული ტრიბუნალები არ არსებობს, მმართველობასთან დაკავშირებული დავები წყდება ადმინისტრაციული გასაჩივრების გზით. საერთო სასამართლოებში შესაძლებელია მხოლოდ მმართველობითი გადაწყვეტილებების მხოლოდ მცირე ნაწილის გასაჩივრება (ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის მქონე ქვეყნები).

სახელმწიფოებში, სადაც არსებობს ადმინისტრაციული სასამართლოები (პირველი და მეორე

<sup>1</sup> იხ. Административное право зарубежных стран, под. ред. Козырина, Шатиной, Москва, 2003, стр. 199-211

ჯგუფები) გამოიყოფა საერთო სასამართლოების კომპეტენციის მმართველობითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების განხილვის 3 სფერო: საერთო სასამართლოების განსაკუთრებული კომპეტენცია; საერთო სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ტრიბუნალების თანხვედრილი კომპეტენცია; ადმინისტრაციული ტრიბუნალებისა და კვაზისასამართლო ორგანოების კონტროლის კომპეტენცია.

განსაკუთრებული კომპეტენცია დგინდება კანონებით ან სასამართლო პრაქტიკით. ანგლოსაქსურ ქვეყნებში საერთო სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნება ძალაუფლების გადამეტებასთან და ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული საქმეები.

თანხვედრილი კომპეტენციის სფეროში შედის ადმინისტრაციის აქტებით კერძო პირების სუბიექტური უფლებების დარღვევა. საერთო სასამართლოები ადმინისტრაციულ ტრიბუნალებთან ერთად გვევლინება ამ უფლებების გარანტიად.

ადმინისტრაციული ტრიბუნალების კონტროლის კომპეტენცია ყველა ქვეყანაში, ფრანგული მოდელის ქვეყნების გარდა, ეფუძნება საერთო პრინციპს: ადმინისტრაციული ტრიბუნალების გადაწყვეტილებები არ არის საბოლოო და შეიძლება გადახედონ საერთო სასამართლოში. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი გადაწყვეტილებების გადახედვა შემოიფარგლება სამართლის საკითხით (მაგალითად, იტალია, ავსტრალია), სხვა ქვეყნებში კი ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოს მიერ აშკარად მცდარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი) – ვრცელდება ფაქტების დადგენის საკითხებზეც. ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ქვეყნებში მოქმედებს სასამართლო ხელისუფლების მიერ უდავო კონტროლის განხორციელების წესი ორ შემთხვევაში: როდესაც ადმინისტრაციული ორგანო აჭარბებს თავის უფლებამოსილებას; როდესაც ის მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაგრამ არასწორად იღებს სამართლის ნორმებს.

საერთო სასამართლოების კომპეტენცია იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები, შეიძლება ეხებოდეს პრაქტიკულად ნებისმიერ ადმინისტრაციულ დავას. იაპონიის 1946 წლის კონსტიტუციამ დაადგინა, რომ ყველა სამართლებრივი კონფლიქტი, ადმინისტრაციულის ჩათვლით, იხილება უმაღლესი სასამართლოს და ქვემდგომი სასამართლოების მიერ. ამის მიხედვით, სასამართლოში მიმართვისათვის არ არის საჭირო ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრით წინასწარი მიმართვა. ნორვეგიაში სასამართლო პრაქტიკამ გამოიმუშავა დაუნერეღი წესი, რომლითაც საერთო სასამართლოებს უფლება აქვს განიხილოს საჩივრები ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს, მათ შორის მთავრობის გადაწყვეტილებებზე.

საერთო სასამართლოების ადმინისტრაციული იურისდიქციის ძირითადი ფორმები ყველა საზღვარგარეთის ქვეყანაში არის პირდაპირი და ირიბი კონტროლი. პირდაპირი კონტროლი ეს არის სადავო ადმინისტრაციული მოქმედებების ან აქტების კანონიერების განხილვა კერძო პირების და გაერთიანებების სარჩელის საფუძველზე. პირდაპირი კონტროლის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია მოახდინოს ადმინისტრაციული აქტის ანუღირება ან მისცეს ბრძანება განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოს შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისგან. ირიბი კონტროლი არ გულისხმობს სასამართლოში სპეციალურ მიმართვას ადმინისტრაციული აქტის კანონიერების დადგენის მიზნით. იგი ხორციელდება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, რა დროსაც ხდება იმ მმართველობის აქტების კანონიერების შემოწმება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს განსახილველი საქმისათვის. ირიბი კონტროლისას ადმინისტრაციული აქტის კანონიერების საკითხი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოსათვის აუცილებელია, რომ გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე დააფუძნოს ადმინისტრაციულ აქტს. აქტის არაკანონიერად ცნობის შემთხვევაში სასამართლო უარს აცხადებს გამოიყენოს იგი ამ კონკრეტულ საქმეში და გამოორიცხავს მას სამართლებრივი რეგულირებისგან ამ კონკრეტულ სამართლებრივ კონფლიქტში. თუ გადავხედავთ ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობას, ვფიქრობთ, ცხადი იქნება, რომ საქართველოში არსებობს პირდაპირი კონტროლის ფორმა, რაც, როგორც ზემოთაა აღნიშნული, გულისხმობს სასამართლოში მიმართვის საფუძველზე ადმინისტრაციის აქტებისა და ქმედებების გასაჩივრების უფლებას და მმართველობის აქტის გასაჩივრებისათვის არ არის აუცილებელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სასამართლოს მიერ გადაწყვეტისას მისი გამოყენების აუცილებლობა დადგეს. სასამართლოების მიერ ირიბი კონტროლი ადმინისტრაციაზე მოქალაქეთა ადმინისტრაციის უკანონო ქმედებებისგან დაცვის უფრო ნაკლებ გარანტიას ქმნის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა ამ მრივ დემოკრატიულად შეიძლება ჩაითვალოს.

იმ ქვეყნებში, სადაც ადმინისტრაციული იურისდიქციის დაწესებულებები გამოყოფილია საერთო სასამართლოების სისტემიდან, წარმოიქმნება მათი კომპეტენციის გამოყოფის პრობლემა ამ სასამართლოების კომპეტენციისაგან. სხვადასხვა ფორმით ეს პრობლემა წყდება ე.წ. „ტაქსაციის“ მეთოდის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც სასამართლო პრაქტიკით ან კანონით დგინდება საერთო პრინციპი და ისაზღვრება ადმინისტრაციული დავები, რომლებიც ექვემდებარება საერთო ან ადმინისტრაციულ სასამართლოებში განხილვას. ტაქსაცია შეიძლება იყოს ნეგატიური – ზოგჯერ კანონი განსაზღვრავს საქმეებს, ან საქმეების ჯგუფს, რომლებიც გამოირიცხება ამა თუ იმ სასამართლოს განსჯადობიდან. ის შეიძლება იყოს პოზიტიურიც – ამ დროს ხდება ჩამოთვლა იმ საქმეების, ან საქმეთა ჯგუფების, რომლებიც ექვემდებარება ამა თუ იმ იურისდიქციის სასამართლოს განსჯადობას. ტაქსაციის მეთოდის სახესხვაობას წარმოადგენს ენუმერაციის მეთოდი, როდესაც არსებობს არა კონკრეტული საქმეების ან საქმეთა ჯგუფების ჩამონათვალი, არამედ მითითებულია საერთო ფორმის მიხედვით საქმეთა სახეები (მაგ.: საგადასახადო, მიწის სოციალური და ა.შ.).

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ე.წ. „ტაქსაციის“ მეთოდი გამოიყენება საერთო სასამართლოთა სისტემაში საქმეების ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებად გამიჯვნისათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით განსაზღვრულია იმ საქმეების (საქმეთა ჯგუფების) ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება შესაბამისად, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას. კოდექსებში კი გამოყენებულია ე.წ. „ტაქსაციის“ პოზიტიური მეთოდი, და ასევე „ენუმერაციის“ მეთოდი, ვინაიდან მოცემულია საქმეთა ჯგუფების ჩამონათვალი (სამოქალაქო, საოჯახო, შრომის და ა.შ. – სამოქალაქო საპროცესო კოდექსით; გამომდინარე ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან – ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით).

საერთო პრინციპი, რომლის შესაბამისად იყოფა საერთო და ადმინისტრაციული სასამართლოების კომპეტენცია, იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია ადმინისტრაციული იუსტიცია, შეიძლება გამოიხატოს ფორმულაში: დავები, წარმოქმნილი საჯარო ადმინისტრაციის მოქმედების შედეგად, წყდება ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების მიერ.

**საფრანგეთში** ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების განსჯადია ყველა საქმე, რომელიც ეხება საჯარო დაწესებულებების მმართველობით უფლებამოსილებას. გამონაკლისია და საერთო სასამართლოების განსჯადია საქმეები, რომლებიც ეხება 1) არაპირდაპირ გადასახადებს, სოციალურ უზრუნველყოფას, და სხვა. ეს ნეგატიური ტაქსაცია ატარებს „გამონაკლისები კანონმდებლის ნებით“ სახელწოდებას. 2) პიროვნების სტატუსს (უფლებაუნარიანობა, მოქალაქეობა), კერძო პირების ქონებას, 3) ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებებს, რომლებსაც არ აქვს ადმინისტრაციული ხასიათი.

სადავო საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც შეეხება სასამართლოების კომპეტენციის პრაქტიკულ გაყოფას, შექმნილია ტრიბუნალი კონფლიქტების შესახებ, რომლის შემადგენლობაში შედის იუსტიციის მინისტრი და სახელმწიფო საბჭოს და საკასაციო სასამართლოს 4 წევრი.

**გერმანიაში** „ადმინისტრაციული სასამართლოების შესახებ“ 1960 წლის კანონი ადგენს, რომ ადმინისტრაციული სასამართლოების კომპეტენცია ვრცელდება ყველა საჯარო სამართლებრივი ხასიათის დავაზე, გარდა კონსტიტუციურ სამართლებრივისა. გარდა ამისა, ადმინისტრაციული სასამართლოების კომპეტენციაში შედის ასევე ცალკეული სამოქალაქო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა, თუ ისინი პირდაპირ გამოდინარეობს ადმინისტრაციული საქმიდან. საერთო სასამართლოების განსჯადობას გერმანიაში მიეკუთვნება დავები საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციის მონაწილეობით, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ზიანის ანაზღაურებასთან, კომპენსაციასთან.

ანგლოსაქსური სისტემის ქვეყნებში ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების კომპეტენცია დგინდება როგორც წესი, პოზიტიური ტაქსაციის მეთოდით. მაგ. დიდ ბრიტანეთში ადმინისტრაციული ტრიბუნალების საგნობრივი იურისდიქცია დგინდება ცალკეული ნორმატიული აქტებით.

**აშშ-ში** „ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ“ 1947 წლის კანონი განსაზღვრავს კერძო პირების საერთო სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობას და აფართოებს ადმინისტრაციული ტრიბუნალების იურისდიქციას. კერძო პირებს არ შეუძლიათ მიმართონ საერთო სასამართლოს მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ კანონი ითვალისწინებს საჩივრის განხილვის სხვა პროცედურას და თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას.

**ინდოეთში** საერთო სასამართლოების და ადმინისტრაციული ტრიბუნალების იურისდიქცია იყოფა კონსტიტუციით დადგენილი საფუძვლით. ენუმერაციის მეთოდით, მასში ჩამოთვლილია დავების სახეები, რომლებიც მიეკუთვნება ადმინისტრაციული ტრიბუნალების განსჯადობას: საგადასახადო, საარჩევნო, შრომის, საბაჟო, მიწის, სავალუტო, ზიანის ანაზღაურების, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან განსაზღვრულ სფეროებში. ყველა ეს საქმე გამოირიცხულია საერთო სასამართლოების იურისდიქციიდან. ინდოეთის კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით, ადმინისტრაციულმა ტრიბუნალებმა შეიძინეს კონსტიტუციური სტატუსი. თანამედროვე ინდოეთში აისახა მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც დამახასიათებელია ყველა ანგლოსაქსური სისტემის ქვეყნებისათვის. ის გამოიხატება იმაში, რომ საერთო წესის მიხედვით, საერთო სასამართლოები იღებენ განსახილველად საქმეებს, რომლებსაც გავლილი აქვთ კვაზისასამართლო განხილვის სტადიები.

ადმინისტრაციული იუსტიციის ყველა სისტემა გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტა ხდება პროცესუალური ფორმით. საქმის აღძვრის საფუძვლები ყველა სისტემაში თითქმის ერთნაირია, ასეთებია: 1) აღმასრულებელი ორგანოს არაკომპეტენტურობა ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას, 2) მმართველობის აქტის მომზადებისას და გამოცემისას ფორმალური იურიდიული მოთხოვნების დაუცველობა, 3) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ან მისი არამართლზომიერი გამოყენება, 4) კანონის ფაქტობრივი დარღვევა.

ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტა, რომლებიც წარმოშობილია ზემოაღნიშნული საფუძვლებით, ადმინისტრაციული იუსტიციის სისტემის მიხედვით, ხორციელდება 2 პროცესუალურ ფორმაში 1) სამოქალაქო პროცესუალურში და 2) ადმინისტრაციული პროცესუალური ფორმით, მის ორ სახეობაში — სასამართლო და კვაზისასამართლო ფორმებით.

სამოქალაქო პროცესუალური ფორმა გამოიყენება იმ ქვეყნებში, სადაც ადმინისტრაციული საკითხების განხილვა ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ (მაგ; ჩინეთში, მალაიზიაში). ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტა ძირითადად არ განსხვავდება სამოქალაქო საქმის განხილვისაგან, ზოგიერთი თავისებურებით.

ადმინისტრაციულ სასამართლოებში საქმის განხილვის პროცედურა, როგორც წესი, უნიფიცირებულია და რეგლამენტირებულია საკანონმდებლო დონეზე. მაგ. გერმანიაში <sup>2</sup>

ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს საერთო წესი (გერმანია, ურუგვაი) – ადმინისტრაციულ სასამართლოში მიმართვისათვის კერძო პირმა უნდა გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ორგანოში. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი სასამართლოში მიმართვა. საფრანგეთში ადმინისტრაციული სასამართლო არ იწყებს საქმის განხილვას, ვიდრე ადმინისტრაციული ორგანო არ იტყვის უარს მოაგვაროს საქმე მშვიდობიანი გზით.

ფრანგულმა სასარჩელო წარმოებამ ადმინისტრაციულ დავებზე დიდი ზეგავლენა იქონია ბევრ ქვეყანაზე, მათ შორის არაბულ ქვეყნებზე, ლათინოამერიკულ და ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაზეც. სე, მაგალითად, არაბეთის ქვეყნებში გამოიყოფა შემდეგი ტიპის ადმინისტრაციული სარჩელები: სარჩელები აქტების ანულისების მოთხოვნით; საერთო ხასიათის სარჩელები (ანალოგი სრული ადმინისტრაციული დავების); კანონიერების შეფასების; სარჩელები, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან.

ცნობილი თავისებურებით ხასიათდება სარჩელების სისტემა, რომელსაც გერმანიაში განიხილავს ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები. ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ 1960 წლის კანონით, ისინი შეიძლება გამოეყოთ 4 სახის: სარჩელები მმართველობის აქტების გაუქმებასთან დაკავშირებით, რომლებშიც მითითებულია ასეთი აქტების ფორმის ან შინაარსის დეფექტები; სარჩელები რამე გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით, როდესაც ორგანო ვალდებულია გამოსცეს აქტი, ე.ი. შეასრულოს ქმედება, რომელშიც დაინტერესებულია მოსარჩელე; სარჩელები, გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რომელშიც ასახული იქნება ფაქტი, რომელსაც აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა; სარჩელები დაკავშირებული სოციალურ უზრუნველყოფასთან.<sup>3</sup>

დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, რომ საზღვარგარეთის ზემოხსენებულ ქვეყნებში, საქმის ადმინისტრაციულ დავად მიჩნევისათვის მას უნდა ახასიათებდეს საჯაროობა და დაკავშირებული

<sup>2</sup> იხ. Административное право зарубежных стран, под. ред. Козырина, Штатиной, Москва, 2003, стр. 202-204

<sup>3</sup> იხ. Административное право зарубежных стран, под. ред. Козырина, Штатиной, Москва, 2003, стр. 206

იყოს ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებასთან და აქტის გამოცემასთან. ეს დამახასიათებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისათვისაც, როდესაც ადმინისტრაციულ დავად მიჩნევსათვის მიუთითებს მისი „ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან“ გამომდინარეობაზე.

**OVERALL REVIEW ON JURISDICTION OVER  
ADMINISTRATIVE LAW CASES IN FOREIGN COUNTRIES  
(USA, France, Germany, India)**

**Maka Salkhinashvili**

*Associate Professor*

**Abstract**

In this work you will find the analysis of the problem of jurisdiction over the administrative law cases in the courts of leading Western European countries as well as the USA. We find it very interesting and of great value to examine the question of administrative jurisprudence in certain foreign countries, as the analysis of the experience of these countries can be very useful in the development of similar institutions in Georgia.

In the administration sphere one of the guarantees of the Rule of Law is established by the law, ability of Common Courts to exercise control over the public administrative affairs. Judicial Control represents a set of supervisory forms and procedures used by courts and applied in the process of checking the legitimacy of public administrative acts and actions throughout the handling of delinquency and administrative disputes.

In contrast to administrative courts and tribunals, competency of which is comprised only of administrative jurisdiction, Common Courts have the authority to handle practically all kinds of legal disputes. Control over public administrative acts and actions represent one of the spheres of jurisdiction of the Common Courts. Its frames, principles and organization, the order of dispute resolution depends on the particularities of the legal system of the country, national traditions, particular social and political conditions and the specifics of the state regime.



## დიდი ისტორიის პატარა ისტორია

ზაზა მარუაშვილი

მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი

პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოდან გაიწვიეს 200 ათასზე მეტი მებრძოლი. მიუხედავად ამ ფაქტისა, მაინც შეიძლება თქმა იმისა, რომ პროგრესული განწყობის ჩამოყალიბება სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს. რუსეთის არმიიდან ტყვედ ჩავარდნილთა ჯგუფი გაგზავნეს შეიდეგლიშოში, შემდეგ – ვენზელში, იქიდან – ცოხენში და ბოლოს – ზაგენში. აქ ქართველები ცალკე ბანაკში მოათავსეს. გერმანელებს ჰქონდათ მცდელობა, ქართველები დაეპირიპირებინათ რუსებისათვის, რის საფასურადაც საქართველოს იმპერიის მარნუხებიდან თავდახსნას ჰპირდებოდნენ. ამ მიზნით, 1916 წელს გერმანიის დედოფალი შვილთან, იოახიმთან ერთად მივიდა ქართველ სამხედრო ტყვეთა ბანაკში. დედოფალმა მოუწოდა ტყვე ქართველებს, შეექმნათ თავისუფალი ლეგიონები და აღუთქვა დახმარება რუსეთისაგან საქართველოს გათავისუფლებაში.

გერმანიაში მოღვაწე ქართველთა ძალისხმევით ჯერ კიდევ 1916 წლის სექტემბერში ოსმალეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა საჯარისო შენაერთი „ქართული ლეგიონი“. მას სათავეში ედგნენ ხან გერმანელი, ხან კი ქართველი პირები: ლეო კერესელიძე, გრაფი ფონ დერ შულენბურგი, მურად ბეი მარალოვი, გრაფი გალენა და სხვები. ლეგიონის მთავარ მიზანი იყო ქართველთა დარაზმვა და ბრძოლა გერმანია-ოსმალეთის მხარდამხარ ანტანტის ბლოკის ქვეყნების წინააღმდეგ. „ქართულ ლეგიონში“ 1.500 მებრძოლი იყო გაერთიანებული, თუმცა გერმანია მალე იძულებული გახდა დაეშალა ეს სამხედრო შენაერთი. ლეგიონის არსებობას ვერ შეეგუა ოსმალეთის არმიის გენერალიტეტი. სავარაუდოა, რომ ამიერკავკასიის მიმართ ტრადიციული, ექსპანსიონისტური ზრახვებით გამსჭვალული თურქები ქართულ ლეგიონში პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ.<sup>1</sup>

1918 წლის გაზაფხულზე პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში მკვეთრად გაუარესდა, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ოსმალეთის აგრესიით, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შიგნით არსებული შიდაპოლიტიკური გათიშულობით. ოსმალთა „პანისლამისტური“ გეგმები უფრო მეტს ისახავდა მიზნად, ვიდრე ეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ე. წ. „მეოთხე მუხლით“ განსაზღვრეს. ოსმალები ცდილობდნენ სამშვიდობო საზავო კონფერენციის მოწვევით განეხორციელებინათ „დიდი თურანის“ გეგმის სწორედ ის ნაწილი, რომელიც ამიერკავკასიის დაპყრობას შეეხებოდა. ამიტომაც იყო, რომ ბათუმის საზავო კონფერენციაზე ამიერკავკასიის მთავრობის მთავარი ამოცანა იყო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების დათმობათა ხარჯზე, ოსმალეთის აგრესიის შეჩერება. ბათუმის კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციამ ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციას წარუდგინა ხელშეკრულების ახალი პროექტი, რომელიც ამკარა ანექსიონისტური ხასიათის გამო ამიერკავკასიის დელეგაციისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.<sup>2</sup>

14 მაისს ოსმალეთის დელეგაციამ ამიერკავკასიის დელეგაციას წაუყენა ახალი ულტიმატუმი, რომელიც ითვალისწინებდა ჯულფა-ალექსანდროპოლის რკინიგზის ხაზის მათთვის გადაცემას. ამ მოთხოვნას ოსმალები ასაბუთებდნენ იმით, რომ თითქოს მათ დახმარება უნდა გაეწიათ მესოპოტომიაში მყოფი მე-6 არმიისათვის და ბრძოლა უნდა ეწარმოებინათ ინგლისელების წინააღმდეგ ირანში. სინამდვილეში კი, მზადდებოდა ახალი არმიების ჩამოყალიბება ამიერკავკასიაში. კერძოდ, უნდა შექმნილიყო ე.წ. „ისლამის არმია“, რომლის დისლოკაციის ადგილი უნდა ყოფილიყო განჯა და რომელსაც უნდა დაეპყრო, ბაქოსა და მახაჩკალაზე გავლით, ვოლგისპირეთი.<sup>3</sup> მიუხედავად ამირკავკასიის დელეგაციის პროტესტისა, 15 მაისს ოსმალებმა დაიკავეს ალექსანდროპოლი და მოითხოვეს გზის გახსნა ჯულფასაკენ.

ოსმალთა ასეთი თავგასულობა მიუღებელი აღმოჩნდა არა მარტო სუსტი ამიერკავკასიის რესპუბლიკისათვის, არამედ ძლიერი გერმანიისათვისაც, რომელიც აქამდე მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდიოდა. ამიტომაც მაისის მეორე ნახევრიდან გერმანიის წარმომადგენლობა აქტიურად ჩაება საზავო კონფერენციაში, რადგანაც მათთვის ამკარა გახდა ის დიდი საფრთხე, რასაც

<sup>1</sup> ავთანდილ სონღულაშვილი, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, გვ., 95-96

<sup>2</sup> სცსსა — საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ., 1836, ან 1, ს.73, ფურც. 4-7

<sup>3</sup> ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, გვ. 198

ამ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების შეზღუდვა უნდა გამოენვია ამიერკავკასიაში.<sup>4</sup>

საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ახალ ფაზაში შესვლის მაუწყებელია აკაკი ჩხენკელის მიერ 12 მაისს ეროვნული საბჭოსადმი გაგზავნილი 2 საიდუმლო წერილი. მათში აკაკი ჩხენკელი სთავაზობდა ეროვნულ საბჭოს გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევას.<sup>5</sup> 14 მაისს ეროვნულმა საბჭომ, განიხილა აღნიშნული წინადადება და მიიღო შემდეგი ხასიათის დადგენილება: 1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს გენერალ ფონ-ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა, ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანიამ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხების უმტკივნეულოდ გადაწყვეტას; 2. ეთხოვოს ფონ-ლოსოვს გაატაროს სათანადო ღონისძიებანი, რათა გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდ. კავკასიაში, დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო დაიცვან გარედან მოსალოდნელი საფრთხისაგან; 3. ეთხოვოს გენერალ ფონ-ლოსოვს ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ ტყვეებს, რაც შეიძლება მალე დააბრუნოს ისინი სამშობლოში; 4. ეთხოვოს ფონ-ლოსოვს, დატოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცრებს მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შეეძლოს საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ეს ჯარი შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად.<sup>6</sup> საქართველო-გერმანიის ინტერესთა თანხვედრა განაპირობა იმან, რომ საქართველოს სურდა გერმანიის გამოყენება თავის სასარგებლოდ და დამოუკიდებლობის გარანტიად, ხოლო გერმანიას საქართველო სჭირდებოდა აღმოსავლურ პოლიტიკაში დასაყრდენად. ამიტომაც, 1918 წლის 14 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ფაქტობრივად, ოფიციალურად დაადასტურა გერმანო-ფილური საგარეო პოლიტიკური კურსის ცხოვრებაში გატარება.<sup>7</sup>

თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო ამიერკავკასიის ხელში ჩასაგდებად იბრძოდა არა მარტო ოსმალეთი და გერმანია, არამედ ანტანტის სახელმწიფოებიც. აქტიურობდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რათა ამიერკავკასიაში შექმნილიყო ქართველთა და სომეხთაგან შემდგარი 150.000-კაციანი დანაყოფი, რომელიც მთავარი დასაყრდენი ძალა უნდა ყოფილიყო აშშ-ის ამიერკავკასიაში. თუმცა, მაისის ბოლოს შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, კერძოდ, საგარეო პოლიტიკაში გერმანიაზე ორიენტირებამ, გარკვეულწილად, შეაფერხა ანტანტის ქვეყნების ძალისხმევა — მოექციათ ამიერკავკასია თავიანთი გავლენის სფეროში.<sup>8</sup>

რეგიონში პოლიტიკური გავლენის გაფართოების გარდა, გერმანელთა მიზანს ამიერკავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა ხელში ჩაგდებაც წარმოადგენდა. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჭიათურის მანგანუმს საერთაშორისო მასშტაბით — პირველ მსოფლიო ომამდე ჭიათურა იძლეოდა მანგანუმის მსოფლიო ექსპორტის 30-35%-ს. გერმანიის მზარდი მეტალურგია და ქიმიური მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული სწორედ ჭიათურის მანგანუმზე. გერმანიის მრეწველობის მოთხოვნების 60%-ს მანგანუმის მადანზე სწორედ ჭიათურა აკმაყოფილებდა,<sup>9</sup> გარდა ჭიათურის მანგანუმისა, გერმანელებს ამიერკავკასიაში იზიდავდა ბაქოს ნავთობიც. გენერალი ლუდენდორფი თავის მოგონებებში წერს: „თუ გერმანიის მთავრობა შეძლებს დაამყაროს კარგი ურთიერთობა ამიერკავკასიის მთავრობასთან, ამით ჩვენ მოგვეცემა შესაძლებლობა, ოსმალეებისგან დამოუკიდებლად ჩავიგდოთ ხელში კავკასიის ნედლეული და ამასთან ერთად გავაკონტროლოთ თბილისზე გამავალი მთელი სარკინიგზო მაგისტრალი. გარდა ამისა, თუ გერმანიას სურს ხელში ჩაიგდოს ბაქოს ნავთობი, ის უნდა დაეყრდნოს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ძალას“.<sup>10</sup>

კაიზერის გერმანიის მესვეურები თავიანთ პოლიტიკას საქართველოში არც კი ფარავდნენ. ბერლინში საქართველოს დელეგაციის წევრი ზ. ავალიშვილი სიმონსს შეეკითხა, თუ როგორ ესახება მას მომავალში გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში, ამ უკანასკნელმა

<sup>4</sup> ნ. ზოსიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წწ., გვ. 45

<sup>5</sup> „საისტორიო მოამბე“, №63-64, გვ. 168-17

<sup>6</sup> სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ., 1836, ან 1, ს. 2, ფურც. 67

<sup>7</sup> ვ. გურული, ნოე ჟორდანიას (პოლიტიკური პორტრეტი), გვ. 88

<sup>8</sup> გ. ლამბაშიძე, აშშ პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოსთან ურთიერთობაში 1917-1920 წწ., (რუს.), გვ. 20

<sup>9</sup> გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 145

<sup>10</sup> ლუდენდორფი, ჩემი მოგონებები ომზე 1914-1918 წწ., (რუს.) 187-188

უპასუხა: „ფორმით ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენელია, არსებითად იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ინგლისის რეზიდენტი დამოუკიდებელი ინდოეთის სახელმწიფოში“. როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ინდოეთს ინგლისის პროტექტორატის დროს, ეს ავალიშვილსა და სიმონსს კარგად ესმოდათ.

გერმანელთა შორს გამიზნულ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გეგმებს ელობებოდა ოსმალეთის მთავრობა, რომელიც ამიერკავკასიის დელეგაციისაგან მოითხოვდა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წწ. ომის დროს დაკარგული ტერიტორიების მათთვის გადაცემას. გერმანიის მთავრობა კარგად აცნობიერებდა, რომ არანაირი შეთანხმება არ მიიღწეოდა, სანამ ამიერკავკასიის დელეგაცია სრულ თანხმობაზე არ წავიდოდა. ამიერკავკასიის ტერიტორიათა ოსმალეთისათვის გადაცემა ნამდვილად არ შედიოდა გერმანელთა ინტერესებში, ამიტომაც 19 მაისს გერმანიის მისიის ხელმძღვანელმა ფონ-ლოსოვმა ოფიციალურად შესთავაზა ამიერკავკასიის დელეგაციას შუამდგომლობა.<sup>11</sup>

ბათუმში გერმანიის დელეგაციის წევრებთან გულახდილ საუბრებში მომზადდა საქართველოს სავარაუდოდ მოხაზული პოზიცია, რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიის კოალიციის გარდუვალ დაშლას. მხოლოდ რამდენიმე კაცს ჰქონდა ეს საიდუმლო განდობილი. თბილისიდან ჩამოსული ნოე ჟორდანიას თავისი მდგომარეობით, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატიის პარტიის ბელადი ამიერკავკასიის სეიმში, სწორედ ის პიროვნება იყო, რომელსაც უნდა ეტვირთა დასახული მიზნისათვის საჭირო აქტების ჩატარება თბილისში (საქართველოს დამოუკიდებლობისა და ამიერკავკასიის სეიმის თვითგაუქმების გამოცხადება). იგი, ეტყობოდა, მერყეობდა, რაც სავსებით გასაგები და კანონიერი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი არ ეგუებოდა არც მისი მთელი ადრინდელი მუშაობის დოქტრინას და არც მისი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი კუთვნილებას. მაგრამ რაკი ერთხელ „ირწმუნა“, ოსტატის ხელით შეუდგა ახალი პროგრამის გატარებას. 21 მაისს იგი თბილისში გაბრუნდა. „გერმანულ-ქართული“ მუშაობა, „ამიერკავკასიურ-თურქულს“ პარალელურად, სრული სვლით მიდიოდა.<sup>12</sup>

ოსმალეთის მხარემ უარი განაცხადა გერმანელთა შუამდგომლობაზე, რის გამოც გერმანიის მისიამ თავისი ყოფნა კონფერენციაზე მიზანშეუნონლად ჩათვალა და 25 მაისს ბათუმიდან გაემგზავრა,<sup>13</sup> თურქეთ-გერმანიის ურთიერთობა ამის შემდგომ კიდევ უფრო გამწვავდა, რაზედაც თვალნათლივ მიუთითებს გენერალ ლუდენდორფის ორი წერილი. გენერალ ფონ სექტისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „თუ თურქეთის მთავრობა, თავისი პოლიტიკურ და ეკონომიკურ მისწრაფებათა სხვა მიმართულებით წარმართვის გამო, არ დაიცავს საკუთარ ტერიტორიებს (სირია-მესოპოტამია) და სიძნელეებს შეგვიქმნის კავკასიაში, მას არ უნდა ჰქონდეს იმისი იმედი, რომ ჩვენს ხარჯზე მათ ტერიტორიებს დავუბრუნებთ.“<sup>14</sup> მეორე წერილის ადრესატი ენვერ-ფაშა იყო. მასში ვკითხულობთ: „თურქეთი დამოუკიდებლად აწარმოებს დაპყრობით პოლიტიკასა და საერთოდ არ აქცევს ყურადღებას თავისი მოკავშირის – გერმანიის ინტერესებს. თუ თურქეთი არ დაიცავს ბრესტის ზავით განსაზღვრულ საზღვრებს, მაშინ გერმანია იძულებული გახდება დამოუკიდებლად, თქვენთან შეუთანხმებლად იმოქმედოს.“<sup>15</sup>

გერმანიის პოლიტიკური წრეების ასეთი გაღიზიანება შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო იმიტაც, რომ ოსმალეთმა, ფაქტობრივად, თავისი მზაკვრული მოქმედებით დაარღვია 1918 წლის 27 აპრილის გერმანიასა და ოსმალეთს შორის გაფორმებული საიდუმლო შეთანხმება, რომლის ძალითაც, ოსმალები უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ იმ შენაძენით, რაც მათ ბრესტ-ლიტოვსკში მიიღეს ძღვენის სახით თავიანთი მოკავშირისაგან, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე გერმანელებს ეძლეოდათ თავისუფალი მოქმედებისა და მათ ინტერესებში შემავალი პოლიტიკის გატარების უფლება.<sup>16</sup>

თბილისში ეროვნულმა საბჭომ შექმნა განსაკუთრებული კომისია (ნ. რამიშვილი, დ. ვაჩნაძე), რომელსაც დაევა ღონისძიებების გატარება თურქეთა ჯარების ახალი შემოტევის შესაჩერებლად. გადაწყდა, უკვე შექმნილი ქართული ეროვნული ნაწილების მოსალოდნელ ფრონტზე (გურიაში)

<sup>11</sup> ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები (რუს.), გვ. 278

<sup>12</sup> ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, გვ., 75

<sup>13</sup> ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში, გვ. 75

<sup>14</sup> ლუდენდორფი, ჩემი მოგონებები ომზე 1914-1918 წწ., (რუს.), გვ. 271

<sup>15</sup> ე. სარქისიანი, ოსმანთა იმპერიის ექსპანსიური პოლიტიკა, (რუს.), გვ. 10-11

<sup>16</sup> გ. ფიფია გერმანიის პოლიტიკა ამიერკავკასიაში 1918 წელს, (რუს.), გვ. 50

გაგზავნა. დ. ვაჩნაძემ იშუამდგომლა იმ დროს თბილისში მყოფ გრაფ შულენბურგთან და მისი ნებართვით ჩამოაყალიბა გერმანულ ტყვეთაგან შეიარაღებული რაზმი. დ. ვაჩნაძემ და ლეიტენანტმა ემილიო კაიზერმა სწარაფად შემოსეს, შეაიარაღეს გერმანელი ტყვეები და 1200 ჯარისკაცი ფრონტზე გაგზავნეს. გერმანული ბატალიონი თურქების პირისპირ დადგა. ნატანების ხიდთან ორივე მხარეს ერთდროულად ფრიალებდა თურქული და გერმანული დროშები. გერმანული ბატალიონის დახმარებით ქართულმა ჯარმა და ვალერიან გოგუაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა გურიის ფრონტზე მოსპო თურქთა 500 ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ ერთმა გამარჯვებამ და, რაც მთავარია, გერმანელთა რაზმის ქართული ჯარის გვერდით ყოფნამ, თურქები შეაშფოთა. ძლევამოსილი მოკავშირის პროქართულმა პოზიციამ გარკვეულ დათმობაზე წაიყვანა თურქეთის მთავრობა. თუმცა ამ დროისათვის აჭარა და საერთოდ, მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ასევე სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი (ბორჯომამდე) ოსმალეთის მიერ იყო ოკუპირებული.<sup>17</sup>

გერმანელთათვის ცხადი გახდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა ვერ იქნებოდა მათი პოლიტიკური ჩანაფიქრის განსახორციელებლად საიმედო პარტნიორი. ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის თანაარსებობის პირობებში, ამიერკავკასიაში გერმანიის ერთადერთი მოკავშირე მხოლოდ საქართველო შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან მათი ინტერესები ორმხრივი და დაბალანსებული იყო. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სწორედ გერმანიის დიპლომატიამ მიანიშნა ქართველ პოლიტიკოსებს ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობაზე.<sup>18</sup>

1918 წლის 25 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციამ, ოსმალეთის დელეგაციისაგან მიიღო ულტიმატუმი, რომლის მიხედვითაც 72 საათის განმავლობაში უნდა დაკმაყოფილიყო ოსმალთა მოთხოვნა. აკ. ჩხენკელი შექმნილი მდგომარეობის შესახებ ეროვნულ საბჭოს ატყობინებდა და წერდა: „საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი გაჭიანურება გამოინვევს გამოუსწორებელ შედეგს. გერმანელების შუამდგომლობის ცდა არ მოხერხდა. დაგვრჩენია ერთადერთი რამ – თურქეთის შემოტევის და ვაშლისპიროთ საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც მხარს უჭერს გერმანია.“<sup>19</sup> იმავე დღეს გაიმართა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, სადაც სიტყვით გამოვიდა ნოე ჟორდანიას, რომელიც მთლიანად დაეთანხმა აკაკი ჩხენკელის შეხედულებას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხში და შეეცადა დაერწმუნებინა აღმასრულებელი კომიტეტი იმაში, რომ ამიერკავკასიის ფედერაციულ სახელმწიფოს არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია და, რომ სასწარაფოდ საჭირო იყო ამ კონგლომერატის დაშლა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება.<sup>20</sup>

1918 წლის 26 მაისს, 4 საათსა და 50 წუთზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. იმავე დღეს ბათუმში, ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარის სახელზე მოვიდა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „დღეს, 5 საათზე, ეროვნულმა საბჭომ საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ამიერკავკასიის სეიმმა კი თავი ცნო გაუქმებულად.“<sup>21</sup> ამგვარად, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიდგინა წინათ დაკარგული ეროვნული დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი აქტი იყო გერმანიის შუამავლობით თურქეთთან საზავო ხელშეკრულების გაფორმება. მართალია, ზავი მეტისმეტად მძიმე იყო (საქართველი ჰკარგავდა ბათუმის ოლქს, ახალციხე-ახალაქალაქის მაზრების დიდ ნაწილს), მაგრამ თავიდან აიცილეს აგრესიული მეზობლის მიერ საქართველოს სხვა ტერიტორიების ოკუპაციის საფრთხე.

გერმანიის დროებით წარმომადგენლად თბილისში დაინიშნა გრაფი შულენბურგი, რომლის მიღება ამ ხარისხში, ისევე როგორც ბატონ ანდერსისა ფოთში საკონსულო წარმომადგენლად, საქართველოს მთავრობამ უკვე აცნობა გენერალ ფონ-ლოსოვს.

ამ ეტაპზე საქართველო-გერმანიის ურთიერთობის დაგვირგვინება იყო 1918 წლის 28 მაი-

<sup>17</sup> მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, ამასიიდან ყარსამდე, გვ. 85

<sup>18</sup> ა. სილაგაძე, ვ. გურული, სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე, გვ. 50

<sup>19</sup> ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში, გვ. 79

<sup>20</sup> სცსსა — საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ., 1844, ან 2, ს. 7, ფურც. 53

<sup>21</sup> ნ. ზოსიძე, ა. ვაშალომიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის საქართველოში 1917 წწ., „საისტორიო მაცნე“, XI, გვ. 103

სის ფოთის „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთ-დამოკიდებულების დამყარების შესახებ“. აღნიშნული ხელშეკრულების „ძირითადი შეთანხმება“, რომელსაც ხელს აწერდნენ ფონ-ლოსოვი და ა. ჩხენკელი, 5 მუხლისაგან შედგებოდა.

პირველი მუხლის მიხედვით, საქართველო გერმანიის იმპერიასთან ურთიერთკავშირის საფუძველზე აღიარებდა 1918 წლის 3 მარტის ბრესტის ხელშეკრულებას.

მეორე მუხლის მიხედვით, გერმანიის მთავრობას ეძლეოდა შესაძლებლობა ომის დამთავრებამდე ესარგებლა საქართველოს სარკინიგზო ხაზით. რკინიგზებზე კონტროლისათვის თბილისში უნდა შექმნილიყო საგანგებო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით, რომელიც იმოქმედებდა საქართველოს მთავრობასთან ერთად. გათვალისწინებული იყო აგრეთვე, გერმანული რაზმების დაყენება რკინიგზის სადგურებსა და ფოთის ნავსადგურში.

მე-3 და მე-4 მუხლები შეეხებოდა ორივე მხრიდან დიპლომატიური საკონსულო წარმომადგენლობების შექმნის საკითხს.

მე-5 მუხლი ითვალისწინებდა საკითხს – რაც შეიძლება სწრაფად უნდა მომხდარიყო დროებითი შეთანხმების შეცვლა ოფიციალური ხელშეკრულებით,<sup>22</sup> რომელიც უნდა დადებულიყო, ერთი მხრივ, ოთხ მოკავშირე მთავრობასა (გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის და ბულგარეთის) და, მეორე მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის.<sup>23</sup>

ამასთანავე დაიდო ორი დამატებითი ხელშეკრულება. მათგან პირველი შეეხებოდა სამეურნეო საკითხების მოგვარებას (შეიცავს IV მუხლს); ამ შეთანხმებით: უნდა გაადვილებულიყო საქართველოს მთავრობის მიერ გერმანიაში სესხის აღება, რკინიგზისა და ფოთის ნავსადგურის შემოსავლებით ამ სესხის დაფარვის იმედი; შექმნილიყო ქართულ-გერმანული სამთო სამრწველო საზოგადოება, წიაღის ექსპლოატაციის უფლების გაცემის სტატუსით; მოგვარებულიყო ნედლეულის გატანის, საფაბრიკო საქონლის, ნახევარფაბრიკატებისა და სურსათის შემოტანის და ასევე გერმანიასთან საზღვაო კავშირის საკითხები. მეორე დამატებითი შეთანხმება (შეიცავს II მუხლს) ითვალისწინებდა ინტერესების დაცვას იმ გერმანელი კოლონისტებისა, რომლებიც რუსეთის მთავრობამ საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაასახლა.<sup>24</sup> კერძოდ, გათვალისწინებული იყო მათი გერმანიაში თავისუფალი დაბრუნების უფლება და გერმანიის უფლება – მოსარჩლეობა გაენია მათთვის.

ზემოაღნიშნული სამი შეთანხმების გარდა, 28 მაისს ფოთში ხელი მოეწერა აგრეთვე სამ დამატებით კონვენციასაც. პირველი კონვენცია (შეიცავს II მუხლს) შეეხებოდა გერმანიის ვალუტის, როგორც გადახდის საშუალების საკითხს ადგილობრივ ფულთან ერთად. მეორე კონვენცია (შეიცავს VII მუხლს) შეეხებოდა სამხედრო ტყვეების გაცვლას, ხოლო მესამე კონვენცია (შეიცავს III მუხლს) ითვალისწინებდა საქართველოს პორტებში მდგომი, დიდი ტონაჟის გემების გერმანიის ხელისუფლების განკარგულებაში გადაცემას.<sup>25</sup>

ფოთში მოხერხდა საქართველოს მიღწია ისეთი *modus vivendi* – ათვის, რაც მისი არსებობისა და შემდგომი განვითარების საშუალებას იძლეოდა. რაიხსტაგმა დე ფაქტო აღიარა ჩვენი ქვეყანა. საქართველო შევიდა ევროპულ პოლიტიკასა და ისტორიაში. დადგა პროვინციულ-რუსული ფაზის აღსასრული.

ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ გერმანოფილური ორიენტაციის არჩევა, რომ მძიმე პოლიტიკური სიტუაციიდან ქვეყნის გადარჩენის მიზნით ნაკარნახევი ნაბიჯი იყო, კარგად ჩანს ირაკლი წერეთლის მოხსენებიდან, რომელიც მან 29 მაისს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე წაიკითხა: „პატარა საქართველოს თავისი არსებობის შენარჩუნება საკუთარი ძალებით, რა თქმა უნდა, არ შეეძლო და ამიტომაც დაიწყო ძებნა იმ სახელმწიფოებისა, რომლებსაც რეალურად შესწევდა ძალა იმისა, რომ დაეცვათ ეს ქვეყანა განადგურებისაგან. სომხეთს ეს ძალა არ ჰქონდა, აზერბაიჯანი ამას არ მოისურვებდა, თურქეთი საშიში იყო თავისი იმპერიალისტური ზრახვების გამო, დარჩა მხოლოდ გერმანია. მართალია, ჩვენ დახმარებას გაგვინდევს არა გერმანელი ხალხი, არამედ გერმანიის იმპერიალიზმი – ისეთივე სახიფათო და ნაკლებად საშიში, ვიდრე თურქეთის

<sup>22</sup> ცნობისათვის, გერმანია-საქართველოს ხელშეკრულება 1918 წლის 3 ოქტომბრისათვის უკვე მზად იყო და „ხელმოწერა“ აკლდა, მაგრამ „საუბედუროდ „კანცლერი და საგარეო უწყების სტატუს-მდივანი გადგნენ. კაბინეტის კრიზისიდან გერმანია პარლამენტური კრიზისისკენ მიექნებოდა, იქიდან კი, – რევოლუციისაკენ.

<sup>23</sup> სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ., 1864, ან 1, ს. 28, ფურც. 15-16

<sup>24</sup> იქვე, ფურც. 21

<sup>25</sup> იქვე, ფურც. 16-19

იმპერია. მართალია, საქართველო ეკონომიკური თვალსაზრისით, მძიმე კაბალურ პირობებში აღმორჩნდება, მაგრამ ჩვენ, მიუხედავად ამისა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ასე მძიმედ და ძნელად მოპოვებული დემოკრატიული ფასეულობანი“.<sup>26</sup>

იმ დროის გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი ვახტანგ კოტეტიშვილი ასე აფასებდა ფოთის ხელშეკრულებას: „გერმანიის იმპერიას ზოგიერთმა ობიექტურმა პირობებმა შეუწყვეს ხელი წინა აზიასა და კავკასიაში გაემარგებინა ფეხი. ისტორიული პროცესი იმგვარად წარიმართა, რომ გერმანიამ უბრძოლველად გაავრცელა თავისი გავლენა იმ ძველისძველ საოცნებო ადგილზე და მისი დასაყრდენი აღმორჩნდა საქართველო, რომელიც იძულებული იყო გადაეღვა ეს ნაბიჯი, რადგან მას არ შეეძლო დიდ სახელმწიფოთა ჭიდილში დამოუკიდებელი არსებობა. გერმანია საქართველოს აძლევს ძალას, ხოლო საქართველო იძულებულია გაიღოს ქონება. შეიძლება ეს არ იყოს ექვივალენტური გაცვლა, მაგრამ საკითხი სხვაგვარად დგას – ზარალი დიდი თუ მცირე. რასაკვირველია, მცირე და ამ მცირე ზარალის სახელი არის ეკონომიკური დამონება და არა პოლიტიკური, რაც აუცილებლად მოხდებოდა, გერმანიის დახმარება რომ არა“.<sup>27</sup> მაშინ საქართველოში რეალურად მოხერხდა, რომ თურქების მგლურ მადას, დაპირისპირებოდა გერმანიის კონტროლი.

1918 წლის ივნისში საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობას საზეიმოდ აუწყებდა, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალები თბილისში შემოვიდნენ მთავრობის მონვევით, რომელთა ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს საზღვრების დაცვა და ანარქიასთან ბრძოლა. 1918 წლის 11 ივლისს, 5 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე, ჩატარდა საქართველო-გერმანიის ჯარების სამხედრო აღლუმი. სამივე სახეობის ჯარი ჩამწკრივდა, სასახლიდან დაწყებული დიდების ტაძრის მიმართულებით — ერთ მხარეზე გერმანელები, მეორეზე — ქართველები, სრული საბრძოლო აღჭურვილობით. აღლუმს ესწრებოდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. რამიშვილი, გერმანიის ელჩი, გრაფი შულენბურგი, სამხედრო მინისტრი გიორგაძე, გენერალ-ლეიტენანტი გაბაევი და ობერ-ლეიტენანტი კაიზერი, ოფიცერთა ჯგუფის თანხლებით. გერმანელი სამხედროებისა და სპეციალისტების რაოდენობა თბილისში ამ დროისათვის 2000-ზე მეტ კაცს აღწევდა. ორი პოლკის ორ ბატალიონში შედიოდა საავიაციო ქვედანაყოფები, კავალერიის ბრიგადები და მძიმე არტილერია.

ამავდროულად გერმანელები უხეშად ერეოდნენ რესპუბლიკის საშინაო საქმეებში როგორც ცენტრში, ასევე პერიფერიაში. იქ, სადაც განლაგებული იყო მათი ჯარის ნაწილები, გერმანელებმა მიითვისეს როგორც სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციები, ისე სოფლისა და ქალაქის მმართველობის უფლებაც.

გერმანელები თანაგრძნობას გამოხატავდნენ მონარქიის აღდგენის მსურველებისადმი. ასეთმა დამოკიდებულებამ ფეოდალურ არისტოკრატიას მონარქიის აღდგენის გარკვეული იმედი ჩაუსახა. გამოითქვა აზრი, რომ სამეფო ტახტზე დაესვათ ბაგრატიონთა ერთ-ერთი შთამომავალი ან გერმანიის რომელიმე პრინცი. ამ საკითხზე მოლაპარაკება მიმდინარეობდა მოსკოვშიც, საქართველოს წარმომადგენელსა და საბჭოთა რუსეთში გერმანიის ელჩს, გრაფ მირბახს შორის. იყო მცდელობა გორის მაზრის მემამულეების მიერ გერმანელების შეიარაღებული ძალების მხედართმთავრის გენერალ ფონ-კრესის გადაბირებისა, რომელსაც სთხოვდნენ მონაწილეობა მიეღო მონარქიის აღსადგენად სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში. საბოლოოდ, გერმანელებმა თავი შეიკავეს აღნიშნულ აქციაში მონაწილეობის მიღებაზე. ქართველი შეთქმულები მთვრობამ დააპატიმრა.

ფონ-კრესის აღიარებით, იმ პერიოდში გერმანელებმა საქართველოდან გაიტანეს 31 ათასი ტონა მარგანეცი, 66,7 ტონა სპილენძი, 360 ტონა მატყლი, 45 ტონა ძონძები, 40350 ცალი ცხვრის ტყავი, 340 ცალი რეზინის საღტე, 1201 ცალი ავტოსაფარი და სხვა.

საქართველოს ხელისუფლება კარგად ხედავდა გერმანიის პოლიტიკის ნამდვილ არსს საქართველოს მიმართ. მთავრობის ოფიციალური აზრით დაკავშირებით მიუთითებდა: „მიამიტობა იქნებოდა მოლოდინი იმისა, რომ თითქოს გერმანია უანგაროდ დაუჭერს მხარს ქართველ სოციალ-დემოკრატებს... ამრიგად, ყველაფერი ეხება საკითხს — საქართველოში გერმანიის რეალური ინტერესების შესახებ. გერმანელები საქართველოში მოვიდნენ არა სოციალ-დემოკრატებისა და არა ნაციონალ-დემოკრატების, არამედ მარგანეცის, სპილენძის, ხე-ტყისა და ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრის

<sup>26</sup> სცსსა — საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ., 1844, ან 2, ს. 7, ფურც. 57

<sup>27</sup> ვ. კოტეტიშვილი, საქართველო და გერმანია, გაზ. „სახალხო საქმე“, 5.VI.1918.

გულისათვის“.<sup>28</sup>

მიუხედავად გერმანიის მხარდაჭერისა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში, რესპუბლიკის ფაქტიური ცნობის შემდეგ ისინი არ ჩქარობდნენ ჩვენი ქვეყნის იურიდიულ აღიარებას. გერმანიამ საქართველო დე-იურედ ცნო მხოლოდ 1920 წლის 24 სექტემბერს, მანამდე საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად აღიარა თურქეთმა 1918 წლის 3 ივნისს, არგენტინამ 1919 წლის 13 სექტემბერს და რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს.

1918 წლის მაისის ბოლოს საქართველოში შემოსული გერმანელები აქ დიდხანს არ გაჩერებულან. 1918 წლის 9 ნოემბერს გერმანიაში დაიწყო რევოლუცია, რომელმაც ტახტიდან ჩამოაგდო ვილჰელმ II. ამის შემდეგ გერმანია იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო. 1918 წლის 26 დეკემბერს ფოთიდან გავიდა გერმანიის ჯარების უკანასკნელი ეშელონი. ფაქტობრივად, პერიოდი – 1918 წლის გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, იყო გერმანიის იმპერიის სიღიაღისა და დაცემის ხანა.

დღევანდელი გადასახედიდან, ძნელია იმის თქმა, თუ როგორ მოიქცეოდნენ გერმანელები საქართველოში სამომავლოდ, დაიცავდნენ თუ არა ისინი საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ საქართველოსადმი გარკვეული წრეების დამოკიდებულების შესახებ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ თუნდაც იმ მოხსენების მიხედვით, რომელიც გრაფმა შტრეზენმანმა წაიკითხა გერმანიის პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე: „მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ თითქოსდა ბათუმი, ყარსი და არტაანის ოლქები, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით თურქეთს გადაეცა. ეს არ შეესაბამება სიმართლეს. ჩვენ მოსახლეობას საკუთარი არჩევანის უფლება დავუტოვეთ, რათა თავისი ბედ-იღბალი თვითონ გადაეწყვიტათ. ბატონებო, ჩემი თხოვნაა, თუ კონსტანტინეპოლში დაიწყება მოლაპარაკება, გამოვიყენოთ ჩვენი ავტორიტეტი, რათა ზემოთ ხსენებული ოკუპირებული ტერიტორია საქართველოს დაუბრუნოთ. საქართველო განსაკუთრებული ქვეყანაა და სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. ქართველები კავკასიის მრავალ ხალხთაგან ყველაზე ნიჭიერი და შემოქმედი ერია. იგი აუცილებლად შეძლებს გერმანიასთან ღირსეული ურთიერთობის დამყარებას. გერმანიის მიერ საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური აღიარება, აღორძინებული საქართველოს სიმტკიცის საწინდარია. იგი ჩვენ გვისახავს უკეთესი მომავლის იმედს“.<sup>29</sup>

ამგვარად, პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანეს მენშევიკების ეროვნულ პროგრამაში, რაც პრორუსული ორიენტაციის პროგერმანულით შეცვლაში გამოიხატა. ამას ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაშლა და საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა მოჰყვა.

ამდენად, როგორც ამ „პატარა ისტორიის“ უშალო თანამონაწილე ბატონი ზურაბ ავალიშვილი წერს: „1918 წლის ზაფხულში, გერმანია აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმრქმელი – ამ დროს ამ როლის შესრულება ხელენიფებოდა მხოლოდ მას.“<sup>30</sup>

<sup>28</sup> ავთანდილ სონღულაშვილი, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, გვ., 104

<sup>29</sup> ლ. თოიძე, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, „საისტორიო ვერტიკალები“, №1, 1991.

<sup>30</sup> ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, გვ., 88.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. სცსსა – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 2.
2. სცსსა, ფ. 1836, ან 1, ს. 73.
3. სცსსა, ფ. 1844, ან 2, ს. 27.
4. სცსსა, ფ. 1864, ან 1, ს. 28.
5. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990.
6. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, I, მოგონებანი, ნარკვევები, თბ., 1990.
7. ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963.
8. ვ. გურული, ნოე ჟორდანიას (პოლიტიკური პორტრეტი), თბ., 1999.
9. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, ამასიდან ყარსამდე, თბ., 2007.
10. ნ. ზოსიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920წწ., ბათ., 1995.
11. ნ. ზოსიძე, ა. ვაშალომიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის საქართველოში 1917 წწ., „საისტორიო მაცნე“, XI, ბათ., 2002.
12. ლ. თოიძე, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, „საისტორიო ვერტიკალები“, №1, 1991.
13. ვ. კოტეტიშვილი, საქართველო და გერმანია, გაზ. „სახალხო საქმე“, 5.VI.1918.
14. გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974.
15. ავთანდილ სონღულაშვილი, ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, თბ., 2005.
16. „საისტორიო მოამბე“, №63-64, თბ., 1992.
17. ა. სილაგაძე, ვ. გურული, სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე, თბ., 1996.
18. გ. ლამბაშიძე, აშშ-ს პოლიტიკის ისტორიიდან საქართველოსთან ურთიერთობაში 1917-1920 წწ., (რუს.), თბ., 1960.
19. ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები (რუს.), თბ., 1919.
20. ლუდენდორფი, ჩემი მოგონებები ომზე 1914-1918 წწ., (რუს.), მ., 1924.
21. ე. სარქისიანი, ოსმანთა იმპერიის ექსპანსიური პოლიტიკა, (რუს.), ერევანი, 1962.
22. გ. ფიფია, გერმანიის პოლიტიკა ამიერკავკასიაში 1918 წელს, (რუს.), თბ., 1996.

## SMALL PART OF THE BIG HISTORY

Zaza Maruashvili

Ph.D., Professor

## Abstract

**Objective** – While working on the research, the main goal of the author was together with outlining the factual and historical materials of the reinstatement of the independency of Georgia, to clear out the priority of the foreign factors in the process of reestablishment the sovereignty of the state.

**Methodology** – By using comparative-analytical method of the research, important archival, scientific and publicistic literature had been observed part of which are first time provided in scientific circulation.

**Outcome** - It is established, that the support of the state of Germany was a key stone in the process of reestablishment Georgian native sovereignty in spring of 1918. This was a time when in Georgia German control managed to oppose to the ‘wolf appetite’ of Turkey.

**The importance of the research, novelty** - The research analyses Foti ‘Part Time Agreement between Germany and Georgia on the Establishment of Preliminary Interrelationships of May 28, 1918. The summary is the following: Georgia managed to reach such *Modus Vivendi* in Foti, that was giving us the possibility for existence and further development in 20s of 20<sup>th</sup> century . Reichstag *De Facto* recognized our country. Georgia entered European politics and history. The provincial-Russian phase found it's end.



## ახლად აღმოჩენილი არქიტექტურული ძეგლები შავშეთში

თემურ ხუციშვილი  
მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი

თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს ისტორიული საქართველოს კუთხეები: ტაო, კლარჯეთი, არტაანი, კოლა და სხვა. ეს ტერიტორიები XVI საუკუნიდან ოსმალეთის შემადგენლობაში იყო. რუსეთ-თურქეთის ომების შემდეგ 1870 —იანი წლებიდან ართვინის, არტაანის, ყარსის და ერზრუმის ოლქები, რომლებშიც აღნიშნული კუთხეები შედიოდა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია და დაიწყო საქართველოსა და სომხეთის არქიტექტურული და სხვა სიძველეების კვლევა ქართველი, სომეხი, რუსი და ევროპელი მკვლევარების მიერ.

დღეისათვის თურქეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 200-ზე მეტი ქართული წარმოშობის არქიტექტურული ძეგლი: მონასტრები, ეკლესიები, საცხოვრებელი ნაგებობები, ციხე-ქალაქები, ციხეები, კოშკები და სხვა. ძეგლების მოძიება და კვლევა დღემდე გრძელდება. ახალი ძეგლების აღმოჩენა, შესწავლა თუ ახლებური იდენტიფიკაცია კვლავ აქტუალური საკითხია. ბოლო ათწლეულებში ტაო-კლარჯეთის სიძველეების კვლევის საკითხზე გამოქვეყნდა მრავალი ავტორის არაერთი ნაშრომი:

ქ. აბაშიძის, ნ. ალადაშვილის, ნ. ალექსიძის, შ. ამირანაშვილის, გ. ბაგრატიონის, ფ. ბაირამის (თურქეთი), ბ. ბაუმგარტნერის (ავსტრია), ვ. ბერიძის, დ. ბერძენიშვილის, გ. გარაყანიძის, ნ. გენგიურის, ი. გივიაშვილის, ნ. ვაჩიშვილის, დ. ვინფელდის, პ. ზაქარაიას, დ. თუმანიშვილის, პ. ინგოროვას, ი. იმნაიშვილის, მ. კადროლლუს (თურქეთი), კ. კეკელიძის, დ. კლდიაშვილის, ბ. კუდავას, შ. ლომსაძის, ი. ლომაშვილის, გ. მარსაგიშვილის, რ. მეფისაშვილი, ე. მეტრეველის, დ. მუსხელიშვილის, ლ. მენაბდის, ე. პრივალოვას, გ. საითიძის, ჯ. სამუშიას, თ. სანიკიძის, თ. საყვარელიძის, ვ. სილოგავას, ზ. სხირტლაძის, ნ. და მ. ტიერის (საფრანგეთი), ა. შანიძის, კ. შენგელიას, გ. ჩუბინაშვილის, ლ. ციცხვაიას, დ. ხომტარიას, თ. ხუციშვილის, ნ. ჯანბერიძის, ს. ჯიქიას, ვ. ჯობაძის (აშშ), თ. ჯოჯუასი და სხვათა.

2007 წლის აგვისტოში მკვლევართა ჯგუფმა თ. ხუციშვილის, დ. ქემოკლიძის, ლ. ლიპარტილიანისა და თურქეთის მოქალაქის ო. ტაშდემირის მონაწილეობით ჩაატარა საკვლევო ექსპედიცია თურქეთის ტერიტორიაზე, კერძოდ ართვინის ოლქში, შავშეთის ილჩეში, საქართველოს ისტორიულ კუთხეში – შავშეთში.

შავშეთი XIX ს-ის 70-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც მისი ისტორიული სიძველეების შესწავლა დაიწყო, არაერთმა მეცნიერმა თუ მოგზაურმა მოინახულა და შეისწავლა. მკვლევართა შორის, რომლებმაც შავშეთის შესწავლა დაიწყეს იყვნენ: გ. ყაზბეგი (1874 წ), დ. ბაქრაძე (1879 წ), ა. პავლინოვი (1888 წ). შავშეთის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ნ. მარის 1904 წლის ექსპედიცია. მკვლევარებმა დაწვრილებით შეისწავლეს ტბეთის ტაძარი. ნიკო მარმა ტბეთის გარდა აღწერა და შეისწავლა რამდენიმე ნამონასტრალი და ნაეკლესიარი. მასალები ამ ექსპედიციის შესახებ გამოქვეყნდა 1911 წელს.

ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა შავშეთის იმ სოფლების ნაწილი, რომლებშიც არ ყოფილა არც ნიკო მარი და არც სხვა, მათ შორის არც XX ს-ში მოღვაწე მკვლევარები: ვ. ჯობაძე, მ. ტიერი, დ. ხომტარია, ბ. კუდავა და სხვები.

ჩვენი ექსპედიციის მიერ შესწავლილი ტერიტორიებიდან ქართული წარმოშობის არქიტექტურულ ძეგლებს მივაკვლიეთ შავშეთის სოფლებში: სხლობანში (თანამედროვე პინარლი), მერესა (ველიკოი) და დაბანვრილში (მეშელი).

**სოფელი სხლობანის** ბასკალარის მაჰალეში მივაკვლიეთ ეკლესიის ნაშთებს.

ეკლესია საძირკვლამდეა დანგრეული. დარჩენილია 1020 სმ სიგრძის კედელი და შიდა კედლების რამდენიმე ფრანგმენტი საკურთხეველის მომრგვალებით. დარჩენილი კედლების სისქე 50-60 სმ-ია. შიგა სათავსის კედლის სიგრძე 735 სმ. მანძილი გრძივ კედლებს შორის 370 სმ-ია. ეკლესიასთან არის სამარხების ნაშთები, სადაც მიწის პირზე ადამიანის ძვლები მოჩანს.



სხლობანის ეკლესიის ნაშთი

ადგილობრივი მცხოვრებლის ი. ჯელიკის სიტყვებით 1960-იან წლებამდე ეკლესიას 2 მეტრამდე სიმაღლის კედლები ჰქონდა.

ეკლესია ჩვენთვის ცნობილ არც ერთ პუბლიკაციაში არაა აღწერილი.

სხლობანი მოხსენიებულია ქართლის ცხოვრებაში:

„... წარვიდა პატრიარქი მელქისედეკ კონსტანტინე მეფისა წინაშე კონსტანტინეპოლედ. შეიწყნარა მეფემან ბერძენთამან კონსტანტინე(მ) და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათა ...

... მოვიდა [მელქისედეკი] ქუეყანასა ... თუსსა და იყიდა სოფლები ტაოს: ზადკარეკი, ... ძაღლის-ჴევს იყიდა სოფელი ოროთა ... და კლარჯეთს მოიგო სოფელი ერთი სხლობანი ... და შავშეთს მოიგო სოფელი დიდი სხლობანი, აგარა მისი ნალუარევი ...“

სხლობანი მოხსენიებულია აგრეთვე საქართველოს სამართლის ძეგლებში:

„და მონასტრიდან სოფელში, რომელ მე მომიგიან ამის წმიდისა დედაქალაქისათს:

„... და ტაოს ვიყიდე სოფელი ზადკარეკი ...

და კლარჯეთს მოვიგე სოფელი ა-სხლუანი.

და შავშეთს მოვიგე ს(ო)ფელი დიდი სხლობ(ა)ნი, აგარა მისი-ნალუარევი“...

**სოფელ დაბანვრილის** კოპაძეს მაჰალეში ბორცვზე ციხეა აღმართული.

შემორჩენილია კოშკის კედლის ფრაგმენტი 10-12 მ. სიმაღლისა. კედლის სისქე 150 სმ-ია. ციხის ამ ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთით თლილი ქვით ნაგები კედლის ნაშთებია. აქვეა მეორე, პირველის პარალელური კედელი, დაშორებული პირველი კედლიდან 760 სმ-ით. ჩანს, კოშკსა და მიმდებარე ნაგებობებს ორმაგი დამცავი ზღუდე ჰქონდა.



კოპაძეთა ციხე

ადგილობრივი მცხოვრებლის ტ. დურსუნის თქმით, კოშკთან ყოფილა ადამიანის სიმაღლის ქვევრები. ქვევრები ამჟამად დამტვრეულია.

კოპაძეთა ციხიდან 2 კმ-ის მანძილზე, სამხრეთით, ნაძვნარში მივაკვლიეთ ნამონასტრალს. შემორჩენილია ეკლესია, მართკუთხა ფორმისა, ზომებით 630 × 440 სმ. საკურთხეველი შიგნიდან მომრგვალებულია. გარშემო მრავალი ნანგრევია. ტ. დურსუნის სიტყვებით, ეკლესიის სამხრეთით იყო მრგვალი ფორმის სადგომები და მიწისქვეშა ნაგებობები. ეკლესიის დასავლეთით – ჭა.



### დაბანჯრილის მონასტრის ნაშთები

**სოფელ მერეს** (ველიკოის) მახლობლად მაჰალე ბოლოხორში, ქილისედერესის ხევის პირას, ტყეში, მივაკვლიეთ ნამონასტრალს. შემორჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესიის საკურთხევლის ნაწილი და კედლები. ეკლესიის შიდა ზომებია 830 × 340 სმ. გარედან ეკლესიას მართკუთხა გეგმა აქვს. შიგნიდან საკურთხეველი მომრგვალებულია. ეკლესიას შემორჩა გარე მოპირკეთების ნაწილი აღმოსავლეთის ფასადზე. ეკლესია ნაშენებია ნატეხი ქვითა და კირით.






*მერეს მონასტრის ეკლესიის ფრაგმენტები*

ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხევის პირას, სამარხების ნაშთებია. ეკლესიის გარშემო 30-40 მ-ის მანძილზე დიდი რაოდენობით ნანგრევია დარჩენილი.



*მერეს მონასტრის სამარხი*

შემორჩენილი ეკლესიის საკურთხეველი ორიენტირებულია არა აღმოსავლეთისკენ, როგორც ამას მშენებლობის მართლმადიდებლური წესი მოითხოვს, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთით. სოფელ მერეში მდებარე ეკლესიის არქიტექტურული მონაცემები არ ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ ისინი შეიძლება იყოს გრიგოლ ხანძთელის ეპოქისა.



სქემა 1. — ეკლესიების გეგმები

შესაძლოა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ კარგად ცნობილი მერეს მონასტერი სწორედ ჩვენ მიერ მიკვლეული ნამონასტრალია. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ რამდენიმე ეპიზოდი, კერძოდ, როდესაც ზენონი შავშეთში მოსაკლავად ეძებს თავისი დის შემაცდენელს:

„ზენონ შვილი იყო საჩინოსა ვისიმე კაცისა სამცხეს. და იგი (ზენონისა)... შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდეს შავშეთს. ხოლო ზენონ ვითარცა ცნა... ამჟედრდა ცხენსა და დევნა უყო და ვითარ დიდი ქუეყანაჲ ვლო, თქუა გულსა თვსა... დაღაცათუ ვენიო და მოგკლა სიბრვე არს სულისა ჩემისაჲ. და უკუეთუ ცუდად უკუნვიქცე სახედ ჩემდა, სირცხვილ არს ჩემდა. .... და დაინერა ჯუარი ..... და წარემართა საღმრთოსა მას გზასა და მიინია წინაშე დედისა ფებრონიასა მერეს. .... და ნებითა ღმრთისაჲთა მუნ იყო მამაჲ გრიგოლ..... რომელმანცა მოიყვანა (ზენონ) ხანცთად“

მერეს მონასტერი, რომ კარჩხლის ხეობაში ყოფილიყო, როგორც ამას ნიკო მარი და სხვა მკვლევარები ვარაუდობდნენ, ზენონს, ლანდშაფტური პირობებიდან გამომდინარე, ჯერ წყაროსთავისა და მიძნაძოროს მონასტრების ტერიტორია უნდა გაეგლო და, ბუნებრივია, მივიდოდა მამათა ამ მონასტრებში და არა მერეში (დედათა მონასტერში).

ამ მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება „ცხოვრების“ დანარჩენი ეპიზოდები. საინტერესოა, როგორ ეთანხმება მერეს მონასტრის ჩვენებური იდენტიფიკაცია აშოტ კურაპალატის ვიზიტს, არტანუჯიდან მერეს მონასტერში, საყვარელი ქალის ნამოსაყვანად.

„... აცთუნა მტერმან ჳელმწიფჳ იგი [აშოტ კურაპალატი] და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისაჲ ციხესა მას [არტანუჯსა] შინა, რომლისა თანა იმრუშებოდა. ... და განზრახვითა მისითა ამხილა [გრიგოლ ხანცთელმა] პირისპირ ჳელმწიფესა მას, ხოლო მან აღუთქვა ცოდვისა მის განტევებაჲ ... და ვერ დაამტკიცა თვისი ბრძანებაჲ, რამეთუ დაემონა გულის თქუმასა. ... ნეტარმან გრიგოლ პოვა ჟამი მარჯუე, ... დღესა ერთსა შატბერდით წარვიდა [არტანუჯს]... კაცი მიუვლინა დედაკაცსა. ... [ქალი] მსწრაფლ მოვიდა წმიდისა მის. ... ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ ... «რადსთეს შორის ცოლქმართა შთაჭრილ ხარ ...», ... ხოლო მან ცრემლით ჰრქუა «... მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაჲთგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა, და ან არაჲ უწყი, თუ რაჲ ვყო ... მამაო, ჳელთა შენთა ვარ. ... და წმიდამან მან ჰრქუა: «... დღეს იქმნა ცხოვრებაჲ სულისა შენისაჲ» ... და ესრეთ მოიყვანა იგი მერეს. ... რაჟამს მოინია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი და ვითარ არა პოვა ... მსწრაფლ ხოლო მოვიდა მერეს. ხოლო ნეტარმან ფებრონია დამალა დედაკაცი იგი.

... და ვითარ ილოცა კურაპალატმან ეკლესიასა წმიდისა ღმრთის-მშობლისასა ... ჰრქუა: «... სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო ... და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. ან უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგვთუალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს», ხოლო ფებრონია ჰრქუა მას მკუეთრ: «მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა». ესე რაჲ ესმა კურაპალატსა, სირცხვლეულ იქმნა მართლ-მხილებისა მისგან კდემული. ... ჳორციელად ძლიერსა ჳელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა ძლიეს, შეჭურვილთა მათ საღმრთოთა შურითა. ხოლო შეურვებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა: «ნეტარ მას კაცსა, ვინ არ-ღარა ცოცხალ არსო». და მსწრაფლ ხოლო აღდგა და წარვიდოდა“.

შავშეთის მეტყევის ატილა ტაშდემირის სიტყვებით, არტანუჯიდან მერემდე ცხენით მისვლა და უკან დაბრუნება ერთ დღეშია შესაძლებელი.

ჩვენეულ ვერსიას ზურგს უმაგრებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი: გრიგოლმა და სამეფო ოჯახის წევრებმა კლარჯეთის მონასტრები შემდეგი რიგითობით მოინახულეს: შატბერდი, ჯმერკი, ბერთა, დაბა, ოპიზა, ხანძთა, მიძნაძორო, წყაროსთავი და ბარეთელთა. როგორც ჩანს, მერეს მონასტერში (რომელიც ამ დროს უკვე აშენებული იყო) ისინი არ მისულან. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მერეს მონასტრის ამ მონასტრებიდან მოშორებით, შავშეთში მდებარეობა.

მერესთან ჩვენი 2007 წლის ექსპედიციის მიერ დაფიქსირებულმა მონასტრის ნანგრევების საფუძვლიანმა შესწავლამ შესაძლოა, საბოლოოდ გადანყვიტოს ცნობილი მერეს მონასტრის იდენტიფიკაციის საკითხი.

**მასალების მომზადებაში დახმარებისთვის მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ გია ჭანიშვილს და ქალბატონ ნათია წარსავიძეს.**

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი მერჩულე, „შრომა და მოლუანება... გრიგოლისი...“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, ნიგნი I, (V-X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1963.
2. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
3. ბ. კუდავა, გ. საითიძე, თ. ჯოჯუა, შავშეთისა და ერუშეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის. გელათის მეცნ. აკად. ჟურნალი №10 და №11, 2005.
4. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962.
5. დ. ხომტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, 2005.
6. თ. ხუციშვილი, კ. შენგელია, შ. მაჭავარიანი, ვ. სილოგავა, ტაო-კლარჯეთი, თბილისი 2004.
7. ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, 2006.
8. N. Thierry, Peintures géorgiennes Turque “Bedi Kartlisa”, Revue de Kartvelologie, vol. XLII, 1984.
9. Marr H., Дневникъ поездки въ Шавшію и Кларджію, Матеріалы по археологіи Кавказа подъ ред. графини Уваровой, вып. VII, С-Пет., 1911.

## NEWLY DISCOVERED ARCHITECTURAL MONUMENTS IN SHAVSHETI

Teimuraz Khutsishvili

*PhD.**Professor***Abstract**

In August 2007 on the territory of Turkey in Shavsheti Ilche of Artvini Ili a research expedition was held with the participation of T.Khutsishvili, D. Kemoklidze, L.Liparteliani and O.Tashdemir. Shavsheti is a historically Georgian territory. This expedition was able to find several architectural monuments which had been unknown in the scientific sources before. In the 70s of the XIX century several explorers of Georgian antiqueness travelled in Shavsheti, among them were N.Marr, G. Kazbegi, A. Pavlinov, and D. Bakradze. Later in the XX century W. Djobadze (USA), N. Thierry (France), B. Baumgartner (Austria), D. Khoshtaria, B. Kudava explored Shavsheti. Several architectural monuments of Georgian origin were found there.

Our expedition explored the territories of the villages, where above mentioned explorers had not worked, and as a result of our explorations we found a ruined church in the village Dabatsvrili (Meşeli), a church in village Skhlobani (Pırnalı) and Mere monastery (Veliköy). These architectural monuments have been measured approximately and photos have been taken.

The former church of Mere is especially interesting as our historical and literal sources let us suppose that this is a well-known monastery of Mere built in the times of Grigol Khandzteli and it is mentioned in the novel “Life of Grigol Khandzteli” of the tenth century.

Our identification of Mere monastery is based on three important episodes from “Life of Grigol Khandzteli” written in 950. These episodes are: Zenon’s route when he chased the enemy, the episode where King Ashot went to see the woman whom he adored, and the last one is the part in which Grigol and the royal family went to visit monasteries in Klarjeti. Our version is backed by geographical and landscape data.

## ქალის პოლიტიკური სტატუსი საქართველოში

გურანდა ჭელიძე

მეცნიერებათა დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

ეკა კვაჭანტირაძე

მეცნიერებათა დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე პერიოდში გენდერულმა კვლევებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. უკანასკნელ ათწლეულში ემანსიპაციის პროცესის გაღრმავებამ გაზარდა ინტერესი გარდასულ ეპოქათა და თანადროული პერიოდის ქალთა მდგომარეობის, საზოგადოებასა და პოლიტიკაში მათი ადგილის შესწავლისადმი.

კაცობრიობის ისტორიაში პოლიტიკას ყოველთვის ეჭირა განსაკუთრებული ადგილი. თუ როგორია პოლიტიკის როლი საზოგადოების განვითარების პროცესში, ამის შესახებ არაერთი მოსაზრება არსებობს. მაგრამ, დღეს ვცხოვრობთ რა უკიდურესად ცვალებად სამყაროში, პოლიტიკის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი საკითხის განხილვა სრულებით ახლებურ მიდგომას საჭიროებს. ასეთ საკითხთა წრეს, რა თქმა უნდა, უამრავი პრობლემა ეკუთვნის, მაგრამ საკითხი, რომელზეც გვსურს ყურადღების გამახვილება, მოიცავს ისეთ სფეროს, როგორცაა ქალის მონაწილეობა პოლიტიკაში. თემა უცხო არ არის ქართული რეალობისათვის, რადგან საქართველოს ისტორიულმა წარსულმა არაერთი მაგალითი შემოგვინახა ქალის როლის მნიშვნელობის შესახებ სახელმწიფოს მართვაში. თუმცა თანამედროვეობასთან მიმართებაში არსებობს განსხვავებები, რადგან მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ზეგავლენით, იცვლებოდა ქალის საზოგადოებრივი სტატუსი, ახალმა რეალებმა ახალი მიდგომების აუცილებლობა განაპირობა ქალთა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მონაწილეობისადმი. ქალებმა თავიანთი გააქტიურებით უზრუნველყვეს ხელისუფლების ინსტიტუტების მისაწვდომობა და ისწავლეს თავიანთი პოლიტიკური უფლებების დაცვა და გამოყენება. ქალის სტატუსს საქართველოში განაპირობებს როგორც ობიექტური პირობები, ისე საზოგადოების ცნობიერების მდგომარეობა.

თვალი გადავავლოთ, თუ როგორ ჩამოყალიბდა ისტორიულად ქალის როლი საზოგადოებრივი მართვის პროცესებში. უძველესი პერიოდის საქართველოში ქალის კულტია. მაგრამ ეს უკანასკნელი უშუალოდ უკავშირდება მხოლოდ დედობის ფენომენს.

შუა საუკუნეებში, ქართული წერილობითი წყაროებით, კარგად ჩანს ქალთა ემანსიპაციის პროცესი, ვხედავთ თუ როგორ ნელ-ნელა მოიპოვეს ქალი უფლებებს როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ოჯახში. ამ პერიოდის საქართველოში ქალი, მართალია, საზოგადოების მეორეხარისხოვანი წევრი იყო, მაგრამ მისი სტატუსის ამაღლების საშუალება მაინც არსებობდა. ეს იყო პირადი ქონება. მას შემდეგ, რაც ქალს საშუალება მიეცა ქმრის ოჯახში საკუთარი ქონებით შესულიყო, მისი როლი და ავტორიტეტი უფრო ამაღლდა. ჩანს, უკვე სახელმწიფოც ერევა ამ პროცესში და ცდილობს, ქალის ქონება ოჯახის სხვა წევრებისაგან ხელუხლებელი გახადოს, რადგან კანონით იყო გათვალისწინებული ზოგიერთ ცხოვრებისეულ შემთხვევაში მისი უკლებლივ უკან დაბრუნების აუცილებლობა (2, 133-134). XVIII საუკუნემდე განქორწინება მამაკაცის პრეროგატივა იყო. მხოლოდ ვახტანგ VI-მ მისცა ქალებს მბრალდებლად ყოფნის უფლება (3, 225), რომლის მოპოვებაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მათი ემანსიპაციის პროცესში.

მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ დააყენა ქალთა ემანსიპაციის საკითხი. იგი ქალის პროფესიულ შრომას საზოგადოების ნორმალური განვითარების და ქალის თავისუფლების აუცილებელ ფაქტორად თვლიდა. ამას მოჰყვა ქალის უფლებების ნაწილობრივი ზრდა. მას მისცეს განათლების და შრომის პროცესში ჩართვის უფლება.

საბჭოთა პერიოდში ქალს მიენიჭა ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ქალებს არ აკავებინებდნენ მაღალ სამთავრობო პოსტებს. მოქმედებდა კვოტების პრინციპი, მაგრამ ის ხორციელდებოდა აღმასრულებელი და პარტიული ხელისუფლების დაბალ იერარქიულ დონეზე. ამავე დროს უმაღლეს საბჭოში ქალებს უნდა დაეკავებინათ ადგილების 30%.



ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების წინაპირობაა ქალთა და მამაკაცთა თანამშრომლობა და პარტნიორობა პოლიტიკაში. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილებიდან ცნობილია, რომ „იმ ქვეყანაში, სადაც საკანონმდებლო ორგანოებში მეტი ქალია, მიიღება უფრო დემოკრატიული გადაწყვეტილებები, უმჯობესდება საკანონმდებლო ბაზა, მომჭირნედ იხარჯება ქვეყნის ბიუჯეტი, დაბალია კორუფციის დონე, შესაფერის სიმალლეზეა განათლებისა და ჯანდაცვის სისტემები. ამგვარად, მთავრობაში მეტი ქალის ყოფნა სოციალური დონის მნიშვნელოვნად ამაღლებას ნიშნავს.“ (1, 40)

თუ დავეყრდნობით ქალთა საკითხებში ცნობილი ექსპერტის ნ. ჭანიშვილის მოსაზრებებს, მისი აზრით, „ქალთა სიმცირე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გვაძლევს ცუდ შედეგს, ანუ ცუდ მართვას. უკეთესი მართვისათვის როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აუცილებელია ქალთა აზრის გათვალისწინება (4, 29).


ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა თანამედროვე საზოგადოებაში მიიჩნევა დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების არსებობის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად. მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო, რომ ქვეყნები, სადაც სახელმწიფო სტრუქტურებში მეტი ქალია, უფრო დემოკრატიულ გადაწყვეტილებებს იღებენ. პოლიტიკაში ქალისა და მამაკაცის პარტნიორობა ძლიერი სახელმწიფოს შექმნის საუკეთესო წინაპირობაა.

ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სინამდვილეში გაბატონებული ოჯახის ტრადიციული იდეალი ოჯახის უფროსად, ქონების მფლობელად და მემკვიდრედ მამაკაცს თვლის, რაც აძლიერებს ქალის დამოკიდებულ მდგომარეობას, ოჯახში ქალის შრომითი დატვირთვა ბევრად აღემატება მამაკაცთა მიერ ოჯახში განეულ შრომას. ეკონომიკურმა კრიზისმა გაზარდა ქალის ვალდებულებები. მაგრამ ამ ახალ პირობებში არ გამოუწვევია მეუღლეებს შორის საქმეებსა და შვილების აღზრდაზე პასუხისმგებლობის გადანაწილება. თუმცა ტრადიციული ადათიდან და, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში ახლა მკვიდრდება გენდერული ცნობიერება, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს.

საქართველოში გარდამავალ პერიოდში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას მასობრივი უმუშევრობა მოჰყვა. ასეთ პირობებში ქალი უფრო მოქნილი, მგრძობიარე აღმოჩნდა და უკეთ შეძლო მორგებოდა ვაჭრობასა და სერვისის სფეროში არსებულ შესაძლებლობებს, რის შედეგადაც ქალების დიდმა ნაწილმა საკუთარ თავზე იტვირთა ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქალთა უფლებებს და მდგომარეობას დაცვა სჭირდება, ისევე და ისევე, უმეტესად ქალთა მონაწილეობით პოლიტიკურ პროცესების მართვაში.

ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის დონის, მათი აქტივობის და შესაძლებლობების განსაზღვრისა და ანალიზისათვის აუცილებელია წინა წლებში ჩატარებული საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გენდერული პარამეტრებით განხილვა. მით უმეტეს, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა საზოგადოებაში დემოკრატიზაციის გამოვლინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს. მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიხსნა კვოტების სისტემა, როგორც საბჭოური გადმონაშთი და ქალთა მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში წარმართა ყოველგვარი ლიმიტების გარეშე.

თუ გადავავლებთ თვალს 1992-2008 წლებში საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ადვილად მივხვდებით, რომ საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა რაოდენობის სიმცირე მიუთითებს საარჩევნო კანონის უუნარობაზე, ხელი შეუწყოს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალების აქტიური ჩარევას.



1992 წლიდან დღემდე საკანონმდებლო ორგანოებში პარლამენტის წევრების გენდერული მაჩვენებლების გრაფიკი (ნახ. 1):

სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, 1992-1999 წლების საპარლამენტო არჩევნებში გენ-

დერული ბალანსი თითქმის უცვლელია. გამონაკლისს წარმოადგენს „ვარდების რევლუციის“ შემდეგ 2004 წლის 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები, სადაც ქალთა რაოდენობა 22-მდე გაიზარდა. გენდერული დისბალანსის მიუხედავად, 8 წლის განმავლობაში პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი ქალბატონს ეკავა. უკანასკნელ ხანებში გაიზარდა პარტიულ სიებში ქალების რაოდენობა, მაგრამ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტის დეპუტატის მანდატი მოიპოვა მხოლოდ 9 ქალმა, რომელთაგან ორმა უარი განაცხადა დეპუტატის უფლებამოსილების შესრულებაზე. რეალურად, დღეს საქართველოს პარლამენტში 7 ქალია. აღსანიშნავია, რომ მათგან ექვსი წარმოადგენს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას – გამარჯვებული საქართველოსათვის“. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლით შეიცვალა მიდგომა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქალების მონაწილეობისადმი. განსხვავებით წინა ხელისუფლებისაგან, რომელიც მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ ორი ქალბატონით იყო წარმოდგენილი, ახალმა ხელისუფლებამ 2004 წლიდან დღემდე რამდენიმე მნიშვნელოვანი სამინისტროს ხელმძღვანელობა ქალბატონებს დაავალა. „ჩვენ გვინდა მმართველობით და პოლიტიკურ სისტემაში რაც შეიძლება მეტი ქალი გვყავდეს და გვეყოლება“ – ასეთია მიხეილ სააკაშვილის მოწოდება და, მართლაც, მისი პირველი მინისტრთა კაბინეტი 5 ქალბატონით იყო წარმოდგენილი. 2008 წელს კი მინისტრთა მხოლოდ ორ პორტფელს ფლობენ ქალბატონები. შეიძლება ითქვას, რომ მმართველი პარტიის პრიორიტეტად რჩება ქალის აქტიური როლი პოლიტიკური პროცესების მართვაში.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში, შემცირდა პარლამენტის წევრების რაოდენობა 235-დან 150 დეპუტატამდე, პროცენტული მაჩვენებლებით თუ გამოვლით, დეპუტატი ქალების რაოდენობა 1992-2004 წლებთან შედარებით 3%-ით არის შემცირებული. აქვე გვსურს დავძინოთ, რომ უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში პირველად მონაწილეობდა ახლად დაარსებული ქალთა პარტია, რაც ნიშნავს იმას, რომ გასული წლებისაგან განსხვავებით, პოლიტიკური პარტიების საპროგრამო პრიორიტეტებში ცალკე გამოიყოფა ქალთა პრობლემები და მათი გაუმჯობესების ღონისძიებები.

თანამედროვე საქართველოში ქალების პოლიტიკური აქტივობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქვეყნის საშინაო პოლიტიკური პროცესებით. დღეს უცხოეთის ქვეყნებში 4 ქალბატონია საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით პოლიტიკურ პარტიებს გადასცეს სპეციალურად მომზადებული კითხვარი, რომელიც ითვალისწინებდა ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორებიც არის პოლიტიკური პარტიების მიერ საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხის მოგვარება, ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ კანონის შემუშავება, პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კანონებში პარტიის საარჩევნო სიაში ქალთა გარკვეული პროცენტული რიცხვის დადგენა, რომელიც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობდა ქალთა პოლიტიკური ლიდერობის და ქმედითუნარიანობის ამაღლებას. სამწუხაროდ, ამას რამე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია, მიუხედავად 1999 წლის 28 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა, პარლამენტისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ საარჩევნო კანონში სათანადო ცვლილებების განხორციელებისა, რომელთა შორის ვარაუდობდნენ კვოტების გამოყენებასაც. ხომ არ ნიშნავს ყოველივე ზემოთ თქმული იმას, რომ ქართული საზოგადოების მენტალიტეტი ჯერ მზად არ არის იმისათვის, რომ პოლიტიკაში ჩაბმული ქალის ყურადღება აკლდება ოჯახს, რაც ერთგვარ დისკომფორტს ქმნის. ამის მიზეზი ხომ არ არის ის, რომ პოლიტიკური ცხოვრების და საოჯახო პასუხისმგებლობის შეთავსების სირთულეებმა ბევრს გადააფიქრებინა მომდევნო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ხომ არ ჩნდება ალტერნატივა ან ოჯახი ან პოლიტიკა? დამსულ კითხვაზე პასუხის გაცემა, მართლაც რომ, რთულია, რადგან იმავე ქართველი მამაკაცების აზრით, უმართებულოა არ ჰქონდეს პოლიტიკოს ქალს ოჯახი. ამიტომაც კვლავაც ქალებზე იქნება დამოკიდებული მათი როლის ზრდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ქალებისსავე აქტიური მონაწილეობა, პარტიების შექმნა, მიგვაჩნია, გამოიწვევს მამაკაცების და სრულიად საზოგადოების მხარდაჭერას, მათ შორის, უმაღლეს ხელისუფალთა ნებასაც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავიძბა ს., ქალის როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში// ქალი და არჩევნები, UNDP, თბილისი, 2004
2. გუგუშვილი ნ., ქალი შუა საუკუნეების საქართველოში, თბილისი, არტანუჯი, 2004
3. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი// ქართული სამართლის ძეგლები. გამოსაცემად მოამზადა ი. დოლიძემ, თბილისი, საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1963
4. მარგიანი ლ., სოციალური საკითხები და ქალი დეპუტატები საქართველოს პარლამენტში// ქალი და არჩევნები, UNDP, თბილისი, 2004
5. ჯაში ჩ., ქალი და არჩევნები საქართველოში// ქალი და არჩევნები, UNDP, თბილისი, 2004
6. [http://www.cwn.ge/publication/ge\\_publication/Describing\\_the\\_Current\\_Situation\\_in\\_Georgia\\_Womens\\_Role\\_and\\_the\\_Status\\_ge.pdf](http://www.cwn.ge/publication/ge_publication/Describing_the_Current_Situation_in_Georgia_Womens_Role_and_the_Status_ge.pdf)
7. <http://www.gov.ge>
8. <http://www.mfa.gov.ge>
9. <http://www.economy.ge>
10. <http://www.moa.gov.ge>

## WOMEN'S POLITICAL STATUS IN GEORGIA

**Guranda Chelidze**  
PH.D, Associate Professor

**Eka Kvachantiradze,**  
PH.D, Associate Professor

**Abstract**

Nowadays gender researches have a special importance. During the last ten years the increase of emancipation process has resulted in a deep interest of women's role from ancient time until today and study of their position in the society and politics.

The article gives the retrospective view of woman's political status from ancient times until today in Georgia, it is also discusses woman's role in constructing democratic country, woman's and man's equality of rights as the main characteristic of democracy and civil society. The article shows the statistical data and analysis of women's activity in the legal and executive systems of Georgia from 1990s to 2008.

## ქრისტიანობა და ისლამი (ქრისტიანული თემატიკა ყურანში)

ირმა მახარაძე

ევროპაში, შემდეგ აზიაში დაინერა გამოკვლევები და ლიტერატურა, რომლებშიც დამუშავებულია და შესწავლილია რელიგიათმორის დიალოგის პრობლემები. გარდა ამისა, იმართება მრავალი შეხვედრა, კონფერენცია და სიმპოზიუმი სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანების მონაწილეობით. გაჩნდა მკვლევართა ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ რელიგიათა შორის ურთიერთობის დამყარებას და განვითარებას. რელიგიათა შორის დიალოგი თანამედროვე ეპოქის თანმხლები პროცესი ხდება. აქედან გამომდინარე, წინამდებარე მოხსენება მიზნად ისახავს ორი მსოფლიო რელიგიის იმ საერთო მოტივებზე ყურადღების გამახვილებას, რაც მათ წმინდა წიგნებშია მოცემული. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისლამისა და ქრისტიანობის საერთო მოტივების ძიება და ხაზგასმა თანამედროვე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების ფონზე იძენს.

ყურანში ქრისტიანული თემატიკის კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იესო ქრისტესთან, მარიამთან, იოანე ნათლისმცემელთან და ზაქარიასთან დაკავშირებული ნარატივები.

### იესო ქრისტე

იესოსთან დაკავშირებულ ეპიზოდებს ყურანის 15 სურაში ვხვდებით. იგი ყურანში რამდენიმე სახელითა და ეპითეტით არის მოხსენიებული. იესოს ყურანისეული სახელია 'ისა (عيسى), რომელიც 11 სურის 25 აიაშია დაფიქსირებული. 'ისას ეტიმოლოგია აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგიერთ ავტორს (მაგ. მარაჩი და ნოლდეკე) მიაჩნია, რომ მუჰამადი 'ისას ებრაელების გავლენით იყენებს. სხვები (მაგ. დერენბურგი, ფრენკელი, ვოლერსი, ნესტლე) მიიჩნევენ, რომ 'ესს' მომდინარეობს სირიული 'ეშუ'-ისგან, რომელმაც ფონეტიკური ცვლილება განიცადა, ხოლო სირიული ფორმა ებრაული 'ეშუა'-ისგან წარმოდგება (7, გვ.81).

იესო ყურანში 'ისას გარდა, მოიხსენიება, როგორც: 1) ქრისტე, მესია (المسيح), 2) წინასწარმეტყველი (النبى), 3) მოციქული (الرسول), 4) მარიამის ძე (ابن مريم), 5) სახელოვანი (الرحيم), 6) კურთხეული (البارئ), 7) ჭეშმარიტების სიტყვა (القول الحق), 8) ღვთის მონა (عبد الله), 9) მიახლოებულთაგანი (من المقربين).

ყურანის მიხედვით, იესო არის წინასწარმეტყველი და მოციქული. წინასწარმეტყველად იგი მხოლოდ ერთ აიაშია ნახსენები: "თქვა: ჭეშმარიტად, მე ალაჰის მონა ვარ, მომცა წმინდა წერილი და მქმნა წინასწარმეტყველად" (ყურანი, 19:30).

რაც შეეხება მოციქულს (الرسول), ყურანში ბევრი მოციქულია ნახსენები, მაგრამ მათ შორის 6 მთავარს გამოყოფენ, ესენია: ადამი (آدم), აბრაამი (إبراهيم), ნოე (نوح), მოსე (موسى), იესო (عيسى) და მუჰამადი (محمد). ყურანის მიხედვით, მოციქული არის ის, ვინც ხალხთან განსაკუთრებული ნიშნებით – გამოცხადებებით მიდიოდა (12, გვ.145-146). შემდგომში იწერებოდა ეს გამოცხადებები და იქმნებოდა წმინდა წერილები. იესოს შემთხვევაში, ასეთი წმინდა წერილი სახარებაა (الإنجيل).

ყურანში იესოს ისტორია თანმიმდევრულად არ არის გადმოცემული, მაგრამ თუ არსებულ ცნობებს გავერთიანებთ, შეიძლება შემდეგი საკითხები გამოვყოთ: 1) ხარება, ჩასახვა და იესოს შობა, 2) იესოს მისია, 3) იესო და სამება, 4) იესო, როგორც ღვთის მონა, 5) იესო და მუჰამადი, 6) ჯვარცმა.

ხარების შესახებ, ყველაზე უფრო ვრცლად, საუბარია მე-19 სურაში (ყურანი, 19:17-22), მაგრამ ყურანში ზუსტად არ არის განსაზღვრული განსხვავება ხარებასა და ჩასახვას შორის.

ლუკას სახარების მიხედვით, უფლის ანგელოზი, რომელიც მარიამს გამოეცხადა, წმინდა სულის მიერ არის მოვლენილი (ლუკა, 1:26-38).

სახარებაში მარიამს ანგელოზი გამოეცხადა, ხოლო ყურანში – სული. ეს კიდევ ერთხელ დასტურდება 66-ე სურის მე-12 აიაში:

**“მარიამს, ‘იმრანის ასულს, რომელმაც დაიცვა თავისი ორგანო, შთავბერეთ ჩვენი სული. მან ირწმუნა უფლის სიტყვები, წმინდა წერილები და იყო ღვთისმოსავთაგანი.”**

მიუხედავად ამისა, მარიამს შერცხვენის შიში ჰქონდა:

**თქვა: “რატომ არ მოვკვდი აქამდე, ვიქნებოდა დავინყებული (ყურანი, 19:23) “**

გასამხნეველად მას იესო მიმართავს:

**“და მოუწოდა მას ქვემოდან: “ნუ სევდიანობ, ქმნა უფალმა შენმა წყარო, შეარხიე პალმა და ჩამოცვივა მწიფე, სალი ნაყოფი,**

**ჭამე, დალიე და დაისვენე! და თუ დაინახავ ვინმეს ადამიანთაგან, უთხარი: ჭეშმარიტად, მარხვის აღთქმა მივეცი მონყალეს და არ დაველაპარაკები დღეს ადამიანს (ყურანი, 19:24-26).**

და აი, მარიამი ბრუნდება ხალხთან ახალშობილი ბავშვით ხელში; მას საყვედურობენ, მაგრამ ყრმა იესო ლაპარაკს იწყებს და მათ თავის ღვთაებრიობაში არწმუნებს:

**“თქვა: “ჭეშმარიტად, მე ალაჰის მონა ვარ. მომცა მან წმინდა წერილი და მექმნა წინასწარმეტყველად,**

**მაკურთხა, სადაც არ უნდა ვიყო, მიანდერდა ლოცვა და მონყალეა, ვიდრე ცოცხალი ვარ,**

**კეთილისმყოფელობა დედაჩემისადმი და არ ვუქმნივარ ტირანად, ბოროტმოქმედად,**

**მშვიდობა იმ დღეს, როცა დავიბადე, იმ დღეს, როცა მოვკვდები და იმ დღეს, როცა აღდგენილ ვიქნები მკვდრეთით (ყურანი, 19:30-33).**

ყრმობის ასაკში ლაპარაკი – ეს არის პირველი სასწაული, რომელიც ყურანის მიხედვით იესოს მიენერება. მაშინ, როცა სახარების მიხედვით, პირველი სასწაული მან 30 წლის ასაკში ქმნა (იოანე, 2:1-11).

ყურანის თანახმად იესო წინასწარმეტყველია (ყურანი, 19:31) და მოციქული (ყურანი, 4:157,170; 61:6). ყველა წინასწარმეტყველი მსგავსად მას აქვს სრულქმნის მისია, მაგრამ, ყურანის მიხედვით, ის მხოლოდ უდიდესი მასწავლებელი იყო კაცობრიობისა და ღვთის წმინდა მოციქული. ღმერთმა იგი აირჩია, რათა შეეცვალა ისრაელის მოდგმა. მას არ მოუტანია ახალი კანონი, თუმცა ებოძა ღვთიური გამოცხადება (9, გვ.11-12).

ფაქტობრივად, მუსლიმები მიიჩნევენ, რომ ქრისტიანული რელიგია თავისი არსით, მხოლოდ მოსეს რელიგიის განახლებაა (5, გვ.139). მიუხედავად ამისა, იგი **“ნათელი და გასაოცარი ნიშანია.”** პირველი **“გასაოცარი ნიშანი”** არის იესოს უბინოდ ჩასახვა და შობა, მაგრამ იესო, თავის მხრივაც, წარმოადგენდა **“ნიშნებს”**, რითაც თავის წინასწარმეტყველურ მისიას ამტკიცებდა. საოცარი იყო, რომ:

1. იესო ახალშობილიც კი ლაპარაკობდა ზრდასრული ადამიანის ავტორიტეტულობით (ყურანი, 3:41),

2. მან გამოძერწა თიხის ჩიტები და სიცოცხლე შთაბერა მათ (ყურანი, 3:49)“...

3. იესომ განკურნა ბრმა, განკურნა კეთროვანი,

4. ის აღადგენდა მიცვალებულებს ღვთის ნებით (ყურანი, 5:110)

საყურადღებოა, რომ, ყურანის თანახმად, იესო სასწაულებს ღვთის ნებით, სურვილითა და ძალაუფლებით ქმნიდა, რომელიც ისევე აღემატება იესოს, როგორც იესო – ყველა დანარჩენ მოკვდავს (იუსუფ ალი, კომ.820).

5. მოციქულების თხოვნით მან ზეციდან **“მზა სუფრა”** გარდამოავლინა (ყურანი, 5:112-115)

“**შზა სუფრის**” გარდამოვლენა მონაფეთათვის დღესასწაული და იესოს მისიის ნიშანი იყო. ეს პასაჟი ან საიდუმლო სერობის რემინისცენციაა (**იოანე 6:53-57; მათე, 26:26-28; მარკოზი, 14:12-25; ლუკა 22.7-23**) ან პეტრეს ხილვისა.

ყურანის მიხედვით, იესომ განაცხადა ის ჭეშმარიტება, რომელიც თორაშია გარდამოვლენილი:

**“დამამტკიცებლად იმისა, რაც ჩემამდე გარდამოგვევლინათ თორაში და აკრძალულის ნაწილობრივად ნების დასართავად, მე მოვედი უფლის ნიშნით, გეშინოდეთ ალაჰისა და დამემორჩილეთ მე!” (ყურანი, 3:50)**

წმინდა წერილი, სახარება, რომელიც იესომ მოიტანა, სასიკეთოა, რადგან ავსებს მათ გულებს, ვინც თვინიერად მიჰყვება.

**“შემდეგ წარვგზავნეთ ჩვენი მოციქულები მათს კვალდაკვალ, წარვგზავნეთ ‘ისა, ძე მარიამისა, ვუბოძეთ მას სახარება და ვინც მას მიჰყვა, შთაეუნერგეთ გულში თანაგრძნობა და მონყალევა...” (ყურანი, 57:27).**

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, იესო აღიარებულია უდიდეს წინასწარმეტყველად და ღვთის წმინდა მოციქულად. ყურანში იგი პატივისცემით მოიხსენიება, მაგრამ, ამავე დროს, უარყოფილია ქრისტიანული დოგმა სამების შესახებ (6, გვ.28) რითაც, მიუხედავად მარიამის ძისადმი უდიდესი პატივისცემისა, სავსებით ნათლად არის განცხადებული, რომ იგი მოკლებულია ღვთაებრიობას:

**“ქრისტე, ძე მარიამისა, მხოლოდ მოციქულია. მანამდეც იყვნენ მოციქულები, დედამისი – ალალ-მართალია. ისინი, ორთავენი იკვებებოდნენ”... (ყურანი, 5:57).**

**“არ იწამა, ვინც ამბობს, რომ ალაჰი ქრისტეა, ძე მარიამისა”... (ყურანი, 5:17; 5:72).**

ყურანში ნათქვამია:

1. იესო იყო ქალის, მარიამის შვილი და მაშასადამე - ადამიანი;
2. ის იყო წინასწარმეტყველი, ადამიანი, ღვთის მისიით და, აქედან გამომდინარე - პატივცემული;
3. იესო იყო მარიამზე გარდამოვლენილი სიტყვა. ის შექმნილ იქნა ღვთის სიტყვით “იქმენ” და იქმნა (ყურანი, 3:59);
4. ის იყო “სული ღვთისაგან”, მაგრამ არა ღმერთი; მისი ცხოვრება და მისია განსაზღვრული იყო, ასე რომ, მას შესაბამისი პატივი უნდა მიეგოს, ვინაიდან იესო ღვთის კაცი იყო. დოქტრინა სამების შესახებ, თანასწორობა ღმერთთან და ღვთის ძეობა უარყოფილია, როგორც ღვთის გმობა (6, გვ. 33).

თანამედროვე მუსლიმი მეცნიერების აზრით, ქრისტიანობა თავდაპირველად ერთღმერთიანობას ქადაგებდა, ხოლო სწავლება სამების შესახებ მისი დამახინჯების შედეგია (12, გვ.28).

ქრისტიანებთან პოლემიკის დროს, მუჰამადი არასოდეს ამბობს “სამსახიერი ღმერთი” და “სამება,” არასოდეს აყენებს ყურანში საკითხს, როგორ შეიძლება სამმა სახემ ერთიანი ღმერთი შექმნას (1, გვ.85) (**ყურანი, 4:171; 5:116-118**)

რაც შეეხება ყურანს, მე-5 სურის 116-ე აიიდან ნათლად ჩანს, რომ ყურანისეული სამება აერთიანებს ალაჰს, მარიამს (ფაქტობრივად, ალაჰის მეუღლეს) და მათ ძეს, იესოს. ორთოდოქსული ქრისტიანული გაგებით, ეს ერესია. აქედან გამომდინარეობს, რომ ისლამიც იმავეს უარყოფს, რასაც ქრისტიანობა, რადგანაც ერთიანი ღვთაებრივი არსი შინაგანად არის სამი ჰიპოსტასის შერწყმა. ესენია: მამა (პირველსანისი), ძე (ლოგოსი) და წმინდა სული (ცხოვრების დინამიკის “ცხოველმყოფელი” სანყისი).

მიუხედავად სამების დოქტრინის კატეგორიული უარყოფისა, ყურანი აღიარებს იესოს უბინოდ ჩასახვას, მაგრამ როგორც ღვთის ქმნილებას, ადამს ადარებს: **“ჭეშმარიტად, ‘ისა, ალაჰის წინაშე ადამის მსგავსია. მან შექმნა იგი მტვრისგან, შემდეგ უთხრა: იქმენ! და იქმნა.” (ყურანი, 3:59)**

იმდენად, რამდენადაც სიტყვა **აჲ** (მონა) თეოლოგიურად ქმნილებას აღნიშნავს (7, გვ.82), იესო ღვთის ქმნილებაა: **“ჭეშმარიტად, ის მხოლოდ მონაა. მივანიჭეთ მას წყალობა და ვქმენით მაგალითად ისრა’ილის ძეთათვის” (ყურანი,43:59).**

ყურანის მიხედვით, იესოს მიენერება წინასწარმეტყველება მომდევნო მოციქულის მოვლინების შესახებ **(ყურანი, 61:6)**

იოანეს სახარებაში იესო აცხადებს ნუგეშისმცემელზე, რომელიც მის შემდეგ უნდა მოვიდეს: **“მე მამას შევევდრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ” (იოანე, 14:16; 14:26; 15:26; ლუკა, 24:49).**

მუსლიმი კომენტატორები აღთქმულ ნუგეშისმცემელში მუჰამადს ხედავენ და აჰმადთან აიგივებენ, იმდენად, რამდენადაც ორივე სახელი ჰ-მ-დ ძირთან არის დაკავშირებული (7, გვ.83).

რაც შეეხება იესოს ჯვარცმას, ყურანში ნათქვამია:

**“... ჭეშმარიტად, ჩვენ მოვკალით ქრისტე, ‘ისა, ძე მარიამისა, ალაჰის მოციქული.” მათ არ მოუკლავთ ის და არც ჯვარს უცვამთ, არამედ მხოლოდ ეჩვენათ მათ. ჭეშმარიტად, მათ, ვინც ვერ თანხმდებიან ამაზე, უეჭველია, არა აქვთ ცოდნა. მათ შეუძლიათ მხოლოდ ივარაუდონ. ის ნამდვილად არ მოუკლავთ” (ყურანი,4:157).**

ეს არის ამ საკითხთან დაკავშირებული ერთადერთი ეპიზოდი ყურანში, სადაც უარყოფილია იესოს ჯვარცმა და სიკვდილი. მუჰამადი ამბობს, რომ იუდეველებს მხოლოდ მოეჩვენათ ყოველივე, სინამდვილეში კი იესო ცად ამალლდა.

სახარებაში საკმაოდ დაწვრილებით არის გადმოცემული იესოს ჯვარცმა და სიკვდილი **(მათე, 27:1-56; მარკოზი, 15:1-41; ლუკა,23:1-49; იოანე, 19:1-18).**

საინტერესოა, რატომ უარყო მუჰამადმა იესოს ჯვარცმა? შესაძლოა, ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, იესომ თავისი ვნებით პირველქმნილი ცოდვა გამოისყიდა, რაც არ ეთანხმება ისლამის მრწამსს, რომლის მიხედვითაც, ცოდვა მემკვიდრეობითი არ არის, ადამიანი უცოდველი იბადება (1, გვ.95; 9, გვ.7-8). მუსლიმი კომენტატორების თანახმად კი ის, რომ ქრისტეს ჯვარცმა იუდეველებს მხოლოდ მოეჩვენათ, მიანიშნებს რწმენის საბოლოო გამარჯვებას ბოროტებაზე, რადგან იესოს ჯვარზე სიკვდილი ჯალათების გამარჯვება იქნებოდა (7, გვ.84).

საბოლოოდ გამოდის, რომ იესო არ მომკვდარა და მის ნაცვლად სხვა გააკრეს ჯვარზე, ხოლო იგი ზეცად ამალლდა (1, გვ.97; 7, გვ.84). მაგრამ იესოს ისტორია ამალლებით არ მთავრდება. ქვეყნიერების აღსასრულამდე იგი მეორედ უნდა მოვიდეს. ის, რომ იესო “ნიშანია საათისა” ისლამში ჭეშმარიტებად არის აღიარებული: **“ის, ჭეშმარიტად, ნიშანია საათისა, ნუ გეპარებათ ეჭვი და მომყევით მე, ეს სწორი გზაა!” (ყურანი, 43:61).**

პარალელების მოტანა სახარებიდანაც შეიძლება:

**“ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მოდის ჟამი, და უკვე არის კიდევ, როცა მკვდრები მოისმენენ ღვთის ძის ხმას და მსმენელნი გაცოცხლდებიან” (იოანე, 5:25).**

**“ნუ გაიკვირებთ ამას, რადგან მოდის ჟამი, როდესაც ყველანი, ვინც სამარხებში არიან, მის ხმას მოისმენენ.**

**კეთილის მოქმედნი სიცოცხლის აღდგომისთვის გამოვლენ, სიავის მქმნელნი კი – სამსჯავროს აღდგომისთვის” (იოანე, 5:28,29).**

სახარებაში „**ჟამი**“ იმავეს აღნიშნავს, რასაც ყურანში – „**საათი**“ (ე.ი. განკითხვის დღეს), განკითხვის დღის ზუსტი დრო კი, ხალხისთვის უცნობია. ეს მხოლოდ ღმერთმა იცის (ყურანი, 7:147). იესო, ყურანის მიხედვით, განკითხვის ჟამს ბრალს დასდებს ქრისტიანებს იმაში, რომ მათ ის და დედამისი ღვთის სწორად მიიჩნიეს.

## მარიამი

ყურანში მარიამი 12 სურის 31 აიაში არის ნახსენები, აქედან სამ აიაში ორ-ორჯერ. გარდა ამისა, მე-19 სურას “მარიამი” ეწოდება. 11 სურის 22 აიაში (2:87,256; 3:45; 4:157,171; 5:17,17,46,72,75,78,110,112,114,116; 9:31; 19:34; 23:50; 33:7; 43:57; 57:27; 61:4,16) მარიამი გვხვდება ფრაზაში “იესო, ძე მარიამისა”, მამის ხსენების გარეშე, რადგან მუსლიმური ტრადიციის თანახმად, იესოს არ ჰყავდა მინიერი მამა (10, გვ.328).

მუსლიმური ტრადიციის თანახმად, მარიამი საუკეთესოა ოთხ გამორჩეულ ქალს (აიშას, ხადიჯას და ფატიმას) შორის. ის არის ქალთა მეთაური სამოთხეში (2, გვ.127; 10, გვ.328). გადმოცემის მიხედვით, ხარება შემდეგნაირად მოხდა: ანგელოზი ჯიბრაილი (გაბრიელი) გამოეცხადა მარიამს უწვეურულვამო ყმანვილის სახით და განუცხადა მას ვაჟის შობის შესახებ. მარიამმა გაოცება გამოხატა, მაგრამ ანგელოზის დამარწმუნებელი პასუხი რომ მოისმინა, ღვთის ნებას დაემორჩილა.

ამის შემდეგ ანგელოზმა შთაბერა მარიამს მოსასხამის ნაკეცში, რომელიც მან გაიხადა. როდესაც ანგელოზი წავიდა, მარიამმა ჩაიცვა მოსასხამი და დაორსულდა. ხარება მოხდა გამოქვაბულში, სილვანის წყაროსთან, სადაც, მარიამი, ჩვეულებისამებრ, დოქის ასავსებად დადიოდა და ეს იყო ყველაზე გრძელი დღე. სხვა გადმოცემის მიხედვით, ‘ისას სული მარიამს პირიდან ჩაესახა (10, გვ. 329).

მეორე მნიშვნელოვანი დოგმატური ნიშანი არის ის, რომ ყურანის მიხედვით, მარიამი სამებას მიეკუთვნება. ამ კონცეფციის გაელვება მე-5 სურის 75-ე აიაშია მოცემული:

**“ქრისტე, ძე მარიამისა, მხოლოდ მოციქულია. მანამდეც იყვნენ მოციქულები, დედამისი კი ალაღმართალია. ისინი, ორთავენი იკვებებოდნენ. შეხედე, როგორ ვუხსნით მათ ნათელ ნიშნებს, შემდეგ კი შეხედე, როგორ იტყუებიან!”**

ეს ვერსია, როგორც ჩანს, მიმართულია ქრისტიანების მოსაზრების უარსაყოფად, რომლებიც თაყვანს სცემდნენ იესოს და დედამისს, როგორც ღვთაებრივ არსებებს, ამაღლებულებს ადამიანურ საჭიროებებზე. ამას შეიძლება შევადაროთ მე-4 სურის 171-ე აია:

**“ო, საღვთო წერილის ხალხო! ნუ იქნებით ზედმეტად გულმოდგინენი თქვენს რელიგიაში და ნუ იტყვიან ალაჰზე ნურაფერს, გარდა ჭეშმარიტებისა. ქრისტე, ‘ისა ძე მარიამისა, ხომ მხოლოდ ალაჰის მოციქულია, მისი სიტყვა, რომელიც მარიამს ესროლა და მისი სული. ინამეთ ალაჰი, მისი მოციქული და ნუ იტყვიან სამია. დაასრულეთ, ეს კარგია თქვენთვის, რამეთუ ალაჰი ერთადერთი ღმერთია! იგი დიდებულია იმისთვის, რათა შეილი ჰყავდეს; მისია ყველაფერი, რაც ცაშია და მიწაზე. ალაჰი საკმაო მფარველია’.**

უფრო ნათელია მე-5-ე სურის 116-ე აია:

**“და აი თქვა ალაჰმა: ო, ‘ისა, ძე მარიამისა! განა უთხარი ხალხს – მიმიღეთ მე და დედაჩემი ორ ღმერთად ალაჰის გარდა? თქვა: დიდება შენდა! არ იქნება, რომ ვთქვა, რაც არ ხელმეწიფება, ხოლო თუ ვამბობდი, შენ იცი, შენ იცი რა არის ჩემს სულში, მე კი არ ვიცი, რა არის შენს სულში, შენ ხომ დაფარულის მცოდნე ხარ!”**

ხშირად ისმება კითხვა - როგორ მივიდა მუჰამადი იქამდე, რომ მარიამი სამების ერთ-ერთ ჰიპოსტატად ჩაეთვალა? ეპიფანიუსი ლაპარაკობს ქალზე, რომელიც თაყვანს სცემდა მარიამს, როგორც ღმერთს (კოლორიდიანელთა სექტა) (10, გვ.328); სეილი აღნიშნავს, რომ მარიამიტები აღმერთებენ სამებას, რომელშიც შედიან ღმერთი, ქრისტე და მარიამი, ის ალ-მაქინის ნაშრომს ეყრდნობა. შესაძლებელია, მუჰამადის კონცეფცია რომელიმე სექტის გავლენის შედეგი კი არ იყო, არამედ იმ თაყვანისცემისა, რომლის ობიექტიც იყო თვით მარიამი ეკლესიაში. ან, შესაძლებელია, ის ‘ისას წმინდა სულთან იდენტიფიკაციიდან გამომდინარეობდეს (მე-4 სურის 171-ე აია).

ყურანში შედარებით დიდი ადგილი უკავია მარიამის და იესოს ისტორიას. მონათხრობში მრავალი ადგილი ეთანხმება აპოკრიფულ თუ კანონიკურ სახარებას.



ყურანის ორ ეპიზოდში არის შედარებით სრულად მოთხრობილი იესოს შობის შესახებ. ესენია: მე-3 სურის 35-47-ე აიები და მე-19 სურის 1-34-ე აიები.

მე-19 სურა იწყება ზაქარიასა და იოანეს ისტორიით (1-15-ე აიები), ამას მოსდევს მარიამისა და იესოს ისტორია (16-33-ე აიები). მე-3 სურის 35-47-ე აიები შეიცავს: 1) მარიამის შობას (35-37-ე აიები), 2) იოანეს ხარებას (38-41-ე აიები), 3) იესოს ხარებას (42-46-ე აიები).

მარიამის მამას, ყურანის მიხედვით 'იმრანი ჰქვია, ხოლო ქრისტიანულ გადმოცემებში - იოაკიმი. არსებობს მოსაზრება, რომ სახელი 'იმრანი ბიბლიური ყამრამის (მოსეს მამა) გამოძახილი უნდა იყოს, ისევე, როგორც, ფაქტია, რომ მარიამი ჰარუნის დად ინოდება: **“ო, ჰარუნის დაო, არ იყო მამაშენი ცუდი კაცი და არც დედაშენი ყოფილა მრუში!” (ყურანი, 19:28).**

ერთი შეხედვით, ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ ერთმანეთში არის არეული ორი ბიბლიური მარიამი და მუჰამადს არ ჰქონდა წარმოდგენა იესოს და სხვა წინასწარმეტყველთა მოღვაწეობის შესახებ. მუსლიმური გადმოცემებიც, გვარწმუნებენ, რომ ბიბლიურ ყამრამსა და მარიამის მამას 1800 წელი ამორებთ ერთმანეთს (10, გვ.329), ხოლო თალმუდის საკმაოდ გავრცელებული იუდეური ლეგენდის მიხედვით, მარიამი, მოსესა და აარონის და დიდი ხნის განმავლობაში ცოცხალი იყო, სიკვდილის ანგელოზს მასზე ძალაუფლება არ ჰქონდა, იგი ღვთის სულის ქროლვით გარდაიცვალა და მისმა სხეულმა ხრწნა ვერ იხილა (1, გვ. 88), მიუხედავად ამისა, საეჭვოა, მუჰამადს არ სცოდნოდა როდის რომელი წინასწარმეტყველი მოღვაწეობდა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიტყვა “და” არ ნიშნავს პირდაპირ ნათესაობას და არის სტილისტურად რთული მეტაფორა, რომელშიც ორ დიდ მოციქულს შორის ნათესაობა იგულისხმება. როგორც 'იმრანის საგვარეულოს შთამომავალი, მარიამი არის “მუსას დაც” და “იმრანის ასულიც” (2, გვ 127).

'იმრანის ცოლი, მარიამის დედა ყურანში სახელით არ არის ნახსენები, მაგრამ, როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმურ გადმოცემებში, ის ჰანად ინოდება.

'იმრანი და ჰანა მოხუცები და უშვილოები იყვნენ, ერთ დღეს ჰანამ დაინახა ჩიტი, რომელიც ბარტყს აპურებდა და შვილის ყოლის ძლიერი სურვილი გაუჩნდა, ის ლოცულობდა და შესთხოვდა ღმერთს სურვილის ასრულებას. ჰანამ აღუთქვა ღმერთს, რომ, თუკი მის ვედრებას შეისმენდა, ბავშვს ტაძარში აღზრდიდა **(ყურანი, 3:35,36).**

შემდეგ ყურანი მოგვითხრობს, რომ ბავშვი, ღვთაებრივი წყალობითა და ზაქარიას მზრუნველობით, ტაძრის სენაკში (მიჰრამ) იზრდებოდა **(ყურანი, 3:37).**

მუსლიმური გადმოცემის თანახმად, 'იმრანი მარიამის დაბადებამდე გარდაიცვალა და მასზე პასუხისმგებლობა ბიძამ, ზაქარიამ აიღო. მას მიეცა მარიამზე მზრუნველობის უფლება, რაც მძიმე გამოცდით იყო განმტკიცებული. გამოცდა მდინარეში ისრების სროლაში მდგომარეობდა. ერთადერთი ისარი, რომელიც ზაქარიამ გაისროლა, წყლის ზედაპირზე გაჩერდა **(ყურანი, 3:44).**

ქრისტიანული ტრადიცია კი გადმოგვცემს იოსების მძიმე გამოცდას, რომელიც მარიამის მეურვედ აღიარეს, რადგან მისი ჯოხიდან მტრედი გამოფრინდა.

იმდენჯერ, რამდენჯერაც ზაქარია მარიამთან სენაკში შედის, ნახულობს, რომ მარიამი საკვებით უზრუნველყოფილია. იგივე დეტალი ფიგურირებს ქრისტიანულ ტრადიციაში. იოსები ყურანში ნახსენები არ არის. მუსლიმური გადმოცემის მიხედვით, მარიამზე მისი ბიძაშვილი ზრუნავს, რადგან ზაქარიას ასაკის გამო აღარ შეეძლო მასზე მზრუნველობა. მარიამი ტაძარში რჩება, რომელსაც იგი ყოველთვიური წესის დროს ტოვებს. ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, იოსებს დედათა წესის დროს მარიამი თავის სახლში მიჰყავდა, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტაძარი შეიბილწებოდა.

რაც შეეხება ხარებას და იესოს შობას, ამის შესახებ დაწვრილებით უკვე ვისაუბრეთ. იესოს შობასთან დაკავშირებით კი, დავამატებთ, რომ ეპიზოდი, სადაც ყრმა იესო მარიამს გასამხნეველად მიმართავს, შეიძლება ჩაითვალოს ქრისტიანული გადმოცემის პარალელად, რომელშიც ნათქვამია, რომ ეგვიპტეში გაქცევის დროს ყრმა იესომ უბრძანა პალმას დახრილიყო, რათა მარიამი დაეპურებინა. პალმა დაიხარა, ვიდრე იესომ კვლავ არ უბრძანა გასწორებულიყო, შემდეგ იესომ უბრძანა გარდამოედინა წყალი წმინდა ოჯახის დასარწყულებლად (მათეს აპოკრიფული სახარება, თავი მე-20).

მე-19 სურის 26-ე აიაში ნათქვამია:

**“...და თუ დაინახავ ვინმეს ადამიანთაგან, უთხარი: ჭეშმარიტად, მარხვის აღთქმა მივეცი მონყალეს და არ დაველაპარაკობი დღეს ადამიანს”.**

კომენტარები გვამცნობენ, რომ ეს აღნიშნულ იქნა, რათა თავიდან აეცილებინა მომბაზრებელი შეკითხვები. ეს დეტალი ქრისტიანულ გადმოცემაში არ არის. მხოლოდ იაკობის პროტოსახარებაშია ნათქვამი, რომ მარიამი, რომელიც მაშინ 16 წლის იყო, ისრაელიტებს ემალეობდა. მუსლიმური გადმოცემის თანახმად, ის გამოქვაბულში 40 დღის განმავლობაში დარჩა. შემდეგ მან იესო თავის ხალხთან წაიყვანა.

**“და მივიღამარიამი თავის ხალხთან მასთან ერთად, მიჰყავდა ის[იესო]. თქვეს: “ო, მარიამ! გასაოცარი რამ ქმენი**

**“ო, ჰარუნის დაო, არ იყო მამაშენი ცუდი კაცი და არც დედაშენი ყოფილა მრუში!”**

**მან კი მასზე[იესოზე] მიუთითა. თქვეს: როგორ ველაპარაკოთ მას, ვინც ბავშვია აკვანში?” (ყურანი, 19:27-29).**

მუსლიმური თვალსაზრისით, ეს იყო მარიამისადმი მიმართული უდიდესი ცილისწამება (12, გვ.262), რისთვისაც ალაჰმა, რომელიც იცავს მორწმუნეებს, ყრმა იესოს მეტყველების უნარი მიანიჭა:

**“თქვა: “ჭეშმარიტად, მე ალაჰის მონა ვარ. მომცა მან წმინდა წერილი და მქმნა წინასწარმეტყველად,**

**მაკურთხა, სადაც არ უნდა ვიყო, მიანდერძა ლოცვა და მონყალეობა, ვიდრე ცოცხალი ვარ,**

**კეთილისმყოფელობა დედაჩემისადმი და არ ვუქმნივარ ტირანად, ბოროტმოქმედად,**

**მშვიდობა იმ დღეს, როცა დავიბადე, იმ დღეს, როცა მოვკვდები და იმ დღეს, როცა აღდგენილ ვიქნები მკვდრეთით” (ყურანი, 19:30-33).**

ყურანში არ არის ნახსენები ეგვიპტეში გაქცევა თუ არ ჩავთვლით “მოშორებულ ადგილს”, რომელშიც, შესაძლებელია, სწორედ ეგვიპტეში გაქცევა იგულისხმებოდეს. გადმოცემები ამ ფაქტს უკავშირებს 23-ე სურის 50-ე აიას: **“ქმენით მარიამის ძე ნიშნად; მივეცი თავშესაფარი ბორცვთან, სიმშვიდითა და წყაროთი”** და გვამცნობს, რომ ისინი 12 წლის განმავლობაში დარჩნენ ეგვიპტეში. წმინდა ოჯახი მხოლოდ ჰეროდეს სიკვდილის შემდეგ დაბრუნდა ნასირაში (ნაზარეთში).

ყურანში არაფერია ნათქვამი მარიამის შემდგომი ცხოვრების შესახებ. გადმოცემის მიხედვით კი, სიკვდილის შემდეგ ‘ისა დედამისს ზეციდან ამშვიდებდა. გადმოცემებში მოთხრობილია აგრეთვე, რომ მარიამი იოანესთან და შიმ’უნთან ერთად რომში წავიდა, რათა ექადაგა მარუთამდე (ნერო). როდესაც შიმ’უნი და თადაუსი ჯვარს აცვეს, მარიამი იოანესთან ერთად გაიქცა. მათი დევნის დროს დედამინა გაიხსნა და ისინი მდევრებს გაექცნენ. ეს სასწაული მარუთის მოქცევის საფუძველი გახდა.

### იოანე ნათლისმცემელი და ზაქარია

იოანე ნათლისმცემელი, ისევე, როგორც მამამისი – ზაქარია, ყურანში ნახსენებია იესო ქრისტესთან და ელიასთან ერთად, ალალმართალ და სამართლიან ადამიანებს შორის. ყურანში, ერთგვარად, კლასიფიცირებულია ის მოციქულები, რომლებიც აირჩია ალაჰმა და სწორ გზაზე დააყენა. ყურანის მე-6 სურის 82-87 აიებში 18 წინასწარმეტყველია ჩამოთვლილი, რომლებიც 4 ჯგუფში ერთიანდებიან. პირველ ჯგუფს შეადგენენ: აბრაამი (إبراهيم), აბრაამის ძე – ისააკი (إسحاق) და ისააკის ძე – იაკობი (يعقوب). ყურანის მიხედვით, აბრაამი იყო პირველი, ვისაც წმინდა წერილი გარდამოეწვინა (ყურანი, 87:17-19), თუმცა, კომენტარებში აღნიშნულია (6, კომ.903, გვ.363), რომ ამ წმინდა წერილს ჩვენამდე არ მოუღწევია. მეორე ჯგუფში შედიან: ნოე (نوح), დავითი (داود), სოლომონი (سليمان), იობი (أيوب), იოსები (يوسف), მოსე (موسى) და აარონი (هارون). ისინი,

ყველანი აქტიურ ცხოვრებას ეწეოდნენ და ყურანში სიკეთის მქმნელებად იწოდებიან. მესამე ჯგუფი – ზაქარია (ذَكَرَ), იოანე ნათლისმცემელი (يحيى), იესო ქრისტე (عيسى) და ელია (إلياس) – შედგება არა აქტიური ადამიანებისგან, არამედ ჭეშმარიტების მქადაგებელთაგან, რომლებიც განმარტოებით ცხოვრობდნენ. ისინი “ალაღმართლებად” მოიხსენიებიან და, შეიძლება ითქვას, იესო ქრისტეს გარშემო არიან გაერთიანებულნი, რადგანაც ზაქარია იყო იოანე ნათლისმცემლის, იესოს წინამორბედის მამა. იესო იოანე ნათლისმცემელს, როგორც ელიას ისე მიმართავდა: **“იგია ელია, რომელიც უნდა მოვიდეს” (მათე, 11:14)**. მეოთხე ჯგუფი – ისმაილი (إسماعيل), ელიშა (إليشا), იონა (يونس), ლოტი (لوط) – აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც შეებრძოლნენ მრავალ უსამართლობას და არ გადაუხვევიათ ალაჰის მიერ ნაჩვენები გზისთვის. მათგან ყველაზე მთავარი ისმაილია, რომელიც არაბების მამამთავრად არის აღიარებული.

რაც შეეხება ზაქარიასა და იოანე ნათლისმცემელს, ყურანში მათი ისტორია მოთხრობილია მარიამისა და იესო ქრისტეს ისტორიასთან ერთად. ამ ოთხი პერსონაჟის ერთმანეთთან დაკავშირება სავსებით ბუნებრივი ჩანს, რადგან ზაქარია მარიამის ბიძა იყო და სწორედ ის ზრუნავდა მარიამზე, როცა მას მამა გარდაეცვალა **(ყურანი, 3:37)**.

სწორედ მარიამის ერთ-ერთი მონახულების დროს სთხოვა ზაქარიამ უფალს მემკვიდრე **(ყურანი, 3:38; ყურანი, 19:4,5)**.

უფალმა ისმინა ზაქარიას ვედრება. ანგელოზების საშუალებით განუცხადა:

**“ჭეშმარიტად, ალაჰი გაუწყებს იაჰიაზე, დამამტკიცებლად ალაჰის სიტყვის ჭეშმარიტებისა, ბატონზე, მომთმენზე და ალაღმართალ წინასწარმეტყველზე” (ყურანი, 3:39)**.

ზაქარია მღვდელი იყო. ის და მისი ცოლი ერთგულად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ისინი ხანდაზმულები იყვნენ და შვილი არ ჰყავდათ. ზაქარია ძალიან ღელავდა, მაგრამ ყურანის კომენტარებში (11, კომ.2745, გვ.940) აღნიშნულია შემდეგი: მისი მღელვარების მიზეზი ის კი არ იყო, რომ მის შტოს ვერავინ გააგრძელებდა, არამედ, ის, რომ ხალხი არ იყო უანგაროდ ღვთისმოსავი და არავინ იქნებოდა ალაჰის გულწრფელი მსახური, თუკი თავადვე არ აღზრდიდა მას.

მიუხედავად იმისა, რომ ზაქარია წუხდა მემკვიდრის არყოლის გამო, მაინც ვერ ირწმუნა ანგელოზის სიტყვები და სამი დღით დამუნჯდა **(ყურანი, 3:41; ყურანი, 19:10,11)**.

ზაქარიას დამუნჯება, ყურანის მიხედვით, ნიშანი იყო, ხოლო სახარების მიხედვით – სასჯელი **(ლუკა, 1:20)**.

იოანეს სასწაულებრივი შობის ისტორია, რომლის ყურანისეული სახელია იაჰია, სამჯერ არის მოცემული: მე-3, მე-19 და 21-ე სურებში **(ყურანი, 3:38-40; ყურანი, 19:3-9; ყურანი, 21:89,90)**.

იაჰია, იესოს მსგავსად, ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიბრძნით. ყურანის მიხედვით, იაჰია იყო პატიოსანი, კეთილგონიერი და თავმდაბალი ადამიანი. მისი მისია იყო “ღვთის სიტყვის განმტკიცება” **(ყურანი, 3:39)**.

მე-19 სურაში არის ერთი საინტერესო დეტალი იაჰიასთან და ‘ისასთან მიმართებაში. იოანესთან დაკავშირებული აიები –

**“...მივანიჭეთ მას სიბრძნე ბავშვობიდან, გულმონყალება ჩვენგან, სინმინდე და იყო ღვთისმოსაში, კეთილისმყოფელი მშობლებისათვის და არ იყო ტირანი, ურჩი მშვიდობა იმ დღეს, როცა დაიბადა, იმ დღეს, როცა მოკვდება და იმ დღეს, როცა აღდგება მკვდრეთით!” (ყურანი, 19:12-15),**

მცირე სახეცვლილებით არის გამეორებული 31-ე, 32-ე და 33-ე აიებში, მაგრამ უკვე იესოსთან დაკავშირებით:

**“მაკურთხა, სადაც არ უნდა ვიყო, მინდერდა ლოცვა და მონყალება, ვიდრე ცოცხალი ვარ, კეთილისმყოფელობა დედაჩემისადმი და არ ვუქმნივარ ტირანად, ბოროტმოქმედად**

**მშვიდობა იმ დღეს, როცა დავიბადე, იმ დღეს, როცა მოვკვდები და იმ დღეს, როცა აღდგენილ ვიქნები მკვდრეთით!” (ყურანი, 19:31-33).**

შესაძლებელია, ამით კიდევ ერთხელ იყოს ხაზგასმული ის, რომ იესო ქრისტე ისეთივე წინასწარმეტყველი იყო, როგორც იოანე.

ასევე, აღსანიშნავია ერთგვარი პარალელი ყურანსა და ახალ აღთქმას შორის. ყურანში, ისევე, როგორც სახარებაში, იოანეს შობას იესოს შობა მოჰყვება (**ლუკა, 1:57-80; 2:1-20; ყურანი, 3:38-47; ყურანი, 19:1-34**), მაგრამ სახარებისგან განსხვავებით, ყურანში არ არის აღნიშნული იოანეს, როგორც ნათლისმცემლის როლი. არაფერია ნათქვამი არც მისი შემდგომი ცხოვრებისა და არც სიკვდილის შესახებ. ამ დანაკლისს ავსებს ყურანის კომენტარები, სადაც ნათქვამია, რომ იოანე ნათლისმცემელს დიდხანს არ უცხოვრია. ის დააპატიმრა ჰეროდემ, რომელიც იოანემ ცოდვაში ამხილა. მას თავი მოკვეთეს იმ ქალის წაქეზებით, რომელთანაც ჰეროდეს ძლიერი ვნება აკავშირებდა (11, კომ.2468, გვ.856). აქ, ფაქტობრივად, მოკლედ არის გადმოცემული სახარებისეული ისტორია (**მათე, 14:3-11**).

რაც შეეხება ზაქარიას, ყურანში არც მისი სიკვდილის შესახებ არის ნათქვამი რამე, ხოლო კომენტარების მიხედვით (8, გვ.654), იგი, როგორც წინასწარმეტყველი, მონამეობრივი სიკვდილით აღესრულა – მას შემდეგ, რაც იოანეს თავი მოჰკვეთეს, ზაქარია ხეში გაუჩინარდა.

ზაქარიასა და იოანე ნათლისმცემელს ყურანი განიხილავს, როგორც ორ მნიშვნელოვან წინასწარმეტყველს, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ღვთისგან არ მიუღიათ წმინდა წერილი, ისლამი აფასებს, როგორც, ღვთისმოსავ, ბრძენ და ალალ-მართალ ადამიანებს. აღსანიშნავია, რომ დამასკოში, არაბული სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს – ომაელთა მეჩეთში დღემდე არის შემონახული იოანე ნათლისმცემლის საფლავი. ამის შესახებ გვამცნობს იბნ ბატუტა (8, გვ.640). მისივე ცნობით, ზაქარიას საფლავიც ომაელთა მეჩეთშია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს იმ გამორჩეულ პატივს, რომელსაც ისლამი ზაქარიას, განსაკუთრებით კი იოანე ნათლისმცემელს მიაგებს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ყურანი საყურადღებო მასალას შეიცავს ქრისტიანობასთან დაკავშირებით. ყურანში არსებული გადმოცემები, რომლებიც იესო ქრისტეს, მარიამს, იოანე ნათლისმცემელს და ზაქარიას ეხება, მოწმობს ქრისტიანული თემატიკის თავისებურ ინტერპრეტაციას, რაც ისლამისა და ქრისტიანობის მიმდევრებს კარგ საფუძველს უქმნის ურთიერთგაგების გზების ძიებისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზნამენსკი ბ., “სახარების პერსონაჟები ყურანში”, “მაცნე”, ენის და ლიტერატურის სერია, 1985, №2
2. ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი 1999
3. Бартольд В.В., Сочинения, т.6
4. Журавский А.В., Христианство и Ислам, М.1990
5. Davenport J., “Mohammad and Koran”
6. Deedat A., “Crist in Islam”, Qatar-Doha, s.d.
7. Encyclopaedia of Islam, 2<sup>nd</sup> ed.,vol.4
8. Encyclopaedia of Islam, 2<sup>nd</sup> ed.,vol.6
9. Fazl-ur-Rahman M.,Islam and Christianity in the modern world”, Muslim University Press, Aligarh, 1944
10. Shorter Encyclopaedia of Islam, London, 1961
11. The Holy Qur-an, English translation of the meanings and Commentary by Abdullah Yusuf Ali, Al-Madina Al-Munawwarah, 1413 H
12. عفيف عبد الفتاح الطباره "يهود في القران" بيروت 1982

**CHRISTIANITY AND ISLAM  
(CHRISTIAN REFERENCES IN THE KORAN)**

**Irma Makharadze**

**Abstract**

In Europe, then in Asia we come across to researches and literature, where the problems of dialogue between religions are worked out and studied. Furthermore, many meetings, conferences and symposia are held with the participation of different religious confessions. There are groups of researchers who try to contribute to establishing and developing relationship between religions. Dialogue between religions has been becoming concomitant process of the modern age. Hence, the present article will promote emphasizing the common motives of two world religions – Islam and Christianity, which are given in their Holy Books. Researching and emphasizing common motives of Islam and Christianity takes on special significance against the background of confrontation between the West and the East.

In searching for Christian themes in the Holy Koran particular importance have the images of Jesus Christ, Virgin Mary, John the Baptist and Zakaria. The Koranic point of view about them is characterized by important peculiarities conditioned by an explanation of this or that phenomena differing from Christian tradition, the original interpretation of their lives.

The Koran refers to Jesus in 15 suras (sura – chapter of the Holy Koran). It is the foundation of Muslim Christology. In the Koran Jesus is mentioned with various names and epithets. The Koranic name of Jesus is 'Isa, which is mentioned in 25 verses of 11 suras. In the Koran, Jesus, besides 'Isa, is mentioned as: 1. Christ, Messiah, 2. Prophet, 3. Messenger, 4. Son of Mary, 5. Worthy of esteem on this world and the next, 6. Blessed, 7. Sure word, 8. Servant of God, 9. among those who are close to God.

The Koranic name of Virgin Mary is Maryam, found in 31 ayas of 12 Suras, besides the name of 19<sup>th</sup> Sura is “Maryam”.

John the Baptist and his father, Zakaria are named in the Koran along with Jesus Christ they are considered as two important prophets, who have not received the Book, but Islam respects them as wise and righteous people.

Finally, it is important to mention that Islamo-Christian parallels are studied on the basis of the Holy Books of the two religions. It gives us an opportunity to emphasize common values. The main aim of the article is providing a basis for a rapprochement between Muslims and Christians, to make possible strengthening and promoting better understanding between them.

**ნოდარ დუმბაძის რომანის „მე ვხედავ მზეს“  
თურქული თარგმანის ილუსტრირებული გვირგვინი**

**მუზაფერ ქირი**  
დოქტორანტი  
ასოციირებული პროფესორი

ცნობილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის რომანი „მე ვხედავ მზეს“ გადათარგმნილია თურქულ ენაზე (მთარგმნელი მ. ქარაორენი, 1982 წ.). რომანი გერმანული ენიდან არის თურქულზე გადათარგმნილი, გერმანულზე კი – რუსულიდან, ხოლო რუსულზე – ქართულიდან.

საინტერესოა დედანსა თუ თარგმანებში წარმოდგენილი ილუსტრაციების საკითხიც. მხატვრული ნაწარმოების ილუსტრირების დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ქმნის განწყობას, შეჰყავს მკითხველი ტექსტის სამყაროში, ეხმარება შინაარსის უკეთ აღქმაში, კითხვის პროცესში სურათს განტვირთვის ფუნქციასაც აკისრია. ამ თვალსაზრისით, განსხვავებული ვითარებაა: ქართულ ტექსტში ილუსტრაცია ახლავს მხოლოდ წიგნის სათაურს (გვ.5). აქ ილუსტრირების საფუძველია ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი — ხატია. წიგნის სათაურში, ქვეშ, სწორედ მისი სურათია. მხატვარი ხატიას სახეში აქსოვს მის კეთილშობილებასა და სათნოებას, ანუ გვიხატავს ისეთს, როგორც არის აღწერილი ეს პერსონაჟი ტექსტში.

რაც შეეხება რუსულ თარგმანს, აქაც ილუსტრაცია მხოლოდ წიგნის სათაურს ახლავს (გვ.6). სურათიც სათაურიდან გამომდინარეა შექმნილი: შემალღებულ ადგილს, შეფენილ სოფელს, ზედ დაჰყურებს ღრუბლებით გარშემორტყმული მზე. სოფლის განაპირას კი ერთად მოჩანან რომანის მთავარი პერსონაჟები — ხატია და სოსოია. სურათში აღნიშნულია ნაწარმოების ის ეპიზოდი, რომლის მიხედვითაც ხატია და სოსოია სიმინდის საშოვნელად გაემართნენ.

ქართულისა და რუსულისაგან განსხვავებით, გერმანული თარგმანი არის ილუსტრირებული. სწორედ ასეა თურქულ თარგმანშიც. განსხვავება ისაა, რომ გერმანულ თარგმანში სურათები ჩართულია ტექსტში (თითო თავში თითო ილუსტრაცია მაინც არის), ხოლო თურქულში თითქმის ყველა თავს უძღვის ილუსტრაცია. ტექსტში სურათები არ არის. განსხვავებაა დასურათებშიც. ამაში ჩანს, როგორ აღიქვამს გერმანელი თუ თურქი მთარგმნელი ეპიზოდის შინაარსს.

ამით უნდა აიხსნას თურქულ თარგმანში წარმოდგენილი ილუსტრაციების განსხვავება. მთარგმნელი გაეცნო გერმანული ტექსტის ილუსტრაციებს, ძირითადად შეცვალა ილუსტრირებულის პრინციპიცა და ზოგჯერ შინაარსიც, ზოგჯერ დატოვა იგივე, თუმცა მცირეოდენი ცვლილებებით, აბსოლუტურად იდენტური ილუსტრაციები თურქულსა და გერმანულ ტექსტებში არ დასტურდება.

მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს გერმანულ თარგმანში წარმოდგენილი ილუსტრირების გადანყვება. მკითხველი ჯერ ეცნობა ეპიზოდს, შემდეგ უკეთ გაიაზრებს ნაწარმოების შინაარსს ილუსტრაციის თანხლებით. თურქ მთარგმნელს კი წინასწარ, სათაურშივე აქვს მოცემული იმის ამსახველი სურათი, რაზეც შემდეგ იქნება საუბარი. შესაძლებელია, ეს იმით აიხსნას, რომ მთარგმნელს სურს განაწყოს, დააინტერესოს მკითხველი გადმოსაცემი აზრის ნასაკითხავად და შესაცნობად.

თურქულში ილუსტრირებას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუ გერმანულში 11 სურათია, თურქულში წარმოდგენილია 17. ყველა ილუსტრაცია ორივე თარგმანში „განსხვავებულია“.

**პირველი თავის სათაურია (გვ. 8) „ქეთო მამიდა“.** თურქულ თარგმანში სათაურის ზევით წარმოდგენილია ამ თავის ერთ-ერთი ეპიზოდის ილუსტრაცია: სოფლის მოსახლეობა შეკრებილია ფოსტის წინ და თოხებზე დაყრდნობილი შეჰყურებს რაღაცას. ტექსტის მიხედვით ისინი უსმენენ რეპროდუქტორს,

რომელიც ომის დაწყებას აუწყებს ხალხს. ეს სურათი ნამდვილად გადმოსცემს ამ ეპიზოდში აღწერილ სიტუაციას, მთავარ სათქმელს, ხალხის შემოფოთებას მოსალოდნელი ომის გამო მშვიდობიანი ცხოვრების დათმობისათვის.

თურქულთან შედარებით განსხვავებულია გერმანული ტექსტის ილუსტრაცია. აქ წინა პლანზე წარმოდგენილია ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის — სოსოიას პორტრეტი, მის უკან კი შემცირებულ პლანში მოჩანს სოფლის ნაწილი. ამ ილუსტრაციას წიგნის მთელი გვერდი უჭირავს. სოსოია მთელ წიგნსა და აღნიშნულ თავშიც არის მთხრობელი, ამდენად, მხატვარმა სწორედ მის პორტრეტზე გაამახვილა ყურადღება.

**მეორე თავში (გვ. 9)** „ზღვის უკუქცევა“ ეძღვნება ომში გაცილებას. თურქული თარგმანის ილუსტრაცია სწორედ ამ ფაქტს ასახავს. სათაურის ზევით მოჩანს, ერთი მხრივ, ზურგზე აბგამოკიდებული ომში მომავალი ადამიანები ზურგშექცევითა და ცოტა მოშორებით, მეორე მხრივ, მათი გამცილებლები უფრო ახლოს და პირით აქეთ არიან. გერმანულ თარგმანში მთელი გვერდი ეთმობა ილუსტრაციას, რომელზეც გამოსახულია გზა, ამ გზაზე ომში მიმავალი ჯარისკაცები ხელში დროშით, გზის იქით, შორს, ომის საშინელება, აფეთქების სურათი, გზის აქეთ, წინა პლანზე კი ნანარმოების პერსონაჟები არიან: თავდახრილი მამიდა და დათიკო ბრიგადირი. აქ გადმოცემულია ის განცდა, რომელმაც მოიცვა მამიდა ქეთო დათიკოსთან განშორების გამო.

მაშასადამე, აღნიშნული თავის ილუსტრაცია თურქულსა და გერმანულში ერთი და იმავე შინაარსისაა.

**მესამე თავის (გვ. 10)** სათაურიცა და ილუსტრაციაც, თურქულსა და გერმანულში, ეძღვნება ხატის. გერმანულ ტექსტში ხატის სურათს უფრო მეტი დატვირთვა აქვს: ხატია წარმოდგენილი ნათელ ფერში, ერთი ნერტილისკენ მაცქერალი, მის ფონზე კი მოჩანს ზურგზე ავტომატითა და ქუდით შავბნელი სურათი დათიკო ბრიგადირისა და იქვე მჯდარი თვალეზზე ხელეზფარებული, დათიკოს დეზერტირობის ამბის გაგებით შემფოთებული მამიდა ქეთო. ეს ილუსტრაცია შესანიშნავად გამოხატავს ეპიზოდის შინაარსს. თურქულ ტექსტში მოცემული ილუსტრაცია კი შედარებით მარტივია და ასეთ გამომსახველობით ფუნქციას მოკლებული: გზის აქეთა მხარეს დგას ხატია, მეორე მხარეს — ხე, ხის იქით კი — მზე. ქ, წინა თავისგან განსხვავებით, აქცენტი გადატანილია მხოლოდ ხატიაზე და არა აღნიშნულ თავის მთლიან შინაარსზე. ამ თვალსაზრისით, გერმანული ტექსტის ილუსტრაცია უფრო საინტერესოა.

**IV თავი (გვ. 11)** – „ასე კი არ არის საქმე“ – თურქულში ილუსტრირებულია, გერმანულში – არა.

**V თავის (გვ. 12)** – „სამხედრო გაკვეთილი“ – ილუსტრაცია ასახავს ეპიზოდის შინაარსს. თუმცა განსხვავება მაინც არის: გერმანულში ისევ მთელი გვერდი ეთმობა ეპიზოდის ამსახველ სურათს, რომელზეც წარმოდგენილია დაფასთან მდგარი სამხედროს მასწავლებელი-ლევან გურულიძე და ჯგუფი. ილუსტრაცია ნათლად ასახავს სამხედროს გაკვეთილზე არსებულ სიტუაციას. ამას ვერ ვიტყვით თურქული ტექსტის შესახებ. აქ, უბრალოდ, მარტივად არის წარმოდგენილი სამხედრო ფორმაში გამონყობილი, დაფასთან მდგარი მასწავლებლის სურათი. აქაც უპირატესობა გერმანულ ტექსტს უნდა მიენიჭოს.

**VI თავი** – „ლამის ვიზიტი“ (ქართ. „დათიკო ბრიგადირი“) გვიამბობს დათიკო ბრიგადირის დეზერტირობის ამბებს. ილუსტრაციაც სწორედ დეზერტირი დათიკოს სახეს ასახავს თურქულში. გერმანულში ილუსტრაცია არ არის.

**VII თავში** – („ბეჟანა“) მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ მოაქვს ხატისა და სოსოიას მოპარული რძე ანატოლისთვის. თურქულსა და გერმანულ ტექსტში ილუსტრაცია ამ შინაარსის შემცველია. გერმანულისგან განსხვავებით,

თურქულ ტექსტში სურათზე მოჩანს ანატოლი, რძით ხელში, ცოტა მოშორებით კი თხებთან ქურდულად მისული ხატია და სოსოია.

**VIII თავი** – „რას გვეკითხება ამოცანა“ — **74-85, 75** – როგორც გერმანულ, ისე თურქულ ტექსტებში, ილუსტრირებულია თითქმის ერთნაირად. გერმანულში სურათზე მოჩანს ფოსტალიონი, სკოლაში შეკრებილი ხალხის წინაშე, თუმცა თურქულ ტექსტში ფოსტალიონის შემოსვლის სცენა აღბეჭდილი. ასევე განსხვავებულია ისიც, რომ თურქულში წინა პლანზეა გამოსახული მთხრობელის – სოსოიას სახეც.

**IX თავი** – „თევზაობა“.

გერმანულში არ არის ილუსტრირებული, თურქულში კი სათაურისა და ეპიზოდის შესაბამისი სურათია წარმოდგენილი: ხატია სოსოიას მიერ დაჭერილი წვერას მდინარეში უშვებს. იქვე მოჩანან სხვა პერსონაჟებიც.

**X თავი** – „თოვლი“.

გერმანულში არ არის ილუსტრირებული, თურქულში კი ილუსტრაცია იმ შინაარსის გამომხატველია, რაც მთარგმნელს აქვს წარმოდგენილი. დედანში არსებულ მასალას თურქულის ილუსტრაცია არ შეესაბამება.

**XI თავი** – „კუკურა“.

გერმანულ ტექსტში ჩართულ სურათზე ასახულია ამ თავის ბოლო ეპიზოდი: სანოლში მყოფო

ანატოლის მამიდა ქეთო თავისი ხელით აწვდის ჭიქას, იქვე არის სოსოიაც, იგი მათ უყურებს. თურქული ტექსტის ილუსტრაცია კი უკეთ გამოხატავს ამ თავის ძირითად შინაარსს: კედელზე მოჩანს კუკურას პორტრეტი, წინ ყვავილები, იქვე კი ცეცხლის ალში იწვის კუკურის დაღუპვის გამომხატველი სამგლოვიარო ლენტი. ამ სცენას შეჰყურებენ მაგიდასთან მსხდომი ანატოლი და სოსოია. მათ წინ ჭიქები უდგათ.

**XII თავი** — „ბეგლარის ნისქვილი“.

გერმანულში სურათი არ არის. თურქულში ილუსტრაციაზე გამოსახულია ბეგლარა, იქვე დაშლილია წიგნები, მოჩანს თოფი და დოქი, ცოტა მოშორებით, ოღონდ მკაფიოდ — მისი ნისქვილი. აქ ილუსტრაცია ამ თავის სათაურის შესატყვისია. იგი უფრო ბეგლარის პირად ცხოვრებას ასახავს და არა მთლიანად აღნიშნული თავის შინაარსს.

**XIII თავი** — „ცუცა“

გერმანულში არ არის ილუსტრირებული, თურქულში კი გამოსახულია სათაურისა და ნაწილობრივ შინაარსის შესაბამისი სურათი.

**XIV თავი** — „ტრიუმფალური შეტევა“ (თურქ. „თავდასხმა“) როგორც გერმანულში ილუსტრაცია სათაურის შესაბამისია, გამოხატულია თავდასხმის სცენა.

**XV თავში** — „ასეთია ცხოვრება“ — ილუსტრირება სხვადასხვაგვარია: გერმანულ ტექსტში სურათზე გამოსახული არიან ხატია და სოსოია ვირითა და ჩექმებით, უკანა პლანზე მოჩანს ის პირველი ოჯახი (მასპინძლები — მამაშვილი), რომელშიც ისინი შევიდნენ. გერმანულისაგან განსხვავებით, თურქული ტექსტის ილუსტრაცია ასახავს ბაბილოსა და კაჭანოს სახეებს და მათკენ შორიდან მომავალ ხატიასა და სოსოიას. ხატია ვირზე ზის, სოსოია ფეხით მოჰყვება მას.

**XVI თავი** — „ზრდილობა“ — არ არის გერმანულსა და თურქულში.

**XVII თავი** — „Danke schon“- გერმანულში არ არის ილუსტრირებული, არც თურქულში.

**XVIII თავის** — „წყალდიდობა“ („ლანქრობა“) ილუსტრაციები თითქმის იდენტურია, არ არის გამოხატული მთლიანი შინაარსი. აქ სურათზე ასახულია მხოლოდ ერთი მონაკვეთი, კამათი ბენედიქტესა და მოთევზავე ბავშვებს შორის

**XIX თავი** — „მე გხედავთ, ხალხო!“ — გერმანულში არ არის ილუსტრირებული, თურქულში სიმბოლურად არის გამოხატული რომანის ფინალი: ხატია დგას ბუნებაში ზურგით მკითხველისკენ, მაგრამ სახით აღმოსავლეთისკენ და შეჰყურებს ამომავალ მზეს.

აქვე გთავაზობთ დედანში, რუსულში, გერმანულსა და თურქულ თარგმანებში წარმოდგენილ ილუსტრირებულ გვერდებს:




დედნის (ქართულის) დასაწყისი





რუსული თარგმანის დასაწყისი



თურქული თარგმანის ყდა



მაგიდა





გერმანული



GELGIT

Askerlik şubesinin önünde toplanmıştı insan seli; koca bir insan denizi dalgalanıyordu şubenin avlusunda. Ağlayanlar, şarkı söyleyenler, ah'lar, vah'lar, of'lar, puf'lar. Biri yalvarıyor; biri yeminler ediyor, sözler veriyor. Kimileri birbirlerini kucaklıyor, öpüşüyor. İnsanlar birbirlerine sarılıp ayrılıyor, yeniden sarılıyor, ağlıyor, yakınıyor, kucaklaşıp ayrılıyor.

Bodur dut ağacının gölgesinde oturmuş Gerasime Amca, tütün içiyor. Gözleri oğlunda. Bakışlarında unlaşılma bir uysallık. Oğlunun ellerinde küçük bir çocuk, kızı. Baba, kızı havaya kaldırıyor, zıplıyor ikide bir. «Hoppala» diyor çocuğu boşluğa atıyor, düşerken yakalıyor hemen. Çocuk bacaklarını geriyor, kahkabalara boğuyor ortalığı, katılıyor gülmekten. Hemen yanlarında Arap Maşiko —bütün köy onu Arap adıyla tanır— dikilmiş duruyor. Rüzgârda sallanan iri bir ağaca benziyor, esmer yanaklarından yaşlar boşanıyor. İki yana sallanırken, dişini alt dudığına geçirmiş boyuna ısırıyor. Dingin bir hali var.

ზღვის უკუქცევა



გერმანული




KATYA

Savaş köyümüzün dükkanlarını boşaltıyordu. İkin raflardan şeker, kibrit, yağ, sabun, ekmekek çekildi; bulunmaz oldu. Tamtakır rafların ardından da satıcılar ortadan kayboldu. Tarlaları yabancıları bürüdü hep. Değirmende tek bir taş döner oldu. Halkın çoğunun yakacağı tükenmişti. Mitriona Teyze avlusundaki son odunları parçalamamı benden rica etti. Un sandıklarında un kalmadı; bu yüzden de eleklere hemen hiç iş düşmüyordu artık. Keto Halam, saç ekmeğini, unu elemeyi yapmaya başladı. Günlerden bir gün tam geceyarısı uyandım canhıraş bir çığlıkla. Savaşın otuzuncu günü karalara bürünmüş ilk kadın, köyün sokaklarında dolazmaya başlamıştı.

Sabah, Datiko'nun yerini alan İhsenya'nın insanı uykusunda saçrastan haykırmaya başlıyordu köyde. İhsenya iki elini beru gibi ağzına götürüyor, bulunduğu





**HIÇBİR ŞEY OLMADI**

Ayderesi'nin karşı kıyısında yükselen tepenin eteğinde çalışıyorduk günlerden bir gün. Postacı Kotya geldiğinde gün kavuşmuştu.

«Hanımlara iyi akşamlar dilerim,» dedi Postacı. Sanki yalnız hanımlar varmış gibi, ben, Gerasime Amca, Luka Potshişvili, Besaryon Şalıkaşvili orda değilmişcesine... Ta uzaklardan seslenmişti Postacı Kotya:

«İyi akşamlar hanımlar!»

Yeni çalışma öderi İksenya elini alına götürüp siper ederek karşladı onu:

«Neler getirdin bakalım bize?»


Kotya işi şakaya almak zorunda kaldı.

«Şeker getirdim size, yağ getirdim, has buğday unu, havyar, balık konservesi getirdim, bal da getirdim; gaz da vardı, sabun da vardı ama ağır geldi taşıyamadım. Yarın onları da alr getirim. Ama bütün bunlardan önce sevgili hanımlar, gazeteleri bırakıyorum kütüğün üstüne; onları kaldırımlarda sürtün küçük terseri yolladı.»


Gazeteleri kulluyordum ben de.

32

*ასე კი არაა საქმე*



გერმანული



**ASKERİ DERS**

Zaman delicesine akıp gidiyor. Haziran, Temmuz hatta Ağustosun nasıl gelip geçtiğini anlamadık bile. Eylül de kendinden önceki aylar gibi biri, ikisi, üçü dördü derken geçiverdi. Güz patladı birdenbire.

Matya yine yanımda oturuyordu. Halamın Gürcüce derslerinde; tıpkı eski günlerdeki gibi.

Coğrafya öğretmenimiz söz verdi:

«Uslu durun,» dedi. «Eğer uslu durur derste görülmü etmezseniz dinlencede kürebe oynarız hep birlikte.»

Rusça öğretmenimiz bir türlü öğrenemedi adımı hep yanlış söylüyor.

Bütün öğretmenlerimiz bir deri bir kemik. Okulda bu yıl bizi yeni bir gubeye verdiler; askerlik derslerine de başladık. Askerlik dersleri için okula yeni bir

39

*სამხედრო გაკვეთილი*

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. დუმბაძე, თხზულებებთა ოთხ წიგნად, თბ., „გამომცემლობა მერანი“, 1988 წ;
2. Нодар Думбадзе – “Я вижу солнце” - Перевод М. Заверина и К. Коринтели. Издательство “Мерани”, Тбилиси 1975
3. Nodar Dumbadze, Güneşi Görüyorum, İstanbul, “Can Yayınları”, 1982
4. Dumbadse, N., “Ich Sehe die Sonne”, Verlag Neues Leben, Berlin, 1968

**THE ILLUSTRATED PAGES OF THE TURKISH TRANSLATION  
OF NODAR DUMBADZE’S NOVEL I SEE THE SUN**

**Muzaffer Kir**  
*Associated Professor*

**Abstract**

The novel *I See the Sun* of the famous Georgian writer Nodar Dumbadze is translated into Turkish language. The novel has not been translated directly into Turkish. It has been translated into Turkish from German, into German from Russian, and into Russian from Georgian.

The issue of the illustrations represented in the original or in the translated versions is interesting. The illustration of fiction has certain importance. It creates predisposition, brings the reader into the world of the text, and helps in better comprehension of the content... From this point of view there is different situation: in Georgian text only the title of the book has the illustration. The artist depicts in Khatia’s face her nobility and virtue, i.e. paints her in the way she is depicted in the text.

As for the Russian translation, here also the illustration is given only to the title of the book. The picture is made proceeding from the title...

In contrast to the original and Russian translation, the German translation is illustrated. The same applies to the Turkish translation. The difference is that in the German translation the pictures are inserted into the text (there is at least one illustration in every chapter), while in the Turkish translation illustration precedes almost every chapter. There are no pictures in the text. The difference is in pictures as well. It is visible how perceives German and Turkish translators the content of the episode. For example:

**The title of the first chapter is “Aunt Keto”.** In the Turkish translation, above the title the illustration of the one of the episodes in this chapter is presented: the residents of the village are gathered in front of the post and leaning on hoes they are gazing at something. According to the text they are listening to the loudspeaker, which informs the people about the start of the war. This picture depicts the situation described in this episode indeed.

The illustration of the German text is relatively different from that of the Turkish one. Here in the forefront the portrait of one of the personages of the novel – Sosoia – is presented, behind whom the scaled-down part of the village can be seen. This illustration occupies a whole page of the book. **IV Chapter – “It is Not the Case”** is illustrated in the Turkish version, and not in the German one...

## ღვინო ქართულსა და ფრანგულ ფრაზეოლოგიკაში

ცისანა ბიბლიევილი  
მეცნიერებათა დოქტორი

ფრაზეოლოგია ენათმეცნიერების დამოუკიდებელი დარგია და შეისწავლის ენის ფრაზეოლოგიურ სისტემას. რას წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმი? განსაზღვრის რამდენიმე კრიტერიუმი არსებობს (შ. ბალი, ვ. ვინოგრადოვი, ა. კუნინი, ა.თაყაიშვილი და სხვ.), მაგრამ, ჩვენ ყველაზე ადეკვატურად და სარწმუნოდ მიგვაჩნია ა. ნაზარიანისეული განსაზღვრა, რომლის თანახმადაც ფრაზეოლოგიზმი არის „ენის დანაწევრებულად გაფორმებული ერთეული, კომპონენტების სემანტიკის სრული ან ნაწილობრივი გადაწვევა“.<sup>1</sup>

ფრაზეოლოგიზმები გავრცელებულია ყველა ენაში. ამიტომ, საინტერესოა მათი შესწავლა როგორც ერთ, ცალკე აღებულ ენაში, ასევე რამდენიმეში ერთად. ორი ან რამდენიმე ენის ფრაზეოლოგიური სისტემების ტიპოლოგიური შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები, უფრო ღრმად ჩავწვდეთ ამა თუ იმ ენის მატარებელი ხალხის აზროვნების წესს და, შესაბამისად, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა წარმოქმნის მექანიზმს და ამის საფუძველზე დავადგინოთ როგორც ფრაზეოლოგიის წარმოქმნისა და განვითარების საერთო ნიშნები, ანუ გამოვყოთ ფრაზეოლოგიური უნივერსალები, ისე შევისწავლოთ ამა თუ იმ ცალკეული ენისთვის დამახასიათებელი ნაციონალური ელემენტები.

ფრაზეოლოგიზმის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური, კერძოდ, ეთნოლინგვისტური ფაქტორები, რომლებიც მის ეროვნულ ხასიათს განსაზღვრავენ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა.მეიე, ენის ბოლომდე წვდომა მხოლოდ „მისი სოციალური ბუნების გათვალისწინებითაა შესაძლებელი“<sup>2</sup> ენის ფრაზეოლოგიური ფონდის სპეციფიკა განისაზღვრება მისი მატარებელი ხალხის ადგილსამყოფელით, ფლორით, ფაუნით, ისტორიითა და ადათებით. ეროვნული ელემენტის შესწავლაში დიდ როლს თამაშობს სოციოლინგვისტიკაც.

ორი ან რამდენიმე ენის ფრაზეოლოგიური სისტემების სემანტიკური თვალსაზრისით შესასწავლად ყველაზე ეფექტურია, შესასწავლი ენების ფრაზეოლოგია ერთმანეთს შევადაროთ თემატური ჯგუფების მიხედვით, დავადგინოთ ამა თუ იმ ლექსემის გამოყენებისა თუ გარკვეული ცნების გამოხატვის შესაძლებლობები მოცემულ ენებში.

საქართველო, ისევე როგორც საფრანგეთი, მეღვინეობის ქვეყანაა, ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ ორივე ენაში უხვადაა ღვინოსა და სიმთვრალესთან დაკავშირებული გამოთქმები და ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან „ყველაფერი, რაც აქვს ხალხს ყოფასა და ცნობიერებაში, ინახება ენაში“.<sup>3</sup> ამჯერად, განვიხილავთ მხოლოდ ღვინოსთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიზმებს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ არანაკლებ საინტერესოა სიმთვრალესთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და მათი რაოდენობა ორივე შესაძარებელ ენაში მნიშვნელოვანია.

რადგან ფრაზეოლოგია ხატოვნად აღწერს სინამდვილეს, ადამიანის ლოგიკის ერთიანობამ შეიძლება ზოგჯერ რეალური სიტუაციების ერთნაირად გადააზრებამდე, სპონტანურად გაჩენილ პარალელებამდე მიგვიყვანოს, თუნდაც ისეთ გეოგრაფიულად დაშორებულ და განსხვავებული სისტემების მქონე ენებში, როგორებიცაა ქართული და ფრანგული ენები. უმეტეს შემთხვევებში კი იდენტური ფაქტები შესაპირისპირებელი ენების მატარებელი ხალხის ცნობიერებაში განსხვავებულად გარდატყდება და განსხვავებული ხატებით გადმოიცემა, რაც ეროვნული ელემენტითაა განპირობებული.

ჩვენ მიერ შესწავლილი ქართული ფრაზეოლოგიზმები ამოკრებილია სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული წყაროებიდან.<sup>4</sup> გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით პროდუქტული აღმოჩნდა დიალექტური ლექსიკონები იმ რეგიონებისა, სადაც მეღვინეობა განსაკუთრებითაა განვითარებული.<sup>5</sup> რაც შეეხება ფრანგულ მასალას, მის მოსაპოვებლად ვისარგებლეთ როგორც ცნობილი ლექსიკოგრაფიული წყაროებით<sup>6</sup>, ისე ღვინისადმი მიძღვნილი სპეციალური ლექსიკოლოგიური ნაშრომებით<sup>7</sup>.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ ვითვალისწინებთ მეღვინეობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას და მხოლოდ ხატოვანი ფრაზეოლოგიით შემოვიფარგლებით. ღვინოსთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიის შესწავლისას ორივე ენაში გამოიყო შემდეგი ჯგუფები:

ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ეხება ღვინის ხარისხს, სისქეს, ფერს, გემოსა და სურნელს,

რაოდენობასა და დაყენების ტექნოლოგიას.

ცალკე გამოვყოფთ ლექსემა „ღვინოს“ შემცველ ქართულ ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც სემანტიკურად ღვინოს არ უკავშირდება.

**1. ღვინის ხარისხის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები**

აქ გამოიყოფა რამდენიმე ქვეჯგუფი:

ა) **წყალნარევი ღვინის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები**: bouillon de canard (იხვის ნახარში), sirop de grenouille (გომბემოს სიროფი), jus de parapluie (ქოლგის წვენი) აღნიშნავენ ღვინოს, რომლის შემადგენლობაშიც 85 % წყალია ; petit vin (პატარა ღვინო) წყალზე დაყენებული ღვინოა, რაც სავარაუდოდ, ქართული „წყალ-ღვინოს“ შესატყვისი უნდა იყოს. Un vin arrosé (მორწყული ღვინო) – წყალნარევი ღვინოა, ასევე, ზმნური ფრაზეოლოგიზმები tremper/couper le vin (ღვინის დაღობა/კუპირება) ღვინის წყლით გაზავებას ნიშნავს. Noyer son vin (ღვინის დახრჩობა) ღვინის წყლით ზედმეტად გაზავებას აღნიშნავს.

ქართულ ენაში წყალნარევი ღვინის აღსანიშნავად იხმარება გამოთქმები „სახარჯო ღვინო“, „წყალ-ღვინო“. საინტერესოა ქიზიყურ დიალექტში გავრცელებული, წყალნარევი ღვინის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმი „ტოპრიკა ღვინო“.

შესადარებელ ენებში გვხვდება იდენტური ლექსიკური შედგენილობისა და სემანტიკის მქონე გამოთქმები — le vin acqueux – „წყალწყალა ღვინო“, le vin baptisé – „მონათლული ღვინო“, le vin d’opération /vin sophistiqué – „გაკეთებული ღვინო“, le vin de dépense – „სახარჯო ღვინო“.

ბ) **უხარისხო ღვინის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები** :

Le vin à laver les pieds des cheveux (ცხენის ფეხის საბანი ღვინო), le vin commun (საზოგადო ღვინო), le vin de comptoir (დახლის ღვინო), le vin de deux oreilles (ორი ყურის ღვინო), le vin à chasser les cousins (ბიძაშვილების გასაყრელი ღვინო) ქართულში – „აჭრილი ღვინო“, „გადაბრუნებული ღვინო“ კლიმატური პირობების გავლენით ამღვრეული, გაფუჭებული ღვინოა. რაჭული დიალექტის „მზისნაქცევი ღვინო“ – მზისგან გამთბარ ქვევრში გაფუჭებულ ღვინოს აღნიშნავს. საინტერესოა გურული დიალექტის „ნადური ღვინო“ და იმერული დიალექტის „ჭყლიპურტა ღვინო“, ხოლო გამოთქმა „მომბალი ღვინო“ ცუდად გარეცხილ ჭურში შენახული ღვინის აღმნიშვნელი გამოთქმაა.

ამ ქვეჯგუფში ვხვდებით პარალელურად წარმოქმნილ ისეთ გამოთქმას, როგორცაა le vin battu – „გალახული ღვინო“, რაც შორ გზაზე გადატანით შელახულ ღვინოს აღნიშნავს.

გ) **სუსტი ღვინის** აღსანიშნავად ფრანგული ენა იყენებს ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს le vin catholique (კათოლიკე ღვინო), un vin petit (პატარა ღვინო), il a peu de vin (ცოტა ღვინო აქვს), le vin lavé (გარეცხილი ღვინო). ქართული ენის გურულ დიალექტში გავრცელებულია გამოთქმები „გალა ღვინო“, „ღვინის გაგალება“, რაც ღვინის სიმაგრის მოკლებას ნიშნავს.

ამ ქვეჯგუფში არსებული პარალელიზმებია le vin mou – „დუნე ღვინო“, le vin léger „მსუბუქი ღვინო“, le vin des dames „საქალებო ღვინო“.

დ) **მაგარი ღვინის** აღმნიშვნელი და მასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები : ფრანგულში — le vin qui donne sur le casacin (ღვინო, რომელიც ურტყამს) le vin qui a du gilet (ყილეტიანი ღვინო), le vin couvert (დახურული ღვინო) , le vin capiteux (მათრობელა ღვინო), le vin ferme / ardent (მტკიცე /მწველი ღვინო) და იმერული დიალექტის „მძიმე ღვინო“.

გვაქვს ორი პარალელიზმი – le vin qui porte/tape à la tête (ღვინო, რომელიც თავში ადის /ურტყამს) და le vin dur /fort (მაგარი ღვინო).

ე) **ხარისხიანი ღვინოების** აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმებია le vin d’une oreille (ერთი ყურის ღვინო), le vin de derrière les fagots (ფიჩხსუკანა ღვინო), le vin de café (კაფეს ღვინო), vin complet (სრული ღვინო), le vin de la comète (კომეტის ღვინო), jus d’octobre (ოქტომბრის წვენი) ან jus de la treille (ტალავერის ღვინო). ქართულში – „თავი ღვინო“, „ნოეს ვაზის ღვინო“, ქიზიყური „თავანკარა ღვინო“, იმერული „მუმი ღვინო“, რაჭული „ნაყენები ღვინო“ (იგულისხმება ტკბილის დაყენების შედეგად მიღებული ღვინო), „მოგუდული ღვინო“ და „თავკვერა ღვინო“, რომელიც, შესაძლოა, თავკვერის ჯიშის ყურძნიდან დაყენებული ღვინის დასახელებიდან „თავკვერი“ მომდინარეობდეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ზედაშე ღვინო“, რაც საუკეთესო ხარისხის ღვინოს აღნიშნავს და რომელიც ეკლესიაში, ღვთისმსახურების დროს

გამოიყენება. საინტერესოა, რომ ძველ ქართულ კარაბადინებში საუკეთესო ხარისხის მაგარი ღვინის აღსანიშნად გვხვდება გამოთქმა „ძნელი ღვინო“.

პარალელური ფორმებიდან გვხვდება le vin distingué „გამორჩეული ღვინო“, le vin limpide „კამკამა ღვინო“, და le jus de la vigne „ვაზის ნაჟური“.

## 2. ღვინის სისქის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები

ა) სქელი ღვინის აღმნიშვნელი გამოთქმებიდან ფრანგულ ენაში გვხვდება un vin charnu (ხორციანი ღვინო), le vin gras (ცხიმოანი ღვინო), ხოლო ქართული ენის რაჭულ დიალექტში „მოლეღვილი ღვინო“.

პარალელური ფორმებიდან გვხვდება un gros vin და ქართულის „ბლანტე ღვინო“ ასევე, le vin à couper au couteau „დანით გაიჭრება“.

ბ) ფრანგულ ენაში თხელი ღვინის აღმნიშვნელი გამოთქმაა un vin décharnu (უხორცო ღვინო), un vin amaigri (გამხდარი ღვინო), ქართულში კი – „წყალწყალა ღვინო“.

## 3. ღვინის ფერის აღმნიშვნელი შესიტყვებები

ჟარგონული un gros qui tache (ბლანტე, რომელიც ლაქას ტოვებს) და vin bleu (ლურჯი ღვინო) აღნიშნავენ უხარისხო შავ ღვინოს; vin de carafe (გრაფინის ღვინო) იხმარება იაფფასიანი ჩამოსასხმელი თეთრი ღვინის აღსანიშნად, le vin couvert (დახურული ღვინო), გარდა იმისა, რომ მაგარი ღვინოა, მუქი ფერისაცაა, dame blanche (თეთრი ქალბატონი) სასაუბრო ენაში ერთ ბოთლ თეთრ ღვინოს მიუთითებს, ხოლო kil de rouge (კილოგრამი წითელი) (აქ kil kilogramme-ის აბრევიაციაა) ბოთლი წითელი ღვინოა. Vin jaune (ყვითელი ღვინო) იურას რეგიონში მოყვანილ ღვინოს აღნიშნავს (შდრ. „მანავის მწვანე“); შავი ღვინის აღსანიშნავად ფრანგული ენა იყენებს გამოთქმას vin rouge (წითელი ღვინო), მაშინ, როცა ქართული უპირატესობას „შავ ღვინოს“ აძლევს, რაც გამონვეულია ერთი და იმავე ხატის განსხვავებულად გადააზრებით, თუ ქართული იყენებს „შავს“, ფრანგი მიმართავს ლექსემას rouge (წითელი) (შდრ. რუსული красное вино). ფერებთან მიმართებით, გარდა თეთრისა და შავისა, ქართულში გვაქვს „ლალისფერი ღვინო“, „ბატის ჭუკისფერი ღვინო“, „ქარვისფერი ღვინო“. საინტერესოა ქართული ფრაზეოლოგიზმი „გადაბრუნებული ღვინო“, რაც ქვევრიდან ამოღების შემდეგ ფერნაცვალ ღვინოს აღნიშნავს.

პარალელური ფორმებია le vin ambré „ქარვისფერი ღვინო“, le vin rouge „წითელი ღვინო“ და le vin blanc „თეთრი ღვინო“.

## 4. ღვინის გემოსა და სურნელის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები

ეს ჯგუფი განსაკუთრებით პროდუქტულია ორივე ენაში.

ა) მჟავე ღვინო ფრანგულ ენაში აღინიშნება შესიტყვებებით vin aigrelet / aigre / nerveu / acerbe (მომჟავო / მჟავე / ძარღვიანი / მჭახე ღვინო), du vin pour la salade (სასალათე ღვინო); ქართულში გვაქვს იმერული დიალექტის „ჩმახი /ჭმახე /კონმახი ღვინო“, „ღვინოს ჭანგი მისცემია“, რაჭულ დიალექტში გავრცელებული „მოჭვანგული ღვინო“, „ღვინოს კანჭი შეჭპარვია“ და გურული „ბჟუქურაი ღვინო“.

თუ ქართველისთვის მჟავე ღვინო „კაჭკაჭს / ყვავს დააჭყავლებს“ ფრანგისთვის იგი „თხებს ააცეკვებს“ – vin à danser les chevres; შემჟავებული ღვინისთვის ქართული ენა იყენებს გამოთქმას „ნაკბენი ღვინო“, ხოლო ფრანგული გამოთქმას – vin piqué (ნაჩხვლეტი ღვინო).

ბ) მომჟავო-მომწარო გემოს აღსანიშნად ფრანგული ენა იყენებს გამოთქმას vin acre (მწკლარტე ღვინო), იმერულ დიალექტში კი გვაქვს „ძელგი ღვინო“, „შლატე ღვინო“.

გ) ტანინიანი ღვინო ფრანგულ ენაში აღინიშნება გამოთქმებით avoir le goût de cuve ( როფის გემოს ქონა), le vin charpenté (აშენებული ღვინო), un vin qui accroche (ღვინო, რომელიც ებმის), vin rapeu (ხაოიანი, მქისე ღვინო). ქართულში კი გვაქვს „დედაზე დაყენებული ღვინო“.

დ) ღვინის შესანახი ჭურჭლიდან აღებულ გემოს უკავშირდება გამოთქმა vin fatigué (დაღლილი ღვინო). კასრისგან აღებულ გემოს მიუთითებს გამოთქმა goût de bois (ხის გემო), ხოლო goût de lumière (სინათლის გემო) ითქმის ბოთლის ღვინოზე, რომელსაც სინათლემ შეუცვალა გემო; იმერულში გვაქვს „ხელიანი ღვინო“, რაჭულში კი „ნახმელარი ღვინო“. „ქვევრის დახედ-

ვა“ ნაკლულ ქვევრში ღვინის ამჟავებასა და გემოს მიცემას მიუთითებს, „მომბალი ღვინო“ კი ცუდად გარეცხილ ქვევრში შენახული ღვინოა. ამ გამოთქმებში კარგად მოჩანს ღვინის შენახვის ტრადიცია, თუ ქართველები ღვინოს ქვევრში ინახავენ და გამოთქმა „ქვევრის დახედვა“ ქვევრს უკავშირდება, ფრანგისთვის, რომელიც ღვინოს კასრში ინახავს, ღვინო ხის გემოს იღებს, როგორც ამას ვხვდებით გამოთქმაში *goût de bois*.

ე) **ღვინის სხვა გემოების** აღმნიშვნელი გამოთქმები უხვადაა ფრანგულში:

*Vin ayant goût de vert* (სიმწვანის გემოს მქონე ღვინო) გულისხმობს ბალახისა და ფოთლების გემოს, *vin fruité* (ნაყოფის გემოშენარჩუნებული ღვინო) – ყურძნის ან სხვა ხილის გემოს მქონე ღვინოს, *goût de bock* (ტოლჩის გემო) – გოგირდის გემოს, *vin usé* (გაცვეთილი ღვინო) – სიძველისგან გემოდაკარგულ ღვინოს, *vin muet / plat* (მუნჯი / გლუვი ღვინო) – უგემურ, ჩალასავით ღვინოს, *goût de moisi* (ობის გემო) – ბრკის გემოს, *goût d'évent* (სუფთა ჰაერის გემო) – ჟანგის გემოს, *goût de rûti* (მწვადის გემო) – გადამწიფებული ყურძნის გემოა, ხოლო *vin de mouchoir* (ცხვირსახოცის ღვინო) – მეტად სურნელოვანი ღვინო.

**5. ღვინის დაყენების ტექნოლოგიასთან დაკავშირებული შესიტყვებები**

ძირითადად, ასეთი გამოთქმები ქართულ ენაში გვხვდება. ასეთებია, მაგალითად, „ღვინის გადაღება“ – ერთი ჭურვიდან მეორეში გადატანა დანმენდის მიზნით, „ღვინის დანყვეტა“ (ქიზიყური) მისი ნვრილ-ნვრილ ჭურჭელში ჩასხმა, „ღვინის გადანმინდავება“ (რაჭული) ადრე გაზაფხულზე ხელმეორედ გადაღება, „ღვინისათვის ძირის გამოცვლა“ (რაჭული) – ახალი ღვინის პირველი გადაღება, ღვინის მიერ „აღულების მოხდა“, „ღვინის მოგუღვა“ (იმერული) – დუღილის შეწყვეტა, „ღვინის განარვა“ ( გურული) – ჭურვიდან ამოღების დროს ჭურჭლით ღვინის ზედაპირის შენძრევა, ბრკემ რომ გვერდზე მოიყაროს თავი და ღვინო სუფთად ამოიღონ.

**6. ღვინის რაოდენობის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმები**

„ღვინოში ცურავს/ბანაობს“ – ღვინო უხვად აქვს, „საბანე ღვინო“ – ერთი სუფრის სამყოფი ღვინო, „შემღერება ღვინო“ – სულ ცოტა ღვინო, „ თითო ჭიქა ღვინის დაღვევა“ – ცოტა ღვინის დაღვევა, ხოლო „ორ წვეთ ღვინოს“ შეესაბამება ფრანგული *un doigt de vin* ( ერთი თითი ღვინო).

ცალკე გამოვყოფთ ფრაზეოლოგიზმებს, რომლებშიც გვხვდება ლექსემა „ღვინო“, თუმცა სემანტიკურად გამოთქმა ღვინოს არ უკავშირდება. ასეთებია, მაგალითად, ფრანგული ჟარგონული გამოთქმა *vin de la Vierge* (ღვთისმშობლის ღვინო), რაც რეალურად „რძეს“ აღნიშნავს, ხოლო ფრაზეოლოგიზმი *s'enhivrer de son vin* (თავისი ღვინით დათრობა) საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ქონაზე მიუთითებს. „არც ნყალია, არც ღვინო“ – უხეირო, უგერგილო კაცია; „ცხრილით ღვინის დაღვევა“ შეუძლებლის გაკეთებას ნიშნავს, „პურ-ღვინოზე ფეხის დადგმა“ – პატივისცემის დავიწყებას.; „უღვინოდ დათრობა“ – გამხიარულება, „ხატის ღვინის დაღვევა“ კი – გაგიჟება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ლექსემის „ღვინო“ დესემანტიზაციასთან.

როგორც შედარებამ დაგვანახა, ღვინოსთან დაკავშირებულ გამოთქმებს გარკვეულწილად უნივერსალური ნიშნები აქვს, რაც არც გავლენით აიხსნება, არც ნასესხობით, თუნდაც შუალედური ენიდან. არაფერს ვამბობთ უშუალო გავლენაზე, რადგან ისტორია ამას არ ადასტურებს. რაც შეეხება ნასესხობას, ფრანგული ფრაზეოლოგიზმი ქართულში მხოლოდ რუსული ენის გავლით შეიძლება შემოსულიყო, მაგრამ, რადგან რუსეთში მეღვინეობა განვითარებული არაა, რუსულ ენას, შეიძლება ითქვას, რომ არ გააჩნია ღვინოსთან დაკავშირებული გამოთქმები. სავარაუდოა, რომ ფრანგული და ქართული ენების პარალელური გამოთქმები ამ ენებში დამოუკიდებლად წარმოიშვა. საერთო საფუძველმა, ცხოვრებაზე დაკვირვებამ, ყოფაში არსებულმა რეალიებმა და საერთო ლოგიკამ ამ გენეტიკურად არამონათესავე და გეოგრაფიულად დამორეზულ ენებში წარმოქმნა პარალელური გამოთქმები. მიუხედავად ამისა, თითოეულ შესადარებელ ენას თავისი სპეციფიკა გააჩნია. ეს სპეციფიკა ძირითადად გამოიხატება ერის მიერ განვლილი ისტორიის ენაზე გავლენაში, მის ადათებში, თითოეული ენის მიერ გარკვეული ცნების გადმოსაცემად გამოყენებულ ხატებში, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ფრაზეოლოგია ენათმეცნიერების ის დარგია, რომელშიც ყველაზე ნათლად აირეკლება ენის და, შესაბამისად, მისი მატარებელი ხალხის ეროვნული თავისებურებები. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად შეხების წერტილებისა, ორი ენის ფრაზეოლოგიური სისტემა სრული სახით არასოდეს ემთხვევა ერთმანეთს.



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. А.Г. Назарян, Фразеология современного французского языка, М., «Высшая школа», 1976, стр. 51.
2. Мейе А. Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М.Л., 1938 г.
3. Райхштейн А.Д., Тексты лекций по фразеологии современного немецкого языка (вопросы фразеологической семантики), М., «Высшая школа», 1981г.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად, არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1950-1964; თ. სახოკია, ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., გამომცემლობა „მერანი“, 1979; ა. ონიანი, ქართული იდიომები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1966; ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, გამომცემლობა „სამშობლო“, 1997.
5. მ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1938; გ. ალავიძე, ლენხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1938; ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1956; ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1943; ქ. ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973; შ.ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა. ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“, 1971.
6. Французско-русский фразеологический словарь под ред. Я.И. Рецкера, М., Гос. Изд-во иностранных и национальных словарей, 1963 г Grand Larousse encyclopédique en 10 vol., Paris, Larousse, 1960-64 ; M. Ra Dictionnaire des locutions françaises, Paris, Larousse, 1957 ; Dictionnaire alphabétique et analogique de la langue française par P. Robert, Paris, Le Robert, 1979 ; Alain Rey, Sophie Chantreau, Dictionnaire des expressions et locutions, Paris, Le Robert, 1997; U.Duneton, La puce à l'oreille, Stock, 1973 ; V. Bardosi, De fil en aiguille, Budapest, 1995.
7. M. Chatelain-Courtois, Les mots du vin et de l'ivresse, Paris, éd. Bélin, 1998 ; Jean-Luc Hennig, Erotique du vin, Paris, Zulma, 1997.

## GEORGIAN AND FRENCH PHRASES RELATED TO WINES

Tsiana Bibileishvili

PhD

## Abstract

In the course of studying Georgian and French phrases related to wines we have revealed some resemblances and differences between them.

As a result of study there have been revealed six subgroups:

1. phrases denoting quality of wines
2. phrases denoting thickness of wines
3. Phrases denoting color of wines
4. phrases denoting aroma and taste of wines
5. Phrases related to wine technology
6. Phrases denoting the quantity of wines

Each group consists of several subgroups. Besides both languages contain phrases connected to “wine” but they are semantically non related.

It has become apparent that phrases related to wine have universal signs though each language has its own specifics. It proves again that phraseology is a branch of linguistics that vividly reflects the national identity of the language.





კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Caucasus University Publishing House  
[www.cu.edu.ge](http://www.cu.edu.ge)